

03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალურ და კოლიგიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ელჩა ლომიძე

სიმბოლო საკომუნიკაციო სისტემი

ურნალისტიკაში ვილოსოფის მეცნიერებათა დოქტორის

აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად ჭარბგენილი

დ ი ს ე რ თ ა ც ი ა

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი,  
ფილოსოფიის დოქტორი ქურნალისტიკაში,  
მარინე ვეკუა

თბილისი 2010

## **სარჩევი:**

<b>შესავალი</b> -----	გვ. 3
<b>I თავი – კომუნიკაციის საკითხების გაშუქება დისციპლინათაშორისი სინთეზის პოზიციებიდან</b> -----	გვ. 8
§1 კომუნიკაციის საგნობრივი ზონა -----	გვ. 8
§2 კომუნიკაცია როგორც პიროვნეული ცოდნის სფერო -----	გვ. 24
§3 შემეცნება და აზროვნება კომუნიკაციაში -----	გვ. 38
§4 ტექნოლოგიების შეცვლა და ახალი ისტორიული ეპოქა -----	გვ. 45
<b>II თავი – სიმბოლო როგორც მოვლენა კომუნიკაციის პროცესში</b> -- გვ.56	
§1 სიმბოლოს წარმოშობის გენეზისის ზოგიერთი საკითხი -----	გვ. 56
§2 ისტორიული და ფილოსოფიური სიმბოლოში -----	გვ. 70
§3 ინტერპრეტაციის ენა -----	გვ. 105
§4 კავკასიის სიმბოლური სივრცე -----	გვ. 111
<b>III თავი – ჟურნალისტიკა როგორც საკომუნიკაციო სივრცის სიმბოლური გელი</b> -----	გვ. 118
§1 პოლტის სიუჟეტებიდან საკვანძო სიუჟეტებამდე ჟურნალისტიკაში -- გვ.118	
§2 აგონურის ზოგიერთი ასპექტები ბიოპოლიტიკაში, მათი ასახვა თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში -----	გვ. 132
დასკვნა -----	გვ. 141
ბიბლიოგრაფია -----	გვ. 155

## შესაგალი

თანამედროვე პირობებში ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრება მასობრივი სიმბოლოების კოდირებასა და დეკოდირებაში მდგომარეობს. ასეთ სიტუაციაში იზრდება სიმბოლოების - კომუნიკაციის უძველესი და უნივერსალური საშუალებების როლი და მნიშვნელობა. სიმბოლოების საშუალებით ადამიანები უძველეს დროში ქმნიდნენ იმ აზრობრივ სივრცეს, რომელშიც ახორციელებდნენ ურთიერთობას, მაგრამ “უძველესი დრო არსად წასულა” და ამიტომაც არის, რომ თანამედროვე ადამიანი სიმბოლოს ისეთივე სიდრმისეულ გავლენას განიცდის, როგორსაც მისი შორეული წინაპრები განიცდიდნენ.

სიმბოლოები მარტო ადამიანთა საქმიანობის სოციო-კულტურული გამოცდილების აკუმულირებას კი არ ახდენენ, არამედ ისტორიამდელი დროიდან მოყოლებული, კომუნიკაციურ საინფორმაციო ფუნქციასაც ასრულებენ. ისინი ხელს უწყობდნენ და უწყობენ იდეებისა და ფასეულობების ურთიერთგაცვლას როგორც საზოგადოების შიგნით, ისე სუბიექტებს შორის.

**თემის აქტუალურობა.** სიმბოლო, როგორც კულტურის ერთ-ერთი გამოვლინება ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ყურადღებას იპყრობს. სიმბოლური და ნიშნური წარმონაქმნი კომუნიკაციურ სივრცეში სხვადასხვა პოზიციიდან განხორციელებულ დრმა თეორიულ ანალიზს, ლოგიკურ-ფილოსოფიურ, სემიოტიკურ, კულტურულ-ისტორიულ და აგრეთვე ჟურნალისტიკის თეორიის თვალსაზრისით განხორციელებულ კვლევას მოითხოვს. ცოდნის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სფეროს ძალისხმევას ერთობლივად შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ კომუნიკატივისტიკასა და სიმბოლოგიაში, არამედ ჰუმანიტარული მეცნიერების საფუძვლების განვითარებაშიც.

ეს ვითარება იმით არის განპირობებული, რომ მსოფლიო საზოგადოება მთლიანად და მისი ცალკეული ფორმირებები XXI საუკუნის, სივრცეების გლობალიზაციისა და ვირტუალიზაციის საუკუნის ზღურბლზე სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის ხარისხობრივად ახალ პერიოდში იმყოფება. პოსტსაბჭოთა კომუნიკაციურ სივრცეში ძველი სიმბოლური სისტემა დაინგრა, სანაცვლოდ ჩნდება ახალი ნიშნები, ემბლემები, სიმბოლოები, ახალი ხატ-სახეები,

თემები, მოტივები და სიუჟეტები, რომლებიც ავსებენ ჩვენი ცივილიზაციის კულტურულ სივრცეს. ასეთ ასპექტში კომუნიკაციურ სივრცეში სიმბოლოს როლის შესწავლას უთუოდ გააჩნია მეცნიერული ქდერადობა.

თემის აქტუალურობა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორით განისაზღვრება. პირველი ფაქტორი - სიმბოლოს განმარტება ცოდნის დიალოგურ ფორმას მიმართავს. რეალურად ის მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის შემთხვევაში არსებობს. ამასთან შეიძლება ურთიერთობას ყოველთვის არ ჰქონდეს უშუალო ხასიათი, შეიძლება ის გამეშვეობითებულიც იყოს, ავიდოთ მაგალითად, თუნდაც რელიგიური მიმართვას ლოცვის ან ხატის მეშვეობით. საგანი ნებას გვაძლევს დავათვალიეროთ იგი, ხოლო სიმბოლო ჩვენ “გვიყურებს“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმბოლოს, როგორც სამეცნიერო კატეგორიის გააზრება იმისათვის, რათა მოიხსნას “შესაძლო“ მისტიკური ან მეტაფიზიკური დოგმების დანაშრევები.

აქტუალურობის მეორე ფაქტორად გვესახება კომუნიკაციისა და მისი სივრცის საკითხი, სადაც აუცილებელია ფილოსოფიური და ბუნებრივი მეცნიერული თვალსაზრისების შეფარდების დადგენა, არსებული სინამდვილის პარადოქსული თავისებურებების გამოვლენა, რამეთუ დროისა და სივრცის თვისება ერთხელ და სამუდამოდ მოცემული არ არის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოვლენის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი კოორდინატები. უამრავი უპირო მოვლენის შიგნით არსებობს მნიშვნელოვანი წესრიგი, რომლის საფუძველშიც წარსულად, აწმყოდ და მომავლად ქვედაყოფა ძევს. ჩვენ გვაინტერესებს, როგორ ჩნდება აღნიშნულ სიტუაციაში სიმბოლო, რომლისთვისაც დროის დაყოფა არ არსებობს, ვინაიდან თავად მარადიული წარსულიდან მომდინარებს.

**მეცნიერული სიახლე.** მოცემული გამოკვლევა ერთ-ერთი პირველთაგანია, სადაც კულტუროლოგიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ეურნალისტურ მასალებზე დაყრდნობით კულტურული დინამიკის პვლევის პრინციპის სახით ხდება იმ დებულების დასაბუთება, რომ თანამედროვე კომუნიკაციურ სივრცეში სიმბოლო წარმოადგენს ფენომენს, რომელიც აქტიურად ზემოქმედებდა ჩვენს წინაპრებზე და მას შემდეგ, რაც სივრცისა და დროის საზღვრები გადმოლახა ტექნოლოგიური მანიპულაციის მიზნით დღესაც აგრძელებს მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედებას. კომუნიკაციურ სივრცეში

სიმბოლოს მისი ბუნების სხვადასხვა ასპექტებში განხილვისას ჩვენ გავარკვიეთ სიმბოლოს ეზოთერული და ეგზოთერული შემადგენლობის თანაფარდობა, გავაანალიზეთ გარდასული ეპოქების სიმბოლოთა ინტერპრეტაციების თავისებურებები და ნაირსახეობა. ჩვენ შევძელით აგვეხსნა სიმბოლოს, როგორც სიუჟეტის გენისა და თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების ტექსტებში ასახვის სპეციფიკა. ნაშრომში აგრეთვე წამოყენებულია მეცნიერული პიპოთება პრესის - მისი ყვითელი ვარიანტის სიმბოლოს, როგორც ურნალისტური ფორმის აგონის ასწლიანი ბუნების შესახებ.

**კვლევის მიზანი** - სიმბოლოთა აღწერა, სისტემატიზირება, ჩამოყალიბების მექანიზმების გამოვლენა, სიმბოლოს, როგორც საბოლოო პროდუქტის, როგორც კომუნიკაციის საშუალების და მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების უძლიერესი ენერგეტიკული ფორმის მაორგანიზებელი პროცედურისა და გარეშე პირობების განსაზღვრა.

მთლიანობაში სამამულო და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ სიმბოლოს პრობლემა საკმაოდ კარგად არის გამოკვლეული.

ჩვენს გამოკვლევაში ჩვენ ვეყრდნობით ანტიკური ფილოსოფოსების პლატონის, არისტოტელეს ნაშრომებს, აგრეთვე მაკმაგენის, პირსის, მორისის გამოკვლევებს კომუნიკაციის სფეროში. რაც შეეხება სიმბოლოს პრობლემებს, აქ ჩვენს იდეებს. პეტრე იბერზე, მერაბ მამარდაშვილზე, ერნსტ კასირერზე, კარლ იუნგზე, ცვეტან ტოდოროვზე, ალექსეი ლოსევსა და იური ლოტმანზე დაყრდნობით გაგებდით. ჩვენი დღევანდელი თანამემამულე ავტორების პუბლიკაციებიდან გვინდა აღვნიშნოთ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის პაატა ნაცვლიშვილის სადისერტაციო ნაშრომი “ქართული ურნალისტიკის ისტორიის გენეზისისათვის“ და ფილოსოფიის დოქტორის, ლალი სურმანიძის წიგნი “კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში“, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენი მეცნიერული ინტერესების თანხმიერი გერმენევტიკისა და ინტერპრეტაციის პრობლემები იქცევს.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ჩვენი თემის ჩაღრმავებული გამოკვლევის მიზნით, საჭიროდ ჩავთვალეთ ნაშრომში წარმოდგენილი ემპირიული მასალა ანალიზის თანამედროვე მეთოდებით გაგვეაზრებინა. ჩვენი მიდგომა ფართო პროფილის სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობით არის განპირობებული. კერძოდ, ისტორიული

მეთოდის საშუალებით გაკეთდა ადამიანის ყოფიერების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე სიმბოლოს განვითარების ანალიზი. ჩვენ მისი წარმოშობის ისტორია, გენეზისიც გამოვკვეთეთ და აღვნიშნეთ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში გაბატონებული ამა თუ იმ იდეოლოგიისდა მიხედვით მომხდარი ცვლილებები მისი აზრის გაგება-განმარტებაში.

მონაცემების მოგროვებისადმი გონივრული მიდგომის მთავარი განმსაზღვრელი იყო ეთნოგრაფიული მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოკვლევის ცალკეული ელემენტების ერთობლიობიდან გამოგვეყვანა საერთო მსჯელობა სიმბოლოს შესახებ კომუნიკაციურ სივრცეში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ, საქართველოს ბეჭდვითი მედიის, გაზეთების “ალია”, “ახალი თაობა”, გამოსაკვლევად მიგმართეთ ცოდნის სხვადასხვა სფეროების - სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის, ბიოპოლიტიკის, ურნალისტიკის, კომუნიკატივისტიკის, ფილოსოფიის წარმომადგენელთა ნაშრომებს და დასახელებული მეცნიერებების მონაცემები საძიებელი საგნის ცოდნის ერთიან კონგლომერატად შევაერთეთ. ამგვარმა მიდგომამ საშუალება მოგვცა კოგნიტიური დისკურსიული მიმართულების ჩარჩოებში განვითარდა სიმბოლოს მოვლენა კომუნიკაციურ სამყაროში.

სადისერტაციო ნაშრომში კრიტიკულ დისკურსს რომ მიგმართეთ, შესაძლებლად მივიჩიეთ გამოგვეყო მისი ძირითადი მეთოდოლოგიური დებულებები და ამით განვითარება მისი მიზანი, პროცედურა, გარე პირობები და, რაც მთავარია, სამეცნიერო ნაშრომის საბოლოო პროდუქტი.

საკვლევი ობიექტის - “სიმბოლო კომუნიკაციურ სივრცეში” - განხილვისას გადავწყვიტეთ მის აზრობრივ სტრუქტურას ჩავწეროდით, რამაც მის შინაგან სტრუქტურაზე მსჯელობის საშუალება მოგვცა. საბოლოოდ შევძელით გამოგვემუშავებინა ჩვენი საკუთარი მეცნიერული პიპოთება სიმბოლოს და სიმბოლური ფორმების განსაკუთრებული ასახვის, გამოყენების შესახებ თანამედროვე ურნალისტიკაში.

### **კვლევის ამოცანები**

კომუნიკაციის, როგორც ნიშნური ფორმით გააზრებული შეტყობინებების პროცესის, როგორც სოციალური ყოფიერების ელემენტის განხილვა. იმის

გამოვლენა, თუ ურთიერთობაში ათასწლეულობით გაბატონებული იმიტაციის საფუძველზე თანდათან როგორ გამოიდევნებოდა კომუნიკაციის მიერ.

სიმბოლოს გენეტიკური წარმომავლობის ანალიზის, მისი ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლის წარმოდგენა. დროსა და სივრცეში კომუნიკაციების ნაირგვარობის განსაზღვრა, ურნალისტიკის არა მარტო როგორც სოციალური ცხოვრების ფენომენის, არამედ აგრეთვე როგორც საინფორმაციო-კომუნიკაციური პრაქტიკის “საველე“ წარმონაქმნის გამოკვეთა.

ურნალისტიკის არის, როგორც ზემოქმედების სუბიექტზე გავლენის მქონე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური მუხტის მფლობელი გავლენის ცენტრის განსაზღვრა.

იმის გაანალიზება, თუ როგორ გვევლინება უძველესი სიმბოლოები ახალი აზრების გენერატორად და ადამიანის კულტურული მეხსიერების “კონდესატორად“. აგონური კულტურის იმ ახალი ასპექტების გამოვლენა, რომელთა პროპაგანდასაც ეწევიან საქართველოს და მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

## თავი I

### პომუნიკაციის საკითხების გაშუქება დისციპლინათაშორისი სინოუზის პოზიციებიდან

#### §1 პომუნიკაციის საბრძოვები ზონა

ანტიკური ხანის მიერ მსოფლიოს ყველა ხალხისთვის ნაანდერძევ სულიერი გულტურის ფასეულობებს შორის, ისტორიოგრაფიასთან, ლიტერატურასთან, ფილოსოფიასთან, მითოლოგიასთან, ხელოვნებასთან ერთად საპატიო ადგილი უკავია დიალოგის, კომუნიკაციის, ურთიერთობის გულტურასაც. ცნობილია, რომ პირველყოფილ ადამიანს სამყარო პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა და თავად ურთიერთობის, უფრო ზუსტად კი, მეტყველების პრინციპს კოსმოსის აზრის წვდომით ასახავდა. მოლაპარაკე იმავდროულად წინასწარმეტყველიც იყო, იგი მაუწყებელ ლოგოსს განასახიერებდა. ო.მ. ფრეიდემბერგი თავის ნაშრომში აღნიშნავდა: “ლოგოსი ხეებით, მიწით, ფრინველებით, ცხოველებით, წყლით, ადამიანებით, საგნებით ლაპარაკობს”. (Фрейдемберг, 1987, ст. 57). აქ მარადიული სიბრძნეა დაფარული, რადგან ფილოსოფოსს სამყაროს არსის წვდომა უწერია, მას უნდა შეეძლოს ყურის მიგდება და იმის თქმა, თუ რას ნიშნავდა მაუწყებლობა და წინასწარმეტყველება, სწორედ ამაში იმაღება მიზეზი ანტიკურ ფილოსოფოსთა უარისა, წერილობით დაეფიქსირებინათ საკუთარი ფიქრები და აზრები.

ამის მაგალითია სოკრატეს ცხოვრება, მან ხომ საუბრებში განვლო! მისი დიალოგები ჩვეულებრივი ყოფითი საუბრები და სიტყვიერი კამათი კი არ არის, არამედ ღრმად გააზრებული და უნარიანად, ოსტატურად გამოყენებული ხერხია, რომლის საშუალებითაც ის ფილოსოფიურ, მორალურ და პოლიტიკურ პრობლემებს იკვლევდა. სოკრატეს არაფერი დაუწერია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ისტორიაში დიდ მოაზროვნედ დარჩენილიყო, რომელიც ყველა თავის შეხედულებას ზეპირ საუბრებში გამოთქვამდა. სიტყვა აოცებდა, ხიბლავდა და აინტრიგებდა მსმენელს, ის თამაშსაც ექვემდებარებოდა. ძველი ათენელები აფასებდნენ სიტყვას, მის მიმართ სისუსტეს ამჟღავნებდნენ და პატივს სცემდნენ მას. სუფრასთან ბაასის - “სიმპოსიების“ - კულტურა გადაიზარდა თანამედროვე

“Տօմէռնումէթին”, ՌոգորԸ Թէբէնոյրով Շրտոյրտոնքուս Տաշկետէս դա ձռքով արով պորման.

Եռյրածյա Հաջոյիրոնքուս, Տօմէռնուս դուռը Տիգարուս, “Տաշկարո մուսո Տիգոյիս, մաս Տօմուսելուս ծոլումու Ֆյոնդա Եցիարո Տաշկարոնքուս ոմեցու դա մուսո Տօմուսունքուս Մշմանցաւ Ալաբարոնուսուլ “Ողբարի 183 մ-նու” Մշմտեզեցու ար արուս նառկամո “Վյուտեյ դա գաոցոնեցու” (անյ տացած Տօմյրածյան). (Ներսեսյան, 1972).

Երտու ժայռագույնուրո յուսմոցոնուս տաճակման, լցուացիա Ծորիմա Տամյարո Տօմէռնուս Տաշկալունու Մշմնա. ոցո Տօմէռնուս մշուցու դա պահան Տաշնուս արևուս մարտարածուած ուղացուա - ամուրումաւ Մշման Տամյարոնու պահան Տաշանո յմարտա.

Ցանցեցուսագմո մոմարտուլո Տօմէռնուս Տօմյան Տիրացուս տացուսեցուրո Կնյենուրացունալուրո գամուսարուլունուա. մացրամ Տօմէռնուս, ՌոգորԸ Շուլուսուցունու ալունունացյն, Տեցածասեցացարուս, ուսուս ուսյ գանսեցացունուան յրտմանյուտուսցան, ՌոգորԸ գանսեցացունուան դուսուլունունու, Ռոմլունու օկցուցունու Տօմէռնուս, Կնյեցեց. Տօմէռնու ռայրուրունու լուսուրացուրո, ոցո, ՌոգորԸ Կնյեցա, լցու լուցուրո մեջելունուս Տաֆշամշալոնու, եռլու Տօմէռնուս յրտունունու Ծայիւրած գագառունուցա, մշմնոյրունուս ռենյունու եցեցա. Տիրուրո Տօմէռնուս և Ծայիւրու ոյցա քամակացնուրունու Շառունակուած ադամունու Տանուրունուկացուրո Տայմունունուս Բամուցալունունուս Տեցածասեցա յբակնեց.

Շրտոյրտոնքա ագամունուս պայուրունուս Մինունցնելուանցուս Վանամեծարուս և ՌոգորԸ Յրմանուրունու, մաս ոնցուրմաւուլու ծունցեցա գաահնուս. Իցենո Շորյուլո Վոնակարո Տամյարոնյ տացուս Մշեցուլունունու մեռլուն և մեռլուն Անրածու գամունունու, “Անրածունուրունու” մունցուլու ոնցուրմաւունու ելումեծնելուն-դա. Ռուցեսաւ գահնու ագամունու Կնունուրո գայրունանցեցեցուս, մատո Տայմունունուս Անրածունու նունցեց, մուսարի կլուցունու, գամոյածուլունուս կլուցունու, գամոցունու ոյնա կյրամուցուս Վարմունու, Կերարունուս Շորմունու գարուլուն և գացրունու գամունունուսա և միարուն “Լայիսունուս” Տաֆշամշալոնյ ագամունցեց Մալա մալունուտ ՎոնասՎար գայանալունունու Մշեսամլու Տօմէռնուս, յարուատ Տակնուրո գագառունունուս պահանց Տաշկետէս զարունու, մատ ունացունու Տակնուրո յմալունուս և ացանց մատ, և Ռայ մտացարուս, մշմնունուս Բանասանուս Վալունուտ յրտունունու յալունուս մոյմեցունու. (Մալինովա, 1973).

ცნობილმა ექსპერიმენტატორმა, ანთროპოლოგმა ფილიპ ლიბერმანმა დაამზადა შიმპანზეს და ნეანდერტალელის, ბავშვისა და მოწიფული ადამიანის ხმის ორგანოების სილიკონის სპეციალური მოდელი. ლიბერმანისეული მოდელები სხივებით გააშუქეს და მათი გავლისდა მიხედვით დაადგინეს, ტონის რა სიხშირის შექმნა შეეძლოთ ნეანდერტალელებს ადამიანებთან და შიმპანზეებთან შედარებით. მიღებული მონაცემების შესწავლის საფუძველზე მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სავარაუდოდ ნეანდერტალელს ცხვირ-ხახისა და ხორხის აგებულება არ აძლევდა გარკვევით ლაპარაკის საშუალებას. სწორედ ამ სერიოზულმა ნაკლმა გამოთიშა იგი განვითარების პროცესიდან, რადგან ნადირობის და ნებისმიერი სხვა საქმიანობის ორგანიზება ადამიანებს შორის გაღრმავებული კომუნიკაციური აქტის გარეშე ვერ შედგებოდა.

საზოგადოება ვითარდებოდა, დაწყებული სულ პირველი სტადიებიდან, მის განვითარებას თან ახლდა ურთიერთობის საშუალებათა სრულყოფა, აზრებისა და ემოციების გადმოსაცემად იგი მოლაპარაკედან სულ უფრო ტევადი არხების მიერთ მიღიოდა.

გაჩნდა დამწერლობა და შესაძლებელი გახდა ახალ-ახალი ფაქტების დაგროვება და ადრინდელი ცოდნის გადაფასება ზეპირი სიტყვის ფიქსაციის გზით, რათა მომდევნო თაობებისთვის გადაეცათ ერთობლივი შედეგი, როგორც დროსა და სივრცეში დაფიქსირებული მრავალი ადამიანის ენერგია. სწორედ ადამიანის ქცევის, საქმიანობის ნიშნური რეგულაციის პრინციპი გახდა მისი ფილოგენეტიკური განვითარების, ცხოველთა სამყაროდან შემდგომი გამოყოფის ფსიქოლოგიური საფუძველი. ურთიერთობაში ათასწლეულობით გამეფებული იმიტაციის საშუალება თანდათანობით გამოიდევნებოდა კომუნიკაციის მიერ, ფიქსირებული სიტყვის, სიმბოლოს, ხატ-ხახის საშუალებით. ასევე გადაუშალა ნიშნურმა კომუნიკაციამ ადამიანს არა მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილების, ცივი ლოგიკის, არამედ მის ფსიქიკურ საქმიანობაში ასახული აზრებისა და ემოციური ნიუანსების გადმოცემის შესაძლებლობაც.

დროთა განმავლობაში კოლექტიური, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ფორმათა გართულების კვალდაკვალ ადამიანის შეგნებაში, ყოფიერებაში ახალმა ნიშან-თვისებამ - ინფორმაციაზე დამოკიდებულებამ, იმის ცოდნის მოთხოვნილებამ იწყო დომინირება, თუ როგორ ხდება სხვა ინდივიდის

რეალური სამყაროს ათვისება. ახლა უკვე საკუთარი გამოცდილების სინთეზშა, - “მეორე ხელიდან“ მიღებულმა გამოცდილებამ იწყო დამკვიდრება, როგორც ადამიანის სოციალურ თვისებათა ჩამოყალიბებისა და კვლავწარმოების გადამწყვეტმა პირობებმა.

ინფორმაციული პროცესები ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მოყოლებული, ადამიანთა უურადღების საგანია. შეტყობინებების გადაცემის ყველაზე ეფექტური საშუალებების ძიება, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ელინთა სულიერი კულტურის ნაწილს წარმოადგენდა. ყოველ ათწლეულში ჩვენი ცოდნის მდინარე მრავალ ტოტად და შენაკადად იყოფა. ეს პროცესი უწყვეტი და მრავალსახაა. მას მარტო სხვადასხვა დისციპლინების გაერთიანებამდე კი არ მივყავართ, არამედ ცოდნის კონკრეტული სფეროების განვითარებასთანაც. ახალი ხედვა არანაკლებ აუცილებელია, ვიდრე კლასიკურ მეცნიერებათა კონკრეტული ცოდნა. ეს აუცილებლობა თავისთავად არ ჩნდება, იგი ისტორიულ დროებათა გზაჯვარედინებზე, ერთი ცხოვრებისეული სტანდარტებიდან სხვებზე გადასვლის ეპოქაში ამოიზრდება.

ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობაში უმნიშვნელოვანები ელემენტებია არა მხოლოდ მასზე წარმოდგენა, არამედ საკუთარი ადგილის ძიებაც. სამყაროს სურათი კი გამუდმებით იცვლება, ამიტომაც საჭირო ხდება მის შესახებ ახალი მონაცემების მუდმივად გადახედვა, შევსება, დაზუსტება, კვლავწარმოება, რათა არ დავკარგოთ ორიენტაცია, არ გადავუხვიოთ ევოლუციის მთავარი გზიდან.

შესაძლოა მუდმივი განახლების აუცილებლობას ზოგჯერ ერთგვარ გაურკვევლობამდე მივყავართ, რადგან სამწუხაროდ, იმის შესახებ, თუ რა არის კომუნიკაციური კვლევის თეორია, კომუნილოგიაში მეცნიერებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ცნობილია იმის მცდელობის ფაქტი, რომ ეს ფენომენი თეორიულად და პრაქტიკულად ისეთ ადეპვატურ მონაცემებში მოექციათ, როგორიცაა კომუნიკოლოგია, კომუნიკატივისტიკა.

ყველა, ვისაც ცოდნის ამ სფეროსთან აქვს შეხება დასავლურ მეცნიერებაში, მას Communication Studis-ს უწოდებს. როგორც წესი, ისინი აღნიშნავენ მის მკაფიოდ გამოხატულ პლურალიზმსა და ერთგვარი გაგებით აღიარებულ დისციპლინათშორისობას. დასავლელ მკვლევართა უმრავლესობა შემთხვევით როდია ერთსულოვანი იმაში, რომ პლურალიზმი, გაგებული როგორც

სხვადასხვაგვარი კვლევითი, თეორიული და მეტათეორიული მიდგომების ურთიერთდამატება, უთუოდ სასარგებლოა მეცნიერების განვითარებისთვის. სოციალური ბუნებისა და მისი შეცნობის სირთულის შესახებ თავის აზრს გამოთქვამს ამერიკელი კომუნოლოგი ქეთრინ მილერი. კომუნიკაციის შესახებ დასავლური მეცნიერების მდგომარეობას იგი ჯანსაღ ეპლექტიზმს უწოდებს (Miller, 2008). რაც შეეხება ჯანსაღ ეპლექტიზმს, ზედმეტი არ იქნება დაგუმატოთ, რომ Eklektikos (ამომრჩეველი), დაშვებულია როგორც კანონზომიერი მომენტი მეცნიერების განვითარებაში, ვინაიდან ის დაკავშირებულია ცოდნის იმ ელემენტების არსებობასთან, რომლებსაც არ გააჩნია ერთიანი თეორიული ბაზა და ის კი არა, ხშირად ობიექტის განხილვის საპირისპირო ასპექტებსაც კი განეკუთვნება. პრინციპების ნასესხობა პ. კუზენის მიერ დაფუძნებულ მე-19 საუკუნის მთელ ფილოსოფიურ სკოლაში გამოიხატა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ყველა ფილოსოფიური სისტემა საბოლოო ჯამში ოთხ ფუნდამენტურ ფორმადე (იდეალიზმი, სენსუალიზმი, სკეპტიციზმი და მისტიციზმი) დაიყვანება, მაშინ, როცა ეპლექტიზმის საუკეთესო სისტემა ცდილობს პოზიტიური ასპექტი შეინარჩუნოს. ფრანგი ფილოსოფოსი ვიქტორ კუზენი (1792-1867), ყველაფერში ზომიერი და ნებისმიერი უკიდურესობის წინააღმდეგ კომპრომისების მომხრევა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯანსაღი ეპლექტიზმი, ანუ პლურალიზმი, როგორც მრავალრიცხოვანი კვლევითი მიდგომების, თეორიებისა და მეთოდოლოგიების თანაარსებობა, დასავლეთის მკვლევარების მიერ აღიარებულია როგორც კომუნიკაციური მეცნიერების დასაბუთებული მდგომარეობა, ზოგჯერ კი სასურველიც. (Кузен, 2007).

მაგრამ თეორიული ენების “მრავალხმიანობა”, თეორიული ენებისა და კვლევითი მიდგომების მრავალფეროვნება და აშშ-ს ტრადიციები ხელს არ უშლის კომუნიკაციურ მეცნიერებებს დამოუკიდებლად იარსებონ. ერთი რამ ცხადია - თავად შესასწავლი საგნის ფართო ხასიათი არა იმდენად დინამიურია, რამდენადაც მრავლისმომცველი. ზოგჯერ მისი საგნის მკაცრი საზღვრების შემოხაზვა შეუძლებელი ხდება. მართლაც და, რა არ არის სოციალურ ცხოვრებაში კომუნიკაცია, მკაფიო სტრუქტურების შესაძლებლობა ნულამდე დადის. კომუნიკაციური ცოდნის სფეროების უდიდეს და მუდმივ მრავალფეროვნებას

მნიშვნელოვანწილად მოსდევს ემპირიული სტიქიურობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დისკიპლინის სახელწოდების ტერმინოლოგიური გაურკვევლობის საკითხი დღემდე გადაუჭრელია, ფაქტს ერთგვარი გაგებით შესაბამისად მოსდევს კონცეპტუალური კამათიც იმის თაობაზე, მაინც რომელ საკვანძო ტერმინს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა: “communication“-ს თუ “communications“-ს.

მოცემული ფუნდამენტური ფაქტორები, როგორც ჩანს, მეცნიერებაში საკუთარ კონცეპტუალურ წინასწარდასახლობებს მიანდვეს. აი ის შვიდი თეორიული სფერო და შესაბამისად შვიდი ტრადიციაც, რომლებიც პროფესორ რობერტ კრეიგის მიერ გამოყოფილ დისკიპლინებს ასაზრდოებს და იმავდროულად მის მიერვე მაინტრიგებელი კომუნიკაციური მეცნიერების “შვიდ წყაროს“ და შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს: რიტორიკული, სემიოტიკური, ფენომენოლოგიური, კიბერნეტიკული, სოციოფსიქოლოგიური, სოციოკულტურული და კრიტიკული (Craig, 1999). თავის სტატიაში “პლურალიზმი და დისკიპლინათმორისობა, როგორც სრულყოფილი კომუნიკაციური ცოდნის მდგომარეობა და განვითარების პრინციპი“ ს.გ. მატიაში აღნიშნავს, რომ კომუნიკაციის შესახებ თანამედროვე მეცნიერული ცოდნის პლურალიზმი და პლურალისტურობა სხვადასხვა ფორმებით მედავნდება - არა მარტო როგორც დარგების მრავალფეროვნება ამ ცოდნის შიგნით და არა მარტო როგორც მათი განკერძოებულობა, არამედ იმავდროულად როგორც მათი ურთიერთგადაბმულობა, დისკიპლინათმორისობა.

თავისთავად კომუნიკაციის ცნების ანალიზის მცდელობა ჩვენთვის საინტერესო საგანში სხვადასხვა აზრობრივ ელფერს ავლენს. ჩვენს სიტუაციაში თუ წინამორბედთა განმარტების უზარმაზარი ფენა არა გვაქვს განკარგულებაში, წინსვლითი მოძრაობა შეუძლებელია. (Матвяшь, 2004).

ჩვენს კონკრეტულ გამოკვლევაში გამოსაყენებლად უმჯობესია ზოგადი ხასიათის კონცეფციები ვიხმაროთ. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის პროცესების ყველაზე აქტიური შესწავლა XX საუკუნის მეორე ნახევარში იჩენს თავს. პირველ ეტაპებზე თეორიულ ცოდნას ურთიერთობის ფორმალიზაციის ხერხების საკითხები აინტერესებდა. მეცნიერება შეისწავლიდა რეგლამენტაციების სხვადასხვა კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფდა ურთიერთობის, ინფორმაციის

ადრესანტისგან ადრესატისთვის გადაცემის მონაწილეთა გარკვეულ  
განჭვრებადობას და პასუხისმგებლობას. კომუნიკაციების პირველი სერიოზული  
გამოკვლევები მაშინ ჯერ კიდევ ახალი, კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის  
მეცნიერებების ჩარჩოებში ხორციელდებოდა, სადაც ურთიერთობა განიხილებოდა  
როგორც ცალმხრივი საინფორმაციო პროცესი, რომელშიც ურთიერთობის  
განსაზღვრებათა უდიდესი ნაწილი ინფორმაციის გადაცემის იდეამდე  
დაიყვანებოდა. და მხოლოდ გასული ასწლეულის 80-იან წლებში დაინტერესდნენ  
ურთიერთობის პროცესის სხვადასხვა ასპექტებით ფსიქოლოგები, ლინგვისტები.  
ამრიგად პრობლემის გააზრების საწყის გზავნილებში უკვე გაჩნდა ფსიქოლოგიური  
და სოციოლოგიური მახასიათებლები.

მეცნიერება დაინტერესდა კომუნიკაციური აქტების სემანტიკური  
ინტერპრეტაციით, პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის წესებითა და  
თავისებურებებით, მისი მეტყველებითი ქცევებით. ინტერესთა ასეთ რაკურსში,  
ურთიერთობა ისე განისაზღვრებოდა, როგორც საქმიანი და მეგობრული  
ურთიერთობები, აზრების გაცვლა-გამოცვლა ენობრივი შეხედულებების  
საშუალებით. ყურადღება ექცეოდა მეტყველებითი საქმიანობის თავისებურებებს,  
მეტყველებითი ქცევის წესებს, საერთო გეგმიდან ამოვარდნილი იყო ურთიერთობის  
მექანიზმის ანალიზი. პრობლემაში სოციოლოგიური ასპექტების ჩართვით  
მეცნიერული მიდგომებისა და განმარტებების თამასა საგრძნობლად ამაღლდა. ამ  
მომენტიდან მოყოლებული, მეცნიერული ანალიზის ცენტრში ურთიერთობის  
სოციალური არსის ავტორიტეტმა, მისი წევრების ურთიერთქმედებამ, პიროვნების,  
ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებამ და  
განვითარებამ იმდლავრა. არა ნაკლებ ფასეული გახდა მთლიანობაში ცოდნის  
ახალი სფეროსთვის ურთიერთობის ლოგიკურ-სემანტიკური, კულტუროლოგიური  
ასპექტი, რომელიც სოციო-ფსიქოლინგვისტიკის ჩარჩოებში კმაყოფილდებოდა.

ამ მეცნიერული მიმართულებების საზღვრებში შესაძლებელი გახდა  
საკომუნიკაციო აქტის დაკავშირება საუბრის მონაწილე პიროვნებასთან,  
ურთიერთობის, როგორც კულტურის ფენომენის გაგება. დასავლელი მკვლევარები  
დიდი ხანია იყენებენ ტერმინს “კომუნიკაცია”. ბევრად უფრო მოგვიანებით იგი  
“მიღებული”, უფრო ზუსტად, მოხსენიებული იყო XX საუკუნის დასავლური

ფილოსოფიის უდიდესი საბჭოთა მკვლევარის იური მელვილის მიერ მისი წიგნის ერთ-ერთ თავში. გვინდა ამ ფაქტს ჩვენს ნაშრომში სპეციალურად მივუბრუნდეთ.

ამჟამად ჩვეულებრივი გაგებითაც და სამეცნიერო ლიტერატურაშიც, ცნებები “დიალოგი”, “ურთიერთობა”, “კომუნიკაცია” ხშირად სინონიმებად იხმარება, მაგრამ აღნიშნული პრობლემისადმი უფრო დაკვირვებული მიდგომისას აღნიშნულ ცნებებს შორის მკაფიოდ იკვეთება ერთი მხრივ გარკვეული განსხვავებები, მეორე მხრივ კი მათი ერთობა.

თუ ინგლისურენოვან ლინგვისტიკურ ტერმინოლოგიას მივმართავთ, - “კომუნიკაცია” აიხსნება როგორც აზრებისა და ინფორმაციის გაცვლის პროცესი. შეიძლება ეს მეტყველებითი ან წერილობითი სიგნალების ფორმით გადმოცემული ინფორმაცია იყოს. ასეთ შემთხვევაში “კომუნიკაცია” სიტყვა “ურთიერთობის” სინონიმად გვევლინება. თუმცა სამეცნიერო არსენალში სიტყვას “ურთიერთობა”, გარდა აზრებისა და ინფორმაციის გაცვლისა, ემოციური ფაქტორიც გააჩნია, ანუ შესაძლებელი და დასაშვებია ურთიერთობის მონაწილეთა განცდები. ასე მსჯელობენ ლინგვისტები, რომლებისთვისაც “ურთიერთობა” ენის კომუნიკაციურ ფუნქციად აღიქმება და მის სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციებში მუდავნდება. ფსიქოლოგები და სოციოლოგები ორივე ტერმინს ისე განიხილავენ, როგორც ურთიერთგადამკვეთ, მაგრამ არასინონიმურ ცნებებს. ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამენ კულტურათაშორისი კომუნიკაციის მკვლევარები გ. გრუშევიცპაია, ვ. პოპკოვი, ა. სადოხინი. (Грушевицкая, 2002).

მაინც როგორია ურთიერთობის ფუნქციები? რაშია მისი აზრობრივი კომპონენტების არსი, რას მოიცავს ძირითადად ამ ცნების ჩარჩოები? აქ უწინარეს ყოვლისა, გამოიყოფა გამომსვლელის საკონტაქტო ფუნქცია - როგორც ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება კონტაქტები თავის მსგავსთან, კონტაქტები სხვა ადამიანებთან.

ურთიერთობის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება ზემოქმედების, ურთიერთქმედებისა და აზრების, შეხედულებების, ურთიერთზეგავლენების მოთხოვნილებაში გამოიხატება. არანაკლებ აქტუალურია შეთანხმების ინტერპრეტაცია, ანდა პოტენციური ან რეალური კონფლიქტის არსებობა.

მაგრამ უცვლელი და ფუნდამენტური რჩება ერთი დებულება - ადამიანის მოთხოვნილება შეტყობინებების გაცვლაზე, ნიშნური წარმონაქმნების მეშვეობით ურთიერთობაზე.

მხედველობიდან არც გამოთქმულის საპირისპირო თვალსაზრისი უნდა გამოგვრჩეს, სადაც ცნების “ურთიერთობა” და “კომუნიკაცია” თანაფარდობაში, ამ უკანასკნელის, ანუ კომუნიკაციის სტრუქტურაში გამოყოფენ არა უბრალოდ ცნობების გადაცემას, არამედ ინფორმაციის გაცვლას ანუ ზემოქმედების და ურთიერთქმედების ორგანიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორს, იმას, რასაც ეწოდება ინტერაქცია, აგრეთვე გრძნობითი აღქმის, როგორც პრეცეფციების ურთიერთგაგების საფუძვლის ფიქსაცია. მხოლოდ ასეთ ასპექტში შეიძლება აღმოგაჩინოთ კომუნიკაციის, როგორც ინდივიდუალურ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ინფორმაციებს შორის შუამავლის უმნიშვნელოვანების თვისებები.

მოცემული კონტექსტის არსებით ნიშნად გვესახება თავად ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის ინდივიდუალური პროცესის პერსონალური და მასიური ზემოქმედების სოციალურად მნიშვნელოვან პროცესში გადატანის მექანიზმი. როგორც ცნობილია, მათი გამოვლენის ერთობისა და განსხვავებების ბუნებას, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, როგორც ზევით იყო აღნიშნული, “ურთიერთობას” და “კომუნიკაციას” ერთობაც გააჩნია და რიგი განმასხვავებელი ნიშნებიც. მოცემული მეცნიერული ანალიზის ჩარჩოებში ეს ვითარება თავის აქტუალობას არ კარგავს, ვინაიდან აღნიშნული ფენომენის მთავარ განსაზღვრებას და გაგებას განაპირობებს. საერთო და ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა მათი თანაფარდობითობა ინფორმაციის გაცვლისა და გადაცემის პროცესებთან და, როგორც შედეგი, ორივე შემთხვევაში, დომინირებულ ფაქტორად გამოდის ენა, როგორც კავშირი, როგორც გადაცემის საშუალება.

როგორ, რა გზით უნდა დავადგინოთ სხვაობა, არსებული ნიშნების არაერთნაირობა? რაშია ნაწილობრივი განსხვავებების არსი და რამდენად პრინციპულია ისინი ჩვენი გამოკვლევისთვის?

მიდგომის ორიგინალობაზე პრეტენზიის გარეშე ხარკი მოვუსადოთ დამკვიდრებულ ტრადიციას და შევეხოთ ამ ცნებების შინაარსის მოცულობებს, იმას, რასაც თეორიაში “ვიწრო“ და “ფართო“ გაგებას ეძახიან, უფრო სწორად ასეთად მიიჩნევენ. შევეცადოთ გავერკვეთ, რა დამატებითი აზრები ერევა

ზედაპირულ შეხედულებას, რა იმალება კონკრეტული რეალობის აღეპვატურად ამსახველი თითოეული ტერმინის უკან? რა დამატებითი დახასიათებების გადმოსაცემად არის მზად ყოველდღიურობაში აქტიურად ხმარებულ ორ სიტყვაში - “ურთიერთობა“ და “კომუნიკაცია“ - დამკვიდრებული ორი მონათესავე ცნება?

მეცნიერება უტილიტარისტულად ორიენტირებული ფენომენია, რომელიც სინონიმურ იგივეობას არ ცნობს. იგი თამამად იწვევს ხმალში საღ აზრს, რადგან შეელგან რაციონალური დასაბუთების დამკვიდრებას ესწრაფვის. ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ურთიერთობა პიროვნებათაშორისი ურთიერთქმედების მახასიათებლებს იმკვიდრებს, ხოლო რაც შეეხება კომუნიკაციას, - ის შეიცავს დამატებით მნიშვნელობას, - იმას, რასაც ჩვენ საზოგადოებაში ინფორმაციულ მიმოცვლას ვუწოდებთ. მაშასადამე, კიდევ ერთხელ დავამკვიდროთ ჩვენს ცნობიერებაში - ურთიერთობა სოციალურად განპირობებული პროცესია, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის აქტუალურ მოთხოვნილებას ყოფიერების ნებისმიერ სფეროებში აზრების გაცვლაზე. აქ კომუნიკაციის ვერბალური საშუალებებით რეალიზებული შემეცნებით-შრომითი მოდვაწეობაც იგულისხმება და შემოქმედებითიც და არა პირიქით.

მეცნიერებაში ცნების ყოველგვარი გაფართოება მის ჩვეულ ხმარებას სიზუსტეს მოკლებულს ხდის. ჩვენს ნაშრომში გაანალიზებულია მხოლოდ ძირითადი კონტურები პასუხისა კითხვაზე - რა არის სადღეისოდ სიმბოლო კომუნიკაციურ სივრცეში? ბუნებრივია, პასუხი დამოკიდებულია მოცემულ თემაში ძირითადი ფუნდამენტური ონთოლოგიური კატეგორიების - კომუნიკაციის, სივრცის, სიმბოლოს - აღწერაზე. ვეცდებით გაგაშუქოთ არსებული პრაქტიკის ეს სამი კარდინალური სტანდარტი. და როგორ პარადოქსულადაც უნდა გაიჟდეროს ამ სამივე ფუნდამენტური ფენომენის გამაერთიანებელმა განსაზღვრებამ - მათი მეცნიერული მნიშვნელობისა და ღირებულების შეუბლალავად, ამის მიუხედავად XX საუკუნის დიდი მოაზროვნის პეტრე ფლორენსკის კვალდაკვალ, ჩვენ გავტედავთ და, რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერპრეტაციით, აღვნიშნავთ: “კოცნა“ ინტიმურ სივრცემდე დაყვანილი კომუნიკაციაც არის და ადამიანური (და არა მარტო ადამიანური) ურთიერთობების სიმბოლოც, მაშასადამე, დღეს კომუნიკაცია შეიძლება განიზომებოდეს კოცნიდან ტაბლოიდამდე.

ჩვენ გვესმის, რომ მეცნიერული ლოგიკისა და ეპისტემოლოგიის ტრადიციების შესაბამისად დასკვნების გამოტანა იოლი არ არის, ამიტომ ჩვენი მსჯელობის პროცესში გამოვრიცხეთ მოცემული პოსტულატის თვითნებურობა, ცხადია, შესაბამისი დაზუსტებით, თანამედროვე მეცნიერულ აღმოჩენებზე დაყრდნობით, იმის დამოწმებით, რასაც უწოდებენ ინფორმაციის აღქმისა და გადაცემის სოციალურად განპირობებულ პროცესს სხვადასხვა არხებით როგორც პიროვნებათაშორის, ისე მასობრივ ურთიერთობებში არა მარტო ვერბალური, არამედ ფართოდ წარმოდგენილი არავერბალური კომუნიკაციური საშუალებების მეშვეობით.

ნიკოლას ლუმანმა თავის ნაშრომში “რა არის კომუნიკაცია?” უურადღება მიაქცია იმას, რომ ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცოდნის ეს სფერო სხვადასხვა და ძალზე დაშორიშორებული კვლევების უურადღებას იმსახურებდა. მას მიაჩნდა, რომ სამეცნიერო დისციპლინათა ვერცერთმა წარმომადგენელმა ვერ შეძლო ამ სფეროში საერთო კითარების ამომწურავი მიმოხილვა. ის კომუნიკაციის მეცნიერული კონტექსტის, მეცნიერული გააზრების მხრივ დამატებითი კრიტიკული იმპულსის შეტანას ესწრაფვოდა.

ცოდნა კომუნიკაციის შესახებ მაღალი სირთულის სტრუქტურირებულ სისტემებს ეფუძნება.

თავისი შრომის ძირითად ნაწილში ლუმანი, რომელმაც განაცხადა, რომ მხოლოდ “კომუნიკაცია შობს კომუნიკაციას”, წინდახედულად აღნიშნავს, რომ “რადა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სიცოცხლის, ცნობიერების გარეშე კომუნიკაცია შესაძლებელი იქნებოდა. იგი ასევე შეუძლებელია ნახშირბადის, ზომიერი ტემპერატურის, დედამიწის მაგნეტიზმის, მატერიის ატომური სტრუქტურის გარეშე. სამყაროს სირთულის გამო საგანთა ამა თუ იმ კითარების ყველა პირობა ვერ იქნება ჩართული მის განსაზღვრებაში, რადგან სხვაგვარად ცნება დაკარგავდა ყოველგვარ კონტურებს და გამოსაყენებლობას თეორიის აგების ტექნიკაში”. (Луман, 2003, ст. 14).

როგორც ლუმანს მიაჩნია, კომუნიკაციის განხორციელება სამი სხვადასხვა სელექციის საშუალებით ხდება, ესენია: ინფორმაციის სელექცია, ამ ინფორმაციის შეტყობინებების, ამ შეტყობინებებისა და მათი ინფორმაციის სელექციური გაგება-ვერგაგების სელექცია. ყველა ჩამოთვლილი კომპონენტი კომუნიკაციას მხოლოდ იმ

შემთხვევაში აწარმოებს, როცა მათი შერჩევითობა შეიძლება იყოს შესაბამისი და თანხვდენილი. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმისათვის, რათა აქტი კომუნიკაციად იქცეს და კომუნიკაციად აღიქმებოდეს, აუცილებელია განვასხვავოთ ორი ცნება - შეტყობინება და ინფორმაცია, ვინაიდან კომუნიკაცია გაგების აქტში სწოდება სხვაობას მისი შინაარსის საინფორმაციო ფასეულობასა და იმ მიზეზებს შორის, რომელთა გამოც ხდება შინაარსის შეტყობინება, კომუნიკაცია მოწოდებულია შეცვალოს აქცენტები, ხაზი გაუსვას, გამოპყოს ან თავად ინფორმაციის არსი, ან მის ექსპრესიულ ქცევას მიაპყროს უურადღება. ლუმანი ასკვნის, რომ “შეტყობინებას“ ან უჯერებენ, ან არ უჯერებენ: კომუნიკაცია, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ ამ ალტერნატივებს და ამით გადახრის რისკს ქმნის. ის აყალიბებს გადაწყვეტილების სიტუაციას, თითქოსდა ის კომუნიკაციის გარეშე არ არსებობდა.

ვიდრე ნიკოლას ლუმანის დრმა აზრებს ჩავწივდებოდეთ, ჩვენს შემთხვევაში უპრიანი იქნება შევეხოთ არა უბრალოდ ტერმინ “კომუნიკაციის“ გარშემო შექმნილ არაორდინარულ სიტუაციას (ლათ. *communico* - საერთოს ვხდი, ვუკავშირებ, ვურთიერთობ). ადამიანთა საზოგადოებაში ეს სამეცნიერო ტერმინი უთუოდ სიტყვა “ურთიერთობასთან“ სინონიზირდება (გამონაკლისს მხოლოდ რესული ენა წარმოადგენს). როგორც ცნობილია, ურთიერთობა გულისხმობს აზრების, ქცევის გარკვეული სქემის გაცვლას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ემოციები, განცდები, ცოდნის გადაცემა, იგივე ცოდნის მიღება, ვინაიდან ურთიერთობაში ინფორმაციის გადაცემა არ ამოწურავს მის წყაროს, ის მხოლოდდა იდეებით ამდიდრებს თანამოსაუბრებს (შედარებისთვის, ინგლისურში ეს წარმოდგენილი იქნება სიტყვებით *exchange* u *share*). და როგორც ვ. კაშკინი მიუთითებს, “ეს ძალზე არსებითი შენიშვნაა, რომელიც კომუნიკაციისადმი მიდგომას ორ პარადიგმად ყოფს: მექანისტურად და ქმედითად.“ (კაშკინ, 2000, სტ. 3). პირველში კომუნიკაცია გაგებულია როგორც ინფორმაციის კოდირების და წყაროდან გადაცემის და შეტყობინების მიმღების მიერ ინფორმაციის მიღების ერთმიმართულებიანი პროცესი. ქმედითობით მიდგომაში კომუნიკაცია გაიგება როგორც კომუნიკაციის მონაწილეთა (კომუნიკანტთა) ერთობლივი საქმიანობა, რომლის მიმდინარეობისასაც ხდება საგნებზე საერთო (გარკვეულ ზღვრამდე) შეხედულებების გამომუშავება და მისით მოქმედება.

ჩვენი კვლევის სპეციფიკა და ჩარჩოები არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დაწვრილებით განვიხილოთ კომუნიკაციის თეორიის, მისი მრავალრიცხოვანი ნაირსახეობების გამოყენების მაგალითები. საკუთარ თავს უფლება მივეცით იმ ფაქტით დაკმაყოფილებულიყავით, რომ კომუნიკაცია არ არის მხოლოდ ფაქტორი ადამიანის სოციალურ სისტემებში, მოცემული ცნება ჩვენთვის განუზომელია და მას ყოფიერების მთელ სივრცეში გააჩნია ურთიერთშეხების საშუალებები, სახეობები, ხერხები, აქტები.

კვლევის დროს ჩვენ გვაინტერესებდა კომუნიკაციისა და სიმბოლოს რაობის დადგენა. კომუნიკაციის და სიმბოლოს ჩვენებული ინტერპრეტაცია ტრივიალური რომ არ გამოჩენილიყო და ისინი თავიანთი პირველადი სახით რომ წარმოგვეჩინა, ამ კატეგორიების ანალიზის დროს ყურადღება მივაქციეთ მეცნიერებაში გამოთქმული აზრების საოცარ დამთხვევას. მივმართოთ ჟან შევალიეს განმარტებებს. თავის “სიმბოლოთა ლექსიკონში” ის აღნიშნავს: “დასაბამიდან სიმბოლო ყოველთვის წარმოადგენდა ორ ნაწილად გაყოფილ საგანს. ორის თითო ნაწილი ორ ადამიანს ჰქონდა. მასპინძელი და სტუმარი, მევალე და მოვალე, ორი მლოცველი, დიდი ხნით დაცილებული ორი შეუვარებული... შეხვედრისას ისინი სიმბოლოს ორ ნაწილს აერთებდნენ და ასე ადასტურებდნენ კვლავ თავის სიყვარულს, მეგობრობას, სტუმარ-მასპინძლობის კავშირებს, ან ლირსების მოვალეობას. ძველი ბერძნებისთვის სიმბოლო ყოველთვის იყო ცნობის ნიშანი, მისი წყალობით მშობლებს შეეძლოთ ეცნოთ საკუთარი შვილები, რომლებთანაც განშორებულები იყვნენ. სიმბოლო განაშორებს და კვლავ აერთიანებს, ის თავის თავში ერთდროულად ორ, - განშორებისა და კვლავ შეხვედრის - იდეას შეიცავს. იგი შეგვახსენებს ერთობლიობას, რომელიც დავკარგეთ, და რომელიც შეიძლება კვლავ ადდგეს. ლათინური communication - შეტყობინების გზას, კავშირის ფორმას, ურთიერთობის აქტის ნიშავს. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვენი წმინდისა და შეუცნობლის, ძვირფასის, ჩვენი შემვსებლის “მეორე მხარესთან“, მეორე შემთხვევაში - კავშირის ფორმა მეშვეობითი კონტაქტის დროსაც შესაძლებელია.

მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ ცოდნად ვერ ჩაითვლება ის, რაც გასწორებას საჭიროებს, ის, რაც კორექციას ექვემდებარება, ის, რაც ცვლილებების შეტანას ითხოვს. შეიძლება არსებულ ცოდნას ახალი დაემატოს, შეიძლება დავიწყებული იქნეს ძველი, ის, რაც ადრე ვიცოდით, მაგრამ ყველა შემთხვევაში და ყოველგვარი

მიდგომისას ცოდნა იმადვე რჩება, რაც არის. სიმბოლოს ცოდნას შეუძლია წამოაყენოს ყველაზე უჩვეულო ინტერპრეტაციები, ფანტაზიის აღმაფრენის გამოვლენით, მაგრამ მეცნიერება იმისთვის არის მეცნიერება, რომ ზუსტი და მკაცრი დარჩეს ამ განსაკუთრებულ შემთხვევაშიც კი, როდესაც სიმბოლო ჯდება ურნალისტური ტექსტის ქარგაში, და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს აუცილებლობას, ინტერპრეტაციების, თვალსაზრისებისა და მოსაზრებების ცვალებადობისასაც კი ვიპოვოთ საიმედო დასაყრდენი სიმბოლოს მარადიულობასა და უცვლელზე მის შესახებ ცოდნაში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩვენი გამოკვლევა თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სიბრტყეში ძეგს, რომლის ნორმებიც ჯერ კიდევ XIX და XX საუკუნეების მიწურულს იყო გამოცხადებული რიკერტის, ვინდელბანდის, ვ. დილტეის, მ. ვებერის ნაშრომებში, სადაც ბუნებრივად მეცნიერულის ალტერნატიული მიდგომა იყო განვითარებული, სადაც არის მეცნიერული ცოდნის გამოყენების სფეროები, სახელდობრ კი ისეთები, რომლებიც საშუალებას იძლევა გავუგოთ სხვა ადამიანს, ავხსნათ კულტურული, ან სულიერი ფენომენი, რომელსაც უთუოდ განკუთვნება სიმბოლო. ენა, შემოქმედება და ჰუმანიტარული ცოდნის სხვა ობიექტები. ამიტომაც ჩვენი კვლევის ობიექტზე გასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი მხრივ, მისი წარმომავლობის ისტორიაში და მეორე მხრივ, მის ლეგენდარულ “რეალურობაში” ჩავერთვებით.

და მაინც, რა არის სიმბოლო, რაში მდგომარეობს მისი ფუნქცია და როგორია მისი წარმომავლობა? ამის შესახებ უამრავი ლეგენდა არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე ძველს, სუფიულს განსაკუთრებით აქტუალური გზავნილი გააჩნია, ვინაიდან ის ჩვენ მიერ დასმულ არცოუ იოლ კითხვებზე პასუხობს. რადგან მისი მეცნიერული კვლევის ობიექტად დასახვა, ანალიზის და დასკვნების გამოტანა ჩვენი ხანგრძლივი, დაუდალავი შრომისა და უწყვეტი ფიქრის საფუძველია.

კომუნიკატივისტიკას ცოდნის დისციპლინათშორის სფეროდ თვლიან, ამჟამად მან უზარმაზარი ზეგავლენა მოიპოვა და პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ დარგად იქცა. ეს დისციპლინა რეტროსპექტულად ეწევა საკუთარი ფესვების, საწყისების ძიებას ცოდნის სხვადასხვა სფეროს ტრადიციებში.

მისი მეტათეორიული “დუღილი” გასული საუკუნის 70-იან წლებზე მოდის, ხოლო დასავლეთში პირველი ძიებები ჯერ კიდევ 50-იან წლებში ხორციელდებოდა.

საერთოდ, კომუნისტიკული სოციუმის ონთოლოგიის ნაყოფად მიიჩნევენ, ამის მიზეზი კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამაღებული ექსპანსია და საზოგადოებაში მომხდარი პოლიტიკური ძვრები იყო (ვიეტნამი, პოლიტიკური მკვლელობები). სახელდობრ, როგორ მივყავართ საზოგადოებრივ ძვრებს, როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს კონსენსუნსის ძიებასა და სოციალური კულტურის მატარებელთა ეფექტური ურთიერთგაბების საშუალებამდე.

კომუნიკატივისტიკა თეორიისა და პრაქტიკის სფეროში პრობლემათა ვრცელი არეა, რომელშიც შედის პიროვნებათაშორისი, ჯგუფური, პროფესიული და კულტურათაშორისი კომუნიკაციები. მას შეუძლია განიხილოს ვერბალური და არავერბალური ურთიერთქმედების, რიტორიკისა და არგუმენტაციის საკითხები. მისი ზეგავლენის სფეროში შედის კომპიუტერულ-გაშუალებული ურთიერთობა, შიდაკულტურული ურთიერთქმედების საკითხები. ცოდნის ამ ახალ სფეროს პრაქტიკული საქმიანობის ვრცელი არეალი გააჩნია - ბიზნესკომუნიკაცია (პიარი, რეკლამა, მარკეტინგი), მართვა, კომუნიკაცია ოჯახში, სოციალური პედაგოგიკა და მუშაობა, ქვეყანათმცოდნეობა და რეგიონთმცოდნეობა.

ამრიგად, დისციპლინათაშორისი სინთეზის კომუნიკაციის ზონა განსაკუთრებული შინაარსის, როლის, მნიშვნელობისა და ხერხების მქონე მრავალპროფილიანი დისციპლინაა. კომუნიკაციის ასაკი ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ტოლია: რამეთუ მეტყველება, უესტები, ნახატები უძველესი გამოქვაბულების კედლებზე მეცნიერების მიერ განიხილება როგორც კონტაქტის პირველი დონე, პირველი საფეხური.

კომუნიკაციაში მთავარი ამოცანა კონსენსუსის, “შეთანხმების“ საყოველთაოდ მისაღები ხელშეკრულების პრაქტიკულად მიღებაში მდგომარეობს. სწორედ შემადგენელთა ამ ფართო სპექტრმა განაპირობა ერთიანი ტერმინის - “კომუნიკაციის“ ძიება, რომელმაც იმავდროულად სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინაში, ერთმანეთისგან თითქოს ისე დაშორებულ სფეროებში იწყო ჩამოყალიბება, როგორიცაა ლიტერატურა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, მათემატიკა, ფილოსოფია, გერმენევტიკა, ლოგიკა, სემიოტიკა. კომუნიკაციის რთული,

არაწრფივი საგნობრივი ზონა სხვადასხვა ინტენსიურობის დისკიპლინათაშორის სინთეზს წარმოადგენს.

ჩვენი ინტერესების სფეროში შედის კომუნიკაცია, ტექსტების განმარტების, მათი სიღრმისეული აზრების წვდომის უზრუნველმყოფელი სემიოტიკური პროცესები, ადამიანის (ჟურნალისტის) ნიშნური ქცევის თავისებურებებით, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციები ჟურნალისტიკაში. კომუნიკაციის თითქმის ყველა მკვლევარი ცნობს მასში გამაერთიანებელ დისკიპლინას, ისტორიული ნიშანსვეტებით, მოდელებითა და სახეობებით, თავისი განსაკუთრებული როლით და მნიშვნელობით, ხერხებით. სადაც მოვლენის ასაკი ადამიანური საზოგადოების ისტორიის ტოლია: რადგან მეტყველება, ჟესტები, ნახატები უძველესი გამოქვაბულების კედლებზე შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთმანეთთან კონტაქტის პირველი დონე, პირველი საფეხური, აგრეთვე როგორც ათასწლეულების გავლით ჩვენთვის საკუთარი გზავნილების გადმოცემის “მდვიმური” დაცულობის პირველი შესაძლებლობა. ასეთ მოცულობაში სავსებით დროულია განვიხილოთ კომუნიკაცია როგორც თავის არეალში არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, აგრეთვე როგორც საშუალებების სხვადასხვა ეპოქებისა და კონტინენტების ინფორმაციის გადაცემის მატერიალური მატარებლების გამაერთიანებელი ფენომი.

ბაბილონი - სადაც წერილობითი ინფორმაციის მატარებელი ცეცხლზე გამომწვარი თიხის ფირფიტა იყო, ეგვიპტე - პაპირუსი, ქალალდის მსგავსობად ქცეული ლერწმის სახეობა, ტექსტები გრანიტებსა და აკლდამების მობათქაშებულ კედლებზე, ცხენის ტყავი ჩრდილოამერიკელ ინდიელებში, ფიკუსის ფოთლები აცტეკებისა და მაიას ტომებში, აგრეთვე ჩვენამდე მოღწეული ცნობები მონუმენტურ ნაგებობებზე, ძველი საბერძნეთისა და რომის ცვილის ფირფიტები, ხბოს ტყავი პერგამაში, პალმის ხის ფირფიტები აღდგომის კუნძულზე შორ მანძილებზე ინფორმაციის გადაცემის ხელშემწყობ კომუნიკაციის საშუალებათა სისტემას განეკუთვნება, ასევე სტკენა, დაფდაფების რაკარუკი, ყვირილი, ჩირალდნები, კვამლის გაშვება, ცეცხლის ათინათები. კაცობრიობამ გამოიარა აგრეთვე რიგი მუდმივი აღმოჩენებისა მორზეს ანბანიდან, ტელეგრაფიდან, გაზეთიდან, რადიოდან, ტელევიზიიდან, კომპიუტერამდე.

კომუნიკაციის, როგორც პროცესის თემის განხილვისას ჩნდება ჯაჭვი:  
კომუნიკატორი - საშუალება - ადრესატი.

## §2 კომუნიკაცია როგორც პიროვნეული ცოდნის სფერო

კ. შენონისა და უ. ივერის თეორია ყველაზე ზოგადი და მარტივია, ის 1949 წელს შევიდა მეცნიერებაში. მასში არის ინფორმაციის წყარო - ინფორმაციის გადამცემი - ინფორმაციის გავრცელების არხი - ინფორმაციის მატარებელი სიგნალები - ინფორმაციის მიმღები. გადაცემის პროცესში გვხვდება მრავალ მიზეზთან, მათ შორის ერთი და იმავე საგანზე სხვადასხვა ხალხებში არსებულ განსხვავებულ შეხედულებებიდან გამომდინარე კულტურულ-ნაციონალურ სპეციფიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის ბარიერები. ეს სხვადასხვაობა აღზრდისა და განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრების შედეგებით აიხსნება. რა არის კოდირება და დეკოდირება? კოდირება გამგზავნების ჩანაფიქრების იდეების კომუნიკაციათა ენაზე გადათარგმნაა. კოდი არის წესების სისტემა, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ენის ფუნქციონირება. კოდები ხელს უწყობს შეტყობინებათა სუბსტანციის ტრანსფორმირებას, მათ გადაცემას ან კონსერვაციას.

არსებობს სამი სახის კოდები: კოდი, რომელიც გამოიყენება რეალობიდან გამოსახულებებზე გადასვლისას; კოდი - რეალობიდან ენაზე გადასვლისას, კოდი გამოსახულებიდან ენაზე გადასვლისას.

კოდთან მჰიდროდ არის დაკავშირებული კონტექსტი, ანუ სისტემები, რომლებიც გარკვეულწილად განაპირობებენ შეტყობინების ტექსტის ამა თუ იმ ორგანიზაციას. კონტექსტები შეიძლება იყოს სოციალური, ისტორიული, ბიბლიოგრაფიული, მხატვრული და ა.შ. ტექსტთან მათი კავშირი შეიძლება იყოს უშუალო ან ირიბი.

შეტყობინება არის კონტექსტიდან აღებული და გარკვეულ სტრუქტურაში გაერთიანებული აღქმის მრავალი მოწესრიგებული ელემენტი. ის შეიძლება იყოს ფიქსირებული, რეგისტრირებული და კონსერვირებული, ტირაჟირებული.

შეტყობინების მთავარი მახასიათებელია მისი სიჭარბე, როგორც გასაგებობის საზომი. შეტყობინების გაკეთება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით შეიძლება,

ეს საშუალებებია: გაზეთი, პრეს-რელიზი, პრესკონფერენცია, რადიორეპორტაჟი, ტელევიზია, პირისპირ შეხვედრა.

შეტყობინების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შინაარსზე, არამედ იმაზეც, თუ:

ვინ გააკეთა ის  
როგორ გაკეთდა ის  
სად და რარიგად  
რამდენად არგუმენტირებული, დამაჯერებელია იგი  
აგრეთვე - ურთიერთობის არავერბალურ კომპონენტებზე: სახის გამომეტყველებაზე, ქცევის მანერებზე, საზრიანობაზე.

დეკოდირება შეტყობინების გაშიფვრაა. დეკოდირების ფაქტები, გაშიფვრის ეფექტურობის ფაქტორები, დამოკიდებულია:

მის გადათარგმნაზე საყოველთაოდ ცნობილი ტერმინების ენაზე.

შეტყობინების აზრის გაგებაზე

აზროვნების სტერეოტიპებზე

აზრის წინასწარაღებულობაზე

სიმბოლოებზე

სემანტიკაზე

იმ ჯგუფის ზეწოლაზე, რომელსაც გამშიფვრები ეკუთვნის.

შეტყობინების დისკურსი (ჩანაფიქრი)

კომუნიკაციის ინიცირებას ადამიანები ახდენენ და ამას ისინი ადამიანებისთვის აკეთებენ.

გ. ლასუელმა გამოყო კომუნიკაციის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, ესენია:

ვინ ამბობს? რას ამბობს? ვის ეუბნება? რომელი არხით? როგორი ეფექტით?

ეფექტური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მიღებული შეტყობინების გამოგზავნილთან მაქსიმალური დამთხვევის მიღწევა, ანუ “გაფუჭებული ტელეფონის” მოვლენის გამორიცხვა.

საშუალებების არჩევა ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვეულებრივ, გამოყოფენ სამ საშუალებას, ესენია:

საპრეზენტაციო – ადამიანის ხმა, სახე, განი, ანუ ბუნების მიერ ბოძებული საშუალებები.

სარეპრეზენტაციო - ხელოვნური საშუალებები: წიგნები, სურათები, ფოტოსურათები, პლაკატები.

ტექნიკური - რადიო, ტელეგრაფი, ტელეფონი, ტელევიზორი და სხვა ელექტრონული საშუალებები.

მრავლად არსებულ საკომუნიკაციო თეორიებს შეისწავლის სპეციალური მეცნიერება - კომუნიკალოგია, ამასთან ისევე, როგორც ადამიანისა და საზოგადოების შესწავლასთან დაკავშირებულ მეცნიერებათა უმრავლესობას, კომუნიკალოგიასაც ბევრი პრობლემა აქვს:

ამოცანათა მკაფიო კლასიფიკაციის არარსებობა.

პოჩეპცოვს მოჰყავს 25 ავტორის 25 კომუნიკაციის მოდელი, ამასთან ზოგი მათგანი თავის ნაშრომებში არ ხმარობს სიტყვას “კომუნიკაცია”, თუმცა სწორედ მას შეისწავლის. (Почепцов, 2001).

ნებისმიერი თეორია რეალობას ხსნის და ამ გაგების შესაბამისად გვთავაზობს გარკვეულ მოვლენას და მოქმედებას.

ჩვენს პრობლემებს ჩვენ მეორე მიმართულების კომუნიკაციის თეორიის სიბრტყეში განვიხილავთ, სადაც შუქდება კომუნიკაციის, როგორც მრავალნაირი ნიშნების (სემეოტიკა - მეცნიერება ნიშნების შესახებ) შემცველი მოვლენა, ეგრეთ წოდებული ინტერპრეტაციული თეორია კრეიგის მიხედვით. (Крейг, 1999).

ი. პ. იაკოვლევი მოკლედ აჯამებს კომუნიკაციის ყოველნაირ კონცეფციებსა და თეორიებს და ამ ოთხი მიმართულების 10 ასპექტს გამოყოფს, ესენია: 1. კიბერნეტიკული მიდგომა - კომუნიკატორების, როგორც განსახილველი მოვლენების დამკვირვებელთა პოზიცია და თავად მოვლენები. 2. ინფორმაციული მიდგომა - კომუნიკაცია, როგორც ინფორმაციის (სიგნალების, შეტყობინებების) გადაცემისა და მიღების პროცესი. კომუნიკატორის ეფექტურობა დაკავშირებულია შეტყობინებათა უნარიან შერჩევასთან და კოდირებასთან და მიმღების - რეციპიენტის მიერ მათი აღქმის სიზუსტესთან - დაბრკოლებების მოშორება აქ მნიშვნელოვანია. 3. სელიოტიკური მიდგომა კომუნიკაციას ნიშნების (მნიშვნელობების, აზრების) შექმნის და გაცვლის პროცესად გადააქცევს.

თითოეული კომუნიკატორი ქმნის თავის მნიშვნელობებს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომუნიკატორის მნიშვნელობებისგან. თითოეული კომუნიკატორი აუდიტორიის თავისებურებების შესაბამისად აკოდირებს თავის შეტყობინებებს. 4. ს/კოგნიტიურ მიღგომაში აქცენტი შეტყობინებების გაგებაზე და აგრეთვე კომუნიკატორის განზრახვებსა და მიზნებზე კეთდება.

ჩვენი ინტერესების ჩარჩოების მიღმა ვტოვებთ კომუნიკაციას როგორც დისკურსს, - რომელიც განიხილავს საუბრების, საქმიანი მოლაპარაკებების, დრამატული თხრობის სხვადასხვაგვარ ფორმებს, სადაც კომუნიკაცია წესების ცოდნით და მათი შესრულების ხარისხით განისაზღვრება. ინტერპრეტაციული მიღგომა კომუნიკაციას აკავშირებს სუბიექტურ, პიროვნებისთვის ფასეულობის მქონე იმ მნიშვნელობებით ოპერირებასთან, რომლებიც თავად იქცევიან ენობრივ რეალობად.

რიგი კონცეფციების შუქზე იკვეთება კომუნიკაციური საქმიანობის, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსის ახალი სახეობა, მათი სხვადასხვაგვარი ცოდნა და შემოქმედებითი უნარები.

სოციალურ ურთიერთობათა სპეციალისტთან მიმართებაში მოცემულ კომპლექსს ასეთი სახე ექნება:

სხვადასხვა კონცეფციები წარმოაჩენს კომუნიკაციური საქმიანობის, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსის ახალ სახეობას, რომელიც სხვადასხვაგვარ ცოდნასა და შემოქმედებით უნარებს მოითხოვს.

რაც შეეხება მასობრივ კომუნიკაციას, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს რაში მდგომარეობს მისი განსხვავება კომუნიკაციისგან. ამიტომაც თავიდან მართებულია მისი განსაზღვრების მოცემა. ამრიგად, მასიური კომუნიკაცია სხვადასხვა ადგილას განლაგებული რიცხობრივად დიდი აუდიტორიისთვის ტექნიკური საშუალებების დახმარებით ინფორმაციის გადაცემის პროცესია.

ისტორიაში პირველი მასობრივი ინფორმაციის საშუალება ბეჭდვითი სიტყვა იყო. დროთა განმავლობაში მისი ამოცანები იცვლებოდა.

მასობრივი კომუნიკაციის ფილოსოფია თავის დროზე ინგლისელმა მოაზროვნემ თომას პობსმა დაახასიათა. შემეცნებას და აზროვნებას ის განიხილავს როგორც კომუნიკაციის პროცესს. თანამედროვე მკვლევარებიც მის მიერ განსაზღვრული გზით მიდიან, ცდილობენ რა გამონახონ სულიერის რეალიზაციის მატერიალური

ფორმები, ანუ ისეთი ობიექტები, რომლებიც იმავდროულად “ფიზიკურიც“ იქნება და აზროვნებითიც (აბსტრაქტული). (Годес, 1970). შემეცნების პროცესიდან მათი ამგვარი გამოყოფის შემთხვევაში ფილოსოფოსს, ლოგიკოსს, სოციოლოგს შეეძლო შეედარებინა, ეწარმოებინა ზუსტი, სისტემატურთან მიახლოებული ქმედებები, ამგვარი ობიექტები უკვე მართლა არსებობს. ეს არის ენობრივი და მეტყველებითი გამონათქვამები, მათი სხვადასხვა ელემენტები, რომელთაგან მთავარი სიტყვაა. სიტყვა დაწერილი და სიტყვა ზეპირი, მეტყველება ვერბალური (სიტყვიერი) და აუდიოვიზუალური (ეგრეთ წოდებული ეკრანული კომუნიკაცია), სადაც წარმოთქმული სიტყვა არასიტყვიერ, ანუ ვიდეოსახის, ვიზუალურ კომუნიკაციას უერთდება.

პობსი ამ ობიექტებს “ჭდებს“ უწოდებს. სწორედ მან განჭვრიტა მასობრივი კომუნიკაციების მერმინდელი თეორიები:

“დიდი ჭკუის მქონე ადამიანსაც კი თავისი მეხსიერების გასამტკიცებლად და ამის წყალობით ცოდნაში წარმატებების მისაღწევად მთელი თავისი დრო აზროვნებისა და შესაბამისი ჭდების გამოგონებისთვის რომ მიეძღვნა, თავად მას ეს გულმოდგინება აშკარად მცირე სარგებლობას მოუტანდა, სხვებს კი - საერთოდ არანაირს. თუ მის მიერ თავისი აზროვნების გასავითარებლად გამოგონილი ეს ჭდები სხვებს ვერ გადაეცემა, მაშინ მთელი მისი ცოდნა მასთან ერთად გაქრება.“ (Годес, 1970, ст. 32).

პობსისთვის მთავარი აზრი აქ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ადამიანის მიერ ახალი ცოდნის გამოგონება და ამ ახალი ცოდნის სხვა ადამიანებისთვის გადაცემა, უკვე ის ცოდნაა, რომელიც ხელს უწყობს განვითარებას “ადამიანთა მთელი მოდგმის სასიკეთოდ და გადასარჩენად“. ამრიგად, პობსმა ფილოსოფიაში “ნიშნის“ ცნება შემოიტანა. ჭდისგან განსხვავებით, ნიშანი ინფორმაციას მარტო ინდივიდუმისთვის კი არ ხდის სასარგებლოს, არამედ საზოგადოებისთვისაც.

ჩვენ შემთხვევით როდი მივმართეთ დახურული ცოდნის ისტორიას, რადგან ჩვენ საინფორმაციო-კომპიუტერული რეკოლუციის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც კომუნიკაციის არსი, რაობა, თითქოს კაცობრიობის შემეცნების მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ “ეს არსი ან კომუნიკატორების მიერ დრმად არის ჩამალული, ან კომუნიკაციის არსებითი ძალები იცვლება მისი წმინდა უტილიტარული ფუნქციებით, რომლებიც კომუნიკაციების წმინდა პრაგმატული

შინაარსიდან ან რამე “ახალზე” ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს.“ (Березин, 2003, ст. 7).

დღეისათვის ცნობილია ცნება “კომუნიკაციის” უამრავი განსაზღვრება. ეს ფენომენი მოქცეულია როგორც ფუნდამენტურ, ისე სოციალურ მეცნიერებაში მიმდინარე პროცესების ფოკუსში. როგორც ცნობილია, ყოფიერების ამ სფეროებს შორის ინტეგრაციის ნებისმიერი პროცესი შეტყობინებების გავლით მიმდინარეობს. ამრიგად, ძნელი სავარაუდო არ არის, რომ თანამედროვე კომუნიკაციური რევოლუციის რიგი ძირითადი პრობლემების ფესვები საუკუნეთა სიღრმეში მიდის.

ამრიგად, სუბიექტური “სასრული“ შემცნება მას ინდივიდუალური გამოცდილების ვიწრო წრიდან ზოგადსაკაცობრიო კომუნიკაციის ფართო სივრცეში გადააქვს.

ჩვენ ვიცით მხატვრული კომუნიკაციის - ხელოვნების საფუძვლის არსებობის შესახებ, სადაც ჩადებულია დვორული საწყისი, სადაც ხდება ადამიანის ამაღლება, ამჟამად კი ხელოვნებამ შეიძინა ინდუსტრიულ-მილიტარული ხასიათი, რომელიც კარგავს თავის დვორულ ავსებულობას. ჩვენს XXI საუკუნეში კულტურისა და ხელოვნების ინდუსტრია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები აქტიურად ზემოქმედებს ადამიანზე და ცდილობს კი არ გაანათლოს, არამედ აცდუნოს, კი არ დაამშვიდოს, არამედ დააშინოს, კი არ გააერთიანოს, არამედ აღმქმელ “ელიტად“ და “ბრძოდ“ დაანაწევროს. ამრიგად უმძლავრესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მასობრივი კომუნიკაცია სრულიად ახალ სოციუმს აყალიბებს.

მაგრამ ახლა გთავაზობთ გამოკვლევას არა პლანეტარულ ცივილიზაციაზე, რომელიც უმაგალითო ტექნოლოგიურ პოტენციალს დაუუფლა და ბუნებას “საკუთარი თავის ნიშნად“ გადააქცევს, სადაც გარემო ხელოვნური ხდება. ჩვენს ბინებშიც კი ცოცხალი ოთახის ყვავილების: პალმის, ბეგონიის, კაქტუსის ნაცვლად მათი ხელოვნური ორგულები დამკვიდრდნენ. ჩვენ შევეხებით იმას, რასაც “ძველების მეცნიერებას“ უწოდებენ და შეძლებისდაგვარად გავავლებთ პარალელებს, რათა ყოფიერების ეკოლოგიისკენ კონსერვატიული შემობრუნების დასახვა ვცადოთ.

ბუნებრივია, ი.კ. მელვილის “ბურჯუაზიული ფილოსოფიის გზები“, წიგნი, რომელიც ქვეით საუბრობს დასავლური ფილოსოფიური აზრის შინაარსზე, ტენდენციებსა და ნოვაციებზე, სსრკ-ში იმ წლებში თითქმის შეუმჩნეველი დარჩა.

მაინც რაზე იყო საუბარი წიგნში, დღეს ასე ცნობილი რომაა, რით არის გამოწვეული ჩვენი მეცნიერული ინტერესი? ცნობილია ფაქტი, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ XX საუკუნის ფილოსოფია გამოიხატებოდა მთელი რიგი ცალკეული მიმდინარეობების მიერ, რომელთაც განსხვავებული იდეები, მიდგომები, თვალსაზრისები ჰქონდათ და განსხვავებული სკოლების, მიმდინარეობების, მოძღვრებების მიმდევრები იყვნენ, ისინი ყველანი ხან გნოსეოლოგიურ, ხან სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ლოგიკურ-ონთოლოგიურ ან მეტაფიზიკურ საფუძვლებს ეყრდნობოდნენ. მეცნიერული ზეგავლენის სფეროებისთვის ბრძოლას მკვლევარები ხშირად აშკარა მტრობამდე ან ერთმანეთისგან ცალკეული იდეების ნაწილობრივ გადმოღებამდე მიჰყავდა. თუმცა იდეოლოგიური თვალსაზრისით ერთიანი და “პლურალისტური” იყო, ეს ფილოსოფია ყოველთვის როდი ახერხებდა საერთო მნიშვნელამდე, გამაერთიანებელ საწყისამდე მისულიყო თავის კონცეფციებში. სხვადასხვა მიმართულებებში უხვად იყო ფილოსოფიური ინგარიანტები. უკვე თავად დროც კარნახობდა კომუნიკაციის (ურთიერთობის), როგორც ფილოსოფიური დიალოგის შიგნით პრიმატის აუცილებლობას.

ღრმად გაერკვა რა დასავლეთის ფილოსოფიური პრობლემების სპეციფიკაში, მელგილმა აღმოაჩინა ახალი დადებითი ტენდენციები, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა პერიოდებისგან. მათი არსი მრავალი ფილოსოფიური მოძღვრებისთვის საერთო ახალ მდგრად მომენტებში მდგომარეობდა. განიხილა რა ფილოსოფიის მეთოდები, თავად მოძღვრებების ანალიზისას წიგნის ავტორმა გამოთქვა საბჭოთა მეცნიერებისთვის “კრამოლური” აზრი იმის შესახებ, რომ დასავლეთის ფილოსოფიამ თავისი კულტურული ფუნქციის შესრულება დაიწყო, ვინაიდან საკუთარ თავს მეცნიერულად აზროვნებაზე უარის თქმის უფლება მისცა. ეს იყო მკაფიო, გაბედული და დროული სწრაფვა ფილოსოფიის ანტროპოლოგიზაციისკენ, თავის ტენდენციებში პირველ ადგილზე ადამიანის პრობლემების წამოწევისკენ. XX საუკუნის პირველი ნახევრის ეპროპული ფილოსოფიის ესოდენ გაბედული შემობრუნება მას ანთროპოლოგიურ, კულტურულ, ბიოლოგიურ ან რელიგიურ ჩარჩოებში ვეღარ დააკავებდა. თავის ეპოლუციაში ის (ფილოსოფია) უფრო შორს წავიდა და გამოავლინა ტენდენცია, რომელსაც პირობითად პირველად ეწოდა “კომუნოლოგიური”. ეს ფაქტი

ადასტურებდა იმის მკაფიო აღიარებას, რომ სოციუმი, ანუ ადამიანური ურთიერთობის სფერო უტყუარ რეალობად იქცა.

სწორედ ადამიანმა - ფასეულობისა და ჭეშმარიტების ერთადერთმა კრიტერიუმმა, შეძლო ფილოსოფიის ინტერესები “სამყაროდან სოციუმზე”, “გნოსეოლოგიური სუბიექტიდან კოლექტიურ სუბიექტზე” გადაეტანა და ამაში გამოიხატა სიღრმისეული ცვლილებები როგორც სოციალურ, იდეოლოგიურ, ისე კულტურულ სფეროშიც.

კომუნიკაციის (ურთიერთობის), როგორც ფილოსოფიური დიალოგის შიგნით პრიმატის ტენდენცია აანამედროვე ფილოსოფიის (და არა მარტო დასავლურის) მართლაც უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს.

ჩეიქრსი ფილოსოფიური დიალოგის წარმოებისკენ მოგვიწოდებს, ლოტმანი და ლიხაჩოვი ავითარებენ ფილოსოფიასა და ენათმეცნიერებაში “კულტურათა” დიალოგის იდეას, რომელიც დღეს კულტურის ფილოსოფიის მეთოდურ პრინციპად იქცა.

“თანამედროვე წარმოდგენა მეცნიერებაზე თანამედროვე ცივილიზაციაში მისი, როგორც ლიდერის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ეს კი მის მიმდევრებში თავისებურ მეცნიერულ-თეორიულ ფანატიზმს შობს“, - აცხადებს ფილოსოფოსი ვ. მირონოვი, ამგვარი ფანატიზმი, - აღნიშნავს შემდგომ ავტორი - ყოფიერების წვდომის სხვა ფორმების უარყოფაზეა დაფუძნებული“ (Миронов, 2001, ст. 121).

ამჟამად მეცნიერებას, რომელიც უკელა ჩამოთვლილ კომპონენტს იკვლევს, ერთ შემთხვევაში კომუნილოგიას უწოდებენ, მეორე შემთხვევაში კი - კომუნიკატივისტიკას.

ჩვენ ფილოსოფიისთვის სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ “მან აღიარა, რომ “სოციუმი“ ანუ ადამიანური ურთიერთობის სფერო წარმოადგენს მოთხოვნილებას, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის და რომელიც არა მარტო განსაზღვრავს მის პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ რწმენას და მეცნიერულ თეორიებსაც კი, არამედ მათი ფასეულობისა და ჭეშმარიტობის ერთადერთი კრიტერიუმიცაა“ (Миронов, 2001).

პირველად კომუნოლოგიურ ტენდენციებზე დასავლური ფილოსოფია მაშინ აღაპარაკდა, როდესაც იმის აღიარებამდე მივიდა, რომ “სოციუმი, ანუ ადამიანურ ურთიერთობათა სფერო წარმოადგენს იმ რეალობას, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, რომელიც არა მარტო განსაზღვრავს მის პოლიტიკურ შეხედულებებს, ფილოსოფიურ კონცეფციებს, რელიგიურ მრწამსს და მეცნიერულ თეორიებსაც კი, არამედ მათი ფასეულობისა და ჭეშმარიტობის ერთადერთ კრიტერიუმსაც წარმოადგენს“. (Мельвиль, 1983, ст. 187).

წიგნში “XX საუკუნის ბურუუაზიული ფილოსოფიის გზები“ (Мельвиль, 1983) განხილული კომუნოლოგიური ტენდენციები გადმოსცემენ იმ მოძრაობის შეფასებას, რომელიც დასავლურმა ფილოსოფიამ განახორციელა “სამყაროდან სოციუმისკენ“. ეს ტენდენცია სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლებში ერთობ არაიდენტურად გამოიხატებოდა. ა. ბერგსონის ინტუიტივიზმი მეცნიერებასთან განხეთქილებასა და ბუნებრივი პროცესების ანგროპომორფული განმარტებისკენ მიდრეკილებაში გამოიხატებოდა. ხოლო ადამიანის ფსიქიკური ცხოვრება ადამიანისზედა კოსმიურ მოვლენად იყო აღიარებული.

მელინის რწმენით, განსახილველ ტენდენციებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პრაგმატულმა მიმდინარეობამ, რომელმაც პრაქტიკულ ადამიანურ ინტერესში ფილოსოფიის საიდუმლოების, ყოფიერების და შეცნობის ყველა გამოცანის გასაღები დაინახა. მისი წარმომადგენლები ჭეშმარიტების ძიებას ზედმეტად მიიჩნევდნენ, ვინაიდან მათი აზრით, “ჭეშმარიტება უბრალოდ ის არის, რისიც, ყველაფერს ჯობია, რომ გვჯეროდეს. არ არსებობს არანაირი აბსტრაქტული ფილოსოფიური საკითხები, არსებობს მხოლოდ ცხოვრებაში სხვადასხვა სიტუაციებით შობილი ადამიანური პრობლემები.“ (Мельвиль, 1983, ст. 203).

ანალიტიკურმა ფილოსოფიამ გაიარა თავისი გზა “სოციუმამდე“. ამასთან ის აღიარებდა კონვენციალიზმის ანუ შეცნობისთვის ფუძემდებლური თეზისების მიღებაში მკვლევართა ნებისმიერი შეთანხმების პრინციპს. საბოლოო ჯამში შემეცნების, ენის, კულტურისა და ადამიანის ცხოვრების მკვლევართა დასი მივიდა რადაც ახალი ენის შექმნამდე, რომელიც მოვლენების უფრო წარმატებულად ახსნისა და წინასწარ განჭვრების საშუალებას იძლევა. XX საუკუნის ისეთ

ყველაზე გამოკვეთილ ფილოსოფიურ მიმდინარეობაში, როგორიც ეგზისტენციალიზმია, სადაც გაადამიანურების ტენდენცია ერთ-ერთ შესაძლებელ უკიდურესობამდე - ანთროპოცენტრიზმამდე იქნა დაყვანილი, მოიძებნა გასასვლელები უფრო ფართო სოციალურ პრობლემატიკაზე. ეს და მელვილის მიერ განხილული სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობები სულ სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ იმის აღიარებამდე, რომ სოციალური სამყარო, ადამიანურ ურთიერთობათა სამყარო, ანუ სოციუმი, რომლიდანაც როგორც ანაქსიმანდრეს უსასრულო ალეირონა, ყველაფერი წარმოიშობა და ყველაფერი წყდება.

ფილოსოფიამ გადალახა გათიშულობა, სადაც განცალკევებამ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის განცალკევებამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მკვეთრი ხასიათი მიიღო, რაც “ორი კულტურის“ არსებობაზე ლაპარაკის საბაბსაც კი იძლეოდა, და მოუწოდა დიალოგისკენ, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთობისკენ, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული საქმის ასეთ ვითარებაში მოახლოებული ის ზღვარი, რომლის იქითაც ადამიანური კატასტროფა იწყება.

როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო ის რეალური პრობლემა, რომელიც საფუძვლად დაედო კომუნოლოგიურ ტენდენციას, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

იდეალისტური ფილოსოფიის ამ მეტამორფოზის გნოსეოლოგიური ფესვების დანახვა შეიძლება მეცნიერული ცოდნის ფორმირებისთვის მისი შემოწმების და დასაბუთებისათვის სოციალური ფაქტორის, სოციალური პირობების აბსოლუტიზაციაში, მეორეც რეალური საზოგადოებრივი მოთხოვნილების ტენდენციურ ინტერეტაციაში, საზოგადოებრივი მეცნიერებებისგან მათი მოწყვეტილობის დაძლევაში და საზოგადოების პოზიტიური მიზნების რეალიზაციისკენ, საბოლოო ჯამში - მათ ხალხის სასიკეთოდ მიმართვაში; მესამეც, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის როლი, რომელიც მიკუთვნებული პქონდა ენას, როგორც “ადამიანის თვით სოციალური არსის გამომხატველ“ მოვლენას. მთელი ცოდნის სოციალურმა ბუნებამ გადასძლია საკმაოდ ხანგრძლივ ცდომილებას, ყალბ შეხედულებებს და ცრუ ავტორიტეტებს.

საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის შეცვლის საერთო ტენდენცია გამოიხატებოდა ერთიანი მსოფლმხედველობის მოთხოვნილებაში, რომელიც კაცობრიობის ფასეულობათა ერთიან სისტემაში სულიერ გაერთიანებას შეძლებდა,

სისტემაში, სადაც გლობალური პრობლემების გადაწყვეტა გულისხმობდა ომების, ეკოლოგიური კრიზისების თავიდან აცილებას, ენერგიის წყაროების, შიმშილის, კოსმოსის ათვისების პრობლემების და ურთიერთობის უვალა სხვა პრობლემის გადაწყვეტას, რომებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცივილიზაციის გაგრძელებისა და განვითარებისთვის, კაცობრიობა უნდა გამოდიოდეს როგორც ერთი მთლიანი, როგორც “გასაზოგადოებული კაცობრიობა”, ასეთი პერსპექტივის რეალიზება შეეძლო XX საუკუნის დასავლურ ფილოსოფიაში გაჩენილ კომუნოლოგიურ ტენდენციებს“.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ხაზი გაესვას დოქტორ მელვილის მეცნიერულ პატიოსნებასა და პრინციპულობას, რომელმაც გულწრფელად აღიარა დასავლური ფილოსოფიის უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე, სადაც აღნიშნული იყო ამ ფილოსოფიის აშკარა უპირატესობა და პროფესიონალიზმი XX საუკუნის ინტელექტუალური ფონდის ისეთი ფიგურების სახით, როგორებიც არიან გადამერი, ფუკო, კუნი, ლაკატოსი, პოპერი, ჯეიმსი, მ. ჰაიდეგერი, ჰუსელი, მ. პირსი, ა. ბერგსონი.

რუსეთში გამოცემულ ფილოსოფიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში დასავლური ფილოსოფიის დიდი მკვლევარის მისამართით აბსოლუტურად იდენტური სტრიქონები გვხვდება. ეს ჯერ კიდევ 1983 წელს დაიწერა, მაგრამ მიუხედავად საკითხის ასე დაყენების აშკარა ეფექტურობისა, შემოთავაზებული მიდგომა, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, თანამედროვე ფილოსოფიის მკვლევარების ყურადღების მიღმა დარჩა. როგორც ჩანს, ეს იმიტომ მოხდა, რომ მისგან გამომდინარე დასკვნები თანამედროვე ფილოსოფიის განვითარების ტენდენციების გადმოცემის პარადიგმაში არ ეწერებოდა და დასავლელი კოლეგების მიმართ მეტისმეტად “საქებარი” იყო (Миронов, 2001, ст. 121).

კაცობრიობის არსებობის ისტორიაში კომუნიკაცია ერთ-ერთი უვალაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. თუმცა მეცნიერული ინტერესის ობიექტი ის მხოლოდ მე-20 საუკუნეში გახდა.

როგორც უკვე ითქვა, ცნებას “კომუნიკაცია” განსაზღვრებათა ფართო სპექტრი გააჩნია. ეს ერთი ადამიანისგან მეორესთვის, ან ერთი ჯგუფისგან მეორესთვის ინფორმაციის, შეფასებების, იდეების, ემოციების გადაცემაა. მთავარ მომენტს ჩვენს განხილვაში წარმოადგენს სიმბოლო, რომლის საშუალებითაც ხორციელდება

კომუნიკაციის აქტი. ისევე, როგორც ნებისმიერ აპრობირებულ თეორიაში, აქაც თავად ცნებისადმი არაერთმნიშვნელოვან მიღებას ვხედავთ: ის მისი გაგების ფართო არსები მდგომარეობს. ამას მიაკუთვნებენ სისტემასაც, რომელშიც ხორციელდება ურთიერთქმედება, თავად ურთიერთქმედების პროცესი და ურთიერთობის ხერხები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ინფორმაციის შექმნის, გადაცემისა და მიღების საშუალებას იძლევა.

კომუნიკაცია პიროვნებათაშორისო და მასობრივი ურთიერთობის პირობებში ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის სოციალურად განპირობებული პროცესია, რომელიც სხვადასხვა არხებით, ვერბალური და არავერბალური საშუალებების მეშვეობით ხორციელდება.

კომუნიკაციაში ნაუმენკო ვერბალური სფეროს არავერბალურში და პირუკუ-არავერბალური სფეროს ვერბალურში გადაკოდირებასაც გულისხმობს.

როდესაც ლაპარაკია ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად სხვის აუცილებელ იძულებაზე, ცხადია, რომ კომუნიკაციის პარალინგვისტურ დონეს (მიმიკა, უქსეტები), რომელიც სუბიექტს გაჯერებულ ინფორმაციას გადასცემს, შეუძლია ამასთან საერთოდ გამორიცხოს მოქმედების იძულება. ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს თავად ტერმინის პოლისემიურობა თუნდაც მისი ყოფით და მეცნიერულ დონეზე აღქმის ფარგლებში. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია მის ნებისმიერი კონტაქტების დამყარების უნარზე. მეორეში გაგების ჩვეულებრივ დონეზე დაფუძნებული ზოგი მეცნიერული განსაზღვრება კომუნიკაციას ურთიერთობისგან არ განასხვავებს.

ნაუმენკო ცნებების: “კომუნიკაცია”, “ურთიერთობა” აღრევაზე მიუთითებს, რამეთუ “დიალოგი” ურთიერთობის, ხოლო მართვა კომუნიკაციის მახასიათებელია ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. მახასიათებელი შეიცავს საქმიანობის ფაქტებს.

დიალოგი რომელი აზრების მატარებელია? როგორია ამ განსაზღვრების კონცეპტი ურთიერთობის დახასიათებისას? როგორია მისი თავისებურება, თვისება? ცნობილია, რომ თვისების კატეგორია აფიქსირებს ცოდნას ურთიერთობათა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტიპის შესახებ. მისი გაშიფრის არეულ-დარეულ სისტემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი აზრით, კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, საკმაოდ რთული ფენომენის შესწავლაში მეტ-ნაკლებად სერიოზულად წინ წაწევა ჩვენ მიერ დასახული მიმართულებით, გაგების საკითხების გვერდის ავლით შეუძლებელია. განსაკუთრებით აქტუალურია ის დღეს,

როდესაც სხვადასხვა მასშტაბის კონფლიქტების საფუძველში ცხადად ჩანს სწორედ გაგების უქონლობა, გარდა ამისა, თავად სიმბოლო არის გამტარი - მედიუმი არცოდნიდან ცოდნისკენ, შემდეგ კი - დაფარულის გაგებისკენ.

გაგება ხშირად ინდივიდუალური შემეცნების ფსიქოლოგიამდე დაჰყავთ. მაგრამ თუ გაგების, როგორც უნივერსალური პროცესის, ზოგად თეორიულ-შემეცნებით სტატუსს გამოვავლენთ, შეიძლება მისი ობიექტური, არაპიროვნული მეცნიერული ახსნის არსებობაში მაინც დავრწმუნდეთ.

პუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში განმარტების ხელოვნებას სხვადასხვა პროცედურებს უთმობენ. პირველ შემთხვევაში საქმე თეოლოგიურ (მიზნობრივ) ახსნასთან გვაქვს, მეორეში - კაზუალურთან ანუ მიზეზობრივთან.

აღნიშნული პრობლემების სპეციალისტი, ბელგიელი მეცნიერი გ. პარე თვლის, რომ შეიძლება გაგების თეორია ორიენტირებული იყოს, ჯერ ერთი ევრისტიკულად, ანუ ახალი ცოდნის მიღების პროცედურებზე და “დაფარული აზრების” გამოვლენაზე. მეორე ორიენტაცია, პარეს მიხედვით, პრაგმატულ სიბრტყეში ძევს ანუ იგი უფრო ხშირად პრაქტიკულ შემეცნებაში, კომუნიკაციაში, თარგმანში გამოიყენება. და ბოლოს, მესამე, ორიენტაცია მიმდინარეობს ეპისტემოლოგიურ დონეზე, ცოდნის თეორიის აგებაზე.

ვიდრე გაგების არსს გამოვავლენდეთ, ცოდნის პრობლემაზე უნდა შევჩერდეთ. თურმე ადამიანს არ ძალუბს გაიგოს ის, რაზეც არანაირი წარმოდგენა არა აქვს. აზრის ამ კვანძის გახსნისას, ფსიქოლოგები მიმართავენ ცნობილ ბულგარულ ანგადოტს იუმორისტების ცნობილი ქალაქის, გაბროვოს მაცხოვრებლის შესახებ, რომელმაც ინდოელი ქალღმერთის, ჩანდრას დანახვაზე შესძახა: “აი როგორი მუშა მჭირდება!” ბუნებრივია, ანგადოტი იმ ადამიანის სიცილს გამოიწვევს, რომელმაც იცის, რომ ქალღმერთ ჩანდრას ექვსხელიანს გამოსახავენ, ხოლო გაბროველები თავიანთი გადამეტებული ხელმომჭირნეობითა და ფხიანობით გამოირჩევიან. მაშასადამე, ანგადოტის შინაარსის ამხსნელი ზოგიერთი ვითარების წინასწარი ცოდნის გარეშე მისი გაგება შეუძლებელია.

ცოდნა და გაგება იგივური ცნებები არ არის, თუმცა კი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული. ნათელი ხდება, რომ ცოდნა ერთგვარ გაგებას გულისხმობს, ისევე როგორც გაგება მხოლოდ გარკვეული ცოდნის კონტექსტშია შესაძლებელი. თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისას

რწმუნდები, რაოდენ მართალი არიან მკვლევარები, რომლებსაც “გაგების გაგებათა“ ასეთი მრავალგვარობა აკვირვებს.

მაგალითად, ცნობილია გაგების, როგორც შესაბამისი გრძნობითი სახის წარმოქმნის, როგორც ახალ იდეასთან შეგუების, როგორც პარადოქსის აღმოჩენისა და დაძლევის, როგორც კითხვაზე პასუხის, როგორც ცოდნის დაუფლების ხარისხის განმარტება, რომელიც შემოქმედებითად მუშაობის საშუალებას იძლევა.

მ.ა. როზოვი წიგნში “მეცნიერული ცოდნის სტრუქტურა და განვითარება. სისტემური მიღგომა მეცნიერების მეთოდოლოგიისადმი“ (Розов, 1985) აღნიშნავს: “ცოდნა ტალღას ჰგავს, რომელიც გარკვეულ გარემოში რომ ვრცელდება, სულ ახალ-ახალ მასალას იმატებს, თუმცა ამასთან იმავე ტალღად რჩება. ამ თვალსაზრისით, ხელნაწერის ტირაჟირებისას ჩვენ ვზრდით იმ “აუზის“ ფართობს, რომლის ზედაპირზეც შეუძლია ჩვენს ტალღას ცხოვრება“. (Розов, 1985, ст. 24). როზოვისეული განმარტება ისევ და ისევ იმ ანექდოტით აიხსნება კარგად, სადაც იმაზეა ლაპარაკი, რომ თუ მე და შენ თითო ვაშლი გვაქვს და მე შენ ჩემსას მოგცემ, შენ ორი ვაშლი გაქნება, მე კი არცერთი, მაგრამ თუ თითოეული ჩვენგანი მეორეს თავ-თავის იდეას გაუზიარებს, მაშინ თითოეული ჩვენგანი ერთის არსებობის პირობებში ერთბაშად ორი იდეის მფლობელი გახდება.

ცოდნა შესწავლის სპეციფიკური საგანია. სად არის კონკრეტული ცოდნა? ყველგან - სტამბის საღებავის ლაქებშიც, ბგერით რხევებშიც და ქიმიურ რეაქციებშიც, ისევე როგორც კომუნიკაციურ სივრცეში და მარათონელი მორბენლის უკანასკნელ შეძახილშიც - “ჩვენ გავიმარჯვეთ“ და ბიბლიისეულ “პირველად იყო სიტყვაშიც“.

ყოველი მეცნიერება, ისევე როგორც მეტ-ნაკლებად სპეციალური ცოდნის ნებისმიერი განვითარებული სისტემა, განსაკუთრებულ ენაზე გადმოიცემა. ეს ენა შეიძლება ნაკლებად განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი ენისგან, ყოფიერებაში რომ გამოიყენება და ყოველდღიურ პრაქტიკულად აუცილებელ ინფორმაციას რომ შეიცავს. ხოლო ფორმალური ნიშნური სისტემის ცნებათა ენად გადაქცევისთვის აუცილებელია ინტერპრეტაციის მიმატება, ჩვენს შემთხვევაში ვაპირებთ ეს სიმბოლოს მეშვეობით მოვახდინოთ, რომელიც აზრისა და მნიშვნელობის გარკვევაში დაგვეხმარება. მაგრამ იმის მისაღებად, რასაც ვეძებთ,

აუცილებლად უნდა გაკეთდეს ის, რასაც მეცნიერებაში კუმულატიურობა ეწოდება, რომელიც ზოგჯერ გულისხმობს ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის უნარს მთლიანად ან ნაწილობრივ, ოღონდ ცვლილებების გარეშე ჩართოს თავის შემადგენლობაში სხვა მეცნიერული დისციპლინების შინაარსი ისე, რომ ერთგვარად მხარი აუაროს შესასწავლი მასალისადმი დიფერენცირებული მიღების წესებს, ვინაიდან კომუნიკაციური სივრცის საკითხი მეტად მრავალმნიშვნელოვანია და აქ ხშირად აქვს ხოლმე ადგილი სიტუაციებს, როდესაც სიტყვას “კომუნიკაცია” სხვადასხვაგვარი, თუმც კი რაღაც თვალსაზრისით დაახლოებული და მონათესავე მნიშვნელობაც კი აქვს. რიგი კონცეფციების, სახელდობრ კიბერნეტიკული, ინფორმაციული, კოგნიტიური, ინტერპრეტაციული კონცეფციების შუქზე იკვეთება კომუნიკატური საქმიანობის ახალი სახე, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსი, რომელიც სხვადასხვაგვარ ცოდნასა და შემოქმედებით უნარებს შობს.

### §3 შემთხვევა და აზროვნება პომუნიპაციაში

შესაძლო ასპექტების შემდგომი ანალიზისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცნებას “ცოდნა”, მის ფორმებსა და კავშირებს. მეცნიერებისთვის ცნობილია ცოდნის მრავალგვარი ფორმები, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფს მოაქვს ინფორმაციები, ანუ ცოდნა მოვლენების, საგნებისა და თვისებების შესახებ, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე “რა უნდა ვიცოდეთ?”, მეორე ჯგუფი ეს არის ცოდნა მოქმედების, შექმნის ხერხებზე, ის პასუხობს კითხვაზე “როგორ უნდა ვიცოდეთ?”. აქ კიდევ ერთი რამ უნდა დავაზუსტოთ - რაღაცის ცოდნა ჯერ არ გვაძლევს იმის ცოდნის გარანტიას, თუ როგორ მოქმედებს ეს რაღაც. მაგალითად, ძველ ეგვიპტელებს შეეძლოთ საკმაოდ ზუსტად ეწინასწარმეტყველათ მზის დაბნელება, მაგრამ მათ ამ მოვლენის არსი არ იცოდნენ.

კომუნიკაციაში სიმბოლოს შესახებ შემდგომი მსჯელობისთვის ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავაფიქსიროთ, რომ ყოველ მიღებულ ცოდნაში შედის არა მხოლოდ ცხადი ელემენტები, არამედ დაფარულიც, რომლებიც ხშირად პირველი წარმოდგენისას საერთოდ არ ჩნდება. ისევე, როგორც ყოველი ხალხი თავისი

კულტურისა და ცხოვრების მდინარებაში, ცნებებში, მიზნებსა და საქმეებში, არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ უნიკალურიცაა და ხედავს სამყაროს თავისეულ სურათს, რომელიც მის სულში ძევს.

ცოდნისა და გაგების საკითხები ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების მომენტთან არის დაკავშირებული. ცოდნის დაგროვება და მისი გააზრება სამყაროს და მასში მოქმედების საშუალებების გაღრმავებულ გაგებას ემსახურება. “აზრის“, “ავტორიტეტის“, “ტრადიციის“, “პერმენევტიული წრის“ გაგება-განმარტება-გარკვევა. ანტიკურ მითოლოგიაში დმერთი ჰერმესი არა მარტო მჭევრმეტყველებას, მაგიას, ელჩებსა და ქადაგებს, არამედ დმერთთა მაცნეებსაც მფარველობდა, რომლებსაც ადამიანებისთვის მათი გზავნილები მიჰქონდათ. ის მათ განმარტავდა, რათა გზავნილები მოკვდავთათვის მისაწვდომი, გასაგები ყოფილიყო. ჰერმესის სახელი ეწოდა მეცნიერებას - პერმენევტიკა, - და ის განმარტების ხელოვნებას ნიშნავს.

შემდგომში ჩვენ არ შევეხებით გაგების ფილოსოფიურ პრობლემებს, თუმც აღვნიშნავთ მის ეფექტურობას სოციალურ კომუნიკაციაში. ფსიქოლოგები არ სწყალობენ ტერმინს “გაგება“ და მას “მიღებას“ ამჯობინებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია გაგების დიალოგური ხასიათი, მისი ეფექტურობის ანალიზისას შეიმჩნევა არა თანხმობა, არამედ ინტერესთა შეჯახება, რაც ანალიზის წანამდგვარს წარმოადგენს. “ჭკვიანისთვის ნართაულიც საკმარისიაო,“ - ამბობს ხალხური სიბრძნე. მაგრამ ნართაული იმ ადამიანისთვის არის საკმარისი, რომელიც უკვე ფლობს აზრობრივი მთლიანის ცოდნას და ამიტომაც უადვილდება მიღებული შეტყობინების კონსტრუირება.

კომუნიკაციისა და მისი სივრცის საკითხი ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების თანაფარდობის პრობლემებს აწყდება. მას არა მხოლოდ კომუნიკაციისა და სივრცის შესახებ წარმოდგენების ანალიზისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, არამედ ადამიანთა პრაქტიკის სხვა პრობლემების გადაწყვეტისთვისაც.

“უნივერსალური ცოდნა სამყაროს შესახებ, როგორც წესი, ჰიპოთეზურია, თავის ფესვებს ის არა მხოლოდ ობიექტურ სამყაროში, არამედ ადამიანთა ინდივიდუალურ პრაქტიკაშიც იღებს. ადამიანური შემცნების ისტორიაში კი მრავალჯერ დადასტურდა ის ჭეშმარიტება, რომ მოცემული ეპოქის სამყაროს

ონთოლოგიური სურათის აბსოლუტიზირება არ შეიძლება“ (Мостепаненко, 1974, ст.5). რა კავშირი აქვს ცნობილი ფილოსოფოსის მ. მოსტეპანენკოს მოსაზრებებს ჩვენს თემასთან? შესაძლოა ეს კავშირი იმ სინამდვილის მრავალრიცხოვან პარადოქსულ თავისებურებებშია, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დროისა და სივრცის თვისებაში, რომლებიც არც ერთხელ და სამუდამოდ არის მოცემული და არც უცვლელია. ჩვენ კი სივრცობრივ-დროითი მრავალფეროვნება გვაინტერესებს როგორც მსოფლიოს მოვლენათა (წარსულის, ახლანდელის და მომავალის) მრავალფეროვნება. თუ სივრცე წერტილებისგან შედგება, ხოლო დრო მომენტებისგან, მაშინ ერთიანი სივრცე - დროის “სამშენებლო მასალას“ მოვლენები წარმოადგენს. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენებ ისინი: შესაძლონი არიან თუ “ნამდვილები”, “კარგები” თუ “ცუდები“. ფილოსოფიისთვის მათი თვისობრივი თავისებურებები კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ სივრცისა და დროის მახასიათებლები. ნებისმიერი მოვლენა ოთხი რიცხვით განისაზღვრება: მოვლენის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სამი სივრცის კორდინატით და დროის პარამეტრით. მრავალი უპიროვნო მოვლენის შიგნით არსებობს მნიშვნელოვანი პარადოქსი, რომელსაც საფუძვლად წარსულად, აწყოდ და მომავლად დაყოფა უდევს.

ვინაიდან სამყაროს შეცნობადობის პრინციპი საკმაოდ ფართო გაგებით იხმარება, ჩვენ უფლებას მივცემთ საკუთარ თავს მთელი მატერიისთვის ერთიანი უნივერსალური სივრცობრივი ფორმის არსებობის მოხმობით პოზიციების სიმრავლე ყოველდღიური საღი აზრის პოზიციებიდან განვიხილოთ, მას კი “არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე განსხვავება საკუთარი თავისგან თავად არსებობის პირობების მხრივ. უფრო მეტიც, დასკვნა სამყაროში სივრცისა და დროის ფარდობათა მრავალფეროვნების შესახებ მატერიისა და ადამიანის ამოუწურავობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რამეთუ ნადირობის და ნებისმიერი სხვა საქმიანობის ორგანიზება ადამიანებს შორის გაღრმავებული ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. “ჯერ კიდევ კაცობრიობის განთიადისას წარმოშობილი კომუნიკაცია, როგორც გააზრებული შეტყობინებების ნიშნური ფორმით გაცვლის პროცესი, ადამიანის სოციალური ყოფილების აუცილებელ ელემენტად იქცა“ (Шерковин, 1973, ст. 3). საზოგადოება ვითარდებოდა, დაწყებული სულ პირველი

სტადიებიდან და ამ განვითარებას თან ახლდა ურთიერთობის საშუალებათა სრულყოფა. ის ძიების გზით მიემართებოდა მოლაპარაკე ტამტამიდან სულ უფრო ტევადი არხებისკენ.

დამწერლობის გაჩენამ ზეპირი სიტყვის ფიქსაციის მეშვეობით ახალ-ახალი ფაქტების დაგროვებისა და ადრინდელი ცოდნის გადაფასების საშუალება შვა.

მომავალი თაობებისთვის ერთობლივი შედეგების, როგორც მრავალი ადამიანის მიერ დროსა და სივრცეში დაფიქსირებული ენერგიის გადასაცემად. სწორედ ადამიანის ქცევის, მისი საქმიანობის ნიშნური რეგულაციის პრინციპი გახდა მისი ფილოგენეტიკური განვითარებისა და ცხოველთა სამყაროსგან შემდგომი გამოყოფის ფსიქოლოგიური საფუძველი. კომუნიკაციის მიერ თანდათან გამოიდევნებოდა ურთიერთობაში ათასწლეულობით გაბატონებული იმიტაციის საშუალება და ეს დაფიქსირებული სიტყვის, სიმბოლოს, ხატ-სახის მეშვეობით ხდებოდა. ასე გადაუშალა ნიშნურმა კომუნიკაციამ ადამიანს არა მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილების, ცივი ლოგიკის გადაცემის შესაძლებლობა, არამედ მის ფსიქოლოგიურ საქმიანობაში ასახული აზრების, ემოციური განცდების უმცირესი ნიუანსებიც.

დროთა განმავლობაში კოლექტიური, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ფორმათა გართულების კვალდაკვალ ადამიანის ცნობიერებაში, ყოფიერებაში ახალმა თვისებამ ინფორმაციაზე დამოკიდებულებამ, იმის ცოდნის მოთხოვნილებამ იწყო დომინირება, თუ როგორ ხდება სხვა ინდივიდის რეალური სამყაროს ათვისება.

ახლა უკვე დამკვიდრება იწყო პირადი გამოცდილების სინთეზმა, “მეორე ხელიდან“ მიღებულმა გამოცდილებამ, როგორც ადამიანის სოციალური თვისებების ფორმირებისა და კვლავწარმოქმნის გადამწყვეტმა პირობებმა.

ინფორმაციული პროცესები ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან იყო ადამიანთა ურადღების საგანი, შეტყობინებების გადაცემის ყველაზე ეფექტური საშუალებების ძიება ელინთა სულიერი კულტურის ნაწილი იყო, რაზეც მეტყველებს ორატორული ხელოვნების წარმოშობა და განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი კომუნიკაცია მეცნიერული გააზრების საგანი გასული, XX საუკუნის 60-იან წლებში გახდა, მაშინ დაიწყო კომუნიკაციების გაუგონარი ბუმი. მთელი საუკუნის მანძილზე მათი როლი საზოგადოებაში განუხელად

იზრდებოდა და ამ სოციალურ-კულტურული ფენომენის ახალ მხარეებს წარმოაჩენდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად იცვლებოდა საინფორმაციო ნაკადების მასშტაბები და ფორმები, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი მოიხსენიებოდა როგორც კომუნიკაციური რევოლუცია. სიმბოლოს როლის განსაკუთრებული ეფექტურობის განხილვისას ეს ვითარება სერიოზულად უნდა იქნას გათვალისწინებული კომუნიკაციის სივრცეში. ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ მოცემული თემის გახსნა-გაშუქებაში ფუნდამენტურ სიახლეებზე და შეძლებისდაგვარად გამოვკვეთავთ ხარისხობრივი ცვლილებების რეტროსპექტივას, რევოლუციის შინაარსსა და რაოდენობას, რომლებმაც მნელად საცნობად შეცვალეს ის, რაც ახლა კომუნიკაციად იწოდება.

კომუნიკაციაში პირველი გარდაქმნა პერიოდული პრესის გაჩენასთან არის დაკავშირებული. მაგრამ აქ ზუსტი თარიღები გადამწყვეტი არ გამხდარა, იმ გაგებით, რომ პრესის დაბადების საუკუნედ XVII საუკუნე ითვლება, “წინარევოლუციური სიტუაცია” კი მხოლოდ XIX საუკუნის 30-იან წლებში მომწიფდა. ჩვენი მოსაზრებები ისტორიული მონაცემებით განმტკიცებას საჭიროებს. აღნიშნული დრო პრესის მასობრივ აუდიტორიაზე ორიენტაციის დროდ იქცა. ურნალ-გაზეთები გასცდა მკითხველთა ვიწრო, რჩეული წრის საზღვრებს, იმ დროისთვის არნახული ტირაჟის ზრდით საზოგადოებაში რეალური ძალაუფლება მოიპოვეს და ამის წყალობით საზოგადოების მეწარმე ნაწილმა იწყო მისი, როგორც ბიზნესის განხილვა, სადაც წარმოებული საინფორმაციო საქონელი ყოველთვის პოულობდა მყიდველს.

მაგრამ გარდაქმნათა სახელდებით რევოლუციურ საწყისად, რა თქმა უნდა, XX საუკუნე უნდა ჩაითვალოს, რომელმაც ეპროპულ ცივილიზაციას წიგნიერების ფართო გავრცელება და საყოველობაო არჩევნების უფლება მოუტანა. აღნიშნული მომენტების ურთიერთდაკავშირებულობის ამოსაცნობად დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო მომდევნო ნაბიჯი ხარისხობრივ გარდაქმნაში, ბუნებრივია, რადიო გახდა, ტექნიკური პროგრესის შედეგებს “უმავთულო ტელეგრაფის” გამოყენებით ფუნქციიდან ნამდვილ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე გადასვლა მოჰყვა. ოპერატორი ინფორმაციის გაყიდვის კონკრეტულ აქტს, როგორი სამწუხარო გასახსენებელიც უნდა იყოს, სათავე საოკეანო ლაინერის, “ტიტანიკის” დაღუპვის ტრაგიკულმა ფაქტმა დაუდო. 1912 წლის სამმა დღემ

გადატრიალება მოახდინა რადიოს შესახებ არსებულ წარმოდგენაში. ამერიკული კომპანია “Marconi Company“-ის ინჟინერი დავით სარნოვი სამი დღის განმავლობაში იღებდა და შიფრავდა უტელურების სიგნალს კატასტროფის ადგილიდან. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, “ტიტანიკი“ “მარკონის“ რადიოაპარატურით იყო აღჭურვილი, ამიტომაც ერთგვარი გაგებით მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეცისრებოდა მის ბედ-იღბალზე. ეს კომპანია სამაშველო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ უმდიდრესი ოპერატიული მასალის პირველი მფლობელი გახდა, თავის რადიოსაქონელს ის ძალზე ძვირად ასყიდიდა მასობრივ პრესას.

კომპანია “მარკონის“ ნიუ-იორკის განყოფილების შიკრიკმა, რომელმაც უმავთულო კავშირის (რადიოს) ოპერატორის პროფესია აითვისა, 1912 წლის 14 აპრილს ნიუ-იორკში პატარა რადიოსადგურში მორიგეობისას პირველმა შეძლო ტრაგიკულ ლაინერ “ტიტანიკიდან“ პატარა რადიოსიგნალის მიღება, სარნოვმა ცნობა კატასტროფის შესახებ გაზეთებს აცნობა და კატასტროფის ადგილიდან ყველაზე ახლო მდგომ გემებს განგაშის სიგნალი გადასცა, კერძოდ, მან მოახერხა კავშირი დაემყარებინა “ოლიმპიკთან“ და მიედო ცნობა იმის შესახებ, რომ “ტიტანიკი“ ჩაიძირა, ხოლო გემი “კარპატია“ ლაინერის ავარიის მსხვერპლთა გადარჩენას ცდილობდა. ეს სიგნალი ეთერში რომ გადასცა, სარნოვი უშუალოდ “კარპატიასთან“ რადიოკავშირის დამყარებას შეეცადა.

რადიოპულტზე სამდღიანი უწყვეტი მორიგეობის უზრუნველსაყოფად აშშ-ს პრეზიდენტმა გარფილდმა ბრძანება გასცა დროებით შეეჩერებინათ ყველა რადიოსიგნალი.

საბოლოო ჯამში ამ ტრაგედიის შემდეგ ფირმა “მარკონიმ“ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, თითოეული მისი აქციის ფასი 55-დან 225 დოლარამდე გაიზარდა. 1919 წელს კომპანია “ამერიკენ მარკონის“ ბაზაზე “ჯენერალ ელექტრიკის“ ხელშეწყობით შეიქმნა კომპანია “არ-სი-ეი“ (“რადიოკორპორეიშენ ოფ ამერიკა“), დავით სარნოვი მისი გენერალური დირექტორი გახდა.

“ჯე“ პირველ ადგილს იკავებს საერთაშორისო კომუნიკაციებში. კომპანიამ სიტყვაში 17 ცენტად - ტრანსატლანტიკული კაბელით გადაცემულზე ერთნახევარჯერ იაფად - დაიწყო რადიოპროგრამების გადაცემა ევროპაში. რადიოს გენიალური შემქმნელების ალექსანდრ პოპოვისა და გულიემო მარკონისგან

განსხვავებით (რომლებიც რადიოში მხოლოდ კავშირგაბმულობის ახალ საშუალებას ხედავდნენ), დევიდ სარნოვმა საზოგადოებას რადიოს საშინაო დასვენების ორგანიზებისთვის გამოყენება შესთავაზა. ამრიგად, ორიოდ წლის შემდეგ ინვესტირების განხორციელების შედეგად შეიქმნა რადიომაუწყებლობა, რომელიც არა მარტო შედგა როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება, არამედ ერთგვარად შეავიწროვა კიდეც ბეჭდვითი პრესა ახლა უკვე მათვის საერთო საინფორმაციო სივრცეში. ამ ისტორიულმა ფაქტმა, რომლის საფუძველში არაპირდაპირ “ტიტანიკის” ათასობით მგზავრის ტრაგიკული ბედი იყო, მზარდ საკომუნიკაციო რევოლუციას გარკვეული იმპულსი შესძინა.

თუ პირველი საკომუნიკაციო-ბეჭდვითი რევოლუცია ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ცივილიზაციის წიაღში 300 წლის განმავლობაში მწიფდებოდა, რადიოგარღვევამ 10-ჯერ გაზარდა თავისი ტემპი, 30 წლის შემდეგ მსოფლიომ ახალი ტექნიკური რევოლუცია განიცადა.

მესამე კომუნიკაციური მოვლენა ტელევიზიის ტრიუმფალური მოვლენა გახდა, რომელიც დღეს მსოფლიო აუდიტორიის 90 პროცენტს მოიცავს. გასული ასწლეულის 50-60-იან წლებმა პრინციპულად შეცვალა საინფორმაციო სიტუაცია მსოფლიოში და სერიოზული განაცხადი გააკეთა მთელი კონტინენტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზემოქმედების განსაკუთრებულ ფაქტორზე.

შემდგომში ტელევიზია უბრალოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალება კი არ ხდება, არამედ სინთეტიკური მასიური ხელოვნების ახალი სახეობა, რომელსაც შეუძლია გადამჭრელი კორექტივები შეიტანოს სახელმწიფოთა პოლიტიკურ რეფორმებში. მკვლევარი პ. უშაკოვი თავის დროზე პრეზიდენტ ჯონ კენედისა და სსრკ-ს ხელმძღვანელის ნიკიტა ხრუშჩოვის პოპულარობის მიზეზს იმაში ხედავს, რომ ორივენი შოუმენების სახით წარდგნენ, რომლებიც როგორიც უცნაურიც უნდა იყოს, პირველ რიგში აუდიტორიას ართობდნენ. თითოეული მათგანი მასებში წარმატებას საკუთარი გამორჩეული ნიჭის წყალობით აღწევდა.

ტელეკომუნიკაციები ახალი, მეოთხე რევოლუციის წინ ამკვიდრებდნენ საკუთარ მიღწევებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამ სახეობის გადამჭრელი გამარჯვება მდგომარეობდა სათანამგზავრო და საკაბელო კომუნიკაციების განვითარებაში, კომპიუტერული ქსელების გაჩენაში, რამაც უზარმაზარი

საინფორმაციო გელის, გლობალური, ტრანსკონტინენტალურ მასშტაბებამდე მიგვიყვანა. ტედ ტერნერი, მის მიერ განხორციელებული პროექტი CNN ფორმულით კაბელი+ თანამგზავრი= მსოფლიო აუდიტორია. და მსოფლიო მძაფრსიუსებიანი კინემატოგრაფის საპირტონედ იმავე შინაარსს დებულობს ახლად გაჩენილ ტელეფენომენში, რეალითიშოუში. (Ушаков, 2009).

ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომები ახალი საინფორმაციო ეპოქის შესახებ გამოჩენილი კანადელი მკვლევარის, პროფესორ მარშალ მაკლუენის 60-იანი წლების წიგნები იყო, რომლის კონცეფციის საკვანძო დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიის მამოძრავებელი ტექნოლოგიათა ცვლაა, რომელსაც თავის მხრივ კომუნიკაციათა საშუალების ცვლა იწვევს. მაკლუენს მიაჩნდა, რომ საზოგადოების ტიპი მნიშვნელოვანწილად მასში გაბატონებული კომუნიკაციების საშუალებით განისაზღვრება. კანადელმა მეცნიერმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოწვეული ბევრი დღევანდელი საზოგადოებრივი პრობლემა განჭვრიტა. (McLuhan, 1967).

#### §4. ტექნოლოგიების შეცვლა და ახალი ისტორიული ეპოქა

ამრიგად კაცობრიობის მიერ ტექნიკური საშუალებების დახმარებით განხორციელებულმა გარღვევებმა ჰიპერსივრცეებში მრავალნაირი ინფორმაციის გადაცემის უზარმაზარი შესაძლებლობების შექმნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხარისხსობრივი მახასიათებლების ცვლილებები მოიტანა და ამით ბევრ რამეში პარადიგმის კორექტირება მოახდინა, როდესაც მივიდა თავის მთავარ დასკვნამდე - ფასეულობის მიხედვით ინფორმაციის ტოლფასი საქონელი არ არსებობს.

კომუნიკაციის შესახებ შექმნილი ნაშრომების გაცნობა სულ უფრო ხშირად გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება თემის განკურძოება აქ ძალდატანებითად ანუ ისტორიის კონტექსტიდან დაუსაბუთებლად ამოღებულად გამოიყურებოდეს. თუმცა ისეთი გამოკვლევებიც გვხვდება, რომლებიც თემის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ა.ვ. სოკოლოვის “კულტურათაშორისი კომუნიკაციების საფუძვლებში” აღნიშნულია, რომ კომუნიკაციის მეცნიერული შემეცნება თავისი ფესვებით

შორეულ ანტიკურ ხანაში მიდის, სადაც ძველი დროის მოაზროვნები გონიერასთან - ლოგოსთან ერთად მეტყველებას - ლოგოსსაც სცემდნენ პატივს. მოცემულ დებულებას თავად ბერძნების პოლიტიკური ცხოვრება დაედო საფუძვლად, სადაც რიტორიკა და მჭევრმეტყველება საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი. ორატორი მთავარი ფიგურა იყო ძველ ელინთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან ის სრულყოფილად ფლობდა ზეპირი სიტყვის ძალას. მაგრამ იმავდროულად საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულატორად წერილობითი ტექსტის სახით გაფორმებული ნომისი-კანონიც გამოდის, მას ბიუროკრატიის შორეულ წინაპრად თვლიან. ელინისტურ პერიოდში, როდესაც ეგვიპტის, მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის კრცელი ტერიტორიების კულტურული ათვისება დაიწყო, მეტყველების - ლოგოსის შენარჩუნებაზე ზრუნვა განსაკუთრებით საჭირბოროტო გახდა, რამეთუ ენა იძლეოდა უცხოურ გარემოცვაში ბერძნული კულტურის გადარჩენის გარანტიას. გაჩნდნენ სწავლული გრამატიკოსები, რომლებიც “ჰეშმარიტი” და “სუფთა” ბერძნული ენის წესებს ადგენდნენ, განსაკუთრებით აქტიურები ალექსანდრიელი გრამატიკოსები იყვნენ.

ამრიგად, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე კომუნიკაცია ორი უძველესი სამეცნიერო დისციპლინის - ლოგიკისა და ლინგვისტიკის შესწავლის საგანი გახდა. საშუალო საუკუნეებში ქრისტიანულ ეპლესიას არ დავიწყებია ანტიკური მჭევრმეტყველების გაკვეთილები. მდვრელმსახურთა მომზადების პროგრამაში ჩართეს რიტორიკა, გრამატიკა, დიალექტიკა, რომლებმაც შექმნეს “ტრიუმვირატი” - შესწავლის სამი პირველი და ძირითადი საგანი.

უძველესი შემცნების მიერ დაყენებული საკითხები დრმა კვალს ტოვებს თანამედროვე ფილოსოფიური აზრის მიებებში. ასე მაგალითად, მედიოლოგიის, ახალი მეცნიერების ფუძემდებელი, ფრანგი ფილოსოფოსი, კულტუროლოგი და მწერალი რეჟი დებრე, რომლისთვისაც წარსული მომავალთან და სასრულთან კავშირის აზრით კვლავაც აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის თავისეულ გააზრებას გვთავაზობს. კომუნიკაცია, ადამიანის გაჩენის მომენტიდან მოყოლებული, არ რჩება ყურადღების გარეშე, იგი განუწყვეტლივ ივსება ახალი აზრებით, ცნებებითა და განსაზღვრებებით.

მედიოლოგიის შესავალში, პირველ თავში “გადაცემის დრო“ დებრე “ჰუმანიტარულ მეცნიერებათა“ ფართო სპექტრს განიხილავს და აღნიშნავს, რომ

თეორიული მეცნიერების დანიშნულებაა განაცალკევოს ის, რასაც პრაქტიკა ურევს და ამიტომ ერთი და იგივე რეალობა, დებრეს თანახმად, შეიძლება თანხმიერად, ერთბაშად, ერთმანეთისგან განცალკევებულადაც და ერთობლივადაც შეისწავლებოდეს... ესა თუ ის ბუნებრივი ენა, მაგალითად, შეიძლება გაანალიზებული იყოს როგორც კომუნიკაციის საშუალება, რომელიც თანამოსაუბრებს საშუალებას აძლევს ხელი შეუწყონ მათ ურთიერთგაგებას. მაგრამ ამ ენას გადმოცემის ფუნქციაც აქვს, რომელსაც თავის თავზე მისი გრაფიკა იდებს (ლათინური და კირილური ანბანები, ჩინური იდეოგრამები, კორეული ჰანგილი (მარცვლური დამწერლობა და ა.შ.) იმაში, რომ ამა თუ იმ ისტორიული ჯგუფის კოლექტიური მეხსიერების კონდენსირებას რომ ახდენს, იგი უკვდავებოფს რომელიდაც “საბაზო პიროვნებას“, ყველასთვის, ვინც მშობლიურ ენას იყენებს, საერთო მნიშვნელობათა სისტემას, რომელიც ცოცხალთა გარკვეულ ჯგუფს მკვდრებთან კუთნვილების ერთობის შეგრძნების შესაძლებლობას აძლევს. პირველ შემთხვევაში მასალის სახით სინქრონულად ხდება ინტერაქციების აღება ინდივიდებს შორის; მეორე შემთხვევაში დიაქრონიკული თვალსაზრისით - ინტერაქციები თაობებს შორის. მაგრამ ლაპარაკი ყოველთვის ერთი და იგივე ენაზე იქნება“. დებრე შემთხვევით არ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას მოსაზრებას “ერთი და იგივე ენის შესახებ“ გამომდინარე დიაქრონიკული თვალსაზრისიდან, ანუ იმ თვალსაზრისიდან, რომელიც დამწერლობის ძეგლზე მიუთითებს, ვინაიდან დიაქრონიკული თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ენის მდგომარეობები, რომლებიც სხვადასხვა დროით ჭრილებს განეკუთვნება.

შესაძლოა დებრეს მითითებები, მისი მეცნიერული მიდგომები და ინტერპრეტაციები პრობლემის ტრადიციული განმარტების ჩარჩოებს სცილდება, მაგრამ არეულობას არ ქმნის, პირიქით, მთავარ მიზანს აღწევს, - მიუთითებს თითქოსდა დამკვიდრებული ცნებების სხვაობის მნიშვნელობასა და ფასეულობაზე, “თვალთახედვა ამომწურავი არ არის“, ყველაფერი ნათქვამია, “რეფერენცია ანუ შეტყობინება ახალ ჭრილში“, ან ობიექტურის, რეალურის “კვეთა“, ვინაიდან “ორიგინალური“ არ ნიშნავს არც “სხვისას“ და არც “განსაკუთრებულს“. ჩვენს სინამდვილეში კომუნიკაციის “ბუმისა“ და მის მიერ ამჟამად მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოპოვებაზე რომ მსჯელობს, დებრე მიიჩნევს, რომ: კომუნიკაციის

“ჰორიზონტამდე, კონტინენტამდე მისაღწევად რომელიც ვერ იქნება “ისე უბრალოდ გაგებული“, უშუალო გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა გადაილახოს “ეპისტემოლოგიური წინააღმდეგობები“, რადგან “კომუნიკაცია წარმოადგენს უფრო ხანგრძლივი პროცესის მომენტს, უფრო ფართო სიმრავლის ფრაგმენტს, რომელსაც ჩვენ შეთანხმების თანახმად გადაცემას ვუწოდებთ.

ტერმინს “გადაცემა“ დებრე მიაკუთვნებს ყველაფერს, რასაც კოლექტიური მეხსიერების დინამიკასთან აქვს საერთო, ტერმინს “კომუნიკაცია“ კი მიაკუთვნებს შეტყობინებათა მიმართვას რაღაც მოცემულ მომენტში. ოპოზიციას რომ აძლიერებს, ის აღნიშნავს, რომ “კომუნიკაცია“ მდგომარეობს ინფორმაციის სივრცეში გადატანაში ერთი და იგივე სივრცე - დროის სფეროს საზღვრებში.

გაგების საკითხების გვერდის ავლით კომუნიკაციის რთული სისტემის გაგება, გაშიფვრა შეუძლებელია. ჩვენი გამოკვლევის შუქზე მედიუმად კომუნიკაციაში სწორედ სიმბოლო გამოდის, რომელიც ხსნის პრობლემებს უცოდინარობიდან ცოდნამდე, ცოდნიდან გაგებამდე. (Debre, 2001).

ამრიგად, ინფორმაციის გაცვლის პროცესი, ურთიერთგაგება კომუნიკაციის მონაწილეებს შორის, დიალოგში გაგების მიღწევა განსაზღვრულ კომუნიკაციურ სივრცეს გულისხმობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ და შესაბამისად გამოვყოთ სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო, სადაც იგება ან შეიძლება აიგოს კომუნიკაციური მოდელი. ამ მოდელში, ბუნებრივია, უნდა ჩამოყალიბდეს კომუნიკატორისა და რეციპიენტის, როგორც კომუნიკაციური პროცესის რეალური მონაწილეების როლი.

ინფორმირება (ზეგავლენა) - ურთიერთინფორმირების, როგორც უცუპავშირის მექანიზმის უზრუნველყოფა, საერთო საინფორმაციო ველის შექმნა, ჯაჭვის თანმიმდევრული ხორცშესხმის პირობებში კომუნიკაციური სივრცის წარმოქმნას აკლია მხოლოდ, ურთიერთობის სუბიექტების ან ზოგადი ინფორმაციის არსებობა, რომელიც ურთიერთობის პროცესში წარმოიქმნება, აქ ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობის საშუალებები და ფორმები, იქნება ეს ვერბალური თუ არავერბალური. ამ პროცესის შინაარსში აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენს ურთიერთობის წესები, ურთიერთქმედების მორალური ნორმები, ჩვევები, რიტუალები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციური სივრცის ობიექტი შეიძლება სულ ცოტა ორი ადამიანი იყოს. გარკვეული ავტონომიის მქონე კომუნიკაციური აქტის მონაწილეები თითოეულის გარკვეული უნიკალურობისას, ერთად გამოდიან დიალოგში. კომუნიკაციის სუბიექტები ინფორმაციის გადაცემის ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით ახორციელებენ კომუნიკაციის პროცესს.

ახლა კი მოდით კომუნიკაცია მისი უფრო სპეციალური გაგებით განვიხილოთ.

აღიარებულია, რომ ჩვეულებრივ, შეცნობის საგანი თავისთავად არ ძევს შესაცნობ ობიექტში (ამ შემთხვევაში, კომუნიკაციაში). ის მკვლევარის აბსტრაქტულ აზროვნებაში ყალიბდება. ძიების გზა ყოველთვის ტრადიციასთან და მეცნიერების მეთოდოლოგიასთან არის დაკავშირებული. კომუნიკაცია უსასრულო რაოდენობის წახნაგებს შეიცავს. ერთ ნაშრომში ყველა მისი პარამეტრის მოცვა არარეალური საქმეა და ამიტომაც სავალდებულო არ არის. ჩვენ ბუნებრივად მივიჩნიეთ ყურადღებას თანამედროვე ურნალისტიკისთვის ახლობელ პრობლემებზე მოვუყაროთ თავი. ის გარემოება, რომ ნებისმიერი შესასწავლი ობიექტი თავის თავში მრავალ მიმართულებას შეიცავს, მისი შეცნობის პროცესს უსასრულოს ხდის. კომუნიკაციაში, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებში, - როგორიცაა ენათმეცნიერება, კულტუროლოგია, მედიალოგია, ურნალისტიკა, სოციალური ფსიქოლოგია - ეს ის მეცნიერებებია, რომლებიც ერთი და იგივე ობიექტს შეისწავლიან, მაგრამ განსხვავდებიან საგნებით, ავილოთ, მაგალითად, ურნალისტიკა და სოციალური ფსიქოლოგია, მათი ობიექტები ხშირად ემთხვევა.

სოციალური კომუნიკაცია, როგორც აზრთა მოძრაობა სოციალურ სივრცესა და დროში ლოკალიზებულია Sul-ის ობიექტებში, ანუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პიროვნულ ასპექტში. სოციალური კომუნიკაციის პრობლემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოებათმცოდნეობისა და ადამიანთმცოდნეობის საგნებში. ინტეგრალური შეპირაპირებები ხდება საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერებათა ბაზაზე, ისეთების, როგორიცაა ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ურნალისტიკა, ფილოლოგია, ესთეტიკა, ეთიკა, ისტორია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, აგრეთვე მეცნიერებათა კულტურათმცოდნეობის სექტორი - კულტუროლოგია (კულტურის თეორია), კულტურის სოციოლოგია, არქეოლოგია, სემიოტიკა, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია,

წიგნთმცოდნეობა, მასობრივი კომუნიკაციის თეორია, ბიბლიოთეკათმცოდნეობა და მეცნიერებები დოკუმენტური კომუნიკაციების შესახებ.

ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებათაგან სოციალურ-კომუნიკაციური ცოდნის სისტემაში შედის: 1. ურთიერთობის ფსიქოლოგია, 2. უურნალისტიკა.

უნდა შევნიშნოთ, რომ პრობლემა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ სადისკუსიოდ ითვლება. მკვლევართა მსჯელობები და შეფასებები ზოგჯერ დიამეტრალურად საპირისპირო შეფასებების ირგვლივ ჯგუფდება, მაგრამ ორიენტაციის სისტემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს ფასეულ ხასიათს, თუ ჩვენი განმარტებების, უფრო სწორედ განმარტების მცდელობების საშუალება წარსულში იქნება მიმართული. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ წარსული მხოლოდ ისტორიული ცნობიერების წახნაგია, რომელიც დროის სამივე - წარსულ, აწმყო და მომავალ მოდალურობას შორის კავშირის კონცეპტუალიზაციას ახდენს, მაშინ პოსტულატი “აწმყო“ ბოლომდე ვერ იქნება შეცნობილი, თუ წარსულს არ მივმართავთ.

ერთი სიტყვით, შეიძლება ისტორიული ექსკურსი დროთა უფსკრულზე გადებული სულიერი ხიდი გახდეს. ცალკეული პიროვნებისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაში ძნელია ურთიერთობის პროცესების გადაჭარბებით შეფასება. მართლაც საკითხები, რომლებსაც ჩვენ ვიკვლევთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებული მეცნიერებული ინტერესის საგანი გახდა. შეტყობინებათა ფორმალიზაცია - მათი კოდირება და დეკოდირება, ინფორმაციის ადრესანტისგან ადრესატისთვის - გადაცემა, ინდუქტორისგან რეცეპიენტისთვის, რესპონდენტისგან კორესპონდენტისთვის. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა აქტი წარმოადგენს სფეროების ურიცხვ მრავალფეროვნებას, სიღრმისეულ ხმიანობას ერთმანეთში, ურთიერთობის საერთო ნიშნებისა და ინდივიდუალური ნიუანსების შეთანასწორებით, დღეს კომუნიკაცია მის ყოველმხრივ ანალიზს მოითხოვს, შევეცდებით კომუნიკაციის ბუნება ჩვენი მსჯელობების ქარგაში მოვაქციოთ, მისი შესწავლა ხომ დიდ დამატებით ძალისხმევას საჭიროებს. როგორც ცნობილია, ფილოსოფიური თანამეგობრობის ჩარჩოებში კომუნიკაცია განიხილება როგორც პუმანიტარული შემეცნების ყველა სახეობასთან დიალოგის, უფრო მეტიც, - როგორც მათთან შერწყმის შესაძლებლობა.

ცნება “კომუნილოგიური ტენდენციები” განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეულია, რადგანაც მკვლევარები მას ისე განიხილავენ, როგორც განვითარების თანამედროვე სტადიას, სადაც კონცეფციების პლურალობა განუზომელია, უფრო მეტიც, პრობლემათა ერთიან ველზე ჩნდება კონკრეტული ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტათა სულ ახალი ვარიანტები, რაც აიძულებს ფილოსოფოსებს შეხედულებებში არსებული აშკარა განსხვავების მიუხედავად, დიალოგში ჩაერთონ.

მეცნიერული პრაქტიკის სტანდარტებში კომუნიკაციის ფენომენისთვის დამახასიათებელი ეს ნიშნები საკმაოდ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი გიორგი პოჩეპცოვი კომუნიკაციის თეორიით. იგი აღნიშნავს იერარქიულის (კომუნიკაციის) სისტემა, სადაც მთავარი კომპონენტი (მხედველობაშია სსრკ ე.ლ.) ბრძანება იყო, თანდათან შეცვალა დემოკრატიული კომუნიკაციის სისტემამ, სადაც საფუძველი დარწმუნება ხდება... წარსულში, როდესაც სისტემა რეგრესულ-კომუნიკაციური იყო, გარეგნულ იძულებაზე დაყრდნობა კმაროდა. დღეს ასეთი იძულება შეიძლება მხოლოდ შინაგანი სურვილი იყოს. (Почепцов, 2001).

კომუნიკაციის თეორია ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ მოსახლეობას და ხელისუფლებას შორის შუამავლობით არ შემოიფარგლება. მისი ამოცანები ამ ძირითადი კავშირის საზღვრებს გასცდა.

მე-20 საუკუნის მიწურულს კომუნიკაციას ახალი დატვირთვა მიანიჭეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც კომუნიკაცია საჭიროების შემთხვევაში სამხედრო საქმეში საინფორმაციო ომების სფეროში გამოიყენეს. შემთხვევითი როდი იყო, რომ ამის შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში ომების ტოპოლოგიის თეორიაში განმარტავდა, რომ აგრარული პერიოდის ომებს ტერიტორიებისთვის აწარმოებდნენ, ინდუსტრიული პერიოდის ომებს - წარმოების საშუალებებისთვის, საინფორმაციო საუკუნის ომები კი საინფორმაციო ცოდნის დამუშავებისა და შექმნისთვის გაიმართება. ამერიკელმა ფილოსოფოსმა ამ ფენომენს მესამე ტალღის ომის ფენომენი უწოდა. როგორც ცნობილია, ყოველ ობიექტს უამრავი წახნაგი გააჩნია, სადაც შემეცნების პროცესი უსასრულობას უახლოვდება. ასეთ სფეროს წარმოადგენს სივრცისა და კომუნიკაციის პრობლემას.

ახლა მივმართოთ პრობლემას - “კომუნიკაცია და სივრცე”.

ვიდრე სივრცის სახეობებისა და ფორმების განხილვაზე გადავიდოდეთ, ხაზი უნდა გავუსვათ მის მრავალპლანურობასა და მრავალასპექტიანობას. ბუნებრივია, მათი ფუნდამენტური ფილოსოფიური თეორიის მთელი სისავსით წარმოჩენა შეუძლებელია.

რაში მდგომარეობს კომუნიკაციის ფუნქციები?

მაშინაც კი, თუ ადამიანი უშუალო კონტაქტში არ შედის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული პობსის მაგალითზე, ჩვენ საკუთარი ცხოვრების ნორმად გავიხადეთ გაფრთხილების ყოველგვარი ფორმები, რომლებიც სიმბოლოების საშუალებით გადაიცემა (საგზაო, შუქნიშნის მანიშნებელი სიგნალები). საზოგადოების წევრებს ინფორმაციას ჩვენ სხვადასხვა საშუალებით (ტელეტექნიკი, პრესრელიზი) ვაწვდით, ვუხსნით სახელმძღვანელოებისა და ექსპერიმენტის გეგმების მეშვეობით, ავუწერთ რაიმეს (დოკუმენტური ფილმები), ვარწმუნებთ დიაგრამების, პლაკატების, რეკლამის საშუალებით.

კომუნიკაციის მიზნები განპირობებულია ადამიანის ვიტალური მოთხოვნილებით, აგრეთვე მისი სურვილით კონტაქტში შევიდეს თავის მსგავსებთან, დაარწმუნოს სხვები, იმოქმედონ ასე თუ სხვაგვარად, მოიპოვოს ძალაუფლება საზოგადოების სხვა წევრებზე.

ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს სქემა ასეთია - პირამიდის მიხედვით, არსებობს მოთხოვნილების ხუთი დონე: ფიზიოლოგიური მოთხოვნილება (საკვების, სასმელის, ძილის), უსაფრთხოების მოთხოვნილება (საცხოვრებელი, ტანსაცმელი, თავშესაფარი), ურთიერთობის მოთხოვნილება (სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი, ჯგუფის კუთვნილება, ფუნქციები), საკუთარი თავის პატივისცემის, აღიარების, თვითრეალიზაციის აუცილებლობა. თითოეული შემოთავაზებული ფუნქცია კომუნიკაციის ამა თუ იმ მონაკვეთთან არის დაკავშირებული.

ა. ლეონტიევი და ნ. მეჩკოვსკაია აღნიშნულს უმატებენ მაგიურ, ანუ შელოცვით, ეთნიკურ (გვარის გამაერთიანებელ), ბიოლოგიურ (ცხოველების კომუნიკაციისთვის) ფუნქციებს. გამოიყოფა ასევე სამი ურთიერთგადამკვეთი ფუნქცია: შემცნებითი (კოგნიტიური), საინფორმაციო - იდეების, განზოგადებების გამოხატვა; შეფასებითი - საკუთარი აზრების, შეფასებების გამოხატვა; აფექტური - გრძნობებისა და ემოციების გადმოცემა.

ეს არის რთული მრავალდონიანი და მრავალასპექტიანი ვიტალურ - ინფორმაციული ხასიათის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს იმ ჭეშმარიტი, ან ცრუ ამბების გამოყენებასა და გადაცემას, რომლებიც ადამიანებს შორის ურთიერთქმედების ორგანიზებას ახდენენ. ურთიერთქმედების ხასიათს განაპირობებს წამქეზებელი ფაქტორი, რომელიც ანაწილებს კომუნიკაციის ფუნქციებს, ანუ განსაზღვრავს კონტაქტორთა ქცევის თავისებურებებსა და ფორმებს. ზემოქმედებისას გამოიყენება ფორმები (დატუქსვის, ბრძანების, თხოვნის) - ეს ყოველივე ადამიანებს შორის ურთიერთქმედების ინტერაქტიული, წამახალისებელი ხასიათის ფორმით არი წარმოდგენილი.

შემდეგი ფუნქცია პერცეპტიულია (აღქმისა) და ურთიერთობაში ურთიერთგაბების მიღწევას ახერხებს.

ძირითადი ფუნქციები “ემოციური განცდების წარმოქმნის ან ხასიათის შეცვლის” შესაძლებლობის ფუნქციებსაც გულისხმობს.

ზოგადად ჟურნალისტიკაში კომუნიკაციის სახეები ურთიერთობის ორი ფორმით გამოიყენება, ესენია - ვერბალური (სიტყვა) - და არავერბალური (ინფორმაციის წაკითხვა, ინფორმაციის წყაროს დახასიათება (ჟესტი, მიმიკა, ენა, პოზა და მოძრაობა) - კომპონენტების აუცილებელი ფიქსაცია მასალების შეგროვების პროცესში. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნიკაციის სუბიექტები და საშუალებები - პიროვნებათაშორისი კომუნიკაციები და ტექნიკური საშუალებების, საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით ორგანიზებული კომუნიკაციები.

ურთიერთობის მიმართულებისდა მიხედვით განასხვავებენ აღმავალ და დაღმავალ კომუნიკაციებს.

ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციები ფართოდ გამოიყენება ჟურნალისტიკაში. ამჟამად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არაფორმალური კომუნიკაციის ისეთი სახე, როგორიცაა მოარული ხმები, ვინაიდან მოარული ხმების არხით გადაცემული ინფორმაცია გადაცემის ტემპს მნიშვნელოვნად ზრდის უტყუარობის საზიანოდაც კი, გამომდინარე ლათინური ფორმულიდან “Bis dat qui cito dat”. - “ორმაგად იძლევა ის, ვინც სწრაფად იძლევა“.

გარკვეული ინფორმაციის წარმატებით გავრცელებას ხელს უწყობს სანდო ექსკლუზიურობის ხიბლი, ვთქვათ ასეთის - “ჩვენში დარჩეს და... ან “მხოლოდ

თქვენი გამოცემისთვის“. არსებობს გამოკვლევები, რომელთა მიხედვითაც მოარული ხმების ფორმაში მოქცეული კომუნიკაცია სიზუსტის დონის მიხედვით 80-დან 99%-მდე მერყეობს. სიზუსტის დონისგან დამოუკიდებლადაც კი უმეტეს შემთხვევებში მოარული ხმები ადამიანთა სურვილებსა და იმედებს გამოხატავენ. არჩევითობას აქსიოლოგიური მოტივებით შეუძლია შეცვალოს ემოციურ-დამაზუსტებელი დახასიათებები, სადაც იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის ინტერესებს არ ემთხვევა, მოარული ხმები ჩვეულებრივ, ბოროტ ჭორებში გადაიზრდება.

როგორც აღინიშნა, კომუნიკაციის მთავარი პრობლემა ადამიანის ცოდნისა და უოფიერების სხვადასხვა სფეროში მის მოდელირებაში გამოიხატება. იურგენ რიუში გამოყოფს 40 სხვადასხვა მიღვომას - არქიტექტურიდან, ანთროპოლოგიიდან, ფსიქოლოგიიდან დაწყებული, პოლიტიკითა და რეალიების შეცნობისა და ასახვის სხვა სფეროებით დამთავრებული. კომუნიკაციის შესახებ მოძღვრების ამ სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა მათემატიკოსმა კლოდ შენონმა, რომელიც მოდელის ხუთ ელემენტს ითვალისწინებს, ესენია: ინფორმაციის წყარო, გადამცემი, გადაცემის არხი, მიმღები და ბოლო მიზანი. კომუნიკაციის სახით შენონმა ხმაურის ცნებაც შემოიტანა (ანუ ენტროპიისა და არაენტროპიის), კომუნიკაციის თეორიაში ენტროპია შეტყობინების დამმახინჯებელ გარე ფაქტორთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებით არსებითი წვლილი შეიტანებაში ამ დარგის საყოველთაოდ აღიარებულმა ავტორიტეტებმა: მარშალ მაკ-ლუენმა, რ. იაკობსონმა, მ. ბახტინმა, უმბერტო მატურანომ.

მ. მაკ-ლუენის სიტყვები: “The medium is the message“ - ჩვენი ცივილიზაციის დევიზად იქცა, რომელშიც კომუნიკაციის ვიზუალური არხი (თუ ტელე-კომპიუტერული ქსელის თანამედროვე ბუმს გავითვალისწინებთ) წამყვანად ითვლება.

შეტყველება და მოვლენა - ადრესანტი და ადრესატი, ერთის მიერ შეტყობინების მეორესთვის გადაცემა, კონტექსტის კოდის დახმარებით დაწერილი შეტყობინება კონტაქტში რომ გადადის, ენისა და სხვა კომუნიკაციური სისტემების მარეგულირებელ ფუნქციას უწყობს ხელს.

დიალოგიზმის ფილოსოფია - ძირითადი იდეა კომუნიკაციის პროცესის გაგებაში რუს მეცნიერს, მ.ბახტინს ეკუთვნის. მისი ფორმულა მსმენელის გარეშე არც

მოლაპარაკე არსებობს, ადრესატის გარეშე არც ადრესანტი არსებობს (Бахтин М.), გვარწმუნებს იმ მეცნიერულ ჰეშმარიტებაში, რომელიც ამბობს, რომ “ნებისმიერი გამოთქმა აზრს მხოლოდ კონტექსტში, კონკრეტულ დროს და კონკრეტულ ადგილზე იძენს აზრს.“

ყველაზე თვალსაჩინო შრომად ახალი ინფორმაციული ეპოქის შესახებ იქცა მ. მაკლუენის ნაწარმოებები, რომელთა საკვანძო კონცეფციები მდგომარეობდა თანამედროვე აფორიზმში “ისტორიის მამოძრავებლად გამოდის ტექნოლოგიების ცვლა ანუ კომუნიკაციის ხერხის ცვლა. საზოგადოების ტიპი, როგორც წესი, დამოკიდებულია მასში გაბატონებულ ტექნოლოგიათა ხერხებზე, საშუალებებზე.“

## II თავი

### სიმბოლო როგორც მოვლენა პომუნიკაციის სფეროში

#### §1 სიმბოლოს ჟარმოზობის გენეზისის ზოგიერთი საკითხი

არ არის ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში წინასწარმეტყველი და ბრძენი, რომელსაც სიმბოლოს შესახებ თავისი მოსაზრებები არ გამოეთქვას. სიმბოლო გრანდიოზული უნივერსალობის შემცველია, სადაც თავმოყრილია სამყაროს შეცნობის ყველა ელფერი, ამიტომაც უძველესი დროიდან მოყოლებული, ინტერესი მისდამი არ ნელდება. თავად სიმბოლოს სპეციფიკა დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოდ რჩებოდა, ხოლო სათავეს იგი “უბრალო“ ხალხის თქმულებებსა და წეს-ჩვეულებებში, მომთაბარე ტომების ტრადიციებში, შამანების, ნათელმხილვების, მისტიკოსების “იმქვეუნიურ“ მოგზაურობებში იღებდა. ძველ ცოდნას, ბრძნულ თქმულებებს ხშირად ყურად არ იღებდნენ, ცრურწმენად მიაჩნდათ, ყველანაირად ამახინჯებდნენ, რაციონალიზმის წყლით აზავებდნენ. სიმბოლოებს და მითებს, წეს-ჩვეულებებს, ნიშნებს კუნსტკამერების ექსპონატებს მიაკუთვნებდნენ, ცდილობდნენ მათ სისტემაზირებას მხოლოდ რელიგიური კულტების ელემენტების სახით.

ამასთან რაიმე გამოსახულება მხოლოდ მაშინ გადაიზრდება სიმბოლოში (და აქ თეოლოგთა, ფსიქოლოგთა, სიმბოლისტთა და ეთნოლოგთა თვალსაზრისი კი იუნგის განსაზღვრებას ემთხვევა), როდესაც სურათში კიდევ არის რაღაც, “მასში უნდა იყოს კიდევ რაღაც “გაუცნობიერებელი ასპექტი, რომელიც ვერასდროს იქნება ცალსახად ახსნილი ან განსაზღვრული“. (Jung, 1964). ძნელია ფილოსოფოსზე უფრო ზუსტად ითქვას, რომ როდესაც სული სიმბოლოს გაგებას იწყებს, მის თვალწინ წმინდა გონიერებისთვის მიუწვდომელი წარმოდგენები წარმოიშობა. (Лосев, 1995). სიმბოლო ყველა საიდუმლო მოძღვრების თუ დაუწერელი დოქტორინის ბრძოლის ველი იყო და ასეთადვე რჩება.

სიმბოლო უნივერსალური ესთეტიკური კატეგორიაა, იგი მომიჯნავე კატეგორიებთან შეპირისპირების - ერთი მხრივ, მხატვრული სახის და მეორე მხრივ ნიშნისა და ალეგორიის - საშუალებით გადაიშლება. თუ სიმბოლოზე ფართო

გაგებით ვისაუბრებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის თავისი ნიშნურობის ასპექტში აღებული ხატ-სახეა.

ალექსეი ლოსევი აღიარებს, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ არსებობს უფრო ბუნდოვანი, აბნეული და წინააღმდეგობრივი ცნება, ვიდრე სიმბოლოა.

ჩვეულებრივი გაგებით, როდესაც საუბარია დაზუსტებაზე, როდესაც “ერთი რადაც მეორე რადაცაზე მიუთითებს“, იხმარება ტერმინი “სიმბოლო“, ოდონდ სრული აზრობრივი დამთხვევით ტერმინთან “ნიშანი“. მათემატიკაში, პოლიტიკაში, ლიტერატურაში, ურნალისტიკაში, ფილოსოფიაში, კომუნიკალოგიაში სიმბოლოს მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია - იგი ცენტრალური ცნება ხდება, რომელიც გულმოდგინე გამოკვლევას მოითხოვს (Лосев, 1995).

მრავალი წლის განმავლობაში სიმბოლოს შესწავლას წინასწარი შეგონებებიდან გამომდინარე ეკიდებოდნენ, ვინაიდან ზოგიერთი მისტიკური დანაშრევები აძნელებდა ობიექტური, სწორი გადმოცემის ძიებას.

სიმბოლოს, მისი წარმოშობისა და ბუნების შემეცნების როლის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები მეტად ფართო და ყოველთვის აქტუალურია. ადამიანის შემეცნებითი საქმიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული სიმბოლოს გნოსეოლოგიური ბუნების თეორიულ დამუშავებასთან. იგი ხელს უწყობს შემეცნების უფრო დრმა და მრავალმხრივ გაგებას, სიმბოლური აზროვნების, როგორც სამყაროს ათვისების საშუალების სპეციფიკის გამოვლენას.

სიმბოლოებით ოპერირება შემეცნებითი საქმიანობის გასულიერებას, ფასეული აზრების გამდიდრებას ნიშნავს.

სიმბოლოები ამქვეყნად გაუცნობიერებულის სიღრმეებიდან ჩნდება ზეშთაგონების ან ინტუიციის გზით. ეს ხდება სიზმრებში ან მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას, სიმბოლოები ნუმიოზურ (ლვთაებრივ) მდგომარეობას იწვევს. სიმბოლოს ბუნების, არსის, აზრობრივი ასპექტის გაგება ძნელია, თუ მისი გენეზისის წარმომავლობის ისტორიას არ მივმართავთ.

კაცობრიობის ცივილიზაციაზე გადასვლის მომენტიდან ისტორიული ცნობიერება კულტურის შემეცნებაში დომინირებული ელემენტი გახდა. ისტორიული მიდგომა მეცნიერებაში განაპირობებს მის წინსვლით პროცესს. ეს

წინსვლა ერთდროულად მრავალ განსხვავებულ სიბრტყეში ხორციელდება: და თუ ამა თუ იმ მომენტში ცხადად ყალიბდება “მთავარი თემა”, დროთა განმავლობაში მას სხვა ცვლის და მის გასააზრებლად აუცილებელია თვალი გავადევნოთ მის გენეზის, დაწყებული იმ პერიოდიდან, როდესაც ჩვენ მიერ არჩეული თემა, ჩვენი პვლევის და თემის საგანი ჯერ კიდევ ბუნდოვნად მოიაზრებოდა, პვლევის მეთოდების შემუშავების პროცესში ისტორიული მიდგომის სიმბოლოს წარმოშობის ისტორიის, მისი მრავალგვარობის, პოლიფონიური ჟღერადობის წარმოჩენის პრინციპით ვხელმძღვანელობდით, რასაც ბევრი დრო და ენერგია დასჭირდა. ამასთან, სიმბოლოს ისტორიის, მთელი მისი სირთულით წარმოჩენისკენ სწრაფვა, სიმბოლოში ყველა მისი დეტალის ერთნაირად ხაზგასმით დანახვის სურვილი, ალბათ, თავის თავში ზოგადი სურათის ქაოტურ და უაზრო რამედ გადაქცევის საფრთხეს შეიცავს. არსებითის გამოცალკევება იმისგან, რაც ჩვენი კონკრეტული გამოკვლევისთვის არაარსებითად ითვლება, გარდაუგალია: არჩევანი აუცილებელია (აბრამაშ, 1979), რადგანაც შესასწავლი საკითხისადმი ისტორიული მიდგომა აუცილებელია. ის შესაძლებლობას გვაძლევს არ დავივიწყოთ მისი განვითარების ისტორიული კავშირი საკვლევ თემასთან, რათა განისაზღვროს რით განსხვავდება წარსულში არსებული შეხედულებები “სიმბოლოზე”, მისი თანამედროვე გაგებისგან და საერთოდ განსხვავდება თუ არა.

სიმბოლოს საგნისა და ბუნების შესახებ ცოდნის დაგროვების საერთო მიმდინარეობას რომ ვეცნობით, შეუძლებელია არ შევამჩნიოთ მათი თეორიული გააზრების თანდათანობითი ზრდა, შეუძლებელია არ შევამჩნიოთ, რომ მოცემულ პრობლემაზე შეხედულებების ზრდა კულტურის საერთო განვითარებასთან მჰიდრო კავშირის პარალელურად მიმდინარეობდა (Токарев, 1978). და ბოლოს, ისტორიული მიდგომა ჩვენს შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს პრობლემის ჩვენთვის საინტერესო ობიექტი დროისა და სივრცის პრიზმაში გამოვიკვლიოთ, უფრო ზუსტად კი ვაპირებთ საზოგადოების დამოკიდებულება სიმბოლოსადმი დროის სამ პროექციაში განვიხილოთ, ეს პროექციებია: მისი გვარეობითი წარსული, აწმყო და ხილული მომავალი.

სიმბოლოს ისტორიული ევოლუცია დელიკატური, დახვეწილი და რთული სფეროა. კაცობრიობის ისტორიაში სიმბოლოები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად

შესწავლითი, ამ სფეროში წარმოუდგენელი არეულობა სუფეს. უნდა შევნიშნოთ, რომ სიმბოლოს პრობლემის გარშემო არსებული კონცეფციების დეტალური აღდგენის ამოცანა თავისთავად აზრს მოკლებული არ არის, თუმცა მისი განხორციელება მნიშვნელოვან ძალისხმევასა და მოცულობას მოითხოვს და მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვის იქნება საინტერესო. ჩვენს ნაშრომში ჩვენ შემდეგი მიზანდასახულობანი გამოვყავით:

დღევანდელი ყოფიერების სიგრცეში სიმბოლოს ფუნქციონირების არსის გასაგებად ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს მისი გენეზისის ზოგიერთი თავისებურება, წარმომავლობის ისტორია, განისაზღვროს მისი როლი საზოგადოების, სახელმწიფოს და ადამიანის ცხოვრებაში ზოგადად. ზოგჯერ ამგვარი მიღვომის მნიშვნელობა არასათანადოდ ფასდება, ხანდახან კი უბრალოდ ხდება მისი შეცვლა ცოდნის ამ სფეროს სხვადასხვა სისტემებსა და სტრუქტურებში სიმბოლოს ადგილის დადგენით.

როგორც კულტურის უნივერსალური ფენომენი, სიმბოლო მისი ბუნების, მისი ყოფიერების კატეგორიულ მეთოდოლოგიურ ანალიზს მოითხოვს, შემთხვევით როდი წერდა მირჩა ელიადე, რომ “სიმბოლო წარმოადგენს საუკეთესო შესავალს იმ სფეროში, რომელსაც კულტურის ფილოსოფიას უწოდებენ“ (Элиаде, 2000, ст. 243). სიმბოლო, თავისი გამარტივებული სახით მოქმედებს რა ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროზე, დღეს ფართო მასების მიერ აღიქმება მხოლოდ როგორც ერთმანეთის შემცვლელი ეპოქებისა და ფორმაციების სიმბოლური “ჭდეები“.

როგორი დამოკიდებულებაა სიმბოლოსადმი დღეს? გახდა თუ არა ის მასობრივი კულტურისა და პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ელემენტი? ნიშანდობლივია, რომ სიმბოლოსადმი დამოკიდებულება ადრეც მისი სოციალურ-კულტურული კონტექსტით განისაზღვრებოდა. უფრო მეტიც, ის ყოველთვის იყო გლობალური მასშტაბის სოციალური და კულტურული ცვლილებების იარაღი და ასეთადვე გამოიყენებოდა.

სიმბოლოს გენეზისის არსეს, მისი წარმოშობის სათავეს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა დავადგინოთ, თუ როგორი იყო დამოკიდებულება წარსულის მთავარი სიმბოლური სისტემებისადმი, უფრო ზუსტად კი ისტორიული წარსულის ძირითადი

შემადგენელი სტრუქტურებისადმი. შეიძლება საკუთარი პოზიციების დაზუსტებად და განმტკიცებად იქცეს ჩვენი მიმართვა სიმბოლოს წარსულისადმი, როგორც ნიშნების პროცესისადმი, მათი გაჩენის მომენტიდან რიგუალებსა თუ მითებში გამოხატული გარკვეული მეტამორფოზის გაჩენამდე. ჩვენს მეცნიერულ ძიებაში წავაწყდით არა ერთ საკმაოდ პოპულარულ შრომას, რომლებშიც მოცემულია ამ კრიელი თემის განმარტებები, მაგრამ საკუთარი პოზიციის

გამოხატვის საშუალება შეიძლება მხოლოდ ერთ რამეში - სამეცნიერო გიდის თავისუფალ არჩევანში გამოიხატოს. ჩვენ არჩევანი ლუკ ბენუასზე, საფრანგეთის მუზეუმების საპატიო მცველზე, შევაჩერეთ. ადამიანი გამუდმებით იბრძოდა გადარჩენისთვის და ამ ინსტინქტს გზა გარემო პირობებში გაუკვალა, ჩვენი პირველყოფილი წინაპრები, როგორც პრიმატების წარმომადგენლები, იძულებულნი იყვნენ გამუდმებით დაეთმოთ ყურადღება ნიშნებისთვის, გაემახვილებინათ საკუთარი დაკვირვებულობა, რათა თვალი ედევნებინათ მათი არსებობის არეალში მყოფი არსებებისთვის, რომელთა მხრიდანაც ნებისმიერი აგრესია იყო მოსალოდნელი. ლუკ ბენუასს ეს საკითხი ახლაც საკმაოდ აქტუალურად მიაჩნია, იგი ფიქრობს, რომ ის უბრალოდ ცივილიზაციას არის ამოფარებული. ისევე, როგორც ადრე, პომო საპიენს-ი იძულებულია გამუდმებით დააკვირდეს და ფხიზლად იყოს თვალი ადევნოს ძირითადად ქვეცნობიერად, ყოველდღიურ სინამდვილეში, თუნდაც საკვებს, ჰავას, ქუჩაში მოძრაობას. ელემენტარული ყურადღება ჩვენი ცოდნის ყულაბად გადაიქცევა. ამჟამად, ისევე როგორც შორეულ წარსულში, გარემოდან ჩვენს ცნობიერებამდე მოღწეული გზავნილების გაგების დონე საკმაოდ განსხვავებულია. იგი ჩვენს რეცეპტორულ ორგანოებზეა დამოკიდებული. გრძნობის ისეთი ორგანოები, როგორიცაა ყნოსვა, გემო ჩვენს ცნობიერებაში ახლო მდებარე საგნებს “ეწებება“. ჩვენ გვეჩვენება, რომ ჩვენ მიერ საგნის შემცნება ჩვენს შეგრძნებას ემთხვევა. შეხება უნივერსალური არ არის, ის ბრმა და ნაკლებად არჩევითი, თუმცა კი პოლივალენტურია. ფორმა, წონა, სიმტკიცე, ტექსტურა - შეგრძნებათა მთელი ეს არსენალი შეხებიდან მომდინარეობს. რაც შეეხება გემოს ხარისხის შეფასებას, უნდა ითქვას, რომ გემოს ორიგინალური ვარიანტები ძალზე შორსაა ჩვენი შედარების შესაძლებლობიდან, ამიტომაც მათ ცნობად ნორმებთან დაკავშირება არც ისე იოლია. ამ ვითარებამ

აიძულა ადამიანი გემოს ყველა თვისება უხეშად მიეკუთვნებინა ოთხი ჯგუფისთვის: მწარე, მუავე, მლაშე, ტკბილი. აღმოსავლეთმა ამას ცხარეც დაამატა.

სუნმა, ზოგადად ცხოველურ სამყაროსთან შედარებით, იმ უსუსური პრიმიტივების ადგილი გაგიმზადა, რომლებსაც შეუძლიათ განასხვავონ კეთილსურნელება და სიმყრალე, ანუ სასიამოვნო და საზიზდარი. ყნოსვის სფეროში უსუსურობის კომპენსაციის სახით ბუნებამ ადამიანი ორი უფრო ინტელექტუალური გრძნობით - სმენითა და მხედველობით დააჯილდოვა, რომლებიც საკმაოდ დიდ მანძილებზე გვამცნობს ინფორმაციის წყაროს შესახებ. ჩვენს თვალს შეუძლია ჩვიდმეტი კილომეტრის მანძილზე დაინახოს ანთებული სანთლის შუქი, მაგრამ ეს უნარი მის ბუნებაზე დარწმუნებით ლაპარაკის უფლებას არ გვაძლევს. ასევეა სმენაც, იგი ათი, საუკეთესო შემთხვევაში კი თერთმეტი ოქტავით შემოიფარგლება. სენსორული უჯრედებით მიღებული ჩვენამდე მოღწეული ყველა გზავნილი მრავალ ნერვულ ცენტრს გამოივლის, ტვინი, ჰიპოფიზი, ჰიპოთალამუსი მათ მამოძრავებელ ორგანოებს გადასცემენ და მხოლოდ სენსორულ კომუნიკაციებზე გამავალი ეს რთული გზა აძლევს ადამიანს საშუალებას ნებაყოფლობითი ან იძულებითი საქციელი ჩაიდინოს. “ადამიანში არაფერია ისეთი, რაც ადრე გრძნობებში არ იმყოფებოდა“ - ლეიბნიცის ამ ცნობილ სქოლასტიკურ გამონათქვამს შეიძლება მხოლოდ პლინიუსის აზრი დაემატოს: “ჩვენ ჩვენი ტვინის დახმარებით ვხედავთ“.

თანამედროვე ფსიქოლოგია “პროექციას“ უწოდებს იმ ინტერპრეტაციას, რომელსაც ჩვენი ინტელექტი ყოველი ნიშნის აღმოჩენისას სხვებს შორის ირჩევს; ამ არჩევანის გარეშე ის ჩვენთვის გაუგებარი დარჩებოდა.

...თუმცა, მგონი, იმისათვის, რათა ამგვარი ოპერაცია ვაღიაროთ, ტერმინი “სიურიმპრესია“ (რომელიც კინომ ჩვენთვის ჩვეულად აქცია), ალბათ, უფრო ზუსტი იქნება, ვიდრე “პროექცია“. სწორედ “სიურიმპრესია“ გვაძლევს გამოსახულის თამაშში ჩართვის საშუალებას. ამრიგად, თუ მოვლენები მასში რაიმე მოგონებებს არ იწვევს, ადამიანს არ ძალუმს რაიმე გაიგოს, რაღაც რომ მიიღო, ეს რაღაც მეხსიერებაში დაცულ პრეცედენტს უნდა შეეფარდებოდეს. ჯერ კიდევ პლატონი ამბობდა: “ჩვენი ცოდნა დამოკიდებულია რემინესცენციებზე (ბუნდოვანი მოგონება, მოვლენა, რომელიც რაღაცასთან შედარებას გაიძულებს).“ (Бенуас, 2006, გვ. 11).

“სიტყვა “ტკივილი” მხოლოდ იმ მომენტში იძენს რაღაც მნიშვნელობას, როდესაც გვახსენებს შეგრძნებას, რომელიც ადრე უკვე გამოვცადეთ“ - ეს დიდროს ცნობილი სიტყვებია.

“ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავთ, რაც ჩვენთვის ნაცნობია“, - მიაჩნდა გოეთეს. “ჩვენ ვერ დავუშვებთ რაიმეს არსებობას, თუ მას აზრს ვერ მივცემთ“, - ამბობდა კასირერი. (Бенуас, 2006, გვ. 11)

“ყოველი შეგრძნება ასევე იწვევს ცნობიერების ზედაპირზე უკვე განცდილი შთაბეჭდილების შესაბამისი დავიწყებული აზრობრივი სქემის, ნიშნის გაჩენას, ანუ როგორც გომბრიხი აღნიშნავდა, “გზავნილის გაშიფრვა მის “სიმბოლურ ფორმაში“ შეღწევას ნიშნავს“ (Бенуас, 2006).

სიმბოლო, ნიშანი, პირველყოფილი ადამიანის დაკვირვება საფრთხეზე, ემოციის გამომხატველი ჟესტი, ყვირილი - ყველა ეს ქმედება რამდენიმე მილიონი წლის წინათ წინ უსწრებდა სიტყვას. სიტყვა ჩვენი სრულყოფის ჟესტის მომდევნო ეტაპია, ისიც პირით შემოფარგლული.

ძველი ადამიანის “ბოდილენგვიჯი“ სრული მკერდით ჩასუნთქვისას ხორციელდებოდა და როგორც ერთხელ რილკემ აღნიშნა - სუნთქვის პირველი ფაზა სხვა არაფერია, თუ არა რიტმის აკვანი. ჩვენი დაბადება, პირველი ყვირილი, მომდევნო გამეორებათა საშუალებით რიტმის წარმომქმნელი პირველი მოქმედებაა, ხოლო როგორც იოგები ირწმუნებიან, რიტმი მხოლოდ და მხოლოდ განვლილი პერიოდულობაა.

ჟესტი - სიგნალი, პლუს რიტმი წარმოადგენენ კლასიკური მეთოდის საფუძველს როგორც სამსახიობო ოსტატობაში, ასევე ორატორულ ხელოვნებაში, ვინაიდან ჟესტები მხოლოდ ელემენტარულ გრძნობებს კი არ გადმოსცემენ, ისინი უფრო ზოგადი და არსებითი ცნებების მატარებლები იყვნენ და ასეთებად რჩებიან.

ადამიანის პირველი ხელსაწყო მის კომუნიკაციაში იყო სხეული, უპირატესად კი – ხელი, “ხელსაწყოთა ხელსაწყო“ არისტოტელეს თანახმად:

ნათქვამის შინაარსი უფრო იმიტომ არის გასაგები, რომ ხელი მთელი ადამიანის გაგრძელებაა, შემთხვევითი როდია, რომ ტვინის ერთი მესამედი ბუნების მიერ მისი მომსახურებისთვის არის განკუთვნილი.

მაინც რა კავშირი აქვს რიტმსა და ჟესტს ჩვენს საძიებელ საგანთან - სიმბოლოსთან თანამედროვე კომუნიკაციურ სივრცეში? სწორედ ამის დადგენას შეგვეცდებით.

მაგრამ მანამდე უნდა აღვნიშნოთ: ნებისმიერი საგნის შესწავლა ორგვარად შეიძლება - გარეგნული მხრიდან, ანუ როგორც ცვლადი ნიშნებისა და მოვლენების ხილული ემპირიული ჯაჭვი და მას “უხილავი” შინაგანი მხრიდან, ანუ როგორც სისტემური კავშირებით განპირობებული პროცესი, სადაც მხედველობაში მიიღება ისტორიული რეალობაც და მსოფლმხედველობითი არსიც, რაც მხოლოდ სიმბოლოს ბუნებას კი არ ეხება, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დღევანდელ სივრცესაც.

ბენუასს საყოველთაოდ მიღებულ შეცდომად მიაჩნია ის, რომ ცნება “სიმბოლო” მხოლოდ მაღალი პოეზიისა და ხელოვნების რჩეული მცოდნეებისთვის არის მისაწვდომი. სინამდვილეში ადამიანები გამუდმებით იყენებენ სიმბოლურ ენას, რადგან ვერბალურ და არავერბალურ ურთიერთობას საფუძვლად სიმბოლო უმევს. პირველ შემთხვევაში ეს სიტყვაა, მეორეში - მიმიკა და ჟესტი. ჯერ კიდევ არსიტოტელემ შენიშნა “სიტყვა “ძალლი“ არ იქმინება, სიმბოლურად მხოლოდ მისი კბენასთან იდენტიფიცირება ხდებათ. თუ ცნებების გადატანა არ ხდება, ასეთ შემთხვევაში არისტოტელეს ვარაუდით არც თავად სიმბოლო არსებობს.

ბერძნული სიტყვა “symbollein“ ერთად შექვრას ნიშნავს. თავიდან ის ტოლობის ნიშანზე მიუთითებდა. მაინც როგორ შეიძლებოდა ცნობა მომხდარიყო? ამასთან დაკავშირებით ყველა მკვლევარს ერთადერთი მაგალითი მოჰყავს უმნიშვნელო ვარიაციებით. მთავარი აზრი ორ ნახევრად გაყოფილ საგანში მდგომარეობს, ეს შეიძლებოდა თიხის და ხის ფირფიტაც ყოფილიყო და სხვა საგნებიც, რომლებიც თანამედროვე პაზლების მსგავსად, თითოეული ნაწილის შეერთებისას საგნის ერთ მთლიანობას ქმნიდნენ და მხოლოდ ასე შეეძლოთ ადამიანებს ერთმანეთში ძმის შეცნობა, ეს დამთხვევა ნახევრების მფლობელებს ახალი ვითარებებიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევდა. პირველყოფილი ეპოქის პაროლი ნახევრის თითოეულ მფლობელს მიუთითებდა, რომ მის წინაშე “უცხო“ კი არ იდგა, არამედ თავისიანი ადამიანი, რომელიც მასთან საერთო საიდუმლოს ნაწილს ფლობდა. და მაშინ სიმბოლო, ანუ პატარა ხიდის ორი გაყოფილი ნაწილი, ხიდის

ორი ელემენტი შეერთებისას კავშირს, კომუნიკაციას ამყარებდათ, - ვიზუალით ჩვენ დღეს.

სიმბოლო ოოგორც ხიდი, ოოგორც ნორმალური კომუნიკაცია აერთიანებს წინააღმდეგობებს და ამცირებს უთანხმოების სიმწვავეს, კონფლიქტის გადაუჭრელობას. სიმბოლოს მონაწილეობის გარეშე ადამიანი უძლურია რაიმე გადაწყვიტოს, სიმბოლოზეა დამოკიდებული ლოგიკა, ის ლოგიკა, რომელიც წონასწორობისკენ მოგვიწოდებს.

სიმბოლური ენის ლოგიკური მიზეზების უმარტივესი კონსტატაციის გვერდის ავლით, ვაცდებით თვალი გავადევნოთ სიმბოლოს ნიშნების ევოლუციის პროცესს მათი გაჩენის მომენტიდან, რომელიმე შორეული მეტამორფოზის გაჩენამდე, განსაკუთრებით რიტუალებისა და მითების სფეროში და ვაჩვენოთ მათი ფუნქციონალური კავშირი.

მითები საფუძვლის, პირველმიზეზის ხატოვანი ენაა. ფროიდი მათ კომპლექსებს უწოდებდა, იუნგი - არქეტიპებს, ხოლო პლატონი - აზრს, იდეას. მითები ზნე-ჩვეულებების დადგენის საწყისს, მომხდარის ლოგიკას, შემთხვევის სტრუქტურას ხსნის. გოეთეს თქმით, ისინი ცხოვრების უცვლელ ურთიერთობებს შეადგენენ.

ექსპერიმენტის დონეზე უფლებას მივცემთ საკუთარ თავს, არ დავიჯეროთ ის, რომ “ადამიანი ოდესმე ახერხებს იმაზე უკეთესად გამოხატოს თავისი ფიქრები, ვიდრე მაშინ, როდესაც ჟესტს დაიხმარს“.

“ყოველი შეგრძნება ასევე იწვევს ცნობიერების ზედაპირზე დავიწყებული აზრობრივი სქემის, უკვე განცდილი შთაბეჭდილების შესაბამისი ნიშნის გაჩენას. ხოლო ეს საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ასეთი ნიშნის კლასიფიცირება და მაშასადამე, ვიცნოთ, ანუ მივიღოთ იგი“ (Бенуас, 2006, გვ. 11).. “გზავნილის გაშიფვრა მის სიმბოლურ ფორმაში შეღწევას ნიშნავს“, - ამბობდა გომბრიხი.

მაგრამ, ვუბრუნდებით რა სიმბოლოს წარმოშობის სათავეებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმბოლო მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პრეობრატივაა. მის მიერ მოთხოვნადი, იგი ადამიანის მიერ არის შექმნილი და მის მიერ მუდმივად მოთხოვნადია.

განუჭვრებელ გარემოში გადარჩენის პროცესში საფრთხის შემსედვარე ადამიანი გულგრილი ვერ დარჩებოდა ყოველივე იმის მიმართ, რაც მას აშინებდა ან ახარებდა, ამიტომაც ყველა გამოწვევაზე ის შესაბამისი რეაქციით პასუხობდა -

მოწონებით, შედავებით, რაც, ბუნებრივია, რეფლექსური მოძრაობის ფორმას, პირველ რიგში კი უსტის ან უვირილის ფორმას იძენდა. უსტი და უვირილი აფორმებდა მის პირველ ადამიანურ რეაქციებს, გამოხატავდა ემოციებს, უმთავრესად - შიშისას ან სურვილისას, და უკვე შემდეგ - ზიზღის, ცნობისმოყვარეობის, გაკვირვებისა და აღტაცების ემოციებს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ უსტი ცხოვრებასთან ერთად თანაარსებობს და რამდენიმე მილიონი წლით უსწრებს წინ სიტყვას. სწორედ უსტები გახდა პირველი ნიშანი ახლობლებისთვის. პირველყოფილი ადამიანები გახდნენ პირველი რეციპიენტები და ინდუქტორები, რომელთაც შეეძლოთ არა მარტო მიედოთ უსტი - შეტყობინებიდან გამომდინარე ინფორმაცია, არამედ გზავნილის უსტითაც ეპასუხათ. მაგრამ ამგვარ შეტყობინებათა გადაცემა პრივილეგირებული გარემოცვის წრით შემოიფარგლებოდა და მათი გაგება მხოლოდ ერთი რასისა და გვარის წარმომადგენლებს შეეძლოთ. უსტ-გზავნილებს მათ მიმდებში იდენტური ემოციები უნდა გამოეწვია, ვინაიდან სინამდვილეში ადამიანებს მხოლოდ ის ესმოდათ, რისი გამეორებაც თავად შეეძლოთ, რადგან ნიშნები ავსებდა იმ ხახადაღებულ უფსკრულს, რომელიც ათვისების უნარსა და გონებას შორის არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ უსტი - გზავნილი შესაძლო ცოდნის ობიექტი ხდებოდა, ხოლო უვირილი - სუნთქვითი რიტმის მესამე ტაქტი, რომელსაც ბუნებრივად უძღვის წინ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, ანუ რიტმი. უვირილი ადამიანის პირველი ქმედებაა მის დაწყებულ ცხოვრებაში, სწორედ ქმედებაა ზმნაში გამოხატული საქციელი. გოეთემ თქვა “თავდაპირველად იყო მოქმედება“. პანს ფონ ბიულოვმა კი - “თავდაპირველად იყო რიტმიო“, ვინაიდან ნებისმიერი უსტი და ნებისმიერი დასაწყისი, არიტმული მოძრაობა გამეორებების საშუალებით იქმნება.

ცნობილია, რომ ნებისმიერი აზრის გამოხატვა რეფლექსით იწყება. თავის მხრივ, ემოცია მოძრაობის წყაროა, ის ახორციელებს ფიზიკურისა და ფსიქიკურის კავშირს. ყოველმა ცოცხალმა არსებამ მემკვიდრეობით მიიღო უსტების კომპლექსი და ეს უსტები მარტო ჩვენს გრძნობებს კი არ გადმოსცემენ, არამედ წინაპრებისგან მიღებული გამოცდილების, ცოდნისა და ნიშნების მთელ სიმდიდრესაც. როდესაც პროტაგორმა საჯაროდ გამოაცხადა აქსიომა “ადამიანი უვალაფრის საზომიაო“, ამ სიტყვებში ანთროპომორფიზმის სიმართლის უდიდესი აზრი იდო, ვინაიდან ჩვენი სხეული მოქმედია, უფრო ზუსტად კი მისი

მორფოლოგია: იდაუვი, ნაბიჯი, ამოსუნთქვა და უმთავრესად, ხელი განზომილების პირველი ერთეულები გახდა. წყრთა, მტკაველი, არშინი, დიუმი, ნაბიჯი - ის არის რითიც დრო იზომება, ვინაიდან იგი სუნთქვის რიტმს ექვემდებარება.

კვლავ გავიხსენოთ, რომ არისტოტელემ ხელს ყველა “ხელსაწყოს ხელსაწყო” უწოდა, იგი სხეულის გაგრძელებაც არის, მისი პოლივალენტური ხელსაწყოც, საგნების მწარმოებელიც და ჩვენი ინტერესების სფეროში ნიშნების მთავარი ოპერატორიც.

ნიშანი ლათინურად არის “Signum“, ზოგიერთ ენაში “signum“-იდან არის ნაწარმოები ზმნები “დაჭრა“, “დახერხვა“. მისი თავდაპირველი სემანტიკა იმის ცნებიდან მომდინარეობს, რაც სის ქერქზე ხელით იყო ამოჭრილი, გამოჭრილი და შემთხვევით არ არის, რომ ყველაფერი, რასაც კი ადამიანი შეეხება, მისი თითების ანაბეჭდს ატარებს, ამასთან ძალზე ინდივიდუალურად. ყველა გრძნობასთან თანაფარდობაში მყოფი ხელი, რომელიც შეხების გრძნობას ტვინს გადასცემს, აზრებისა და ტვინის ნებას ასრულებს. თავდაპირველად გაჩენილი სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ ჟესტის დანამატი იყო. მერე კი მან ჟესტი თითქოსდა გამოდევნა მოწინავე პოზიციებიდან. ერთი მხრივ მან დაზოგა ეფექტური ჟესტების არსენალი, მეორე მხრივ კი მოიპოვა უპირატესობა გაგებული ყოფილიყო თანამოსაუბრის მიერ, რომელიც მოცემულ მომენტში მისი თვალთახედვის არეში არ იმყოფებოდა. ცხადია, ჩვენ მიერ აღნიშნული მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის სიმბოლურ მექანიზმად უნდა იქნეს აღქმული.

ხელების საშუალებით შეძენილი მეტაფორები მათი ენის სიმდიდრის, განსაკუთრებით სიმბოლოების ენის მდიდარი მარაგის წყალობით, თანამედროვე ადამიანს საშუალებას აძლევს საკუთარი გრძნობები გარეგანი ხატ-სახეების დახმარებით გამოხატოს, მაგალითად, ილაპარაკოს ფერწერული ტილოს თბილ ფერებზე, ყვავილების ტკბილ სურნელზე, გაწბილების მწარე გრძნობებზე, დარდზე, სიყვარულის სიტყვებსა და მკვდარ სეზონზე სამუშაოზე. შესაძლოა ზოგჯერ ამგარმა შედარებებმა აბსურდულ მომენტებამდე მიგვიყვანოს, მაგრამ სიმბოლურად ისინი სავსებით გამართლებულია. სიმბოლოების ენის შესახებ საუბრისას საეციალისტებს არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ რაც უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველია სიტყვა, ფორმათა მით უფრო მეტ მსგავსებას იწვევს იგი მეხსიერებაში, რაც თავისთავად საკმაოდ ფასეულია.

ლუკ ბენუასი ფრანგულ და ლათინურ ზმნებს ოცდათექვსმეტ ჯგუფად ყოფს, თითოეული ჯგუფი მისი ვარაუდით, ოცდათექვსმეტ ჟესტს შეესაბამება. სიუჟეტების ასეთივე რაოდენობას ითვლის პოლტის ცნობილი ნუსხა, ამასთან თანამედროვე ურნალისტიკის ახალი გამოკვლევები უურადღებას მიაპყრობენ თანამედროვე მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში სიუჟეტების ერთგვაროვნობას, განმეორადობას. ამის შესახებ საუბარი ქვემოთ, ჩვენი გამოკვლევის შესაბამის თავში გვექნება.

ჟესტიდან სიმბოლოზე, სმენის ორგანოებისადმი მიმართული სიმბოლური ენის გენეზისზე გადასვლისას ბენუასი აღნიშნავს, თუ რაოდენ პოპულარული, რაოდენ მდიდარია მომთაბარე ხალხთა ენები მოძრაობების გამოხატვით, რაც შეეხება ბინადარ ხალხებს, მიწათმოქმედებს და ქალაქების მშენებლებს, ისინი ბუნებრივად ამჟავებდნენ მცენარეული სამყაროს და მინერალების სამყაროს სიმდიდრეს, ამასთან სარგებლობდნენ ფიქსირებული ნიშნების ენით, რომელიც ეგზავნებოდა მხედველობას, დამწერლობას, არქიტექტურას, ქანდაკების ხელოვნებას. ამრიგად, ბენუასის კონცეფციის თანახმად უნდა დავასკვნათ, რომ “მომთაბარე ხალხები სივრცეში ხეტიალისას დროის რიტმებზე დაფუძნებულ პოეზიასა და მუსიკას ქმნიდნენ. რაც შეეხება ადგილზე დამკვიდრებულ ბინადარ ხალხებს, ისინი ქმნიდნენ ქანდაკების ხელოვნებისა და არქიტექტურის შედევრებს, სადაც ბევრი რამ რიცხვებსა და გეომეტრიაზე იყო დამოკიდებული.

ჩვენ მიერ სამყაროს შეცნობა ოდითგანვე ქვეყნიერებასთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან პომო საპიენსის (გონიერი ადამიანის) ჩამოყალიბების ისტორია მხოლოდ მისი შრომითი საქმიანობის ისტორია კი არაა, არამედ ზეცის შესახებ გამოყენებული აზროვნების ისტორიაცაა.

თვითგამოხატვისთვის ჩვენი შორეული წინაპრები ჟესტების ნიშნებს მიმართავდნენ, რომლებიც დღესაც გამოიყენება, მაგალითად, ინდური “მუდრები”, მოცეკვავეთა ხელებით შექმნილი მიმიკური ჟესტები აზრის უნატიფეს ნიუანსებს გადმოსცემენ. ეგვიპტესა და ჩინეთში უარყოფის ჟესტი პორიზონტალურად გაშლილი ხელებით გამოიხატებოდა. იაპონიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობაში თავაზიანობის არავერბალური (არამეტყველებითი) საშუალების დრმა ცოდნას. არსებობს ლინგვა-მხარეთმცოდნეობის ლექსიკონები, იაპონელთა ურთიერთობაში ჟესტებისა და მიმიკის ცნობარები, რომლებიც ჟესტების

სპეციალური მაჩვენებლებით არის აღჭურვილი. ეს სპეციალური ლიტერატურა უცხოელების იაპონელებთან და მათ ქვეყანასთან ურთიერთობის გასააღვილებლად არის განკუთვნილი. (Тумаркин, 2000, გვ. 5). ესეტების იმპულსურობა სამსახიობო ოსტატობისა და ორატორული ხელოვნების კლასიკური მეთოდით გადმოიცემა. აქ ესეტი წინ უნდა უსწრებდეს სიტყვას და ერთგვარად უნდა სცვლიდეს მას. ამრიგად, მარტივი, არსეს მოკლებული აზრის გადმოცემა მოძრაობის რეფლექსიდან იწყება. ბავშვები სამი წლის ასაკში უსეტების მეშვეობით შეუძლია აუხსნას ფსიქოლოგს ვინ იქნება იგი თავისი ხასიათის, უნარის მიხედვით: მასწავლებელი თუ მოსწავლე უსეტი განმეორების გზით ჭეშმარიტ სასწავლო ნიშნად, მცნების შეტყობინებად, სულ მალე კი აზრის შთაგონებად გადაიქცევა რამეთუ უსეტის წარმომავლობაში არსებობს ჩვეულების ფორმირების, მოვლენის გაგების და, რაც მთავარია, სიმბოლოს ჩასახვის საოცარი ანალოგია.

მეცნიერება უსეტს განსაზღვრავს როგორც უძველესი სტაბილური საქმიანობის გადმონაშთს, ერთადერთ თავისუფალ და შემოქმედებით ელემენტს. უსეტის სემიოტიკა, საუკეთესო საიდუმლო, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი წინაპრების უსეტების გამეორება. სიმბოლური ენის ევოლუცია პირველყოფილი ადამიანის უსეტიდან ნიშანზე, სიმბოლოზე, რთულ მითოლოგიურ სტრუქტურებსა და ბოლოს, სიმბოლური მსოფლადქმის თანამედროვე დონეზე გადადიოდა.

ადამიანი “ორმხრივი” არსებაა, მისი სიარული, რიტუალი ბალანსირება სამყაროს ორ საპირისპირო, თუმცა კი ერთმანეთის შემავსებელ ნახევრად ჰყოფს, რაზეც მოწმობს ჩვენი თავის ტვინის იდუმალი ასიმეტრია როგორც ანატომიური, ისე ფუნქციური თვალსაზრისით. ცნობილია, რომ თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო “სალაპარაკო“ ზონაზეა პასუხისმგებელი, მარჯვენა კი ნიშნების, ხატ-სახეებისა და ბგერების მეშვეობით აზრის უტყვ მოქმედებას ხელმძღვანელობს. ეს პოლარიზაცია ცხოველთა სამყაროს გაჩენამდე ბევრად ადრე იშვა, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალ უჯრედში გამოვლინდა. ჯერ კიდევ პასტერი მიუთითებდა იმაზე, რომ პირველყოფილი ასიმეტრიის გარეშე სიცოცხლე არ იქნებოდა, ვინაიდან მისი გაჩენის პირობები ორი საპირისპირო ძალის წონასწორობაშია.

ჩვენ მიერ სამყაროს შეცნობა იმ კვლევების გზით მიმდინარეობდა, ჩვენი გრძნობის ორგანოები რომ ახორციელებდნენ სამყაროში, ცდილობდნენ რა მასთან გაიგივებას. ეს ანალოგია, რომელსაც ძველი ტრადიციები მიკროკოსმოსსა და

მაკროკოსმოსს შორის მდებარე სფეროს მიაკუთვნებდნენ, ენის იდეოგრაფიული, ხატოვანი, სიმბოლური ენის ნამდვილ გასაღებს წარმოადგენს (Библер, 1991).

ნებისმიერ სიმბოლოს ორი ურთიერთსაპირისპირო ინტერპრეტაცია მაინც გააჩნია. ეს ამბივალენტურობა ლექსიკონების კვლევის დროსაც კი შეიმჩნევა. მაგალითად, ქართულ ენაში სიტყვას “ალალი” ქორის მნიშვნელობაც აქვს და გულწრფელისაც, ებრაული “shet” გველსაც ნიშნავს და - საძირკველსა და ნანგრევებსაც, რაც მოძველებული ჰერმეტიზმის ორივე აზრს ადასტურებს, ლათინური სიტყვა “altus” “მაღლა”-საც ნიშნავს და “ღრმასაც”. ამბივალენტურობის ეს უკანასკნელი ფორმა მიუთითებს საპირისპირო მიმართულებებზე “- მაღლა” და “დაბლა” - როგორც სხვადასხვა თივსებებზე, როგორც მემკვიდრეობით კომპლექსებზე, რომელიც გვაიძულებს სხვადასხვა ღირებულება მივანიჭოთ მარცხენა და მარჯვენა მხარეებს, აგრეთვე იმას, რაც ზევით და ქვევითაა, ამრიგად ჩვენ კუთვნილს მივაგებთ ძველ შეხედულებებს სიმბოლოზე, სადაც მითითებული იყო, რომ თითოეული სიმბოლო ინახავს არა მარტო ჩვენთვის აქტუალურ ჭეშმარიტებას, რომლის წვდომაც საკუთარი შესაძლებლობების, მისწრაფებებისა და სულიერი ძიებების მიხედვით ძალგვიძებების ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, სიმბოლო იცავდა იმ დიადი სიბრძნის იდუმალ, სანუკვარ ნაწილს, რომელიც ჩვენთვის მარადიულ საიდუმლოდ რჩება, ვინაიდან ნაცხობი და ხელმისაწვდომი რომ ხდება, ის ნაწილობრივ კვდება. მოქმედ სიმბოლოს ხელშეუხებლობის თვისება უნდა გააჩნდეს, ის წვდომისგან, შეცნობისგან შორს უნდა იყოს, რათა კრიტიკულ ინტელექტს მის ნამდვილ დაშლასთან, ხრწნასთან მისასვლელი არანაირი გზა არ ჰქონდეს. სიმბოლოს მრავალმნიშვნელობა, მისი ამბივალენტურობა მდიდარი აღნიშვნითაა შინაარსიანი და საიდუმლოს მცველის ყოველი შეხვედრისას მასთან, ვისთვისაც ხდება ამ საიდუმლოს დაცვა, ხდება ძლიერი ურთიერთრეაქცია. როგორც უნდა ესმოდეს ადამიანს სიმბოლოს სანუკვარი შინაარსი, სიმბოლოს ყოველთვის შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მასზე და მასწავლებლისა და დამრიგებლის როლი ითამაშოს მის ცხოვრებაში იმ პირობით, რომ ადამიანი გულწრფელად საჭიროებს ამას და გულგრილი არ დარჩება მისდამი. ამრიგად, სიმბოლოს თავისებურება, რაც ყოფიერების სამ დონეზე - კოსმოსში, დედამიწაზე, ადამიანში - ხდება, უნდა განიხილებოდეს როგორც ერთიანი სიცოცხლის

გამოვლინება. ამ სამ განზომილებაში განიხილებოდა „უმნიშვნელოვანესი სიმბოლოები, რომლებიც გაორებულ გრძნობას აღუძრავდნენ ადამიანს: შიშს სამყაროს სიდიადის წინაშე და მეორე მხრივ - მასთან ერთობლიობის მარადიულ წინათგრძნობას. სამყაროში ის თავს უულად არ გრძნობდა, ამიტომაც იყო თავისი ფიქრებით მისკენ მიმართული, გახსნილი სამყაროს მიმართ, რომელსაც თავისთვის მახლობლად შეიგრძნობდა. უძველესი დროის ადამიანი ამ სამ განზომილებაში ხედავდა თავისთვის მთავარ, სივრცის გონიერების გრძნობას, რომელიც ქაოსს დაუპირისპირდა, რამაც შემდგომში იმის ძალა მისცა, რომ გელური ბუნების სამყაროს გამიჯვნოდა და თავისი კულტურული სივრცე შეექმნა, რომლის მოწყობაც თუ სიმბოლურ საწყისს არ მიმართავდა, შეუძლებელი იქნებოდა.

## §2 ისტორიული და ფილოსოფიური სიმბოლოები

სიმბოლოს წარმოშობის გენეზისის ისტორიული მიმოხილვა მისი შემდგომი გამოკვლევის, მისი მხარეებისა და კომპონენტების განსხვავების სინატიფის წარმოსაჩენად გადავწყვიტეთ. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ძნელია ნებისმიერი მოძღვრების ისტორია მისი განვითარების მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვიდგინოთ იმ პირობითაც კი, თუ „სიმბოლოები დროის ანაბეჭდს ატარებენ თავის თავში, გამოდიან რა სხვადასხვა ისტორიული პერიოდების დამაკავშირებლის როლში“ - (Поченцов, 2001, ст. 13). სიმბოლოს არსი მეტად მრავალფეროვანია, მისი წვდომა, გაგება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ რიგ დისციპლინებს მივმართავთ. სიმბოლო თავის თავში ბუნებრივ და სულიერ საწყისს ითავსებს, ალბათ, სწორედ ამაში ვლინდება ფენომენისა და ნოუმენის (მგრძნობელობისა და სულიერების) „განუყოფელი მთლიანობა“.

სიმბოლოს ისტორია კიდევ იმიტომაც არის ჩვენთვის საინტერესო, რომ სიმბოლოს ასეთად განხილვა მხოლოდ ურთიერთობის პრიზმაში შეიძლება, ვინაიდან თავად „ნიშნებით გაშუალებული ურთიერთობაც სულ უფრო მეტად კრისტალიზდება ამა თუ იმ საკომუნიკაციო-შემეცნებითი ამოცანების მქონე დამოუკიდებელ საქმიანობად. შესაბამისად, მასთან დაკავშირებული სოციალურ-პრაქტიკული პრობლემატიკაც სულ უფრო აქტუალური ხდება... წინასწარვე აღქმასა

და ინტერპრეტაციაზე ანუ კომუნიკაციურ-შემეცნებით საქმიანობაში განსაზღვრულ ადგილზე ორიენტირებული ნიშნები, სიმბოლოები, ნიშნური და სიმბოლური სისტემები უწინარეს ყოვლისა ისე განიხილება, როგორც ურთიერთობის მიზნებისთვის და ურთიერთობის სიტუაციაში წარმოქმნილები“ (Дридзе, 1980, გვ. 11).

კომუნიკაციურ სისტემაში სიმბოლოს ადგილის ამ განსაზღვრებით ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ მისი ისტორია, რომელიც უძველეს დროში იდებს სათავეს, მარტო ერთ მეცნიერებას არ ეპუთვნის, რადგან ბევრ კატეგორიასთან არის დაკავშირებული. ისტორიულად, და რაც მთავარია, თავისი ბუნებით, სიმბოლო განუყოფელია იმისგან, რასაც ჩვენ “მხატვრულ სახეს“, “ალეგორიას“, “მეტაფორას“, “ნიშანს“, “მითს“, არქეტიპს“, “ემბლემას“, “სახელს“ ვუწოდებთ. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მოხდა სიმბოლოს ზემოთ აღნიშნული მეზობელი მოვლენების აქტუალიზირება. სიმბოლოს პირველ გააზრებულ თეორიებს, რადა თქმა უნდა, ანტიკური ფესვები აქვს, თუმცა ანტიკურ მემკვიდრეობას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. მეცნიერების ისტორიისთვის პარადოქსები და სიურპრიზები უცხო არ არის. ვინაიდან სიმბოლოგიის სფეროში აღმოჩენების მნიშვნელობა გვაინტერესებს, ბუნებრივად გვეჩვენება კითხვა როგორი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა ჩვენი საკვლევი თეორიის პროცესში, რა წვლილი შეიტანა მან ნიშნის, სიმბოლოს და ცნობიერების ცოდნის საერთო მსოფლიო სალაროში?

რა საერთოა ორ სახელს - ფსევდოდიონისესა და თითქმის ჩვენს თანამედროვეს, მერაბ მამარდაშვილს შორის? ორი თვალსაჩინო პიროვნების დამსახურებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ისე, რომ არ შევეხოთ თუნდაც პირველი მათგანის ბიოგრაფიულ მონაცემებს, რთული იქნება, ასევე რთული იქნება საკვლევ თემაში რეტროსპექტული კავშირის მნიშვნელოვანი პარამეტრების გამოყოფა.

ფრაზეოლოგია და სტილისტიკა, სიმბოლური განმარტებების კონტექსტში ნახმარი ყოფითი რეალიები, და ბოლოს პროკლეს ტექსტების პირდაპირი გამოყენების კვალი ძევს ეგრეთ წოდებული “არეოპაგული კორპუსის“ საფუძველში (“Corpus Areopagiticum“, - ასე უწოდებენ მას მეცნიერებაში). ყველა წარმოდგენილი ტექსტი: “საღმრთო სახელთათვის“, “საეკლესიო იერარქიისათვის“, “მისტიკური თეოლოგიისათვის“ და ათი ეპისტოლე მოციქულთა თანამედროვის, I საუკუნის

განათლებული, წარჩინებული ათენელის დიონისე არეოპაგელის სახელით არის დაწერილი. თვით პავლე მოციქულის ქადაგებით გაქრისტიანდა დიონისე.

“ნიშნის თეორია, სიმბოლოს ესთეტიკა, სახელის ფილოსოფია, აგრეთვე კონფესიური იდეოლოგიისგან დამოუკიდებელი შეცნობის მარადიული ამოცანები, უნივერსალურ მოაზროვნეზე მეტყველებდა. მან შეძლო ეჩვენებინა კულტურული ეკოლუციის გზები ანტიკურობის მიწურულს. აკადემიკოს ა.ფ. ლოსევის ფორმულირებით “კორპუსის“ დოქტრინა ქრისტიანული ნეოპლატონიზმის უმაღლესი წერტილია.

ავგუსტინის ქრისტიანული მისტიციზმისგან განსხვავებით (ეკლესია, როგორც “დვთის ქალაქი“ არეოპაგიტიკის ავტორი ეკლესიის სახის საშუალებით ადამიანთა იდეალურ საზოგადოებას ხატავდა. იგი საეკლესიო “საიდუმლოთა“ მკაცრ და მწეობრ განაწესს გვთავაზობდა. ანტიკური წარმართული მისტერიების ლექსიკის დახმარებით აღწერდა მათ როგორც კურთხევებს“, სადაც დრამატიზმი და წინააღმდეგობები საერთოდ არ არსებობს. სიმბოლიზმა ყოველივე არსებულის განმარტებაში ყოვლისმომცველი ზეგავლენა იქონია შუა საუკუნეების მთელ ესთეტიკაზე, მათ შორის - სინათლისა და სიმბოლოს თეორიაზე. პირველი მათგანი სუბერის მიერ იქნა გამოყენებული გოთური ხელოვნების მხატვრულ პრაქტიკაში, მეორე დანტეს პოეზიაში - “სამოთხე (ლოსევ, 1980.). მოძღვრებაზე, რომელმაც ბიზანტიურ მართლმადიდებლობაში აღიარება ჰპოვა, შუა საუკუნეებისა და აღორძინების ბევრმა მოაზროვნემ დაწერა კომენტარი, მათ შორის: თომა აკვინელმა, მ. ფიჩინომ, ნიკოლაი კუზანსკიმ. “არეოპაგიტიკის ზეგავლენა ქრისტიანულ დამწერლობასა და კულტურაზე VI საუკუნიდან მოყოლებული, დღევანდლამდე უმაგალითოდ ფართო იყო. სულიერი ზეგავლენით მას ვერცერთი ლიტერატურული ძეგლი ვერ შეედრება. ცნობილია, რომ დიონისეს, პირველ ათენელ ეპისკოპოსს, რომელიც პირველ საუკუნეში ცხოვრობდა, არანაირი ლიტერატურული ნაწარმოები არ დაუტოვებია.

“პირველად 532 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე წარმოდგენილი ეს ნაწარმოებები ხელმოწერილი იყო პავლე მოციქულის თანამოღვაწისა და ათენის პირველი ეპისკოპოსის დიონისე არეოპაგელის მიერ, რომელიც თითქოსდა პირველ საუკუნეში ცხოვრობდა. ამგვარმა საპატიო ავტორობამ, ისევე როგორც ამ

ნაწარმოებების შინაარსმა, წმინდა შარავანდედით შეამკო ისინი და უდიდესი როლი ითამაშა ქრისტიანული ეკლესიის მიერ მათ შემდგომ კანონიზაციაში. მხოლოდ აღორძინების ეპოქაში ჰუმანისტებმა ლორენცო ვალამ და ერაზმ როტერდამელმა მოცემული ნაწარმოებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დაადგინეს მათი დამოკიდებულობა იდეების ნეოპლატონურ წრეზე, მათ ისიც დაადგინეს, რომ შეუძლებელი იყო მათი ავტორი ყოფილიყო ქრისტიანი მოღვაწე, რომელიც ნეოპლატონიზმის წარმოშობამდე ბევრად ადრე ცხოვრობდა.

“დასავლური ეკლესია ორგვარად ეკიდებოდა ფსევდოდიონისეს ნაწარმოებებს: ერთი მხრივ, ნიკეას მეორე კრების დროიდან (მეშვიდე საუკუნე) მოყოლებული, მან არა მარტო აღიარა არეოპაგიელი მწერლები, არამედ მათი ავტორი “დიდ დიონისედაც“ კი გამოაცხადა და მისდამი ასეთი დამოკიდებულება ოფიციალურად იქნა შენარჩუნებული. იმავდროულად დასავლური ეკლესია როგორც მწვალებლებს, გმობდა თითქმის ყველას, ვისაც რაღაც სახით მაინც ჰქონდა იდეალური კავშირი ფსევდო დიონისესთან.

არსებობს თვალსაზრისი, რომ *Corpus Areopagiticein-ის* ავტორი სირიის სევერიანელ წრეებს ანუ ზომიერ მონოფიზიტებს ეკუთვნოდა. მაგრამ მეოცე საუკუნის შუა სანებში ქართველი მკვლევარი, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, ოდნავ მოგვიანებით კი მისგან დამოუკიდებლად ბელგიელი ბიზანტოლოგი ჰონიგმანი მივიღნენ დრმად არგუმენტირებულ დასკვნამდე, რომ ყველა ამ ნაწარმოების ავტორი იყო ქართველი ფილოსოფოსი პეტრე იბერი (412-488), მეფის ძე მურვანი, რომელიც ახალგაზრდობაში კონსტანტინოპოლიში ფილოფოსიას სწავლობდა (Гоффс, 1970, ст. 606). მეცხრე საუკუნეში საფრანგეთში იშვა ლეგენდა, რომ ის იყო პირველი ეპისკოპოსი და 110 წელს აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით. პირველი ეჭვები დიონისეს ნაწერების უტყუარობის გამო ერაზმ როტერდამელს გაუჩნდა მეთხუთმეტე საუკუნეში, ეჭვების საბაბი კი აშკარა ანაქრონიზმები გახდა.

ავტორის პიროვნებასთან დაკავშირებით შემდეგი ჰიპოთეზები არსებობს. ჯერ ერთი გამოითქვა სახელების იგივეობაზე დაფუძნებული ვარაუდი, რომ დიონისეს სახელის ქვეშ იმაღლება დიონისე ალექსანდრიელი (მესამე საუკუნე). თუმცა სწავლულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს თხზულებები, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, სირიის ზომიერი მონოფიზიტური წრეებიდან მომდინარეობს. გამოითქვა ყველაზე სერიოზული (თუმცა, კი დაუდასტურებელი) პიპოთეზა, რომ *Corpus Areopagiticum*. ეპუთვნის პეტრე იბერის კალამს, რომელიც, როგორც მისი მეტსახელი მეტყველებს, წარმოშობით საქართველოდან იყო, სადაც ფსევდოდიონისეს სახელისადმი ყოველთვის დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენს დროში მისი სახელობის საზოგადოებაც კი არსებობს. ეს ვარაუდი დასტურდება პეტრეს ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის მსგავსებით ფსევდოდიონისეს ბიოგრაფიის ჩვენთვის ცნობილ ფაქტებთან.

ფსევდოდიონისეს (პეტრე იბერის) ფილოსოფიაში სიმბოლო, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით მკაფიოდ უპირისპირდებოდა ალეგორიას. ადგილი ჰქონდა სიმბოლოს გონებითი ფორმებისგან გამოცალკევების გაბედულმცდელობას.

პირველი, ვისთვისაც სინათლე ანალიზის საგანი გახდა, იყო “Areonagum”-ის ავტორი, პეტრე იბერს სინათლე სიკეთედ, სათხოების სახედ მიაჩნდა. სინათლის ცნებით ის ხილულ და უხილავ სულიერ სინათლეს ახასიათებს. ხილული სინათლე ორგანულ სიცოცხლეს უწყობს ხელს, სულიერი კი სულიერ ძალებს აერთიანებს, ჯეშმარიტი ცხოვრებისკენ მიმართავს სულებს. სულიერი სინათლე თავისთავად არ ჩანს, ფოტოდოსის (სინათლის მინიჭების) სხივი სხვადასხვა ხატ-სახის ქვეშ იმალება, მაგრამ სწორედ ის შეადგენს სხვადასხვა სიმბოლოებისა და ხატ-სახეების მთავარ შინაარსს. სინათლე უფრო ზოგად და უფრო სულიერ კატეგორიად წარმოგვიდგება, ვიდრე მშვენიერი. ფსევდო დიონისე განასხვავებდა “სინათლის” ორ სახეობას და მათ ორ წყაროს: მზის “გრძნობით” სინათლეს მატერიალური სამყაროს საგნების დასანახავად და “გონიერ” სინათლეს “წარმოდგენითი რამეების” სახილველად, რომლის წყაროსაც იესო ქრისტე წარმოადგენს. სწორედ ეს “გონიერი სინათლე” ეხმარება მკითხველს წაკითხულის აზრის წვდომაში. პეტრე იბერთან სიმბოლო განზოგადებული ფილოსოფიურ-რელიგიური კატეგორიაა. ის შეიცავს ნიშანს, სახეს, გამოსახულებას, მშვენიერს, რეალური ცხოვრების საგნებს, კულტურული ცხოვრების საგნებს.

სიმბოლოების თეორიაში ფსევდოდიონისე გამოყოფს დინამიკურ და სტატიკურ სიმბოლოებს. დინამიკური სიმბოლოები განიხილება როგორც გრძნობით სამყაროში

მიმდინარე მოქმედებები, მოვლენები, ყველა მისტერიალური ქმედება, საღვთისმსახურო საიდუმლოებანი. (გაბაშვილი, 2007).

სტატისტიკური სიმბოლოები ასახავს მატერიალურ საგნებს, ხელოვნების ნაწარმოებებს, დვთაების სხეულებრივ ატრიბუტებს, რმლებითაც სავსეა ბიბლია. სიმბოლოს დღევანდელი თეორიის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ “დინამიკურ სიმბოლოებში ხდება იმის მაქსიმალური რეალიზება (აქტუალიზირება), რაც აღინიშნება. გამოდის, რომ რაიმე წმინდა (დროის მიღმა არსებული) მოვლენა ზეგრძნობითი ყოფიერებიდან ადამიანის სხეულებრივ-სულიერ სამყაროში გადადის და სწორედ ეს არის ზეგრძნობითი და გრძნობითი არსებობის, მყოფობის კონტექსტი. საკრალური დინამიკური ნიშნები ქრისტეს პირველ სიმბოლოზე, ქრისტეს არქეტიპზე მიუთითებს. თავად ქრისტეში შეუერწყმელად არის ერთმანეთთან შეერთებული აღნიშვნა (სიმბოლო) და ის, რაც აღინიშნება. რაც შეეხება სტატიკურ სიმბოლოებს, ისინი იმავდროულად ფარავენ კიდეც და ამჟღავნებენ კიდეც ჭეშმარიტებას. ისინი სწორედ ამ მიზნისთვის იშვნენ. სიმბოლო ერთი მხრივ გარსია, ის არსეს მალავს, მეორე მხრივ ის შეუცნობადის გამოსახულებაა. სახეზეა წინააღმდეგობა ორ დებულებას შორის, ანუ ის, რასაც მეცნიერებაში ანტინომიურობას უწოდებენ. ის მხოლოდ მისთვის ჩნდება, ვისაც დანახვა შეუძლია. ამრიგად პეტრე იბერთან, ფსევდო დიონისესთან სიმბოლო დვთაებრივი ინფორმაციის მატარებელია, იგი ნიშნურ ფორმაშია დაფარული - სწორედ ეს იყო ხატების კულტის პირველი თეორიული წანამძღვრები. სტატიკურ სიმბოლოებში შეგნებულად არის კოდირებული ინფორმაცია.

მსოფლიოს მეცნიერებაში ფართო აღიარება პპოვა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსისა და მეცნიერის მერაბ მამარდაშვილის ნაშრომებმა. ალექსანდრე პიატიგორსკისთან თანაავტორობით შექმნილი მისი “სიმბოლო და ცნობიერება” მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული არაორდინარული მიღწევაა. ნაშრომის წინასიტყვაობის ავტორის, მამარდაშვილის მოწაფის ლიდია ვორონინას კვალდაკვალ ცხადად შეიძლება გავიმეოროთ: “ამ ტექსტს თითქმის ვერაფერს უზამ. ერთადერთი, რაც რჩება, ვერგაგებაა. და ესეც დამოკიდებულების სახეობაა, ეს ცარიელი ადგილი არ არის“. “სიმბოლოსა და ცნობიერების“ პრობლემური ჟდერადობა მიუთითებს რაღაც უფრო ფუნდამენტურზე, ვიდრე დღევანდელობაა, ეს ისაა, რითიც ძალგვიძს ჩავწერეთ ჩვენი ჩვეული

წარმოდგენებით ცოდნის, სიმბოლოს, ფსიქიკისა და კულტურის თანაფარდობის პრობლემაზე“. მამარდაშვილისა და პიატიგორსკის ნაშრომები სიმბოლოს თეორიის მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვან მრავალ დებულებას შეიცავს. სიმბოლო, ამტკიცებენ ავტორები, კოსმოსისა და ადამიანის მიკროკოსმოსის ურთიერთობათა გარკვეულ ტიპს აფიქსირებს (Мамардашвили и..., 1982), ამიტომაც სიმბოლო ფაქტობრივად უსაგნოა, “სიმბოლოს ნებისმიერი შინაარსიანობა სრულიად ცარიელ გარსად წარმოგვიდგება, რომლის შიგნითაც ხდება მხოლოდ ერთი შინაარსის კონსტიტუირება და სტრუქტურირება, რომელსაც “ცნობიერების შინაარსიანობას“ გუწოდებთ (Мамардашвили и..., 1997).

მამარდაშვილის თვალსაზრისით, არაცნობიერიც, ცნობიერებაა: “ჩვენ ეს ზედმიწევნით ვერ გვეცოდინება, იმიტომ, რომ ცნობიერებას არ გააჩნია „ენა“ თავისთვის, არამედ მას აქვს მხოლოდ ენა ფსიქიკისთვის და ამ ენას სიმბოლოების ენა წარმოადგენს“ (Мамардашвили и..., 1997, ст. 145).

მამარდაშვილის შეხედულებებს რომ განიხილავს და განმარტავს, სოზინა ნაშრომს “სიმბოლო და ცნობიერება“ XX საუკუნის ფილოსოფიურ ლიტერატურაში მოვლენად მიიჩნევს, რომელიც სიმბოლოს თეორიის შესახებ მრავალ მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს.

მამარდაშვილისეული კონცეფციის კომენტირებისას ქართველი მოაზროვნის ფილოსოფიური მემკვიდრეობის მრავალი მკვლევარი და განმმარტებელი სიმბოლოს მისეულ ღრმად მეტაფიზიკურ ონთოლოგიურ განსაზღვრებას უსვამს ხაზს. სიმბოლოს განმარტება, რომელიც მ. მამარდაშვილსა და ა. პიატიგორსკის ეპუთვნის, მოცემული მომენტისთვის ყველაზე სრულყოფილია. მათი კონცეფცია სიმბოლოგიის იმ ხაზს ანზოგადებს, რომელიც პლატონის გავლით მოედინება უძველესი დროიდან დღემდე. შევჩერდეთ მამარდაშვილისა და პიატიგორსკის ნაშრომებში წარმოდგენილ სიმბოლოს თეორიის ზოგიერთ, ძირითად მომენტზე. პირველი ამოცანა, რომელიც ავტორებმა დაისახეს, იყო სიმბოლოს დანახვა ცნობიერებით, რაც სიმბოლოს განმარტების კარდინალურად ახალ მიღომაზე მიუთითებს. სიმბოლო - ცნობიერება ნივთია, ამასთან - უცნაური ნივთი, რომელიც თავისი ერთი ბოლოთი ნივთების სამყაროშია გამოშვერილი, მეორეთი კი ცნობიერების სინამდვილეში იძირება (Давыдова, 2006). “ხოლო ცნობიერება ის

ერთადერთი რამაა, რაც არანივთია“, - ანუ რაც “არის“ და “არის არანივთი“ (Мамардашвили и..., 1997, ст. 26).

ნაწარმოების პირველ ნაწილს ავტორები უძღვნიან მეტათეორიულ შესავალს ცნობიერების შესახებ და მეტაცნობიერებას განიხილავენ როგორც ისეთ შემეცნებით სფეროს, რომელშიც “ისეთ რაიმეს ვრთავთ, რაც თავისთავად ცნობიერებაში არ შედის“, რომელიც გულისხმობს “ცნობიერებასთან მუშაობას“ ან (უფრო მკვეთრად) “ბრძოლის ცნობიერებასთან“ როგორც რადაც სპონტანურთან და თვითმოქმედთან“. (Мамардашвили и..., 1997, ст. 27).

ბევრი მკვლევარის მიერ მამარდაშვილის მეტათეორიები აღიქმება როგორც რადაც განსაკუთრებული განზომილება, რომელშიც მსოფლიო ობიექტები და მოვლენებია აღწერილი.

მეორეც, “ჩემთან“ როგორც ინდივიდუალურ ფსიქიკურ მექანიზმთან მიმართებაში სიმბოლო შეიძლება ერთგვარი სრულიად ავტოცნომიური სახით არსებობდეს.

მესამეც, სიმბოლოების განხილვისას აუცილებელია თავისებური “ეტოლოგიური დონის“ გათვალისწინება, სადაც ყველანაირი სიმბოლო ისე გამოგვეცხადება, როგორც ობიექტების ან მოქმედებების რადაც კომპლექსი, რომელთაგან როგორც სიმბოლური, არც ერთი არ არსებობს ამ კომპლექსის ერთიანობის გარეშე.

“მამარდაშვილი ირწმუნება, რომ სიმბოლო პრინციპულად არაფსიქოლოგიურია, სწორედ ამიტომ არ განვიხილავთ აქ როგორც დასავლეთის (ფროიდი, იუნგი), ისე საბჭოთა კავშირ-რუსეთის მეცნიერებაში არსებულ სიმბოლოს არცერთ ფსიქოლოგიურ თეორიას: როდესაც ფსიქოლოგიურ სტატუსს დებულობს, მამარდაშვილისა და პიატიგორსკის თანახმად ის მეორად სიმბოლოდ ანუ ფსევდოსიმბოლოდ გადაიქცევა, რომელიც ფაქტუალურად არ განსხვავდება ნიშნისგან. მისი ეს არაფსიქოლოგიურობა და არაიდეოლოგიურობა (ხოლო ფსიქოლოგიურობა სოციალურ დონეზე იდეოლოგიურობა იქნება), ავტორების მიერ ფსიქიკასთან მიმართებაში განისაზღვრება როგორც კოგნიტიურობა“ (Созина, 2010).

მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფოსობას “სოკრატესებრს“ უწოდებენ, ვინაიდან მას, ისევე როგორც სოკრატეს, თავის შემდეგ წერილობითი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, გარდა ამისა, ბევრი მისი სამეცნიერო ნაშრომი იდეოლოგიური

მოსაზრებით, გამოქვეყნებული ვერ იქნებოდა. ქართველი ფილოსოფოსის იდეების „გასაშიფრავად“ მომავალი ინტელექტუალური აზრის დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო. ჩვენი კვლევის ჩარჩოებში სიმბოლოს ინტერპრეტაციას ადვილი არ ეთქმის, ვინაიდან აქ მაღალი წინააღმდეგობრიობა ცხადია. „ეს წინააღმდეგობრიობა, როგორც პ. სვასტიანი აღნიშნავს, გასაგები და კანონზომიერი კერძო შემთხვევებში მთლიანობაში დაუკმაყოფილებელი რჩება, სიმბოლო, გააზრებული როგორც კულტურის უნიკალური კატეგორია, თავისი ბუნების კატეგორიულ, მეთოდოლოგიურ გახსნას მოითხოვს“ (Свастъян, 1981). მისი განვითარების ასპექტში აუცილებლად მიგვაჩნია საკვლევი პრობლემა მეცნიერული მცნებებისა და კონცეფციების ცვლის ჩარჩოებში განვიხილოთ, რათა მეცნიერული მიდგომების, ინტერესებისა და ინტერპრეტაციების ნაირგვარობაში თავიდან ავიცილოთ შესაძლო არეულობა.

მერაბ მამარდაშვილს სამართლიანად მიიჩნევენ „გამოცანების, ყოფიერების ჰერმენევტული რებუსების დაშიფვრისა და გაშიფვრის უბადლო ოსტატად“.

ქრისტიანობამ, საიდუმლო რელიგიურმა საზოგადოებებმა სიმბოლოები დაარქვეს ნიშან-პაროლებს, რომლებითაც თანამოაზრები ერთმანეთს სცნობდნენ (მაგალითად, ნიშანი „ოვაზი“), ხოლო საიდუმლო მოძღვრების მოკლე საფუძვლები „რწმენის სიმბოლოებად“ იწოდებოდა.

ბენუასის თქმით სიმბოლო ისევე ძველია, როგორც ადამიანის ცნობიერება. ხოლო რაც შეეხება მის თეორიულ გააზრებას, მისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური გაგება კულტურული განვითარების შედარებით გვიანი ნაყოფი გახდა.

სამეცნიერო ფაქტების ცხადი შემთხვევითობის ელემენტისა და თვითნებური ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად შევცდებით, სიმბოლოგიის ფუნდამენტურ სიახლეზე პრეტენზის გარეშე, ჩვენს გამოკვლევაში გვერდი არ ავსაროთ სიმბოლოს ფილოსოფიური გააზრების შესახებ საყოველთაოდ მიღებული წარმოდგენების სისტემებს, მაგრამ სიმბოლიზმის, მისი თეორიის ჩამოყალიბების ბუნების ასახსნელად სამეცნიერო პრაქტიკის სტანდარტებს მივმართავთ და მისი ეკოლუციის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპებს აღვნიშნავთ.

ანტიკურ ხანას რომ გუბრუნდებით, აღვნიშნავთ, რომ ძველი ბერძნები სიტყვაში „სიმბოლო“ პირთა ჯგუფის განმსაზღვრელ ნებისმიერ ნიშანს

გულისხმობენ. სიმბოლოები ეწოდებოდა სახელმწიფო საზოგადოებრივი გაერთიანებების განმასხვავებელ ნიშნებს. მაინც როდის იშვა ქრისტიანობა?

განვითარების ახალ ფაზაში სიმბოლიზმი ელინიზმის ეპოქაში შევიდა. ეს სიმპტომები შეინიშნება სტოკოს ქრისიპეს გამოკვლევებში ლოგიკის სფეროში. თუმცა ქრისიპესთან სიმბოლო ალეგორიასთან არის არეული, მაგრამ უკვე მუღავნდება როგორც რიტორიკულ-გერმენევტიკული მცნება, რომელიც ფორმის სილამაზესა და აზრის განმარტებას შეიცავს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნეოპლატონიკოსთა ფილოსოფიაში სიმბოლო უკვე ცხადად უპირისპირდება ალეგორიას. მათ პირველებმა სცადეს გონებითი ფორმებისგან გამოეცალკევებინათ სიმბოლო. ანტიკურ კულტურაში ნიშნის გამოკვლევაში შექმნილი ახალი სიტუაცია პლატონის სახელს უკავშირდება. ნიშანი პირველად ნახსენებია მის დიალოგში “კრატილი”, ხოლო არისტოტელესთან ლოგიკის ნაშრომებში ფილოსოფოსთა ეს გამოკვლევები ენამდე, სიტყვის შესახებ აზრებამდეა დაყვანილი. ძველბერძნული ფილოსოფიის გარიურაჟის ეპოქაში სიმბოლო, როგორც კატეგორია ჯერ არ არსებობდა, მას მხოლოდ მახასიათებლები გააჩნდა, როგორც ორი სამყაროს ყოფნის ადგილი და როგორც ალეგორია. ფსევდოდიონისე თავის მთავარ ნაშრომში რაიმეს სიმბოლურად აღწერის აუცილებლობას იმით ასაბუთებს, რომ ლმერთის ზეგრძნობითი ყოფიერება ჩვენი გრძნობითი სულის არათანაზომადია. იამბლიქეს აქვს თხზულება, რომელსაც ასეც ჰქვია - “სიმბოლოების შესახებ“.

სიმბოლოს გამოკვლევებმა ოეოლოგიისა და გერმენევტიკის პოზიციიდან შუა საუკუნეების ქრისტიანობაში პპოვა თავისი ადგილი. ქრისტიანული რწმენის მასობრივად მიღება მოითხოვს, რომ ნებისმიერი თხრობა ლმერთის გრძნობებიდან გამომდინარე შეცნობაზე იყოს დაფუძნებული.

შუა საუკუნეების ადამიანი ახლებურად გაიაზრებს საკუთარ ყოფიერებას და ეს კითარება უკვე მისი რელიგიური სიმბოლიკის გაჩენაზე აისახება. სწორედ ეკლესიის მამებმა დაინახეს სიმბოლოში რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ეს ადრე იყო. მისი არსებითი სიღრმისეული გააზრების შედეგად მათვე დაუდეს სათავე სიმბოლოს სერიოზულ სტრუქტურულ ანალიზს.

სიმბოლოს გამოსახვა ორი ტიპის ნიშნებად დაიყო, ეს არის რეალისტური ნიშანი, რომელიც ხატ-სახეს წარმოადგენდა და შეთანხმებითი, პირობითი ნიშანი, ანუ ის, რასაც ჩვენ დღეს სიმბოლოს ვუწოდებთ. სიმბოლოს ბუნების გასაგებად

მნიშვნელოვნად არის მიჩნეული პავლე მოციქულის გამონათქვამები. ქრისტიანების წინაშე ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იდგა ძველი და ახალი აღთქმის კონტაქტის პრობლემა. პავლე მოციქულმა ზღვარი გაავლო მათ შორის, როგორც ორ სხვადასხვა ნიშანს შორის, მოციქული სიმბოლოს უწოდებდა მომავალ სიკეთეთა ჩრდილების და არა თავად საგნების სახის მქონე კანონს. ეს

მომენტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ უკვე ადრექრისტიანულ პერიოდში გამოისახა სიმბოლოს არსებითი სტრუქტურული შემადგენელი ბუნება. საუბარია აღნიშვნის სისტემის დაყოფაზე “სახედ“ (ტიპოს) და “ჩრდილად“ ანუ სიმბოლოდ. კლიმენტი ალექსანდრიელი სიმბოლოს პრაქტიკულ მხარეზე და მის წაკითხვაზე მიუთითებდა, ამ თპერაციაში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გონების სიმახვილეს, გაწაფულობას. სიმბოლოს ქარაგმულობაში კლიმენტი ალექსანდრიელი სამმაგ მიზანს ხედავდა - მეხსიერების დახმარებას, ენის სიმოკლისა და შეკვეცილობის ხელშეწყობას და რაც მთავარია - გონების გავარჯიშებას ჭეშმარიტების მიგნებაში - აი სიმბოლურ ენაში დაცული აზრის ქარაგმული გამოთქმის ძირითადი მიზანი. საეკლესიო ფერწერა და პირველი საეკლესიო წიგნები. ისეთები, როგორიცაა იოანე ლვისმეტყველის “გამოცხადება“, ელმის “მოძღვარი“ თავისი სიმბოლოებით გამოირჩეოდა.

აღნიშნულ პერიოდში სიმბოლოს ფუნქციური მიმართულობა ახალ და ჩვენი კვლევისთვის მეტად მნიშვნელოვან მოხაზულობას იძენს. სიმბოლო განიხილება როგორც გრძნობითისა და ზეგრძნობითის გამაერთიანებელი ფენომენი და რაც მთავარია, როგორც მოვლენა, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის პროცესს.

შევეხეთ რა სიმბოლოს როლსა და ადგილს შემეცნებაში, მისი თეორიული აზრის განვითარების ეტაპების კვლევისას დავრწმუნდით, რომ სიმბოლოს ჩამოყალიბება პირდაპირ არის დამოკიდებული ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციასთან დაკავშირებული ადამიანის ბუნების ტრანსფორმაციის პროცესებზე.

ავიდოთ მაგალითად, შუა საუკუნეების გეოცენტრიზმი, კოპერნიკამდელი მსოფლიხედველობა, რომლის თანახმადაც დედამიწა სამყაროს ცენტრია, ხოლო ადამიანი - ღმერთის ქმნილება. გეოცენტრიზმი სსნის ადამიანის შინაგანი სამყაროს ფასეულობას, რომელიც იმისათვის, რომ ღმერთი იწამოს, უარს ამბობს საკუთარი თავის რწმენაზე. ჯერ ინდივიდუალიზმად არქცეული თვითჩაღრმავება, ისევე როგორც აღსარება, მხოლოდდა ამწვავებდა შუა საუკუნეების ადამიანის სულიერ

მდგომარეობასა და ცხოვრებას, რადგან თავის თავს რომ მიმართავდა, ის ხედავდა დიდ ცოდვილსა და სათხოების ბიწიერებასთან მარადიულ ბრძოლას.

საკუთარ პიროვნებაში განუმეორებელ პიროვნებას რომ ვერ შეიგრძნობდა, თავის ინდივიდუალურ საწყისს რომ ვერ აფასებდა, შეა საუკუნეების ადამიანმა ზებუნებრივ ძალებთან და აგენტებთან (ღმერთი, სული, ეშმაკი, მაგიური ძალა, ბედი, მსოფლიო ან კოსმიური გონება) უშუალო კონტაქტების ძიება დაიწყო. ასე გაჩნდა მისტიკიზმი, როგორც იმ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული რეაქცია, მაქსიმალურად რომ ანადგურებდა ადამიანში სოციალურ საწყისს, ასკეზს რომ ქადაგებდა.

ობიექტური სოციალური რეალობის, ადამიანის არსებობის სტაბილურობისა და მდგრადობის არსებობას, პიროვნება მიჰყავს წარმოდგენამდე განსაკუთრებული შეგრძნებების, ეგრეთ წოდებულ “მისტიკურ ცდამდე“, რომელიც ილუზორულ-მაკომპენსირებელ ფუნქციას უზრუნველყოფს.

მისტიკოსი ბურუსში მხედველია, მისტიკიზმი - იდუმალი, ფარული. ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობის არსი მის მიერ სამყაროს დუალისტურ ხედვაში გამოიხატებოდა. ანტიკური ხანა პრინციპულად არ უპირისპირებდა არამატერიალურსა და მატერიალურს. ამ ორი მცნების ალტერნატიულობა პირველად სწორედ ქრისტიანობამ შემოიტანა - “ზებუნებრივის, ღმერთის არსებობა სულიერია, მაშინ, როდესაც ბუნების ცხოვრება მატერიალურია. ღმერთსა და ბუნებას შორის გადაულახავი უფსკრულია.

ამიტომაც ზღვარსმიღმური, ღვთაება ყოველთვის გრძნობითი აღქმისთვისაც და გონითი განმარტებისთვისაც მიუწვდომელი რაღაც დიდი საიდუმლოა. აქედან გამომდინარე, მისტიკიზმის პირველი ნიშნის - სამყაროს დუალისტური ხედვის შემდეგ განისაზღვრება მისი მეორე უმნიშვნელოვანესი ნიშანი - ღმერთის უშუალო, ზეგამოცდილი და ზეგონებრივი გაგება. ასე იმყოფებოდა შეა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია იმქვეყნიურ ღვთიურ არსესა და რაციონალიზმის ლოგიკას შორის. გონებისა და მისტიკის სიმბოლზი სიმბოლოსადმი დამოკიდებულებაზეც აისახა. შეა საუკუნეების ესთეტიკაში სიმბოლო ცენტრალური პრობლემა ხდება. ამ პერიოდის სიმბოლიზმი არა მხოლოდ თეოლოგიურ, არამედ ანთოლოგიურ საფუძველსაც იძენს. უკვე ელინიზმიდან მომდინარე შეა საუკუნეების ესთეტიკა ციცერონისა და ნიშნების არისტოტელუსეული თეორიის გავლით ახალი

ავტორების: ბოეთიუსის, ავგუსტინეს, ანსელმის, აბელარის, პეტრე ესპანელის, თომა აკვინელის, სიგერის, როჯერ ბეკონის, ვილიამ ოკამის ნაშრომებში პპოვებს განვითარებას. ყველა გამოკვლევა ერთ რელიგიურ მიზანს ექვემდებარებოდა, კერძოდ - ბიბლიის განმარტებას.

შუა საუკუნეების სქოლასტიკოსი, ანსელმი ამუშავებს “ორი ჭეშმარიტების” კონცეფციას, სადაც ერთი რწმენის სფეროს განეკუთვნება, მეორე კი - შექმნილი საგნების რაციონალურ გონით შემეცნებას. მისი თვალსაზრისი კამათში უნივერსალიების შესახებ ასეთია - *Unoversalia sunt realia*, ანუ იდეები არსებობს (არა საგნებამდე, არამედ მათთან ერთად). ამრიგად ანსელმის ფილოსოფიურ თეოლოგიაში სიმბოლიზმი მედავნდება მცდელობაში შეარიგოს რწმენა და გონება, ღმერთი და არსთა სამყარო, პლატონიზმი და ქრისტიანობა. სიტყვა იმავდროულად არის სული. ცნობილი ფილოსოფოსი, მედიევისტი ლევ კარსავინი მიიჩნევდა, რომ მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებმაც კულტურისა და ფილოსოფიური აზრის განვითარებას მიუძღვნეს თავი, მაგრამ შთამომავლობისთვის საკუთარი სახელები არ დაუტოვებიათ, რადგან მათთვის პიროვნება სხვა არაფერი იყო, თუ არა ოჯახის, გვარის, კაცობრიობის სიმბოლო. ეს ის დრო იყო, როდესაც სიმბოლიზმი განსაკუთრებულ განვითარებას პპოვებს, ეს იყო ჯერ კიდევ გამოუმჯდავნებელი პიროვნების დრო, როცა არსებობს მხოლოდ სიმბოლოებით აღნიშნული ერთობა, ამრიგად არა პიროვნების პროდუქტი, არამედ როგორც ბუნებრივი ენა, გვარის ქმნილება. შუა საუკუნეებში იდეების ერთობლიობა და განყენებულობა ინდივიდუალურისადმი ყურადღების ნაკლებობას შობდა. განყენებულად მოიაზრება საღვთო ქალაქის იდეა, იმპერიისა და პაპობის, სოციალური და პოლიტიკური წეობილების იდეა. არისტოტელიზმის სრულ გამარჯვებამდე განყენებული ხასიათით გამოირჩევა შუა საუკუნეების ფილოსოფიაც. იდეებს შესაბამისი განყენებული ტერმინები აკლია. ტერმინებს იმით ცვლიან, რომ კონკრეტულს ისე განიხილავენ, როგორც სიმბოლოს, რომელსაც დაფარულად მიჰყავდა ზოგადამდე და მის სფეროს მიაკუთვნებდა ნებისმიერს, ვინც რეალურ სინამდვილეს შეეხებოდა.

შუა საუკუნეების სამყარო დინამიკური პოლარულობების სამყაროთა წარმოდგენილი, სადაც აზრი სიმბოლოებისა და ალეგორიების ენაზე გამოიხატებოდა. სიმბოლო აქ არაერთმნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აზრის არტიკულაციის “სიმბოლური საშუალება”, რომელსაც ფესვები პრიმიტივიზმის

ეპოქაში ედგა, მნიშვნელოვნად ვითარდებოდა და განვითარება ადამიანის გამოცდილების დიფერენციაციასთან და კულტურის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ოქალური ობიექტები იმ ხანებში ხშირად მათი აბსტრაქტული მოდელების მოშველიებით განიხილებოდა. მაგალითად, შუა საუკუნეების ადამიანისთვის თეორი ვარდის ხატ-სახე ქალწულ მარიამის ხატ-სახესთან ასოცირდებოდა. მარიამსა და ვარდს უკავშირდებოდა წარმოდგენა სილამაზეზე, სინაზესა და სიწმინდეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შედარებები მისტიკურ მნიშვნელობას იძენდა. ამგვარადვე, ამავე საფუძველზე ციური მნათობი მზე სულიერი მზის - ღვთაების სინონიმი ხდებოდა, მოგვიანებით კი - დედამიწაზე ღვთის ნაცვლების ძალაუფლების სიმბოლო. მიწიერი ურთიერთობებისა და მათი გამომხატველი იდეების ცვლის შესაბამისად იცვლებოდა მათი სიმბოლოებიც. თუ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში პაპი მზეა, იმპერატორი - მთვარე, უკვე მეცამეტე საუკუნის მიწურულს დანტე ორი მზის სიმბოლოს იცნობს - პაპი და იმპერატორი ერთმანეთს გაუტოლდნენ, რამეთუ თითოეული მათგანი თავის სფეროში ჩუქნიდა სიცოცხლეს (Dunbar, 1929, p. 103).

შუა საუკუნეებში ადამიანის გარემომცველ ბუნებაში ყოველი საგნის განხილვა შეიძლებოდა ალეგორიულად (ანუ ლოგოს - სიტყვა), აროპოლოგიურად (ანუ ადამიანის შინაგანი ცხოვრებასთან მიმართებაში) ან ანაგოგიურად (ანუ როგორც ზღვარსმიღმა სამყაროში ცხოვრებასთან მიმართებაში) შეიძლებოდა თითოეული სიმბოლო ერთი და იმავე დროს ყველა მნიშვნელობით ყოფილიყო გაგებული. შეიძლებოდა ნებისმიერ ბუნებრივ ობიექტს, სულიერი იქნებოდა თუ უსულო, სამიდან თითოეულ დონეზე მიეღო განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების თეოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნებოდა არა მარტო სიმბოლოს, არამედ რაც მთავარი იყო, - მის უნარიან განმარტებას. შუა საუკუნეების ტექსტის მკითხველს ან მსმენელს როგორც მინიმუმი, უნდა სცოდნოდა ბიბლია, ქრისტიანული დოქტრინა, და რაც მთავარია, - განმარტების ტრადიცია. ტრადიციის კანონები იმაში მდგომარეობდა, რომ: “მთავარი ის არ არის, რის თქმასაც ტექსტის ავტორი აპირებდა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის, რასაც ინტერპრეტატორი სიმბოლური ეგზეგეზის (ბუნდოვანი ადგილების განმარტება) დახმარებით აღმოაჩენდა მის თხზულებაში. შუა საუკუნეების მსოფლიგაგება დაწერილ ტექსტში ყოველთვის გულისხმობდა

უმაღლეს (ფარულ) აზრს და ეს აზრი ყოველთვის ეთანხმებოდა ქრისტიანულ დოქტრინას. სიმბოლური მეთოდების გამოყენება, სადაც ყოველთვის პქონდა ადგილი ფარული აზრის მარადიულ ძიებას, აღორძინების ეპოქის დასაწყისში რეალური შემეცნების პროცესს ამუხრუჭებდა, სიტყვიერი ბადეების ლაბირინთში შეჰვავდა მეცნიერება. და მაინც შეა საუკუნეების სიმბოლიზმს რომ ვაჯამებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმბოლიზმი, როგორც სინამდვილის აღქმისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გამოთქმის საშუალება, აქ დახვეწილობამდე იყო მიყვანილი, რადგან მასში ხედავდნენ ხილული სამყაროს ფარდის მიღმა, იმისკენ მიმავალ ყველაზე უტყუარ გზას, რაც მის უკან იყო მიმალული. და ეს შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან სიმბოლიზმი წარმოადგენდა საერთოდ მეცნიერულამდე არსებული აზროვნების თავისებურებას.

ახალი დროის ეპოქაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ეს იყო რეალიზმის ერა, როდესაც სიმბოლოს უარყოფა და გაშიფვრა დაიწყო. სიმბოლო მნიშვნელობას აღარ “იძენდა“. განათლება მხოლოდ მეცნიერული აღმოჩენებისა და ხელოვნების ნაწარმოებების სახით იყენებს მას. დრომ სიმბოლოს შესწავლის პრობლემაშიც შეიტანა ცვლილება, აქ დაიწყო სიმბოლოს კლასიფიკაციაზე დაფუძნებული ახალი მიღგომების გამომუშავება, ცოდნა სიმბოლოს შესახებ პირველად შეუდგა ტერმინოლოგიური აპარატის დამუშავებას. გაჩნდა ახალი ნიშნურ-სიმბოლური სისტემები: ნუმიზმატიკა (მონეტების მოჭრისა და ფულის მიმოქცევის ისტორიის შემსწავლელი დამხმარე ისტორიული დისციპლინა), სფრაგისტიკა (ბეჭდების (მატრიცების) და მათი ანაბეჭდების შემსწავლელი დისციპლინა), ფალერისტიკა (ჯილდოების - ორდენების, მედლების, ნიშნების, სამკერდე ნიშნების სისტემების შემსწავლელი დისციპლინა), მაგრამ სიმბოლოს უწინდელი ინფორმატიულობა აღარ არსებობს, ის ხელოვნურ ხასიათს ატარებს.

სიმბოლოს პრობლემაში არსებითი ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ მისი სისტემები ბუნებრივი ენის სისტემას უტოლდება და მას წმინდა გამოყენებითი ხასიათი აქვს. ეს ტენდენციები თავს იჩენს 1660 წელს პორ-როიალის მონასტრის აბატის ანტუან არნოს და კლოდ ლანსლოს მიერ გამოცემულ “პორ-როიალის“ გრამატიკაში, ლეიბნიცის პაზიგრაფიაში (აზრის ყველასთვის გასაგები ნიშნების მეშვეობით გამოხატვის ხელოვნება), დ. ბრუიოს მნემონურ ნიშნებში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევა მეცნიერულ აღმოჩენებს, ახალ სემიოტიკურ შეხედულებებს

წარმოადგენდა. განმანათლებლობის ეპოქაში არა მხოლოდ ზუსტი მეცნიერებების განვითარებაში შემოიტანა პროგრესი, მან ჩამოაყალიბა ახალი შეხედულება კულტურაზე. შეფგრძერიმ, ლესინგმა, ვინკელმანმა, ზოლგერმა, შილერმა, გოეთემ მარტო გერმანული რომანტიზმის ბედი კი არ განსაზღვრეს, მათ კლასიკური იდეალიზმის ფილოსოფიაშიც ახალი ნაკადი შეიტანეს.

ჰეგელის ესთეტიკაში გპოულობთ სიმბოლოს როგორც გრძნობით ობიექტს, როგორც სულის მაკონცენტრირებულ აზრს, როგორც გრძნობითი ფენომენის გამოხატულებას, სადაც მუდავნდება ხატ-სახისა და აზრის ნაწილობრივი დამთხვევა. ეგვიპტური სულის ფენომენს რომ განიხილავს, ჰეგელი სფინქსის სახეს მიმართავს: ეგვიპტეში თვალში გვეცემა სფინქსის ფიგურა, ეს ორაზროვანი ფორმა, ნახევრად ცხოველი, ნახევრად ადამიანი, თანაც, ჩვეულებრივ, მდედრობითი სქესისა, დრაკონების, კენტავრების, გიგანტების სახეები ეს აღმოსავლეთის შესახებ ჩვეული შეხსენებები კია, მაგრამ სფინქსთან დაკავშირებული ეგვიპტური სულის უფრო ღრმა სიმბოლოა. ეს სულიერი, ბუნებრივიდან და ცხოველურიდან რომ მოიწევს, უკვე მოსჩანს მასში, თუმცა ჯერ არ გათავისუფლებულა (Hegel, 1848, p.460), ჰეგელის აზრით, სფინქსი, სხვა ცხოველთათავიან ღმერთებზე მეტად გამოხატავს გვიპტური სულის მთავარ ნიშან-თვისებას - სწრაფვას ბუნებრივის დაძლევისგან.

კანტის გაგებით სიმბოლო მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინამორბედებისგან. კანტის დიალექტიკა სიმბოლოს რაციონალიზებას ახდენს, გრძნობით ფორმამდე ზღუდავს მას, ილუზიამდე, “სოფისტურ ხელოვნებამდე“ დაჲყავს იგი.

კანტი ნიშნებს მათი გამოყენების სფეროს მიხედვით ჰყოფს, ესენია: ჟესტები (მიმიკური, რომლებიც ბუნებრივია ხოლმე), წერილობითი ნიშნები, ხმოვანი (ცვლიან ბგერებს), მუსიკალური, პირობითი (ციფრები), განმასხვავებელი (ნიშნები, გერბები). მეორე ჯგუფი წარმოდგენილია ბუნებრივი ნიშნებით, რომლებსაც უერთდება დემონსტრაციული (სიმპტომები) მიმამსგავსებელი ნიშნები (ძეგლები) და პროგნოსტიკური, წინასწარმეტყველების მიზნით გამოცდილების განზოგადებაზე დაფუძნებული ნიშნები. მესამე ტიპს ფილოსოფოსი მიაკუთვნებს მომასწავებელ ნიშნებს (შეტყობინებები, რომლებშიც დამახინჯებულია საგანთა ბუნება, შეიძლება

ამ ნიშნებს მივაკუთვნოთ “ხალხური ნიშნებიც“). (Герменевтика: история и современность, 1985).

“ჰეგელის თანახმად სიმბოლო ზოგადი იდეის განვენვაა, რომელიც მასში თვითგამოხატვას პპოვებს, სიმბოლო ფილოსოფიური კატეგორია ხდება, ვინაიდან თავის განვითარებაში ის თავისუფალი სუბიექტურობის განვითარებას განსაზღვრავს.“

ჰეგელის მიხედვით, სიმბოლო ნიშნის სახეობაა. ნიშნის აზრი სხვა არაფერია, თუ არა სულის კონცეფცია. სიმბოლოს გამოხატულება მის გრძნობით ფენომენში მუდავნდება. ტერმინს “სიმბოლო“ ჰეგელისთვის ორი მნიშვნელობა აქვს, ფილოსოფოსს ის ესმის როგორც “მხატვრული ჭვრეტის დასრულებული ტიპი“ და როგორც მნიშვნელობის რეპრეზენტაციისა და კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება. სიმბოლოში უნდა განისაზღვრებოდეს მისი აზრი და ამ აზრის გამოხატულება. სიმბოლო “ჩვენს ცნობიერებაში თავის თავს კი არ უნდა აღმრავდეს როგორც მოცემულ კონკრეტულ საგანს, არამედ მხოლოდ იმ საყოველთაო თვისებას, რომელიც მის მნიშვნელობაში იგულისხმება“. მაგალითად, ლომი ძლიერების სიმბოლოა, მელია - ეშმაკობის, წრე - მარადიულობის და ა.შ. “სიმბოლოსთვის, - წერს სხვა ადგილას ჰეგელი, - დამახასიათებელია განსაზღვრებათა აბსტრაქტული ურთიერთობების აღნიშვნა“ (Rene, 1989. p.297).

ჰეგელი კანტის კვალდაკვალ ამ სხვა აზრისა და უშუალო აზრის კავშირის დასახასიათებლად ანალოგიის პრინციპს იყენებს.

ჰეგელს მიაჩნდა, როს სიმბოლო ორაზროვანია. სიმბოლოს ჭვრეტისას ჰეგელისთვის მისი ეჭვი აშკარაა, ვინაიდან ერთი და იმავე სახეს სიმბოლოში შეუძლია განსხვავებული ასოციაციები გამოიწვიოს და რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. სიმბოლო კარგავს თავის ორაზროვნობას თუ “გრძნობითი სახისა და აზრის შერწყმა ჩვეული ხდება და რაღაც უფრო პირობითად - უბრალო ნიშნებისთვის აუცილებელ მოთხოვნად გადაიქცევა, - აღნიშნავს ჰეგელი.

სიმბოლო მხოლოდ იმათვის შეიძლება იყოს ცხადი, ვინც პირობითი წარმოდგენების წრეში ტრიალებს. ხოლო მათთვის, ვინც წარმოდგენების ამ წრეში არ ტრიალებს, სიმბოლო წარსულში ძევს და მხოლოდ უშუალო გრძნობით გამოსახულების სახით წარმოგვიდგება (Гердер, 1959, ст. 138).

პეგელისთვის სიმბოლო ფილოსოფიამდელი სამყაროს ალეგორია როდია, ალეგორიულში ორაზროვნობა არ არის, ის ყოველთვის განსაზღვრულია. ალეგორიაში აზრი ბატონობს აბსტრაქტულის თვალსაჩინო ნიშნებზე, ხოლო პრედიკატების ფორმა შიშველი ატრიბუტის (ომი - იარადი, შუბები, ზარბაზნები) ხასიათს დებულობს.

პეგელს მიაჩნია, რომ სიმბოლური ფორმა დამახასიათებელია ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებისთვის. მას მხედველობაში სპარსეთი, ინდოეთი, ეგვიპტე აქვს. ხელოვნების სახეობებს შორის სიმბოლური ფორმები არქიტექტურაში პოულობენ საკუთარ თავს. პეგელის თანახმად, სიმბოლო ფილოსოფიური კატეგორიაა, რადგან მასში თავისუფალი სუბიექტურობის განვითარება შეინიშნება.

მეოცე საუკუნე ფრიდრიქ ნიცშეს ნოვატორული იდეებით გაცისკროგნდა. სიმბოლოს ენა და სიმბოლიზმი შეიძლება გაგებული იყოს როგორც მარადიული ფილოსოფიური პრობლემების დაყენებისა და გადაჭრის თავისებური საშუალება.

როგორც დ. ნიცკე აღნიშნავს, სიმბოლო პოლიმერნიერული აბსტრაქცია, ტრანსცენდენტური კატეგორიაა. სიმბოლო, არსებობს რა კოლექტიურ შეუცნობელში, სახეების, ნიშნების სახით გამოიხატება, მას განსაკუთრებული სიღრმისეული აზრი აქვს, რომელსაც მხოლოდ მასთან აქვს დამოკიდებულება და არ არის აუცილებლად დაკავშირებული მის არსთან“.

როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, ფრეიდი მიუთითებდა, რომ სიმბოლო შეუცნობელისკენ გვგზავნის. მას ძალუმს შეუძლია გამოარკვიოს ჩვენში ის, რაც არც გონებას ძალუმს და არც საზოგადოებას. ჩვენს ცხოვრებაზე მისი ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, პოლიტიკური და სულიერი თვალსაზრისით ზეგავლენის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. სიმბოლოები ყველგანაა, ისინი მუდამ თან გვახლავს დაბადების პირველი დღიდან დაკრძალვის რიტუალამდე. ეს ჭეშმარიტად საერთაშორისო ენაა, რომლის ცოდნის გარეშე ხელოვნების მსოფლიო შედევრების აზრები გახსნილობას დაკარგავდა და ენით უთქმებ ჭეშმარიტებათა მაღეკოდირებლებად დარჩებოდა.

მეცნიერების წინსვლამ, რომელშიც საზოგადო სულიერ ფასეულობათა წვდომა გამოიხატა, იქამდე მიგვიყვანა, რომ მეოცე საუკუნის ოციან წლებში იშვა ახალი დისციპლინა ნიშნის ბუნებისა და ფუნქციების შესახებ.

ნიშნები და ნიშანთა სისტემები უდიდეს როლს ასრულებენ ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი მოქმედების სფერო ვრცელია, მათი ტიპები მეტად მრავალფეროვანია. თავისუფლად შეიძლება მათ მივაკუთვნოთ სხვადასხვაგვარი წეს-ჩვეულებები, სიგნალების მრავალრიცხოვანი ფორმები, ფულის ნიშნები, როგორც პროფესიული, ისე ეროვნული სახის ტანსაცმლის ფორმები, ბუნებრივი და თანამედროვე მეცნიერების სახმარად ხელოვნურად შექმნილი ენები.

ამერიკელმა ლოგიკოსმა, ფილოსოფოსმა და ბუნებისმეტყველმა ჩარლზ პირსმა (1839-1914) პირველმა შემგვთავაზა, ამ მეცნიერებისთვის სემიოტიკა გვეწოდებინა. პირსმა ნიშნური პროცესების თვისებების გახსნა დაისახა მიზნად. მან ყველა ნიშანი სამ კატეგორიად დაჰყო, ესენია: ინდექსები, გამოსახულებები და სიმბოლოები.

მეცნიერი სახვითი ნიშნების რიცხვს მიაკუთვნებდა ფერწერის იმ ნიმუშებს, რომლებშიც, მისი აზრით, მსგავსობის პრინციპი კონვენციურ წესებს, ჩამოყალიბებულ, საყოველთაოდ მიღებულ პირობებს ერწყმოდა. იგი წერდა: “გამოსახულების ნებისმიერი მასალა, ისეთისა, როგორიცაა მაგალითად, ფერწერა - მისი რეპრეზენტაციის ხერხისდა მიხედვით ფართოდ კონვენციონალურია“.

მხატვრული კულტურის მოვლენათა სემიოტიკური განმარტების პრობლემათა ერთ-ერთ უდიდეს სპეციალისტად ამერიკელი ფილოსოფოსი ჩ. მორისი ითვლება. მორისისი თვალსაზრისით ნიშნურობა მარტო ფერწერისთვისა და ქანდაკებისთვის კი არ არის ნიშანდობლივი, არამედ მუსიკისთვისაც, ვინაიდან მას გარკვეულწილად გამომსახველობითი საწყისებიც ახასიათებს. (Morris, 1950, p. 199).

ბოდუენ დემარნე და ლუკ ნეფონტენი მიიჩნევენ, რომ სიმბოლოები, რომლებიც კაცობრიობის მთელ კულტურას სჭვალავს, გამოოქმის ეკონომიას უწყობს ხელს.

ეს მეტყველებს ჩვენს კავშირზე უხილავთან, რელიგიურთან.

ცხადია, ჩვენ იმის პრეტენზია არა გვაქვს, რომ სიმბოლოს თეორიის ჩამოყალიბების ჩვენული ანალიზი სრულია, რიგი ობიექტური მიზეზების გამო ჩვენს პირობებში ამგვარი ამოცანა შეუსრულებადია. პირველი მიზეზი ასეთია: უშუალოდ გასაგები სიმბოლო შეიძლება იმათვის იყოს, ვინც შეგნებულად არის მასთან დაკავშირებული თავის ცხოვრებაში. მეორე მხრივ, სიმბოლოს თეორია

კიწროსოციალურ ხასიათს ატარებს, ამიტომაც თავდაპირველად ის ვერ იქნება შეტანილი ჩვენი გამოკვლევის გეგმებში.

სიმბოლოს შესახებ იდუმალი ცოდნის მფლობელები გარდა პლატონისა, ფსევდოდიონანსესი, მამარდაშვილისა, ლოტმანისა და ლოსევისა, იყვნენ კულტუროლოგიური კონცეფციის ავტორები: ერნსტ კასირერი და სიმბოლოს, როგორც არქეტიპის მეტაფსიქოლოგიური პარადიგმის ავტორები კარლ გუსტავ იუნგი, ცვეტან ტოდოროვი და სხვები.

ადამიანის ცხოვრებაში სიმბოლოს როლისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით უკელაზე გავრცობილ და განმაზოგადებელ კულტუროლოგიურ კონცეფციად სამართლიანად არის მიჩნეული მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი ფილოსოფოსის ერნსტ კასირერის მოძღვრება. ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტულად შევეხებით ჩვენი ანალიზის საგანს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სიმბოლო ერთ-ერთი უკელაზე რთული და მრავალმნიშვნელოვანი მცნებაა. ის მთელი ისტორიის მანძილზე მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციების, გამოკვლევების, კამათისა და კითხვათსხვაობის საგანს წარმოადგენდა, განსაკუთრებული ადგილი ეპავა სიმბოლოს შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და თეოლოგიაში, XX საუკუნის კულტუროლოგიაში. XX საუკუნეში სიმბოლოს ცნება ცალსახა განსაზღვრებას არ ექვემდებარება. ის ინტერპრეტაციის ფართო სპექტრს იძენს და ამრიგად კულტურის სხვადასხვა ფენომენების კვლევის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება.

სიმბოლოს თეორიის კვლევაში კასირერის ადგილი ერთგვარად წამყვანია, ვინაიდან სიმბოლო მისთვის უაღრესად ფართო ცნებაა. ენა, მეცნიერება, მითი, რელიგია, ხელოვნება - ადამიანის მთელი სულიერი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა “სიმბოლური ფორმები”, რომელთა საშუალებითაც ადამიანი სამყაროს შეიმუცნებს და მის გარშემო არსებულ ქაოსს აწესრიგებს. კასირერს მიაჩნდა, რომ სიმბოლურად გამოხატვის პროცესში ადამიანი სამყაროს შეცნობას ახორციელებს. თუმცა იგი იმასაც აღნიშნავს, რომ სიმბოლო არა მარტო უნივერსალურია, არამედ ძალაზე ცვალებადიცაა. ფილოსოფიის მთავარი აზრი გამოიხატებოდა აქსიომაში: “ამიერიდან ადამიანი ცხოვრობს არა მარტო ფიზიკურ, არამედ სიმბოლურ უნივერსიუმშიც. ენა, მითი, ხელოვნება, რელიგია ამ უნივერსიუმის ნაწილია, სხვადასხვა ძაფებია, რომლებითაც იქსოვება ადამიანური გამოცდილების სიმბოლური ქსელი, აბურდული ქსოვილი. (Кассирер, 1998, გვ. 471).

სულიერი პულტურის სხვადასხვა სფეროებს კასირერი ისე განიხილავს, როგორც პირობითი ნიშნების - სიმბოლოების სისტემას. “ენაში, რელიგიაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, - წერს იგი, - ადამიანს მხოლოდ ის შეუძლია, რომ შექმნას საკუთარი სამყარო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას გაიგოს, გამოხატოს და ორგანიზება გაუკეთოს, მოახდინოს საკუთარი ადამიანური გამოცდილების სინთეზირება და განზოგადება“. (Kassirer, 1998). კასირერის შეხედულებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბევრ ფილოსოფოსსა და ხელოვნების თეორეტიკოსებზე.

შემეცნება, კასირერის თანახმად, უბრალოდ სინამდვილის ასახვა კი არ არის, არამედ სიმბოლური საქმიანობა, ხოლო მისი “სიმბოლური ფორმების ფილოსოფია“ თავისებური “ფილოსოფიური ანთროპოლოგიაა“, იმიტომ რომ ადამიანს მეტაფიზიკური პრობლემატიკის ცენტრში რომ აყენებს, ის არა მხოლოდ ცნებათა განკერძოებულობის გადალახვის ამოცანას გადაჭრის, არამედ ამტკიცებს, რომ სიმბოლური ცნება შემეცნების მოქმედების თავდაპირველი პროდუქტია. (Cassirer, 1951).

ფსიქოლოგიის ენაზე კი სიმბოლო ლიბიდოს თავისებური ანალოგია. “ჩვენ გარემოცული ვართ სიმბოლოებით, ეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ისე რომ სიმბოლოებთან მუშაობა რადაც იღუმალებას კი არ წარმოადგენს, თუმცა ის ცოტათი ახალი ენის შესწავლას პგავს: რაც მეტს ვარჯიშობს ადამიანი, მით უფრო მეტად იწაფება: ფსიქოანალიტიკურ თეორიაში სიმბოლო შეიძლება იყოს:

1. ისეთი რაიმეს შეუცნობელი განსახიერება, რომელიც პირდაპირ არ არის მასთან დაკავშირებული;
2. ფსიქიკის შიგნით კონფლიქტის განსახიერება;
3. დათრგუნული სექსუალური მასალის გამოხატულება;
4. ერთადერთი საშუალება, რომლითაც შეუცნობლის მიღწევა შეიძლება“.

(Стюарт В. 1998. გვ. 148).

სიმბოლოს შექმნას ფსიქოლოგები შეგნებულ პროცესად კი არ მიიჩნევენ, არამედ უფრო შეუცნობლის წიაღიდან შთაგონების, ინტუიციის გზით წარმოშობილად. ვილიამ სტიუარდი, სიზმრების ანალიტიკურ თეორიაზე რომ

მსჯელობდა, იუნგისეული თეორიის ფროიდის მოძღვრებისაგან განსხვავებაზე მიუთითებდა. “იუნგისთვის სიზმარი მომავლის განმჭვრეტი, შემოქმედებითი, ჭკუის სასწავლებელი და ერთგვარად წინასწარმეტყველურია. მას მიაჩნდა, რომ სიზმრები კოლექტიურ შეცნობელს ეფუძნება, რომ არქეტიპები საერთო სიმბოლოებია, რომლებიც უნივერსალურ, მისტიკურ შეგრძნებებსა და სახეებს შეიცავს და რომ სიზმრები საკუთარ რესურსებში ჩვენი შეღწევის გაფართოებას ემსახურება და შეიცავს მინიშნებებს იმაზე, თუ როგორ უნდა გადავწყვიტოთ საკუთარი პრობლემები“. (ЮНГ).

ამგვარ სიმბოლოებს ნუმინოზური, მაგიური თვისება გააჩნია, ისინი ფსიქიკური ენერგიის დიდ მუხებს ატარებენ და მათ ზემოქმედებას ადამიანზე დაუძლეველი, დამმორჩილებელი ხასიათი აქვს.

იუნგი წერდა: “ჩვენს სოციალური ძვრებისა და უჩვეულო ცვლილებების დროში სასურველია გვქონდეს იმაზე უფრო მეტი ცოდნა ინდივიდუმის შესახებ, ვიდრე გაგვაჩნია, რამეთუ მისი გონებისა და სულის ხარისხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგრამ თუ ამ საკითხს კომპლექსურად მივუდგებით, ისევა კარგად, როგორც აწმყოს ვიცნობთ, უნდა გავერკვეთ ჩვენს წარსულშიც. ამისთვის კი არსებითი მნიშვნელობა მითებისა და სიმბოლოების ცოდნას აქვს (ЮНГ). წარსული და მომავალი ქვეცნობიერებაში, სიზმრებშია. გამომდინარე ორი ფუძემდებლური დებულებიდან, კ. იუნგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა სიზმრებს. ჯერ ერთი, სიზმრებს ის უდგებოდა როგორც ფაქტებს, წინასწარ არაფერს ვარაუდობდა გარდა იმისა, რომ ისინი რადაც აზრს მაინც შეიცავენ, და მეორეც, მას მიაჩნდა, რომ სიზმარი წარმოადგენს ქვეცნობიერის სპეციფიკურ ენას, რომელიც გამუდმებით შობს სიმბოლოებს. ამასთან, სიზმრები, როგორც ფსიქოანალიზის ფუძემდებელს მიაჩნია, მარტო ძილში კი არ ჩნდება, არამედ ნებისმიერ ფსიქიკურ გამოვლინებებშიც. სიმბოლური გრძნობებიც არსებობს და სიმბოლური აზრებიც, მოქმედებებიც და სიტუაციებიც. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არაცოცხალი ობიექტებიც კი ურთიერთქმედებენ ქვეცნობიერებასთან და იგივე განმეორებად სიმბოლურ სიტუაციებს ქმნიან. ცნობილია მრავალი ისეთი ფაქტი, რომელთა უტყუარობა ეჭვს არ იწვევს, მაგალითად, როდესაც პატრონის გარდაცვალების შემდეგ საათი ჩერდება. ერთი

ასეთი ამბავი დაემართა ფრიდრიქ დიდის ქანქარიან საათს სან-სუსის სასახლეში - იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ საათმა მუშაობა შეწყვიტა. იუნგს მოჰყავს მაგალითები, როდესაც სიკვდილის დადგომისას ტყდება სარკეები, ვარდება სურათები. ძლიერ ემოციურ აღგზნებებს პატარ-პატარა აუხსნელი მტვრევები მოსდევს. იუნგი სინანულს გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ არსენალში შემოტანილი “არქეტიპის“ ცნება არასწორად იქნა აღქმული. იუნგისეულ არქეტიპს ბევრი ისე აღიქვამდა, როგორც საგსებით განსაზღვრულ მითოლოგიურ სახეებსა და სიუჟეტებს. “უაზრობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ შეიძლება ისინი მემკვიდრეობით გადაცემოდეს... ჩემმა კრიტიკოსებმა ჩათვალეს, - და ეს არასწორია - რომ მე “მემკვიდრეობით მიღებულ წარმოდგენებთან“ მაქს საქმე და ამის გამო უარყვეს არქეტიპის იდეა, როგორც ცრურწმენითი რამ“. არქეტიპზე მსჯელობისას იუნგი

განმარტავს, რომ არსებითად ისინი წარმოადგენენ ინსტინქტის მიერ ფუძეჩაურილ მისწრაფებებს, ისეთივეებს, როგორიცაა მაგალითად, ბუდობის მისწრაფება ფრინველებში და მოწესრიგებული დასახლებების მოწყობისა ჭიანჭველებში. არქეტიპსა და ინსტინქტს შორის არსებობს კავშირი. “ის, რასაც ჩვენ ინსტინქტს ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები. ამავე დროს ისინი ფანტაზიებში იჩენენ თავს და მხოლოდ სიმბოლური ფორმით არსებობენ. სწორედ ეს არის ის, რასაც მეცნიერი არქეტიპებს უწოდებს. არავინ იცის, როდის გაჩნდნენ ისინი პირველად, გაჩენით კი შეიძლება ისინი ყოველ წუთს გაჩნდნენ, - ირწმუნება ავტორი, - იქაც კი, სადაც მსგავსი ინფორმაციის მემკვიდრეობით პირდაპირი ან ჯვარედინი გადაცემის შესაძლებლობა გამორიცხულია. იუნგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველთვის, როცა კი არქეტიპური ძალების ფართო მასშტაბით მობილიზება ხდება, მზად უნდა ვიყოთ როგორც კეთილისმყოფელი, ისე დამანგრეველი შედეგებისათვის, რაღანაც სწორედ არქეტიპები განსაზღვრავენ ინდივიდუმისა და კოლექტივის ფსიქიკურ განწყობასა და სოციალურ ქცევას, ხოლო ნებისმიერ არქეტიპს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები“. თუ არქეტიპის დადებითი შინაარსი ჩვენი ცნობიერების მიერ კი არ ასიმილირდება, არამედ პირიქით, გამოიდევნება, მაშინ მისი ენერგია ნებატიურ ასპექტებზე გადადის, რასაც შეიძლება მოჰყვეს ესა თუ ის არაკონტროლირებადი აშლილობა ინდივიდუალურ ფსიქიკასა და საზოგადოებაში.

(Одайник, 1999). ლოტმანსაც ასევე მიაჩნდა, რომ სიმბოლოში არის რაღაც არქაული. და რომ ყოველი კულტურა საჭიროებს ისეთი ტექსტების ფენას, რომლებიც არქაიკის ფუნქციას ასრულებენ. სიმბოლოების ძირითად ჯგუფს არქაული ბუნება აქვს და ეს ბუნება დამწერლობითამდელი ეპოქიდან მომდინარეობს. ნიშნები წარმოადგენდა ტექსტებისა და სიუჟეტების შეკვეცილ მნემონურ პროგრამებს. ეს სიუჟეტები კოლექტივის ზეპირ მეცნიერებაში შემორჩა. “კრცელი და მნიშვნელოვანი ტექსტების შეკვეცილი სახით შემონახვის უნარი სიმბოლოს დარჩა... სიმბოლო არასდროს არ ეპუთვნის კულტურის ერთ რომელიმე სინქრონულ ჭრილს - წარსლუიდან მომავალი და მომავალში მიმავალი, ის ყოველთვის ვერტიკალურად სჭვალავს ამ ჭრილს.“ (Лотман, 1992, გვ. 191). მაშასადამე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სიმბოლოს მეცნიერება ყოველთვის უფრო ძველია, ვიდრე მისი არასიმბოლური ტექსტური გარემოცვის სიმბოლო.

ლიტერატურათმცოდნებს, კულტუროლოგს, ესტონეთის, ბრიტანეთისა და ნორვეგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ცნობილი ტარტუს ლინგვისტური სკოლის ფუძემდებელს იური ლოტმანს ეკუთვნის სემიოსფეროს - სემიოტური სივრცის განმარტება, რომელიც პეტეროგენურია (გარდამავალი) და რომელსაც ის ადარებს მუზეუმს, სადაც ფუნქციონირებს რიგი სივრცეებისა: ექსპონატები, კართოტეკები, მოსამსახურები, ექსპოზიცია. ლოტმანისთვის სიუჟეტი სემიოსფეროდან გამოსვლისას იწყება, “სკანდალები“ დოსტოევსკის ნაწარმოებებში ამ როლს ასრულებდა. საინტერესოა ლოტმანის მოსაზრებები სემიოსფეროს საზღვრებიდან გასვლის თაობაზე. ფილოსოფოსს მიაჩნია, რომ სასწაული სკანდალთან შეთავსებით იგივე დოსტოევსკისთან და პუშკინთან აზარტული თამაშია. “სემიოსფეროს საზღვარს მიღმა ტერიტორიული გასვლა პიროვნებათა განსაკუთრებული ფენაა, ესენი არიან: გრძელები, ყაჩაღი, ჯალათი. თავის ბოლო ნაშრომში “კულტურა და აფეთქება“ ყოველ ახალ სკოლას, ახალ მიმართულებას მეცნიერებაში ლოტმანი აფეთქებად მიიჩნევს... აფეთქება ყოველთვის განუჭვრებადია, ამიტომაც კულტურის გაჩენა, ტექნიკური სამყაროსგან განსხვავებით, ავტორისეულად ითვლება. დავუშვათ, არ არსებობს რუსთაველი, მაშასადამე, არ არსებობს არც მთელი კულტურული ფენა ლიტერატურაში, ფილოსოფია მსოფლიო კულტურაში. რაც შეეხება კარგი ინჟინრის შემოქმედებას -

ის, როგორც წესი, საერთო ანონიმურ ნაკადში იკარგება. იური ლოტმანის ზოგიერთი იდეა ფაბლიქ რელეიშენის ბაზისურ ფონში შევიდა.

ბულგარული წარმოშობის ფრანგ ფილოსოფოსს, ფანტასტიკურის ცნობილი თეორიის ავტორს, სტრუქტურალიზმის წამყვან თეორეტიკოსს ცვეტან ტოდოროვს არამართლზომიერად მიაჩნია ნიშნისა და სიმბოლოს შედარება, ვინაიდან იგი მათ სხვადასხვა პლანის ფენომენებად აღიქვამს. მისი გამოკვლევები ლინგვისტური წრით არ შემოიფარგლება. ფილოსოფოსმა დაამუშავა კულტურათა კონტექსტში მეტყველების აქტის ადგილისა და როლის ისტორიული ევოლუციის პრობლემები, მეტყველების ეთიკური, პოლიტიკური, სოციალური ფუნქციები. თავის ცნობილ წიგნში “ამერიკის დაპყრობა”, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის ისტორიას ტოდოროვი განიხილავს როგორც ადამიანთა ურთიერთობის მოდელს შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ორი - ევროპელთა და ინდიელთა კულტურის პირაპირზე.

მეცნიერი სვამს კითხვას - რატომ მოახერხეს ესპანელებმა ინდიელების დამარცხება და კომუნიკაციური უპირატესობის ჩვენი აზრით, ძალზე ორიგინალურ პროგრესულ პიპოთეზას გვთავაზობს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კომუნიკაციის სისტემა და მისი ნიშნების სისტემა “მოწინააღმდეგისას” აღემატებოდა. აბორიგენთა ნიშნები თითქოსდა ავტომატურად გამომდინარეობდა სამყაროდან, ისინი სხვა ადამიანებით მანიპულირებაზე არ იყო მიმართული. თუ ინდიელთა ნიშნური კომუნიკაცია ძირითადად სამყაროსთან კონტაქტზე იყო მიმართული, ევროპელი სისტემა, როგორც ცნობილია, ადამიანთან დიალოგზეა ორიგინტირებული. ესპანელებმა პიროვნებათაშორისი კომუნიკაციით აჯობეს ინდიელებს, ისინი უფრო აქტიურები აღმოჩნდნენ და გაიმარჯვეს. მაგრამ, ტოდოროვის მტკიცებით, ასეთი გამარჯვება ყოველთვის პრობლემატურია, ევროპელებმა მსოფლიო კი დაიპყრეს, თუმცა მასში ინტეგრირება ვერ შეძლეს, ვინაიდან დაპყრობის თანამედროვე ფორმა მსოლოდ კულტურათა დიალოგის, განსხვავების საფუძველზე მათი თანასწორობის აღიარების საფუძველზეა შესაძლებელი. ასეთია თვალსაჩინო ფრანგი ფილოსოფოსის, სტრუქტუროლოგის, კულტურის თეორეტიკოსის პათოსი.

ფილოსოფიური ინტერპრეტაციების გარდა სიმბოლოების შესახებ მრავალი ლეგენდაც არსებობს, რომლებიც მათი წარმოშობის, აზრის, დანიშნულებისა და

უუნქციების შესახებ მოგვითხრობენ. ერთ-ერთი უძველესი ლეგენდა - სუფიური, სიმბოლოს წარმოშობასთან დაკავშირებულ რთულ კითხვებზე იძლევა პასუხს. “ოდესდაც ერთ შორეულ ქვეყანაში არსებობდა სრულყოფილი საზოგადოება. ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ხარობდნენ და ერთმანეთის თანადგომით გაჰქონდათ თავი. მათ არ იცოდნენ ჩვენი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი შიში, გაურკვევლობა და არამდგრადობა. მაგრამ ერთხელაც ამ ქვეყნის ბრძენებმა გაიგეს, რომ რაღაც დროის შემდეგ მათ მატერიკს ოკეანის წყლები დაფარავდა და იმ კუნძულებზე გადასახლების გეგმა შეიმუშავეს, რომლებიც რაღაცით პგავდა მათ ქვეყანას. მკაცრი პავითა და ახალ პირობებთან შეგუებით გამოწვეული სიძნელეების გამო იქ გადასახლებულებმა ბევრი ტანჯვა და ვაება გამოიარეს. ბოლოს და ბოლოს ისინი შეეჩივნენ ახალი საცხოვრისის პრიმიტიულ პირობებს, მაგრამ მათი აღქმა-ცნებები გაუხეშდა.

იმ ტკივილის შესამსუბუქებლად, რომელიც მათ ძველი და ახალი ცხოვრების შედარებამ მიაყენა, ბრძენები ბედნიერი წარსულის დავიწყებაში დაეხმარნენ გადმოსახლებულებს. ბუნდოვანი მოგონებები მის შესახებ მხოლოდ იმათ შემორჩა, ვინც დაკარგულ სამოთხეში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. მათ ჯიუტად არ უნდოდათ თავიანთი წარსულის, ბედნიერი ქვეყნის დავიწყება და შეეძლოთ აღედგინათ დაკარგული სამყარო, გაეცოცხლებინათ კუნძულის მცხოვრებთა უმრავლესობის მიერ დავიწყებული სახეები და იდები.

მაგრამ ყოველთვის, როცა კი ვიზიონერები იმის შესახებ უყვებოდნენ თანამოქალაქეებს, რაც მათ შინაგან ხედვას გადაეშალა, ისინი მათი სიტყვების საკუთარი გაუხეშებული გამოცდილებისა და ენის თვალსაზრისით ინტერპრეტებას ახდენდნენ და შეტყობინების აზრი იკარგებოდა. მაშინ ნათელმხილველებმა მცოდნეთა თანამეგობრობების შექმნა დაიწყეს და ნიჭიერ და დრმად შეგრძნებისა და გაგების უნარის მქონე ადამიანებს თავის უზვეულო ხელოვნებას ასწავლიდნენ. ამ ხელოვნების წყალობით ისინი ახერხებდნენ სანუკვარ ქვეყანაში შეღწევას, სადაც ყველა საგანი მრავალგანზომილებიანი, მბზინავი, ღრმა აზრითა და სიცოცხლით აღსავსე სიმბოლოა. ხელოვნება, რომელსაც ბრძენები ფლობდნენ, რეალურობის სიმბოლური წვდომის ხელოვნებაა, რომელიც ადამიანისგან განსაკუთრებულ დახელოვნებას და განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვს, ეს კი მხოლოდ ძალზე ცოტა ვინმეს თუ პქონდა ნაბოძები.

დანარჩენებმა კი, რომლებიც მათ ბძენობას შენატროდნენ, მათი იდეებისა და მეთოდების გადაღება დაიწყეს. ამას შედეგად მოჰყვა მრავალი მეტაფორის, ალეგორიისა და ემბლემის გაჩენა, რომლებიც ისე ჰგავდა ცოცხალ სიმბოლოებს, როგორც აბსტრაქტული ნახაზი ჰგავს რეალურ სახლს, მაგრამ ამ ნახაზში შესვლა და უამინდობაში თავის შეფარება შეუძლებელია“.

სუფიურ ლეგენდაში აღწერილი კუნძული ჩვენი თანამედროვე სამყარო, სამყარო, რომელიც უფრო მაღალი და სრულყოფილი გამოცდილების თვით შესაძლებლობასაც კი უარყოფს, ან ამ გამოცდილებას მზა ნიშნების, ემბლემების, ალეგორიების პრიმიტიულ ფორმებში აქცევს, რომლებშიც ის კარგავს თავის მრავალგანზომილებიანობას, მახინჯდება და მაშასადამე, სოციალურ-ფუნქციონალური ნიშნებისა და შესტების უტილიტარულ სისტემად გადაიქცევა.

არსებობს ტექსტები სიმბოლოს შესახებ, რომლებიც მათი საკრალური რეციტაციის (ხმამაღლა წაკითხვა) შესაძლებლობას უშვებენ. უწინარეს ყოვლისა ესაბ ვედები, შესაქმეთა წიგნი, მოციქულთა წიგნები და ბიბლიის ტექსტები, სახარება, აპოკალიფსისი და განსაკუთრებით მოციქულთა წერილები, ეგვიპტური წერილები, პირამიდათა ტექსტები, მათი წაკითხვა და შესწავლა. მათი არსის, შინაარსის წვდომა ორი - ეგზოთერული და ეზოთერული - მიღგომიდან გამომდინარე შეიძლება. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისტორიულად განპირობებულ აზრთან, მეორეში - მიღგომის ვარიანტთან - აზრი გამოხატოს სიმბოლური გაგებით, სადაც შესაბამისი თარგმანების გარეშე ტექსტები ჩვენს თვალში უფრო უაზრობად გადაიქცევა ვიდრე თხრობად, რომელიც გასაგებ სახეებს ქმნის. მაშასადამე, ეგზოთერიზმი აუცილებელ რგოლს წარმოადგენს, რადგან აზრი საჭიროებს ამგვარ საყრდენს. მაგრამ როდესაც საუბარია ტექსტების იდუმალ აზრზე, ამ სიღრმეებში (ვთქვათ, ძველებეგიპტური ცოდნის წიაღში) შეღწევა მხოლოდ სიმბოლოს შეუძლია.

სიმბოლო გამოხატვის მხატვრულ საშუალებებში, არქიტექტურულ პრინციპებში, იგავებში, ლეგენდებში, დამწერლობაში უნდა ვეძებოთ და აგრეთვე თანამედროვე მასმედიის “საინფორმაციო ტექნოლოგიებში”, რომლებიც “ტრანსცენდენტურობის ვაკუუმს” ავსებენ. ჩვენ მიერ ზემოთ თქმული ტრანსკრიბირებას მოითხოვს, ვინაიდან იბადება კითხვა საიდუმლოს შესახებ. მხოლოდ ორ ინტელექტუალურ

ძალას ძალუმს საიდუმლოებათა წვდომა - გენეზისის კონსტრუქციულ მეცნიერებას და სიმბოლური წაკითხვის კანონებს.

“გასული ასწლეულის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ნაპოვნი დოკუმენტების სიუხვისა და ეგვიპტელ ფარაონთა აზრების წვდომის მრავალრიცხვანი მცდელობების მიუხედავად, ტექსტების თარგმანებში ძალზე ბევრი რამ გაურკვეველი რჩება, გამოსახულებათა უმრავლესობის ჭეშმარიტი მნიშვნელობები მთლიანად იდუმალებით არის დაფარული, იგივე უნდა ითქვას დმერთების პანთეონზე, მითოლოგიაზე და ბოლოს, მოტივებზე, რომლებიც ნილოსის ნაპირების გასწვრივ ადმართული ტაძრების, ობელისკების აგების სამუშაოების გრანდიოზულობის მიღმა იმაღლება.

ჩვენ წინაშე “შავი ყუთი”, რომელიც ადამიანური ისტორიის სიმდიდრის სიდიადეს მალავს, ჩვენ დღემდე ვერ შევძელით მისი გახსნა, რადგან გასაღებს დაუინებით ვეძებდით რაციონალიზმში, ნაცვლად იმისა, რომ იმისათვის მიგვემართნა, რასაც თავად ამ საგანძურის შექმნელები იყენებდნენ - სიმბოლოსა და სიმბოლურისთვის.

სიმბოლიზმის აზრი ნაკლებად გასაგებია. მაგრამ “სიმბოლო არის ნიშანი, რომელსაც შეუძლია ისწავლოს კითხვა, სიმბოლური არის წერის ფორმა, რომელიც მისი კანონების ცოდნას გულისხმობს, მათ ჩვენი ენის გრამატიკულ კონსტრუქციებთან საერთო არაფერი აქვთ.

სიმბოლო არის დროში მარადიულისა და ჭეშმარიტის გამოხატულება. ის, რასაც ის მოასწავებს, რაიმე განსაზღვრული იდეა არ არის. არასწორი იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ გველი, როგორც სიმბოლო, სიბრძნეს აღნიშნავს, ჯვარი კი - მხოლოდ გამოსასყიდ მსხვერპლს. სიმბოლო არის “მრავლის აღმნიშვნელი, მრავალაზრიანი” იეროგლიფი, “ის სჭვალავს ყოფიერებისა და ცნობიერების ყველა სფეროს და თითოეულ პლანში, სხვა რაობებს მოასწავებს, თითოეულ სფეროში სხვა დანიშნულებას ასრულებს”. (Симболы, 2010, ст. 63).

თავის წიგნში “ჩვენი დროის სულის პრობლემები” პ. იუნგი წერს: “სიმბოლოში არასდროს ვგულისხმობ ალეგორიას ან უბრალოდ ნიშანს. მე მასში უფრო რაღაც სახე მესმის, რომელმაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მხოლოდ სულის ბუნდოვანი სავარაუდო ბუნება უნდა დაახასიათოს. სიმბოლო არ შეიცავს თავის

თავში და არ ხსნის, არამედ მისი მეშვეობით მიუთითებს გაუგებარ, მხოლოდ ბუნდოვან სავარაუდო აზრზე.

სიმბოლოს ბუნებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუკლით გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნის გენონის მოსაზრებებს. მის გადმოცდილებას მცდარ მისტიკურ ტრადიციებთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელი საუკუნეების ჭეშმარიტების მაძიებლებისათვის. მნელია გადაჭარბებით შევაფასოთ კაიროში შეიხის რანგში გარდაცვლილი ფრანგი მოაზროვნის ინტელექტუალურ-სულიერი პოტენციალი. გენონის უდავოდ დიდი დამსახურება მეცნიერების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან ინტელექტის ცნებას ბოლო საუკუნეების მისტიკოსთა მიერ დაკარგული ცოცხალი ეზოთერული სიღრმე დაუბრუნა. თავის მოსაზრებებში საკრალური მეტაფიზიკის საფუძვლების შესახებ რენე გენონი შეეცადა შეეთავსებინა მისტიკური გამოცდილება და შემოქმედებითი მეცნიერული აზრის მაჯისცემა. ფილოსოფოსის მიერ დაყენებული პრობლემები, რომლებიც გონებისა და გულის სინთეზს შობდნენ, სათავე დაუდეს ახალ ევროპულ ტრადიციას. გენონი არ ცდილობს რადაც ახალი გამოხატოს, მისი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო მრავალსაუკუნოვანი შეცდომებისგან გაეწმინდა ჭეშმარიტება. ის ესწრაფოდა “ჭეშმარიტი ინტელექტუალურობის” აღდგენას, რომელიც ყველა რელიგიისა და სულიერი დოქტრინის საფუძველში მდებარე ერთიანი ტრადიციის სიღრმეში შეღწევის საშუალებას იძლევა.

“კაპრელი განდეგილი” (ასე ეძახდნენ ფილოსოფოსს) სიმბოლოში ყოველთვის ხედავდა კანონს, რომელიც რაიმე საგნის ან არსების დამოკიდებულებას ადგენდა. “მთელი ბუნება სხვა არაფერია, თუ არა სიმბოლო, - წერდა იგი, - ანუ მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა აშკარა მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ის განიხილება როგორც მაჩვენებელი, რომელსაც შეუძლია გვაიძულოს გავაცნობიეროთ ზებუნებრივი ან მეტაფიზიკური ჭეშმარიტებები - მეტაფიზიკური ამ სიტყვის ნამდვილი, ჭეშმარიტი გაგებით; ამაში მდგომარეობს სიმბოლოს არსობრივი ფუნქცია. სიმბოლო აუცილებლად დგას იმ საგანზე დაბლა, რომლის სიმბოლოსაც წარმოადგენს.”

წვენი აზრით, არანაკლებ საინტერესოა შედარებები სხვა მკვლევარების მიერ ჩამოყალიბებულ სიმბოლოს განსაზღვრებასთან.

ინდუისტი მოაზროვნე ანანდა კუმარასვამი სიმბოლიკაში თანამედროვე ადამიანის მიერ დაკარგული “სახეებით აზროვნების უნარს“ ხედავდა. ფ. გუდმანსკის მიაჩნია, რომ სიმბოლო არის სახე, რომელსაც გააჩნია რაღაც შინაგანი მნიშვნელობა, ფარული, სანუკვარი აზრი. პაველ ფლორენსკის განმარტებით სიმბოლო არის “გამომსახველისა და გამოსახულის, სიმბოლურად გამომხატველისა და სიმბოლურად გამოხატულის ორგანულად ცოცხალი ერთიანობა“. საკმაოდ დაწვრილებით აღწერს სიმბოლოს ა. ლოსევი. ის სიმბოლოში ხედავდა ცხრა ნიშანს, რომელთაგან ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ აღგვენიშნა მასიმბოლიზირებულს და სიმბოლიზირებადს შორის არსებული კავშირის ბუნება. ერის ფრომმა სიმბოლოების საინტერესო კლასიფიკაცია შემოგვთავაზა, სიმბოლოების სიღრმის მიხედვით ისინი სამ ჯგუფად იყოფა, ესენია: კონვენციონალური, შემთხვევითი და უნივერსალური სიმბოლოები. მ. სონიე სიმბოლოთა სისტემაში ადამიანების მიერ დაუმსახურებლად დავიწყებულ შესანიშნავ მასინთეზირებულ მეცნიერებას ხედავდა. გენონი კი ამტკიცებდა, რომ ამ მეცნიერების აღდგენა არა მხოლოდ სულიერად ჩაძინებული ადამიანის გასაღვიძებლად აუცილებელი უმნიშვნელოვანები ამოცანაა, არამედ საუკუნის ბინდში სიმბოლოს შეუძლია კაცობრიობის სულიერ სიბრძნესთან ზიარების ეფექტური მეთოდი გახდეს. სიმბოლიკა გენონისთვის უმაღლესი ჭეშმარიტებაა, ის ნებისმიერი სიმბოლოებით კი არ იყო დაინტერესებული, არამედ მხოლოდ უმაღლესი, ტრადიციული სიმბოლოებით, რომლებსაც წმინდა მეცნიერებასთან ჰქონდა შეხება.

სიმბოლოს რომ შევისწავლით, ჩვენ არა მხოლოდ განვიხილავთ მას როგორც ობიექტს, არამედ საშუალებას ვაძლევთ მის შემქმნელს მოგვმართოს, იყოს ჩვენი პარტნიორი გონებრივ მუშაობაში. შეიძლება “დიალოგი“, რომელშიც სიმბოლოს შეცნობა ხორციელდება, განმმარტებლის მცდარი პოზიციის გამო დაირღვეს.

ლაპარაკია სუბიექტურ ინდუიზმზე, რომელიც თავის თავს ნებას აძლევს ილაპარაკოს სიმბოლოს ნაცვლად და ამრიგად დიალოგთან სიმბოლოს თავის მონოლოგად გადააქცევს. სიმბოლოს განმარტებისას საპირისპირ უკიდურესობასაც, ზედაპირულ რაციონალიზმსაც უნდა ვერიფოთ. შეიძლება მოჩვენებით ობიექტურობას და მკაფიობას გამოკიდებულებმა და დიალოგურ მომენტში ყურადღებაგამახვილებულებმა სიმბოლოს განმარტებისას ძირითადი არსი

დავკარგოთ. სიმბოლოში, მის წაკითხვაში უოველთვის უნდა იყოს სიმბოლოს აზრობრივი კავშირების ურთიერთშექცევადობა.

სიმბოლოს განმარტება ცოდნის დიალოგურ ფორმას მიმართავს. სიმბოლო რეალურად მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის შიგნით არსებობს. თუ საგანი მხოლოდ იმის უფლებას გვაძლევს, რომ ის დავათვალიეროთ, განვიხილოთ, სიმბოლო თავად “გვიყურებს“. განმარტებლის მცდარი პოზიცია მასში “დიალოგურს“ კლავს, რადგან ის ცდილობს მის შესახებ კი არ ილაპარაკოს, არამედ მის ნაცვლად და ამით სიმბოლოს დიალოგური შემადგენელი მონოლოგიურში გადააქვს.

რაც შეეხება სიმბოლოს, როგორც მეცნიერულ კატეგორიას, მრავალი მკვლევარის მტკიცებით, მეცნიერებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაურკვევია სიმბოლოს წარმომავლობა და მისი გავრცელების საშუალებები. არსებობს ვარაუდები, რომ ზოგი მათგანი დამოუკიდებლად გაჩნდა ხალხებში. მრავალი მსგავსი სიმბოლო შეიძლება საერთო და ფსიქოლოგიური კულტურული მიზეზებით აიხსნას, მაგალითად, მზის სიმბოლო - ბორბლის სახით, ელვის სიმბოლო - უროს სახით, მაგრამ ბევრ შემთხვევაში თავს იჩენს ხალხების კულტურული ურთიერთქმედება და სიმბოლიკის გადაცემა სავაჭრო კავშირების, სამონეტო მიმოქცევის, რელიგიური წარმომავლობების გზით. ავიღოთ მაგალითად, სიკვდილის გამოსახულება ხელში ცელით. მისი ამგვარად გამოსახვა გერმანიაში აღმოსავლეთ ჩინეთიდან XIV საუკუნის შუა წლებში შემოტანილი ბუბონის ჭირის პანდემიის დროს დაიწყეს. მაშინვე გაჩნდა გერმანიაში ფერწერული და სიტყვიერი ალეგორიული სიუჟეტები - “სიკვდილის როკვა“. რენესანსის ეპოქაში ეს მცნება მთელ ევროპაში გავრცელდა. ევროპაში სიკვდილის ცელით ხელში მოცემავე სიკვდილის სახე პირველად გაჩნდა დიურერის გრავიურაზე “სიკვდილის რაინდი და ეშმაკი“ (1513-1514).

ანუ, ფაქტობრივად იმის გაგება, რომ სიკვდილი ცელთან ასოცირდება ევროპიდან მოვიდა იმ დროს, როდესაც დაიწყო ევროპის კულტურის ენების შეცვლა ქრისტიანული წარმოდგენებით სიკვდილის შესახებ.

სიკვდილი სიმბოლურ ტრადიციებში მომაკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ მთვარეს, დამეს, ძილს ედრება (ბერძნულ მითოლოგიაში ტანათოსი ნიქტეს, დამის შვილად, პიპოსის, ძილის ძმად წარმოგიდგება).

ადამიანმა გააცნობიერა, რომ იმისათვის, რომ იცოცხლო, უნდა მოკლა და ამ დილემამ გამოიწვია რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენების განსაკუთრებული სისტემის წარმოშობა, რომელშიც სიკვდილი სიცოცხლის განსაკუთრებულ ატრიბუტად გამოდის. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს იდეა ფორმდება ასეთი კომპლექსის ჩარჩოებში: სიკვდილი-ნაყოფიერება სიცოცხლე. ამრიგად, ძნელი არ არის დავასკვნათ - სიკვდილი მონაწილეობს ბუნების მუდმივ განახლებაში.

შეა საუკუნეების ქრისტიანულმა სიმბოლიკამ არქიტექტურაშიც, ფერწერაშიც, მინიატურებშიც და ლეგენდებშიც ჰპოვა სხვადასხვაგვარი ასახვა.

1929 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა გამოჩენილი პერმეტისტის, ნათელ ხილვის უმაღლესი ნიჭით დაჯილდოებული ლეგენდარული ფულკანელის წიგნი “გოთური ტაძრების საიდუმლოებანი და პერმეტული სიმბოლოების ეზოთერული ინტერპრეტაცია“. სპეციალისტთა აზრით, ეული ფილოსოფოსის ზემთაგონებათა ტაძრები აამეტყველა და მათში დაფარულ საიდუმლოებებს ახადა ფარდა. აქ ბევრი ითქვა “ოქროს საწმისზეც“. სახელწოდებას “გოთური ხელოვნება“ გოთებთან საერთო არაფერი აქვს. ტაძარი არგოტული ხელოვნების ნაწარმოებია და სიტყვა “უარგონი“ ფულკანელის მიხედვით, იმ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის განსაკუთრებული ენაა, რომელთაც არ უნდათ, რომ სხვებს ესმოდეთ მათი. ეს არგონავტების შთამომავლთა ენაა, რომლებიც ოქროს საწმისის მოსაპოვებლად გაემართნენ გემით “არგო“. ძალზე ჭკვიან და ეშმაკ ადამიანებზე დღემდე ამბობენ, მან ყველაფერი იცის, “არგო“ ესმისო.

ამ “არგოს“ ენაზე, უმცირესობის ენაზე, სიმბოლოების ენაზე ლაპარაკობდა ყველა განდობილი. ეს ენა, რომელიც ყველაზე ღრმა საიდუმლოებებსა და შეუცნობელ ჭეშმარიტებებს სწვდებოდა, ორმაგი - წმინდა და პროფანული - ცოდნის გასაღებს იძლეოდა. ფულკანელი ირწმუნებოდა, რომ არგოს ენით ჯერ კიდევ ბაბილონის გოთოლის დანგრევამდე სარგებლობდნენ. (Фулканелли, 2009) გოთური არქიტექტურის ქანდაკებები იყო ის გზის მაჩვენებელი ძაფი, რომელსაც შეეძლო თავის წმინდა წყარომდე მიეყვანა გონება. ჩვენ შემთხვევით არ მიგვიმართავს ფულკანელისთვის. ეს გადაწყვეტილება რიგი ვითარებებით არის ნაკარნახევი. ოქროს საწმისის მითით ის უბრალოდ არგონავტების კოლხიდაში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად მოგზაურობის გამო არ დაინტერესებულა,

როგორც ცნობილია, სხვა ქვეყანაში გადატანილი საწმისი თავის ძალას მაშინაც ამჟღავნებდა და ზოგი თანამედროვე ფაქტის მიხედვით, მას ახლაც შეუძლია ამ ძალის გამოვლენა. სხვაგვარად პრეტენზიები ცნობილ მითში მითითებულ სიუჟეტებსა და გეოგრაფიულ სახელწოდებებზე გაუმართლებელი იქნებოდა. “ოქროს საწმისი“ დღესაც მეცნიერული “განხეთქილებების ვაშლად“ რჩება. ახლახან რუსეთი გამოვიდა მათემატიკოსების, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ფომენკოს და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ნასოვსკის წიგნი “ურდოს რუსეთის დასაწყისი“.

ცნობილია დებულება იმის შესახებ, რომ მითისა და სიმბოლოს სტრუქტურა, გაუცნობიერებულის სტრუქტურაა, ანუ იმ მითის შემმეცნებლის მენტალობას ასახავს, რომლის განმარტებაშიც მთავარია ისეთი უკიდურესობების თავიდან აცილება, როგორიცაა: “არგონავტები შორს მიცურავენ ოქროსთვის. მიზანი სავსებით გასაგებია. ადრე ფული ოქროსი იყო, ამიტომაც ოქრო არსებითად ფულს ნიშნავდა... ახლავე ვიტყვით, რომ არ შეიძლებოდა ეს თანამედროვე საქართველო ყოფილიყო, მითიური კოლხიდის - არგონავტების მიზნის, რომელთან გაიგივებასაც ცდილობენ კომენტატორები. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოქროს სამრეწველო საბადოები კავკასიაში ადრე საერთოდ არ არსებობდა“. შემდეგ მათემატიკოსი მკვლევარები აღნიშნავენ: “მეორეც - საქართველო “ანტიკური ზონებიდან - თურქეთიდან და იგივე საბერძნეთიდან არც ისე შორს მდებარეობს, რომ მისკენ გაცურვა რადაც უჩვეულო, საგანგებო რამედ იქნეს აღქმული.“ (Носовский, 2010). მითოლოგიური სიუჟეტიდან თანამედროვე საქართველოს (კოლხიდის) გამორიცხვის ყველაზე არსებით არგუმენტად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიკოსი და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი იორწმუნებიან: “მაგალითად, შავი ზღვის ქართული სანაპიროდან მოჩანს მთები თურქულ ნაპირზე. იბადება კითხვა - საით შეიძლებოდა გაეცურათ არგონავტებს?... მითში არსებული მრავალრიცხვანი მითოთებებით, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ გიამბობთ, არაორაზროვნად მეტყველებს იმაზე, რომ არგონავტები მაინც ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, რუსეთის მხარეს მიემართებოდნენ...“ შემდეგ წიგნის ავტორები ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ზოგიერთ ძველ წყაროში მოხსენიებული მდინარე ფაზისის დასახელებისას ანტიკური დროის ავტორებს მხედველობაში პქონდათ მდინარე ვოლგა... “გამოდის,

რომ - აცხადებენ ხსენებული მეცნიერები, - კოლხიდას, საითაც არგონავტები მიცურავდნენ, თანამედროვე საქართველოსთან არავითარი შეხება არ ჰქონია.

თითქოს სახელგანთქმულ მეცნიერს და მოგზაურს ტიმ სევერინს მეოცე საუკუნის 80-იან წლებში არგონავტების მოგზაურობა “ოქროს საწმისის” ნაკვალევზე არ გაემეორებინოს, “არგოთი” საბერძნეთიდან საქართველომდე არ ჩამოსულიყოს, შემდეგ რიონის აყოლებით ფაზისის ცენტრამდე ვანამდე არ მიეღწიოს და ვანის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის თაოსნობით თავისი თვალით არ ეხილოს თუ სად “დაიბადა“ ოქროს საწმისი, ან ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ არსებულიყოს სამეცნიერო კრებულები “ვანი“ I, II, III, IV, V და VI, სადაც დასაბუთებული და ცხადად არის აღბეჭდილი ფაზისის კონტურები ძველ წელთაღრიცხვამდე და რიონი ვანი ახალი წელთაღრიცხვით. ამ კრებულებში და საერთაშორისო სიმპოზიუმების მასალებში დევს მეცნიერული სინამდვილე ძველი კოლხეთის შესახებ, ხოლო რუს მათემატიკოს “მეცნიერებს“ ველიკორუსული მოვინიზმი გონებას უხმობს, “დასკვნებს“ უმძაფრებს და “ახალი მეცნიერული ძიების“ სენიორ აავადებს. რას იზამ! არც ვოლგა ჩაედინება შავ ზღვაში და არც ფაზისია რუსეთის ტრამალებში!

რუსი მათემატიკოსები ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიაზე თვალისგადავლებით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათ ეპოქალურ ნაშრომამდე წარსულის ყველა მოვლენა ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში იყო ძირშივე გაყალბებული. მათი გამოთვლით ეგვიპტის პირამიდები სწორედ შუა საუკუნეების დამდეგს აიგო. მათემატიკის მეთოდის გამოყენებით აკადემიკოსი ა. ფომენკო და დოცენტი გ. ნოსოვსკი წერენ, რომ თეორიულად შესაძლებელია, არგონავტები ოქროსთვის აფრიკის ეგვიპტეში მიცურავდნენ, იქაც ხომ (რუსეთის გარდა ელ.) არის ოქროს საბადოებიო: “მრავალრიცხოვანი მითითებები ზღვაზე, რომელთა შესახებ ქვემოთ გიამბობთ, არაორაზროვნად მეტყველებს იმაზე, რომ არგონავტები მაინც ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, რუსეთისკენ მიემართებოდნენ“, ამის შემდეგ მკვლევარები ამტკიცებენ, რომ მითი არგონავტების შესახებ შორეულ რუსეთში ლაშქრობის შესახებ გვიამბობს. უფრო მეტიც, მათი თქმით, მითში ხსენებული “განიერი მდინარე ფაზისი“ სხვა არაფერია თუ არა რუსული ვოლგა.

წიგნში “იმპერია“ მათემატიკოსები წერენ: “ჩვენ უკვე გავაანალიზეთ ზოგიერთი ძველი წყარო, რომლებიც მდინარე ფაზისზე ლაპარაკობს და გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ამ სახელის ქვეშ “ანტიკურ“ ავტორებს მხედველობაში პქონდათ მდინარე ვოლგა ან მისი ერთ-ერთი შენაკადი. გამოდის, რომ კოლხიდას, საითაც არგონავტები მიცურავდნენ, თანამედროვე საქართველოსთან არანაირი შეხება არა აქვს. ალბათ ოქროს საწმისისთვის არგონავტები რუსეთისკენ მიცურავდნენ, მათი გზა გასაგებია”... საკუთარი ვერსიის დასამტკიცებლად ავტორი კი “ანტიკურ“ სტრაბონს მიმართავენ, ის კი წერს: “კოლხიდაზე გავლით მოედინება ფაზისი - დიდი მდინარე, მდინარე ფაზისზე მდებარეობს ამავე სახელწოდების ქალაქი - კოლხების სავაჭრო ცენტრი, შემოზღუდული ერთი მხრიდან მდინარით, მეორედან - ტბებით, მესამედან კი - ზღვით... მიწა ზღვის ნაპირებზე საფლობია და მდინარეთა სათავეებში ჭაობიანია. ქვეყანა შესანიშნავია... გააჩნია ყველაფერი, რაც გემთმშენებლობისთვისაა საჭირო”... და შემდგომ: “გზად კოლხიდისკენ, ოქროს საწმისისკენ, არგონავტები გაივლიან ხის სახლებში მცხოვრებ მოსინეკთა ქვეყანას“, როგორც ჩანს, ლაპარაკია იმავე მოსხებზე, ანუ რუსებზე, მოსკოვის მცხოვრებლებზე, მოსკოვიტებზე“. აკადემიკოსის შემდგომი დასკვნები იმდენად აბსურდულია, რომ მათი კომენტირება უბრალოდ შეუძლებელია. იგი წერს: “კოლხიდისა და იმ დიდი მდინარის, ფაზისის ყველა აღწერილობა, რომელიც იქ მოედინება, რუსეთზე მიუთითებს“.

ცნობილია, რომ ყოველი სიმბოლო, როგორც ძველები აღნიშნავდნენ, არა მარტო ჩვენთვის აქტუალური ჭეშმარიტების შემნახველი ხდება, რომლის წვდომაც ჩვენი შესაძლებლობების, მისწრაფებებისა და სულიერი ძიებებისდა მიხედვით ძალგვისს საკუთარი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, ის დიადი ჭეშმარიტებების იმ იდუმალ, სანუკვარ ინფორმაციას ინახავს, რომელიც მარადიულ გამოცანად რჩება ჩვენთვის, რამეთუ რაც უფრო მეტს ვცდილობთ გამოვააშკარაოთ იგი, მით უფრო მეტად დაიმალება, რადგან ძველები მიუთითებდნენ მთვარეზე სიმბოლოს და სამყაროს გააზრებაში; იმაზე, რომ სასარგებლო მხოლოდ ის გაკვეთილია, რომელიც შეუცნობელის წრეს აფართოებს. როგორც ჩანს, ეს წესი რუს მეცნიერებზე არ კრიელდება, რომლებისთვისაც 2005 წლიდან მოყოლებული (მათი შრომების გამოცემის დრო), ვოლგამ შავ ზღვაში იწყო ჩადინება.

და თუ გავიხსენებთ აღმოსავლელი პოლიტიკოსის ცნობილ გამონათქვამს: “იბრძვიან არა ადამიანები, არა არმიები, არა სახელმწიფოები და არა იდეები, არამედ სიმბოლოები”, (Климович, 2006.) მაშინ ჩვენ მიერ მოყვანილ ციტატებში რუსი მათემატიკოსების ნაშრომებიდან არცთუ ისე უწყინარი მიზანი მოჩანს ეს არის მსოფლიოს ტრადიციული სურათის დანგრევა, სიმბოლოების გაყალბება, შეთხული სახეებით მანიპულირება, თავისთვის მომგებიან განმარტებათა ახალი ვერსიის თავზემოხვევის მცდელობა, ახალი პიპოთების დადგენის “მათემატიკური” მეთოდით დამკვიდრება.

### §3. ინტერპრეტაციის ენა

სიმბოლოზე საუბრისას მის ინტერპრეტაციას გვერდს ვერ ავავლით. ინტერპრეტაცია განსაკუთრებული მიღომა, ოსტატობის განსაკუთრებული სახეობა, სიმბოლური მასალის გააზრებისა და გადმოცემის ხელოვნება, მისი გაშივრაა.

სიმბოლოს ანალიზი, განმარტება უფრო ტექსტის განხილვას, მის წაკითხვას ჰგავს. და თუ მხედველობაში მივიღებთ ძველების განმარტებას, რომლებიც ერთი და იგივე სიმბოლური მასალისადმი შვიდ სხვადასხვა მიღომაზე საუბრობდნენ, სადაც წაკითხვა ყალიბდება ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ “კომპრომისს” ობიექტურ რეალურობასა და მასზე სუბიექტურ შეხედულებას შორის, მაშინ ნათელი იქნება, თუ რატომ არის დღეს ასე დიამეტრალურად განსხვავებული მსჯელობა ზოგადეროვნულ გერბში ცენტრალურ დეტალად ჩართულ სსრკ-ს მთავარ სიმბოლოზე. საუბარია ნამგალსა და უროზე. ჯერ კიდევ კარლ გუსტავ იუნგი აღნიშნავდა თავის შრომაში “ფსიქოლოგიური ტიპები”: “ვიდრე სიმბოლო ცხოველმყოფელობას ინარჩუნებს, ის წარმოადგენს საგნის გამოხატულებას, რომელიც სხვაგვარად ვერ იქნება აღნიშნული. თუ სიმბოლოს იდუმალი მნიშვნელობა ყველასთვის მისაწვდომი ხდება, სიმბოლო კვდება“.

სიმბოლო მხოლოდ მანამდე ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას, ვიდრე მისი მნიშვნელობა ზეგავლენას ახდენს, ვიდრე ის თავის მნიშვნელობით არის აღვხებული, მაგრამ როგორც კი მისგან მისი აზრი დაიბადება ანუ როგორც კი

მიგნებული იქნება მისი ჭეშმარიტი საწყისი, ფარული აზრი, საძიებელი საგანი, სიმბოლო მკვდარია, ანუ ის მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს. ის კარგავს თავის მაგიურ ძალას. ამიტომაც ეზოთერული, რელიგიური და მეცნიერული ტრადიციები ამკვიდრებენ ერთიან ეთიკურ კანონს: “მოქმედ სიმბოლოს ხელშეუხებლობის თვისება უნდა გააჩნდეს. ის იმდენად შორს უნდა იყოს შეცნობისგან, რომ კრიტიკულ ინტელექტს არ უნდა გააჩნდეს მისი ჭეშმარიტი დაშლისკენ მიმავალი არანაირი გზები.“ მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სიმბოლოს მრავალმნიშვნელობა მისი ერთადერთი თვისება არ არის. აქ საქმე სხვაგვარადაა. საიდუმლოს მცველის (ჩვენს შემთხვევაში ეს სსრკ-ს გერბია) ყოველი შეხვედრისას იმასთან, ვისთვისაც ეს საიდუმლო ინახება, ძლიერი ურთიერთრეაქცია ხდება.

ამ ოდესლაც უძლიერესი ჰერალდიკური ნაწარმოების იდუმალი წაკითხვის სისრულისათვის აღვნიშნავთ, რომ მასთან შეხვედრის ჭეშმარიტების მომენტი მკვლევარებს დღეს დაუდგა. მივმართოთ ეკატერინე ბუსიგინას სამეცნიერო შრომებს. ავტორი, რომელსაც სიმბოლოს ერთიანი ფილოსოფიური და ესთეტიკური განსაზღვრების ჩამოყალიბების სურვილი ამოძრავებს, საბჭოთა გერბის გამოსახულებას მიმართავს. “ნამგალი და ურო გერბის შემადგენლობაში წარმოადგენს არა უბრალოდ შრომის იარაღს, რომელსაც გლეხობას და მუშათა კლასს ვუკავშირებთ, ნამგალი და ურო მუშებისა და გლეხების ფენის სიმბოლოებს არ წარმოადგენს, რადგან მისი სიმბოლო შეიძლება იყოს, მაგალითად, სახნისი და სანგრევი ჩაქუჩი, ცელი, ფოცხი და გრდემლი“, - აცხადებს ავტორი და აგრძელებს: “სულ სხვა ქვეტექსტს ვხედავთ საბჭოთა კავშირის გერბში. აქ ნამგალი და ურო მხოლოდ მუშებისა და გლეხობის ერთიანობის სიმბოლოს როდი წარმოადგენს, არამედ გაერთიანების გარეგნულად ხილული მნიშვნელობიდან, ანუ რეალურად წარმოდგენილი ნამგალიდან და უროდან მომდინარეობს, რომლებიც ერთმანეთს ადევს, გერბის ნიშანი თავის მნიშვნელობას რეტროსპექტულად შლის სიღრმეში... და შეიცავს სამომავლო ქვეტექსტს - სწრაფვას მსოფლიო რევოლუციისა და მუშათა და გლეხთა კლასის ბატონობისკენ მთელ მსოფლიოზე“. (Бусыгина, 2008). ჩვენ მხოლოდ ერთ რამეში ვეთანხმებით ავტორს: - “გერბის გამოსახულება მხატვრულად არის შესრულებული და ესთეტიკურ მოთხოვნებს პასუხობს“ (Бусыгина, 2008). შემდგომ ბუსიგინა უროს

ქალურ-პორიზონტალური და მამაკაცური - ვერტიკალური მდგომარეობის დღეისთვის მოდურ წაკითხვას იშველიებს. სსრკ-ს გერბის ასეთივე წაკითხვას ანიჭებს უპირატესობას ბორის შაპორო-ტულინიც: “ნამგალი ქალური საწყისის გამოსახულებაა, ურო - მამაკაცურის. რუსეთი უნიკალურია იმ მხრივ, რომ მან გააერთიანა ორი ძირითადი რელიგიური მიმდინარეობა - ქრისტიანობა და ისლამი. რამეთუ ნამგალი და ურო ისლამური ნახევარმთვარის (ნამგალი) და ქრისტიანული ჯვრის (ურო) გენიალური გაერთიანებაა“. “მოცემული შეთავსება, - აღნიშნავს შაპირო-ტულინი - ქვეცნობიერებაზე ზემოქმედებს და სახელმწიფოს მთლიანობის იდეას განამტკიცებს. (Шапиро-Тулин Б. 1992.). საკუთარ თავს უფლებას მივცემთ არ დავეთანხმოთ ზოგიერთ მტკიცებას მთლიანობის შესახებ და სსრკ-ს გერბს სიმბოლოთა განმარტების უძველესი სისტემის -ტაროს თვალთახედვით განვიხილავთ. დამოუკიდებელი სახით განხილვისას ჩვენს ანალიზში ციფრი “7“ არაბულ მოხაზულობასთან ასოცირდება, ხოლო ნამგალი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პორიზონტალური ტარით გამოისახებოდა, ციფრი “5“-ის არაბულ მოხაზულობასთან ასოცირდება. ყურადღება მივაქციოთ საოცარ დამთხვევას - სახელმწიფო და მისმა აღნიშვნელმა გერბმა 75 წელი იარსებეს, სადაც “შვიდიანი“, აღნიშნული სისტემის მიხედვით, აღნიშნავს ორ სფინქსებმულ საბრძოლო ეტლს, აქედან ერთი სფინქსი თეთრია, მეორე - შავი. საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების ისტორიაში ეს სიმბოლო თეთრი და წითელი გვარდიის დაპირისპირებაზე მიუთითებს: ოთხ კოლონას ეყრდნობა ხუთქიმიანი ვარსკვლავებით (თექვსმეტივე რესპუბლიკა) მოჭედილი ცისფერი ცის თაღი, თაღის თავზე დგას ფოლადის საჭურვლით შემოსილი გამარჯვებული მეომარი, რომელიც სფინქსებიან ეტლს მართავს. ეტლში მდგომმა ადამიანმა გამარჯვების მოპოვებამდე მიიჩნია თავი გამარჯვებულად. მან გადაწყვიტა, რომ გამარჯვება ვალდებულია გამარჯვებულთან მივიღეს. აქ ბევრი რამ სამართლიანია, მაგრამ არც ცრუ მომენტებია ნაკლებად, ვინაიდან ეტლში მდგომ ადამიანს დიდი საფრთხეები ელოდება. ის თავისი ნების სიძლიერისა და ჯადოსნური სკიპტრის წყალობით მართავს (აქ ასოციაცია ი. სტალინის პიროვნებაზე მიუთითებს), მაგრამ მისი ნება შეიძლება შესუსტდეს და მაშინ სფინქსები სხვადასხვა მხარეს გაიწევენ და ეტლსაც და მეომარსაც შუაზე გახლეჩენ. შეიძლება ამ გამარჯვებულს დამარცხებულებიც აუჯანყდნენ. მის ზურგს უკან კოშკებია - დაპრობილი ქალაქები

(ევროპის). შესაძლოა იქ უკვე მწიფდება აჯანყება. ამ ადამიანმა ცა და დედამიწა გააერთიანა (სტალინის მიერ საძირკველჩაყრილი კოსმონავტიკის საწყისები). მოყვანილი ციფრების - “7”-იანის და “5”-იანის შეთავსება ძველი სისტემით ჯამის სურათს იძლევა = 12. რაც თავდაყირა ჩამოხრმობილ ადამიანს აღნიშნავს. საშინელ სატანჯველში მყოფი ზურგსუკან შეკრული ხელებით, მაღალ სახრჩობელაზე ცალი ფეხით თავქვე ჩამოკიდებული ჩამოხრმობილის როლში სსრკ-ს მთელი ხალხი გვესახება. ჩამოხრმობილის თავი ოქროსფერ ბრწყინვალებას ასხივებს, რადგან ამ ადამიანმა ჭეშმარიტება იხილა, აქ მითითებულია სულში დიადისა და მცირის შეუსაბამობა. სწორედ ეს არის წამება და გოლგოთა. (Успенекий, 1992).

ასეთია სსრკ-ს გერბთან დაკავშირებული სიმბოლოების უსაკენსკისეული განმარტების სისტემა. ავილოთ უროს გადამკვეთი ნამგლის ჩვეული სიმბოლური განმარტება. გადაკვეთის ხაზი მიუთითებს სიმბოლოს აგრესიულობაზე, რომელიც ცელთან ანუ სიკვდილთან ასოცირდება. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ყველა გერბიდან მხოლოდ ქართულ ვარიანტშია გერბის ორი ატრიბუტი წინდაწინვე დაშორიშორებული და სახიფათო გადაკვეთის გარეშე სხვადასხვა მხარეს განლაგებული. საქართველოს სსრ-ს გერბში ნამგალი და ურო თავისი კომპოზიციის წყალობით ეზოთერულად გააზრებულად ერიდებიან სახიფათო “მჭრელ” გადაკვეთებს და ამიტომაც შეიძლება მათი შრომის იარაღად აღქმა.

რაც შეეხება საქართველოს გერბს, თავისი საკმაოდ ჩაღრმავებული ქრისტიანული შინაარსით ის სცილდება იმ ეპოქაში დადგენილი ნორმების ჩარჩოებს და აშკარად გამოირჩევა ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკის გერბისგან. თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთმა დამაარსებლებმა იოსებ შარლემანმა და ევგენი ლანსერემ საქართველოს გერბის სახით პერალდიკური ხელოვნების შედევრი შექმნეს - გერბში მათ იგივე შვიდქიმიანი ვარსკვლავი და ყურძნის მტევანი - ქართველი ხალხის გაქრისტიანების სიმბოლო ჩახატეს. მას შემდეგ რაც 337 წელს წმინდა ნინომ ვაზის ჯვრით ხელში მონათლა ქართველობა, ვაზი ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოდ იქცა. საქმე ის გახლავთ, რომ ყურძნის მტევნები და ხორბლის თავთავები ქრისტიანულ ეზოთერიკაში წმინდა ზიარების დვინოს და პურის სიმბოლოდ იხმარებოდა.

ვაზი საქართველოს ყველაზე მეტყველი სიმბოლოა, რადგან ღმერთსა და ადამიანებს შორის ურთიერთობებს ასახავს. ვენახი დვთით დაცული ადგილია.

დმერთი (მევენახე) მუდმივად ზრუნავს თავის შვილებზე. ცნობილია, რომ საქართველოს სსრ-ს გერბის შემქმნელებს დაბეჯითებით სთავაზობდნენ ვაზის მტევნისა და ფოთლის ნაცვლად გერბში ციტრუსების ტოტის გამოსახულება მოეთავსებინათ. მაგრამ უკვდავების სიმბოლო გადარჩა და ეს მისი შემქმნელების ძალისხმევით მოხდა, რომლებიც შესანიშნავად ერკვეოდნენ ჰერალდიკურ სიუჟეტებსა და კანონებზი.

საქართველოს სსრ-ს გერბი მოკავშირე რესპუბლიკების (სომხეთის გამოკლებით) ძალაუფლების სიმბოლოებისგან განსხვავებით, წითელ ლენტებგადაჭიმული ტრადიციული საბჭოთა სახის გვირგვინი არ ყოფილა. ის წარმოადგენდა ორ მძღავრ მონდალს, ორ წრეს - მზის გეომეტრიულ სიმბოლოს. ორ წრეს, ორ უმნიშვნელოვანებს გეომეტრიულ სიმბოლოს, რომელთა ფორმა წინასწარვე იყო განსაზღვრული მზის სიმბოლოთი. ეს სიმბოლოები მიუთითებდა ერთიანობას (სსრკ-ს შემადგენლობაში და ერთპიროვნულბას შორის თავისი უნიკალურობით ბრძოლის უმნიშვნელოვანების ვითარებას).

იმ ჯადოსნური ყურძნის მტევნების წვენის შენახვა უნდა შემდგარიყო მზესთან წმინდა ქორწინებაში. (Робакидзе, 2003).

“მზის ფუძემდებლური მნიშვნელობა ჩვენს მსოფლმხედველობაში“. გრიგოლ რობაქიძის განსჯათა მოტივები და საგანი ეხმიანება პეტრე იბერის იდეებს, მის მოძღვრებას სინათლისა და ფერის შესახებ. “მზეს“ და “მზერას“ ქართულში ერთი ფუძე აქვს. აქ მხედველობაშია მზის, როგორც კოსმიური თვალის შინაგანი ხედვა. როდესაც ქართველს უნდა გამოხატოს ცნება “კოველივე“, ის ხმარობს სიტყვას “ყველაფერი“ ანუ “ყველანაირი ფერი“. ხოლო საპირისპირო ცნების გამოსახატად ის ხმარობს სიტყვას “არაფერი“, ანუ “არანაირი ფერი“, ამასთან ფერი გოეთეს მიხედვით ანუ როგორც ელემენტის უნდა იყოს აღქმული. ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთში, ხშირად იკითხავენ: “რაფერ გააპეთე“ ანუ როგორ გააპეთე. (Робакидзе გრ. 2003.). მივუბრუნდებით გასული ათწლეულების ქართული ჰერალდიკის საკითხს და აღვნიშნავთ გეომეტრიულ წრეებს შარლემანისა და ლანსერეს მიერ შესრულებული საბჭოთა სიმბოლიკის აუცილებელი ატრიბუტიკით - ნამგალითა და უროთი მნიშვნელოვან როლს მხატვრების მსჯელობებში სამეცნიერო ცოდნის შესახებ ასრულებს “ჰერმენევტიკული წრის კონცეფცია“, იმ

სახით, როგორიც ის გ. გადამერის მიერ არის ჩამოყალიბებული. აქ გაგების სისწორის კრიტერიუმად “ცალკეულისა და მთლიანის ურთიერთობა გამოდის.

მეფე არტურის მრგვალი მაგიდის რაინდთა მსგავსად, - სადაც იმისათვის, რომ თანასწორად იგრძნონ თავი, ყველანი მრგვალ მაგიდასთან სხედან. არავის, ლანსერებს და შარლემანის გარდა არ აღუნიშნავს თავის ჰერალდიკურ გამოსახულებაში ისტორიულ ვითარებათა საერთო ერთობის პირობებში იდენტური ცალკეობისკენ შესაძლო სწრაფვის აქტი.

ყოველივეს, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ, ზოგადკავკასიური დახასიათება გააჩნია, მაგრამ ჩვენს ერთობლიობასთან ერთად თითოეულ ხალხს თავისი საიდუმლოებები, პრიორიტეტების საკუთარი სისტემა აქვს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ სიმბოლურ მიღებებში გამოიხატება. სომხეთი და საქართველო ორი ქრისტიანული ქვეყანაა. აი როგორ გვხედავენ ჩვენ სხვები: “ბროწეული და მტევანი! დავაკვირდეთ ბროწეულს და ყურძენს. ბროწეული დაპატიმრებული ყურძენია, მტევანი ციხეში, ზეცა საშოში; მარცვლები კანში, გარსშია ჩაწეული, და ლალ ფრთოსან მტევნად არ არის გაშლილი. და თუ საქართველოში მგალობელი შაშვი დახტოდა, სომხეთში - მამალი, რომელსაც რიტუალურად კლავენ“ - ასე გვახასიათებს ჩვენ გაჩევი. ჩვენ კი ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ბროწეული შიდა ციხეა, მონოლითია, “სკაა“, სადაც ერთი ყველასთვისაა და ყველა ერთისთვის, ხოლო წმინდა ვაზი, დვინოს რომ იძლევა, ღმერთთა სასმელია.

ვაზს სამოთხის სიცოცხლის ხესთან აიგივებდნენ, ვაზი და ლვინო მჭიდროდ არის დაკავშირებული მითთან დიონისეს შესახებ. მითი დიონისეს შესახებ, რომელმაც ტანჯვა-წამება და ალორძინება გამოიარა, მოგვაგონებს იესოს ამბავს, რომელმაც თქვა: “მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი“. ყურძნის წვენი სულის სინათლეა, მისი მარცვლები წმინდა ზიარებაა, ხოლო ლვინო - თავად ქრისტეს სისხლი.

ბევრს მიაჩნია, რომ მეცნიერისთვის მთავარი რაღაც ორიგინალური იდეის გამოგონებაა, ისეთის, ჯერ რომ არავის გამოუთქვამს. მაგრამ აბსოლუტურად ახალი იდეები, თუ ისინი საქმიანია, თითქმის არასდროს არსებობს. იდეა ახალი მხოლოდ იმათ ეჩვენება, ვინც ცუდად იცის მეცნიერული და ფილოსოფიური აზრის ისტორია. ამრიგად “დეჟა ვიუ“ მეცნიერებაში საკმაოდ ჩვეული რამაა და ის ამასთან პოეტური გამონათქვამით “არაფერია ახალი მთვარის ქვეშ“ არის გალამაზებულ-განმტკიცებული, მას აზრის ნებისმიერი დამთხვევის გამართლება

შეუძლია, მითუმეტეს, რომ მკვლევართა აზრით, “დექა ვიუ“ ძალზე გავრცელებული მოვლენაა და მას ჯანმრთელ ადამიანთა დაახლოებით 97% სიცოცხლეში ერთხელ მაინც შეხვედრია.

“თუ თქვენ გამოგონილი სახე რეალურში გეშლებათ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ გამოგონილი სახე არცთუ იშვიათად რეალურზე უფრო რეალურია ხოლმე“. (Робакидзе, 2003).

#### §4. პაგასიის სიმბოლური სიგრცე

ყოველი ადამიანის და ყოველი ხალხის სიცოცხლე სივრცეში, ძალის ველში ბედისა და თავისუფლების პოლუსებს შორის მიედინება.

ჩვენი დაბადება გარკვეულ კოსმოსში, ბუნებაში, ეთნოსში, ქვეყანაში, ენასა და კულტურაში მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენი ფასეულობების, განსაკუთრებით კი ფსიქიკისა და მენტალიტეტის შკალას. სწორედ ამგვარი განპირობება არის ერთგვარი გაგებით ბედის ველი. მაგრამ დაბადებისთანავე ჩვენ თითქოს დავალებას, პროექტს ვდებულობთ: ამ დავალების შესაბამისად ავაგოთ საკუთარი თავი და ცხოვრება. ამ სახის პროექტი თავისუფლების ველში აღსრულდება, რადგან ის ჩვენი ნების, ჩვენი იდეალის, ჩვენი მიზნის არჩევანი ხდება. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ეხება არა მარტო ცალკეულ პიროვნებას, არამედ მთელ ეთნოსებს, ხალხებს. მთელი ისტორიის მანძილზე ხალხი თავისი შრომის შედეგად ქმნის საკუთარ თვითმყოფად კულტურას. სწორედ კულტურა არის ის უმთავრესი, უნიკალური დიალოგი ჩვენს ბედსა და ჩვენს თავისუფლებას შორის.

სივრცე და დრო ყოფიერების მთავარ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. ისინი კულტურის ფუნდამენტურ ცნებებს წარმოადგენენ და ადამიანის აზროვნებაში უმნიშვნელოვანების როლს ასრულებენ. თავად ჩვენი არსებობა მხოლოდ გარკვეული სივრცობრივი და დროითი კონკრეტულობის ფორმებშია შესაძლებელი. ჩვენი განსახილველი პრობლემა წარმოუდგენლად მრავალ ასაექტს აღწევს, რადგან მისი ორგანიზება ადამიანის ირგვლივ ხდება და მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანი ხდება. სივრცის საკითხების გააზრება მხოლოდ ფილოსოფიური

ონთოლოგიის ამოცანა როდია, არამედ მთლიანად მსოფლმხედველობისა. სიმბოლო და მითი იდო ძველი საზოგადოების ტრადიციებისა და მსოფლგაბების საფუძველში. ისინი არსად გამქრალა და სრული სახითაა შემონახული, ოდონდ ახლა ნაკლებ აქტიურად მოქმედებს ადამიანებზე, ვიდრე უწინ. სხვა ამბავია, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში რელიგია ყურადღების ცენტრში მოექცა და რელიგიური არქეტიპები, მითები, სახეები, სიმბოლოები ერთდროულად შეგნებულიც იყო და შეუგნებელიც. ამჟამად კი, თანამედროვე საზოგადოებაში, მითი სარდაფში ცხოვრობს და ცნობიერებაში ეპიზოდურად აღწევს - უფრო ხშირად სხვადასხვა ფორმების საშუალებით.

მსოფლიოს ერთიან გეოგრაფიულ რაიონებში განლაგებული ქვეყნები, ადამიანები რეგიონალურ სივრცეებში არიან ჩართულები. და მხოლოდ ყველა მისი სახეობის საყოველთაო შეღწევა გვაძლევს მთლიანი წარმონაქმნის სურათს, იმას, რაც კაცობრიობის მიერ ისე აღიქმება, როგორც ცივილიზაცია.

ცივილიზაციის არსებულ სივრცეში შემავალ ნებისმიერ სივრცეს თავისი ავტონომია გააჩნია, ის არსებობს და თავისი შიდა კანონებით ვითარდება. სწორედ საკუთარი წესებისა და განწყობების კოდექსი ახდენს განსაკუთრებულ ზეგავლენას ზოგადცივილიზაციურ კანონზომიერებებზე.

თითოეულ კულტურასა და თითოეულ სახელმწიფოში არსებობს საკუთარი წარმოდგენა სოციალურ სივრცეზე, საკუთარი სივრცობრივი პრაქტიკები და როგორც ეს სამართლიანად მიაჩნია ზ.ა. უადეს, სივრცის გააზრებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მისი შესწავლა ადვილი გახდა. (Жаде, 2007).

განსაკუთრებული სამყაროები, ფასეულობათა ეროვნული სისტემები, მენტალიტებები, როგორს გვხედავენ სხვები, როგორ ვაფასებთ საკუთარ თავს თავად ჩვენ - ყოველივე ამის შესახებ ჩვენი აზრები და სიმბოლოები მეტყველებს. მათ მრავალი დონე გააჩნია - ასოციაციურიდან საკრალურამდე. სიმბოლური სივრცისადმი დამოკიდებულებისდა მიხედვით ხდება სამყაროს დაყოფა წმინდა და საერო სამყაროდ. დღევანდელი მეცნიერება არაორაზროვნად მიუთითებს ადგილობრივი ბუნების ერთიანობაზე, თითოეულ წარმოდგენილი ხალხის ხასიათზე და რაც მთავარია, მისი აზროვნების ყაიდაზე. თუ კავკასიაზე ვილაპარაკებთ, აქ ლანდშაფტი, ენა, ცეკვა, სუფრა, სიმღერები - ყველაფერი ერთ ტექსტ-

სადღეგრძელოდ ყალიბდება, რომელშიც მახვილგონივრულად იკითხება მისი ხალხების ლოგიკა და ფსიქოლოგია.

ზოგადად მეცნიერებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ის ორსახოვან იანუსს ჰგავს, რომლის სახეც ერთი მხრით ბუნდოვან შორეთშია მიმართული, მეორეთი კი - შორეულ მომავალში. სწორედ მეცნიერების ეს ორმაგი ხასიათი განსაზღვრავს მის მთავარ მიზანს ჩვენი ყოფიერების გააზრებაში - განვიხილოთ არსებული რეალობა როგორც “რეტროსპექტივა - პროგნოზი.“ რა გვაქვს აქ მხედველობაში, რა იგულისხმება ამ განსაზღვრებაში? მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უბრალოდ წარსულს კი არ შევიმეცნებთ, არამედ მის დრმა, შორეულ წარსულს, შეგვეძლება მივუახლოვდეთ მცენარეულის, ჰავის, ნიადაგების და გარემოს სხვა ელემენტების ბუნების ისტორიაში მოვლენათა თანამედროვე მექანიზმის გაგებას, მათ რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში, შევძლებთ განვიხილოთ ადამიანის საქმიანობა დედამიწაზე, დროსა და სივრცეში მისი ჩამოყალიბების ისტორია, იმისათვის, რათა მოვახდინოთ მათი მომავალი განვითარების პროგნოზირება და თავიდან ავიცილოთ შესაძლო კატასტროფები.

მხოლოდ ძველ ეპოქათა შესწავლის წყალობით შეუძლია მეცნიერებას შექმნას მომდევნო დასკვნების ჯაჭვი. როგორ არის საქმე ჩვენს სფეროში, რომელსაც ისე განვიხილავთ როგორც თავისებურ კოსმო-ფსიქო-ლოგოსს, ანუ ადგილობრივი ბუნების, ხალხის ხასიათის, მისი აზროვნების სახის ერთობლიობას - ეროვნულ ფასეულობას, ლოგიკასა და ფსიქიკას?

სამწუხაროდ, მოცემულ გამოკვლევაში ჩვენ მოგვიწევს მხოლოდ აღვნიშნოთ, თუ როგორ გვასწავლიან განსაკუთრებული სამყაროები კავკასიის სიმბოლური სივრცის შედარებით პატარა რეგიონში აქ მცხოვრები თითოეული ეთნოსის არამსგავსობის, განსხვავებულობის გაგებას და რაც მთავარია, სიყვარულსა და პატივისცემას.

კავკასია ყოველთვის იყო მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი რაოდენობის ერებითა და ხალხებით ესოდენ მჭიდროდ დასახლებული ადგილი. მისი უმდიდრესი ისტორია და კულტურა მთელი კაცობრიობისთვის არის ცნობილი, თუმცა მიუხედავად ამისა, კავკასიაში ჯერ კიდევ ძალზე ბევრი საიდუმლო რჩება. ავიდოთ თუნდაც თავად რეგიონის სახელწოდება, მისი ეტიმოლოგია დღემდე აუხსნელია. ვერც ტომებისა და

ხალხების ისტორიის საგულდაგულო შესწავლამ, ვერც ამ ენებში არსებული უკელა გარაუდის შეჯერებამ ვერ მოგვცა სიტყვა “კავკასიის“ დამაჯერებელი, სარწმუნო დასაბუთება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. არსებობს ინტერპრეტაციის სხვადასხვა მცდელობა, მაგრამ ისინი უფრო გამოგონილია. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ირწმუნება, თითქოს ასე ერქვა იაფეტის ერთ-ერთ შთამომავალს, ნოეს წინაპრის უფროს ვაჟიშვილს, ხოლო იაფეტის ვაჟიშვილებისგან - ქართლოსისა და გაიოსისგან და სხვებისგან მომდინარეობდნენ კავკასიის ხალხები - ქართველები, სომხები და სხვები. შემთხვევით როდი გახდა ჩვენი რეგიონი ათასი, მერე კი ას წელზე მეტი ხნის წინ საოცრად მიმზიდველი მოგზაურებისთვის, ავანტიურისტებისთვის, წარსულის მოაზროვნებისა და ჩვენი დროის კულტუროლოგებისთვის. კავკასია ეს არის გაიუს პლინიუს სეკუნდ უფროსის, თეოფრასტეს, გაიუს ვალერიუს ფლაკ სეტი ბალბას, აპოლონ როდოსელის, პეროდოტეს, სტრაბონის, ფსევდოპიპოკრატეს, ალექსანდრ დიუმას, ავგუსტ ფონ ჰაქსაუზენის (1792-1866), ჟაკ ფრანსუა დე გამბას (1763-1833), ჟან შარდენის (1643-1713), პუშკინისა და ტოლსტოის საინტერესო მოთხოვნები და სერიოზული გამოკვლევები, მაგრამ ჩევნ გვინდა უფრო გვიანდელი პერიოდის ნაშრომზე, ცნობილი თანამედროვე მეცნიერ-კულტუროლოგისა და მწერლის გეორგ გაჩევის ნადვაწზე შევჩერდეთ. გ. გაჩევი გახლავთ სხვადასხვა ხალხთა კულტურისა და მსოფლიოგების შედარებითი აღწერების მრავალტომიანი სერიის ავტორი. მის ეროვნულ სახეებში თითოეული ეროვნული მთლიანობა თავისებური კოსმო-ფსიქო-ლოგოსის სახით არის განხილული. თანმიმდევრობის ამგვარი შეთავსება ჩვენ გვესმის როგორც ავტორის

ორიგინალური ცდა, ეგზისტენციალური კულტუროლოგია. მაგრამ ვიდრე იმის გააზრებაზე გადავიდოდეთ, რის შესახებაც გაჩევთან არის ნათქვამი, გვინდა გაგაცნოთ ჩვენი საკუთარი მოსაზრება კავკასიის საკრალური სივრცის შესახებ.

საერთოდ, საკრალური სივრცის სტრუქტურის აღწერისას XIX საუკუნის ფრანგი და გერმანელი ფილოსოფოსი ლევი-ბრიული წერდა: “წმინდა ადგილი ცნობიერებაში არასდროს გამოდის როგორც რაღაც განცალკევებული, იზოლირებული. ის ყოველთვის წარმოადგენს უფრო ვრცელი კომპლექსის ელემენტს, იმ კომპლექსისა, რომელშიც შედის გარკვეული სახეობების მცენარეები და ცხოველები, რომლებიც მოცემულ ადგილზე გარკვეულ პერიოდში მრავლად

არიან. მითიური გმირები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, ქმნიდნენ, მოქმედებდნენ, გმირები, რომლებიც ხშირად ამ ნიადაგთან შერწყმულები, მოცემულ ადგილზე ხორცშესხმულები, და ბოლოს ამ მითოლოგიური კომპლექსით მოგვრილი გრძნობები“.

რაც შეეხება კავკასიას, როგორც ცნობილია, მას არა კლია ადგილობრივი ლეგენდებისა და თქმულებების გმირები, რომ აღარაფერი ვთქვათ საყოველთაოდ ცნობილ პრომეთეზე, მედეაზე და ლეგენდაზე ნოეს კიდობანის შესახებ.

ლევ გუმიევს მიაჩნდა, რომ როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს ტექნიკა, ჟელაფერს, რაც სიცოცხლისთვის არის აუცილებელი, ადამიანები ბუნებისგან იღებენ. ისინი სტრუქტურულ-სისტემურ ფასეულობათა ელემენტებს წარმოადგენენ, ამასთან იგი ხაზს უსვამდა: “მნიშვნელოვანი როლი აქ ლანდშაფტს ეკუთვნის“. რაც შეეხება ლანდშაფტს, საქმე ის არის, რომ ლანდშაფტი სულაც არ არის წყლის, ჰაერის, ქვისა და “სიმწვანის“ ჯამი, ეს ადამიანის გარდაქმნითი შრომაა, რომლის ნაყოფსაც წარმოადგენს ფლორა, ფაუნა, წიაღისეული სიმდიდრე და მეზობლებთან ურთიერთობა - ან მეგობრული, ან მტრული. ლანდშაფტს “განსახლების“ ან “მიგრაციის“ მართვის საკუთარი მექანიზმები გააჩნია. ამ მექანიზმებიდან ჩნდება ის, რასაც ადამიანები “ლანდშაფტის მიზიდულობას“ ეძახიან. კულტურულ ანთროპოლოგიაში ლანდშაფტი განმარტებულია როგორც დედამიწის ზედაპირის აღქმა ეთნიკური კულტურის პრიზმაში. ადამიანის აღქმაში ის აუცილებლად იძენს სიმბოლურ მნიშვნელობებს და არა მარტო ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა: “სილამაზე“, “სამშობლო“, “თავისუფლება“. არსებობს ეთნიკურად უცხო ლანდშაფტების შეგრძნება. ეს ის შეგრძნებაა, როდესაც ჩვენ ისე აღვიქვამთ ლანდშაფტს, როგორც “უცხო მხარეს“. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ლანდშაფტის უნარი მიიზიდოს, იყოს თავისებური სატყუარა. დიდი შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ეთნოსებს მხოლოდ ისტორიული მოტივების მიხედვით უკავიათ გარკვეული ტერიტორია. თურმე მსგავსი არჩევანი ხალხების მიერ ლანდშაფტური ნიშნების მიხედვით ხდება. ეს ნიშნები მარტო გარდასული ეპოქების კულტურულ მემკვიდრეობას, თანამედროვე კულტურის ახლო წარსულისა და მის ახლანდელი მდგომარეობის კი არა, არამედ უმთავრესად მომავლის იდეების მატარებლებიც არიან.

მოცემულ თავში განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენ იმას ვუთმობთ, რომ ლანდშაფტის თვალთახედვით, აქ მოსახლე ხალხები თავის საყოველთაო ისტორიულ მისიას ასრულებენ. ისინი ლანდშაფტის წინაშე თავის მოვალეობას იხდიან. მათ უფლება არა აქვთ ქალაქების, პირადი ეკონომიური სარგებლის გულისთვის უდალატონ მას. ყოველი ხალხი, თუ მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ბუნებრივი შიშის გრძნობა, ვალდებულია საკუთარ თავსა და მომდევნო თაობებში ამ ლანდშაფტისთვის საკუთარი საჭიროების გრძნობა ჩამოაყალიბოს. ვინაიდან ეთნიკური სტერეოტიპები მხოლოდ კულტურით არ არის განპირობებული, ისინი უწინარეს ყოვლისა, თავად ლანდშაფტის მიერ არის ინიცირებული და სანქცირებული. ეთნოსი ვალდებულია თავისი საქციელით უპასუხოს “ლანდშაფტის მიზიდულობას“, მის “ძახილს“ და არა “გამოწვევას“. და მთიელთა სიამაყვ, სტეპების ბინადართა სიმამაცვ, ჩრდილოელი ხალხების თავშეკავებულობა არამც და არამც არ არის გეოგრაფიული მოვლენა, ეს უფრო ლანდშაფტური მოვლენაა (ლანდშაფტის ფილოსოფიის აბსოლუტური ვერგაგების ისტორიული მაგალითია ხრუშჩოვის დროინდელი სსრკ-ს შიდა პოლიტიკა).

რას მოაქვს მთელი კაგეასიისთვის დამცველი ფუნქცია? გეოგრაფიულ სივრცეშიც და სიმბოლურ სივრცეშიც ამ რეგიონის დაცვითი ფუნქცია მის დიად მთებს აკისრია. ცნობილია, რომ ამგვარ ლანდშაფტურ საოცრებას, მთებს მოკლებული ხალხები ხელოვნურ ზიკურანტებსა და პირამიდებს იქმნიან (ავიდოთ ეგვიპტე, კამბოჯა, ჩინეთი, კორეა, პირამიდის არქიტექტურულ-ტექნიკური პირველსახე - ეიფელის კოშკი...). ცნობილია ოლიმპის კულტი საბერძნეთში, არარატისა სომხეთში, პიმალაქებისა ინდოეთში, ფუძიამასი იაპონიაში. მთების კულტი ძველ იუდეაშიც არსებობდა. მოსე დმერთს სინაის მთიდან ესაუბრებოდა, მსხვერპლშეწირვაც ხომ სიმაღლეებზე ხდებოდა, საკმარისია გოლგოთა გავიხსენოთ. მთები ზეცისა და ქვესკნელის კავშირს განასახიერებენ. თბილისის დასავლეთით სიონის მსგავსად დგას წმინდა დავითის მთა. ის თითქოს ჯოჯოხეთის მეუფისაგან, სატანური ძალებისგან იცავს ქალაქს. აღმოსავლეთიდან თბილისი ამომავალი მზის სხივებისთვის არის გულგადაშლილი. აღმოსავლეთი სულიერი სინათლისა და გადარჩენის სიმბოლოა. ლოცვის შემდეგ მამა დავითი მთის კალთაზე გადმოდგებოდა და თბილისს ლოცავდა. ის ისე იდგა ხრამის პირას, როგორც ციხესიმაგრის კოშკზე, კლდეებსა და ლოდებს, სათოფურებს შორის. აქ

ამ მთაზე დმერთების არსებობამ და მათთან სიახლოვემ განაპირობა ხალხის სურვილიც. აქ, პანთეონში, მიეჩინა სამუდამო განსასვენებელი თავისი საუკეთესო შვილებისთვის. მთა ტრანსცენდენტურობის სიმბოლო, ზეასვლის, სულიერი ამაღლების ზღვარია, რომელიც კოსმოსის მდგრად უცვლელობას უზრუნველყოფს. მაგრამ სიმბოლური თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ენერგეტიკის მატარებელი ორი მაგიური ობიექტია იალბუზი და არარატი. ცნობილია, რომ ორმწვერვალიანი მთები ძველად მსოფლიოს ბევრ კულტურაში წმინდად ითვლებოდა. თქმულებები მათ შესახებ დიდ საიდუმლოს შეიცავს. ყოველივე ამის გამო სივრცე იალბუზსა და არარატს შორის ყოველთვის კავკასიის მთელი რეგიონის განსაკუთრებული ამაღლებული სულის ადგილად იქნება აღქმული, რომელიც მის საერთო ეთნოფსიქოლოგიასა და აქ წარმოდგენილი თითოეული ეთნოსის აბსოლუტურ უნივერსალობას აერთიანებს.

კავკასიის სივრცის მორიგ მაგიურ სიმბოლოდ ჩვენ ამიერკავკასიის ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე, სამი სახელმწიფოს თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის გამაერთიანებელი არტერია მიგვაჩნია. საუბარია მდინარე მტკვარზე, კურაზე.

სახელწოდება “კურა“ ან მეგრული წარმომავლობის უნდა იყოს: კურ - “წყალი, მდინარე“, ან ავდანურის - “წყალი“. მდინარის ქართული სახელი - მტკვარი ან ქართულ “კარგ წყალთან“ არის დაკავშირებული ან მეგრულ ტკვარ-უა-თან - „მდინარე, რომელიც მთებს ჭამს“ (მტკვარი ქართველებში, კურ ან კურ თურქთათარ ხალხებში) კავკასიის მხარის უდიდესი მდინ არეა, რომელსაც თავისი აუზით ამიერკავკასიის უმეტესი ნაწილი უკავია, სათავეს იგი უტყვეო ჭაობიან მაღალ ქვაბურში იდებს არდაგან-ყარსის პლატოზე. ეს ჭეშმარიტად სიცოცხლის მდინარეა.

### III თავი შურნალისტიკა ოობორც საკომუნიკაციო სიზრცის სიმბოლური გელი

#### §1. პოლიტიკ სიუჟეტებიდან საკვანძო სიუჟეტებამდე შურნალისტიკაში

ჩვენი კვლევის დასკვნით თავში, ნათქვამის ზოგადი დამატების სახით, კიდევ ერთხელ მივუთითებთ ზოგადად კომუნიკაციის ნაირსახეობაზე, მის კავშირზე შურნალისტიკასთან. კომუნიკაცია არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება და ვითარდება მრავალგვარი ადამიანური ურთიერთობები, სიმბოლოები, ნიშნები, აგრეთვე სივრცესა და დროში მათი გადმოცემის საშუალებები. რაც შეეხება თანამედროვე შურნალისტიკის პრობლემების თეორიულ გააზრებას, მისი შემსწავლელი მეცნიერება სწრაფი ტექნიკით ვითარდება. ეს ვითარება გლობალური ხასიათის საერთო ვითარებით აიხსნება. საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება (ისეთი დახურული კომუნიკაციური სივრცეების განედებზე, როგორიცაა ყოფილი სსრკ - ქვეყანა, რომელიც მონოიდეოლოგიური რეჟიმის პირობებში არსებობდა), ხელს უწყობს მასობრივი საინფორმაციო საქმიანობის ინტენსიურ განვითარებას. ეპოქალური ხასიათის სიღრმისეულმა ძვრებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს თანამედროვე პრესის, რადიოს და ტელევიზიის არსებით მოდერნიზაციასა და გარდაქმნაზე. მაგრამ სამწუხაროდ, შურნალისტიკის მეთოდოლოგიური შესწავლის საკითხები ჯერ კიდევ არ არის ამომწურავად შესწავლილი.

შურნალისტიკის სფეროს მკვლევარები იძულებულები არიან მიმართონ ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგიის ნაშრომებს ცოდნის სხვადასხვა სფეროში: ლოგიკში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, სადაც სოლიდური მოცულობის ცოდნაა დაგროვილი. “საკითხის უზარმაზარ ლიტერატურაში” პრაქტიკულად არ არსებობს აღიარებული კრებსითი ნაშრომები, რომლებიც სისტემურად ახასიათებს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების მთელ სისტემას და მით უმეტეს არ არსებობს ისინი შურნალისტიკასთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოცემულ კვლევაში იმ საკითხებთან მიმართებაში,

რომლებიც თანამედროვე მედიასაშუალებებში სიმბოლური თრგანიზაციის პრობლემებს ეხება, ჩვენ მიერ დამუშავებული საკითხების თემის არსში თანდათანობით ჩაღრმავების პროცესით დაგემაყოფილდეთ. ცხადია, ყოველ ობიექტს უსასრულო რაოდენობის წახნაგი გააჩნია. მისი შემეცნების პროცესი უსაზღვროა და აქ ურიცხვი რაოდენობის თეორიებისა და მოძღვრებების ფორმულირებაა შესაძლებელი, რომლებსაც შეეძლოთ არაერთხელ განეხილათ ჩვენ მიერ არჩეული ობიექტი. ერთი და იგივე ობიექტის შემსწავლელი მეცნიერებები განსხვავდება თავისი საგნობრივი მიღვომებით საკვლევი თემის შეცნობის პროცესში. რაც შეეხება კომუნიკაციური სივრცის ურნალისტურ არეს, ის უდავოდ გამოყენებით სოციალურ-კომუნიკაციურ მოვლენას წარმოადგენს და მას ურნალისტიკასთან მჭიდრო ნათესაური კავშირი აქვს. ცნობილია ის ფაქტიც, რომ კომუნიკაციის არე უფრო ვიწროა, ვიდრე კომუნიკაციის სივრცე პრობლემის განხილვის მოცემულ ეტაპზე. ჩვენ კომუნიკაციის პროცესი გვაინტერესებს, ვინაიდან გარდა იმისა, რომ რთულია, ის სოციოკულტურული სივრცის მაორგანიზებელიცაა. ჩვენს მეცნიერულ ძიებაში განსაკუთრებით ფასეული დროსა და სივრცეში განხორციელების თვალსაზრისით, კომუნიკაციის ორი ნაირსახეობაა. საუბარია დიაქრონული (წარსულიდან მომავალში) და სინქრონული (ერთი ისტორიული პერიოდის ჩარჩოებში) კომუნიკაციების ცნებაზე. ეს უკანასკნელი ერთი-ორი და უსასრულოდ ბევრი თაობის ფარგლებში ინფორმაციის გადაცემის განსაკუთრებულ ფასეულობაზე მიუთითებს. ნათქვამს ასე ავხსნით. ჩვენი მიღვომისთვის კომუნიკაციურ სივრცეში აუცილებელია გამოვყოთ ურნალისტიკა არა მარტო როგორც სოციალური ცხოვრების ფენომი, არამედ ასევე, როგორც საინფორმაციო-კომუნიკაციური პრაქტიკის “საველე“ წარმონაქმნი. მეცნიერება აღნიშნავს, რომ ველები თავისებური ზეგავლენის ცენტრების სახით ყალიბდება. ამგარი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური მუხტის ველში მოხვედრილი ადამიანი მისი ზემოქმედების ქვეშ ექცევა და მას შეუძლია შესაბამისად შეცვალოს თავისი ქცევები და მთლიანად ცნობიერება. ურნალისტიკის ტექსტები სამყაროს მოდელებს, საზოგადოების თავისებურ კულტურულ ჰრილს წარმოადგენს. მათი ერთობლიობა წარმოაჩენს არა მხოლოდ ერთი გარკვეული პერიოდის კულტურას, ისინი ახალი აზრების “გენერატორად“ და ადამიანის “კულტურული მეხსიერების

კონდენსატორად“ გამოდიან. ურნალისტიკის მოღვაწეობის სფერო ყოველთვის აქტუალურის სფეროშია

გამოხატული. მისი ამოცანა უცვლელი და მუდმივად ფუნქციურია - მას მასობრივ ცნობიერებაში კონკრეტული აქტუალური მოვლენების შეფასებები უნდა შეჰქონდეს.

ვიდრე მასმედიის გვერდებზე აგონის საკითხის გაშუქებაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია ზოგიერთი ტერმინოლოგიური დაზუსტება არა მხოლოდ ზოგადად ტექსტის, არამედ აგონის ფენომენის გაგებაში. ბუნებრივია, კომუნიკაციურ სივრცეში სიმბოლო უაღრესად მოცულობითი ცნებაა - დაწყებული კინოთი, პრესით, რადიოთი, ტელევიზიონით, რეკლამით, სხვადასხვა სახის პროპაგანდით და მუსიკით, მასობრივი ლიტერატურით დამთავრებული. რა თქმა უნდა, შეიძლება მათ მიმართ ერთი რომელიმე დისციპლინის - ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პედაგოგიკის, სტილისტიკის და ა.შ. მეთოდების გამოყენება. სავსებით დასაშვებია კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების საქმიანობის ცალკეული მხარეებისა და სპეციფიკური ტექნოლოგიების დრმა გამოკვლევა. ჩვენ კი ვაპირებთ მასმედიის პუბლიკაციებზე შეგჩერდეთ, რათა გავარკვიოთ, შეიძლება თუ არა ბეჭდვითი მედია, როგორც კომუნიკაციური სივრცის ნაწილი, უძველეს სიმბოლოთა მოქმედების არედ წარმოვიდგინოთ. როგორ მოდიფიცირდებოდნენ ისინი ჩვენს რეალიებში და მოდიფიცირდებოდნენ თუ არა საერთოდ?

ჩვენ ტექსტს განვიხილავთ უკვე არა მხოლოდ როგორც იმ ნიშნების თანმიმდევრულ განლაგებას, რომლებიც ერთიან სემანტიკურად დასრულებულ ნაწარმოებს ქმნიან, არამედ როგორც კოსმოლოგიურ მოვლენას, რომელიც მთელ გარე სამყაროსთან იგივდება: “სამყარო ტექსტია“ და “ჩვენ ამ გრანდიოზული ტექსტის შიგნით ვცხოვრობთ“. იგი იკითხება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან, მაგალითად, “წეროების გუნდის სოლისებრი ნაწერიც“ კი დრმა აზრითაა სავსე. და მართლაც, ის, რაც ჩვენ ირგვლივაა, გახსნილია შეცნობისთვის, ნებისმიერ დეტალს შესაბამისი მნიშვნელობა ენიჭება და სხვა დეტალებთან შერწყმით ის ქმნის თავისებურ “თხრობას“, რომელსაც დასაბამიერი სიბრძნე, ლოგიკურობა და პარმონია ახასიათებს. ვინაიდან გარე სამყარო შეიცნობა, “იკითხება“, შესაძლებელია ვისაუბროთ იმაზე, რომ “მთელი სამყარო ნიშნური, სიმბოლური სისტემა, თავისი აზრით უსასრულოდ დრმა ტექსტია. (Линник, 1991).

ტექსტი ურთიერთობის სხეულია, - აღნიშნავდა ბახტინი. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ტექსტის ნიმუშებს შორის გაზეთიც სახელდება.

კულტურა არის ის, რასაც საზოგადოება ფიქრობს, ენა კი - ის, თუ როგორ ფიქრობს. და თუ დღეს აშკარაა ეროვნული შეგნების გაფართოების ფაქტები, რომელშიც ჩვენთვის ცხოვრების ახალი აგონისტური ფორმები, ქცევის ნორმები მუდავნდება, ჩვენ არ უნდა გავერიდოთ ახალ კულტურულ ორიენტირებს. ცხოვრების აგონისტური სტილი ერთგვარად ჩვენი ისტორიული არჩევანით არის განპირობებული. მაშასადამე, როგორც ზემოთ აღინიშნა, “საზოგადოება ასე ფიქრობს“. როგორია თანამედროვე ჟურნალისტიკის, როგორც ამ საზოგადოებრივი არჩევანის “ამსახველი ენის“ სიმპტომები? აი კითხვა, რომელზეც თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სიმბოლური და მითოლოგიური შემადგენლების გაცნობის შედეგად მიღებული პასუხის გაცემას ვაპირებთ.

ცნობილია, რომ ჟურნალისტიკა კონვეიორული სისტემაა, სადაც გაზეთები და ჟურნალები, რადიო და ტელეგადაცემები ერთი მხრივ ერთმანეთს არ გვანან, მეორე მხრივ კი მათი საქმიანობის ფორმა ხშირად თემის, ჟანრის, პუბლიკაციების მოცულობის, ანგაუირების ვარიანტების მაქსიმალურ სტანდარტიზაციაზე მიუთითებს და მიუხედავად ამისა, ჟურნალისტს ყოველთვის აქვს იმის შანსი, რომ კონვეიორს მოსწერდეს, დაძლიოს თავისი ხელობის შაბლონები, შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინოს და ისე გააკეთოს, როგორც ამას პროფესიონალის შინაგანი ხმა კარნახობს. მას შეუძლია უფრო მოცულობითი სახით, უფრო საინტერესოდ გააკეთოს, ვიდრე ეს თვადაპირველად პქონდა შეკვეთილი, მაგრამ პრაქტიკოსმა ჟურნალისტებმა, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს “დროისა და სივრცის“ უკმარისობა (ანუ მოცულობის შეზღუდვა და დაჩქარებული ტემპები პუბლიკაციების მოზადებაში), შესანიშნავად იციან, რომ მათი მუშაობის პირობებში მხოლოდ მასალების მიწოდების სტანდარტული ფორმებია შესაძლებელი. ამრიგად, მწერალ-პროზაიკოსისგან განსხვავებით, ჟურნალისტი შემკვეთის კონტროლის ქვეშ ცხოვრობს, სადაც “ნაკლების დაწერა არ შეიძლება, მეტისა კი საჭირო არ არის“. აქედან გამომდინარე, ფორმის თვალსაზრისით, ჟურნალისტის მხოლოდ ოთხი პოზიციიდან შეუძლია გამოვიდეს. ის იუწყება მოვლენის შესახებ - ეს ინფორმაციაა; გვიყვება მის შესახებ - მაშასადამე,

რეპორტაჟს მიმართავს; გადმოგვცემს ცნობილ პირთა აზრს - ამზადებს ინტერვიუს, და ბოლოს ცდილობს მოვლენა კონტექსტში ჩაწეროს და ახსნას იგი - მაშასადამე, სტატიას მიმართავს. ამრიგად, ურნალისტიკის რიტორიკული საფუძვლები სიტყვაში: ეთოსში, ლოგოსში, პათოსში ურნალისტის პირადი გამოვლენის მარტივ და დამაჯერებელ ფორმულას გვთავაზობს. სიტყვა, რომელმაც ზნეობრივი იდეალები უნდა დაამკვიდროს (ეთოსი); დაიცვას სიკეთე და სიმართლე, გააერთიანოს ადამიანები, ჰარმონიაში მოიყვანოს საზოგადოებრივი ურთიერთობები, ასევე, და შესაძლოა, პირველ რიგში, უნდა იყოს გონივრული (ლოგოსი), ჭეშმარიტებისკენ მიმართული, აზრობრივად გაჯერებული, ლოგიკური. და ბოლოს - სიტყვა ურნალისტიკაში (წარმოთქმული თუ გამოქვეყნებული) უნდა იყოს ემოციური, რათა პათოსური ზემოქმედება მოახდინოს აუდიტორიაზე ასეთია ზოგადი სახით ურნალისტური გრამატიკის ზოგადი კლიმე.

ახლა კი მივმართოთ აქტუალურ მსჯელობას ე.წ. სიუჟეტურ კვანძებზე ურნალისტიკაში. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მისი მკვლევარები ანალოგიებისთვის მიმართავენ ლიტერატურათმცოდნეობას, სადაც დიდ ხანია, ლიტერატურის არსებობის თითქმის სამი ათასწლეულის მანძილზე სულ რაღაც სამ ათეულამდე სტანდარტული სიუჟეტია დათვლილი. ვფიქრობთ, ურნალისტურ “აღმოჩენებში” საუბარია ფრანგი მწერლის ეორჟ პოლტის 36 ცნობილ სიუჟეტზე. 36 დრამატურგიული სიუჟეტი მსოფლიოს რეპერტუარის 1200 პიესაზე შემოწმდა. აღმოჩნდა, რომ რიცხვი 36 ამოწურავს არა მხოლოდ შესაძლო სიუჟეტურ კომბინაციათა მარაგს, არამედ, რაც მთავარია, შესაძლო ემოციების წრესაც. “ჩვენ აღვიქვამთ ყველაფერს, რაც გვჭირდება, მცენარეთა სიცოცხლისა და კოსმიური მექანიზმის ჩათვლით, და მათზე დაყრდნობით იქმნება და ყოველთვის შეიქმნება ჩვენი საღვთისმეტყველო და მეტაფიზიკური სისტემები, ყველაფერი რაც ჩვენთვის “იმ ქვეყნად“ არის ძვირფასი. 36 მდგომარეობა, 36 ემოცია და არამც და არამც მეტი. თუ ნებისმიერ მოთხოვთას, ხოლო ახლა მაშასადამე, ნებისმიერ საგაზეთო პუბლიკაციასაც პორტრეტულობას, პეიზაჟურობას, ჟანრულ აღწერას მოვაკლებთ, მივიღებთ კონსპექტს, თუ სიტყვებს მოვაშორებთ, შეიძლება მივიღოთ ჩონჩხი, რომელიც დროისა და ადგილის ნიშნებს ინარჩუნებს - ეს სიუჟეტია, სადაც  $2 \times 2 = 4$ . ალგებრულ ფორმულაში მივიღებთ  $a \times a = b$ , ფორმულის მასალად კი ყოფითი ურთიერთობები - მოქმედებები რჩება, ლიტერატურათმცოდნეობაში ამ ფორმულას

სიუჟეტურ სქემას უწოდებენ. და როგორც ლიტერატურის ისტორია გვიჩვენებს, სიუჟეტური სქემები, რომლებსაც საუკუნეები და ქვეყნები აშორებს, ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რადგან იდეალური პროტოტიპის ანარეკლს წარმოადგენს. ეს პროტოტიპები ხალხებმა მათი ერთიანი უძველესი სამშობლოდან გამოიტანეს, სიმბოლოებითა (სიმბოლო, როგორც სიუჟეტის გენი) და მითებით დაფიქსირებული სიუჟეტების სიძველეს რომ ვღებულობთ, ბუნებრივია, არასწორი იქნებოდა არ გაგვეთვალისწინებინა ეპოქის, სოციალური წყობის ზოგადი განწყობილებები, მახასიათებლები, რომლებსაც შეუძლიათ არსებითი შესწორებები შეიტანონ ყველაფერში. მაგრამ, როგორც ვრწმუნდებით, ყველა დროში, თხრობის განსხვავებული და საერთო თემები ლიტერატურაში (როგორც პროზაში, ისე პუბლიცისტიკაში), ყველა ძალისხმევა ერთ-ერთ პოლტისეულ გაბატონებულ თემამდე - გადარჩენისთვის ბრძოლამდე, მაშასადამე, აგონის უნივერსალურ-მრავალასპექტიან თემამდე დაიყვანება.

დასკვნით თემად ჩვენს კვლევაში გვევლინება აგონის ელემენტები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სივრცეში, აგონალური კულტურის ასახვა თანამედროვე უურნალისტიკის მიერ. საკუთარ თავს უფლებას მივცემთ შევჩერდეთ მოცემული ცნების ძირითად, საკვანძო ასპექტებზე და შევეხებით მისი ანტიკური კულტურისა და ფილოსოფიის კუთვნილების საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ აგონი არაერთხელ გამხდარა გააზრების საგანი. მეცნიერებამ განსაკუთრებული უურადღება მიაპყრო “ბერძნული სასწაულის” აგონალურობას და ეს ტერმინი სამეცნიერო ხმარებაში დამკვიდრდა.

პირველად ტერმინი “აგონი” შვეიცარიელმა კულტურის ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა, ისტორიოგრაფიაში ისტორიული სკოლის დამფუძნებელმა იაკობ ბურკჰარდტმა იხმარა. ანტიკურ საზოგადოებაში აგონი ესმოდათ როგორც გამოსვლის ძირითადი სახე. არსებითი მომენტი აქ იყო ინდივიდის მოთხოვნილება საკუთარი მიზნების მიღწევასა და გამარჯვებისკენ სწრაფვაში ეჯობნა სხვებისთვის.

აგონი რამდენიმე მნიშვნელობის ტერმინია: აგონი - ბრძოლა; აგონი - შეჯიბრება; აგონი - მეგობრობა (აგონი - ეროსი). შეიძლება დიადი მეგობრობაც იყოს ბრძოლა (აგონი), ვინაიდან შესაძლოა ურთიერთსიმპათიაშიც გამომჟღავნდეს შეჯიბრების სულისკვეთებაც და მეგობრობაში მეტოქეობაც. ცნობილი გერმანელი

ფილოსოფოსი ფრიდრიხ ბეორგი იუნგერი “ილიადას” კომპოზიციის განხილვისას აღნიშნავდა აგონის მესამე ტიპსაც - ეროსს პატროკლესა და აქილესის მეგობრობაში - ეს არის აგონით გამსჭვალული

ეროსის სურათი და აგონის მესამე სახის - ეროსის მაღლა აფროდიტე დგას.

აგონურ ელემენტებს ვხედავთ ბევრ ქართულ ცეკვაში, კერძოდ, “განდაგანაში”, სადაც მსოფლიოში ერთადერთი მამაკაცები ცეკვავენ ფეხის ცერებზე. მათი მეტოქეობა გამარჯვებისკენ სწრაფვაში გამოიხატება, იგი პირველობის, ანუ აგონის განწყობის მატარებელია. აგონი შეიძლება განხილული იყოს როგორც სოციალური სამყაროს შემქმნელი და აგრეთვე, როგორც კომუნიკაციის ფორმა. აგონი უბრალოდ მითოლოგიისა და ლიტერატურის თემა როდია, ეს არის ცხოვრების ფილოსოფია, ქცევის ზნეობრიობის მანერები. ეს არის ადამიანის ყოფიერების უმეტესი ნაწილის სიმბოლური აღნიშვნა, რამეთუ აგონალური კულტურის ტექსტურა შეიცავს სხვადასხვა მასშტაბის ტექსტებს - ბრძოლის მდგომარეობაში ჩაყენებული ინდივიდით დაწყებული, გარეგნული იერით, შეიარაღებით, ქცევის მანერით, აგონისტიკის ხერხებით, ბრძოლის ინსტიტუალიზირებული პრაქტიკებით, ინიციაციის ზნეჩვეულებებით, საქორწინო ორთაბრძოლით, სამგლოვიარო წეს-ჩვეულებებით, დუელებით, სასამართლო ორთაბრძოლებით, დებატებით დამთავრებული.

ძველი საბერძნეთი, აგონის სამშობლო და მამამთავარი, მასზე ისე მოგვითხობს, როგორც ლმერთზე, რომელიც განასახიერებს ვერბალურ და სპორტულ მეტოქეობას, შეჯიბრს. მწერალ პასვანიუსის აღწერით, ოლიმპოში აგონის ორი ქანდაკება იყო. პირველი - ჰერაკლიონში, წარმოადგენდა სიმბოლურ წყვილს ომების ლმერთებთან ერთად; მეორე, ალთისში (ზევსის, დიონისესა და ორფეოსის გვერდით) აღმართული ქანდაკება აგონს წარმოადგენდა ათლეტის სახით, რომელსაც პანტელები ეჭირა.

თუ საკითხის არსეს ჩავუდრმავდებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აგონური წესები დიდი ხანია ისე აღიქმება, როგორც ბუნებრივი, ადამიანის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციები, მაგრამ არსებობს ვარაუდები, რომ ქცევის ამგვარი ფორმა თავად ადამიანის მიერ არ არის დადგენილი. როგორც ჩანს, უძველესმა ადამიანმა ასეთი ქცევა თავად ბუნებაში, ცოცხალ ორგანიზმებს შორის კონფლიქტებში დაინახა, ამიტომაც წარმოადგენს აგრესია და იზოლაცია აგონური

ქცევის არსეს და მას უთუოდ გააჩნია ბიოლოგიური მნიშვნელობა. “აგონის მთავარი გაგება იმაში მდგომარეობს, რომ აგონი, როგორც შეჯიბრი და ბრძოლა, მოწოდებულია ასახოს არა თავად მოვლენა, როგორც რაღაც შეჯიბრი, არამედ როგორც ორთაბრძოლის, მალოთა შეჯახების აღმნიშვნელი შეჯიბრებითობა“ (Яровой, 2009).

აგონის კულტურული ვარიაციები მუდავნდება ბრძოლაში, თამაშში, ეროსში. ეს ყოველთვის საკუთარი წესებით მიმდინარე ძალთა ჭიდილია. აგონის თამაშის ხასიათის შინაარსი ფართოდ აქვს გამოყენებული თავის ნაშრომებში ი. ჰაიზინგს. მისი თეზისი “თამაში კულტურაზე უფროსია, თამაში ჰქმნის კულტურას“ უმნიშვნელოვანესი ეთიკური კონცეფცია და კულტურის უძველესი ფასეულობაა.

სიღრმისეულ დონეზე აგონი თავისი არსით წარმოადგენს სასაზღვრო ხაზს, ბინარულ კატეგორიებს: “თავისი/სხვისი“, “ცუდად/კარგად“, “სიკეთე/ბოროტება“ შორის. ეს კოორდინატები ბუნებრივად ახდენენ სოციალური მატერიის შეჯახების, დაბადებისა და კვდომის “პროვოცირებას“ ინდივიდუალურ ან სასაზღვრო დონეზე. აგონით შემოწმება ახლის შემოწმება, მისი ჩამოყალიბება და შენარჩუნებაა, საზღვარი ყოველთვის აგონთანაა დაკავშირებული. მაშინაც კი, როდესაც აშკარად მტრული არ არის, ის ინარჩუნებს პოტენციურ საფრთხეს და ამით იდენტურობის რაღაც ბირთვის დამკვიდრებას უწყობს ხელს (Яровой, 2009).

ცხადია, რომ ყოველივე უცხო, სტიქია იქნება, თუ ადამიანი, მტრად პერსონიფიცირდება.

აგონი შეიძლება ამერიკული კულტურის საფუძვლად ჩაითვალოს, სადაც ეფექტური საქციელი ყოველთვის გულისხმობს ოპოზიციის არსებობას და “კამათის კულტურას“. ყოველივე საუკეთესო და ახალი აქ საპირისპირო შეხედულებების მქონე ადამიანთა პირით ცხადდება. ეს გარემოება საშუალებას იძლევა მოცული იქნას განსახილველი, საკამათო საკითხის ორივე მხარე. ამერიკულ ურნალისტიკაში სტატიის საუკეთესო დასაწყისად ვინმეს საწინააღმდეგო გამოხდომა ითვლება. აზრის სერიოზულობა აქ მხოლოდ მისი კრიტიკული განწყობის მიხედვით აღიქმება. ამერიკელი ენათმეცნიერის, პროფესორ დებორა გიანენის აზრით, ძველი ბერძნული დევიზი “ჭეშმარიტება კამათში იბადებაო“ ყოველთვის არ არის გარანტირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, აგონი, როგორც ურთიერთობის ფორმა, კულგარულობას გამორიცხავს და აქ არის მტერი,

რომელთანაც კეთილშობილური ბრძოლა მიმდინარეობს. აგონი ტექსტია, ის განსაკუთრებულ ნიშნურ-სიმბოლურ კონტექსტს შეიცავს. აგონური სივრცის სიმბოლური ველები ორთაბრძოლის საყოველთაოდ მიღებულ სემანტიკას შეიცავს. შეიძლება აგონისტები ენობრივი და კულტურული ბარიერების სხვადასხვა მხარეს იდგნენ, მაგრამ მათ შეუძლიათ დანათესავდნენ, მგრობა პატივისცემისა და ის კი არა, სიყვარულის გრძნობითაც კი შეცვალონ. ავიდოთ თუნდაც ორთაბრძოლები რინგზე, რომლებიც მოკრივების ხელის ჩამორთმევით მთავრდება, ან იგივე წინასაარჩევნო მარათონში პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატების მხრიდან გამარჯვებულის ტრადიციული მიღოცვა.

ამ შემთხვევაში შეიძლება აგონი განვიხილოთ როგორც კულტურათშორისო კომუნიკაციის საშუალება.

ევროპულ კულტურაში სიტყვიერ დუელებს ფორუმზე, სასამართლოს დარბაზში, უნივერსიტეტის აუდიტორიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. ამ კულტურის ღივები ჩვენს სინამდვილეშიც იწყებს აღმოცენებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საკუთარ ეთერსა და ფართს ბეჭდვით მედიაში კამათის გასამართად უთმობენ მის მონაწილეებს. გაჩნდა სპეციალური გადაცემები, სადაც წარმატების მთავარი პირობა, როგორც წესი, ჟურნალისტ-მოდერატორის მიერ მეტოქეთა წარმატებული შეჯახებაა ხოლმე. მაგრამ თუ ევროპასა და ამერიკაში კამათში მონაწილეობის შესაძლებლობა მკაცრად არის რეგლამენტირებული პროფესიული გაწაფულობითა და ინტელექტუალური მომზადებით, სიტყვიერი ბრძოლის წესების დაცვით, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, ჩვენ კერ კიდევ ვხვდებით რიტორიკული მომზადების უქონლობას, კულტურის დაბალ დონეს, სადაც მოკამათებს შეუძლიათ ეთერში გამოსვლისას განუჭრებული თავხედობა გამოიჩინონ და, ვთქვათ, მეტოქეს ჭიქით წყალი შეასხან.

ამერიკამ, რომელმაც ძველი საბერძნეთის დემოკრატიული კულტურა მემკვიდრეობად მიიღო, უარი თქვა ძველი სამყაროს სიტყვიერებაზე და თავისუფალი ბაზრის ანალოგით დაამკვიდრა აგონი როგორც ურთიერთობის ნორმა, როგორც ყველასთვის დია ფორმა.

პირველი წელი არ არის, რაც ეს კულტურა, რომელიც აღიარებს laissez-

faire-ს, “იცხოვრე და სხვაც აცხოვრე“-ს, ან “გაყიდე შენი საქონელ“-ს (“საკუთარი სიმართლე“, როგორც საქონელი) - თანაბარ კონკურენციაში, ნუ შეგეშინდება შენნაირებთან კონფრონტაციისა, ჩვენს ცნობიერებაში ინერგება, ჩვენი ყოველდღიურობა ხდება, ამის მაგალითია საყოველთაო კასტინგები, შემოქმედებითი კონკურსები, ზოგჯერ არა თავად პიროვნებების, არამედ მათი sivi სიების კონკურენციები.

ასე მაგალითად, სათაურით “რა დებატები გაიმართა ირაკლი ალასანიასა და პალიკო კუბლაშვილს შორის?“ გაზეთი “ალია“ („ალია“, 2010, 21-25 ოქტომბერი), მკითხველს სთავაზობს წინა საღამოს “მაქსტროს“ არხით ეთერში გასული თეა სიჭინავას გადაცემის “არგუმენტები“ შინაარსს. გადაცემის სტუმრები იყვნენ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი პალიკო კუბლაშვილი და “თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია. კამათის სტიქიაში ჩართვისას მკითხველი უთუოდ გრძნობს ორი მხარის მსჯელობას “პროს“ და “კონტრას“, რომლებიც განიხილავდნენ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2011 წლის, გაზეთის თქმით, უპასუხისმგებლო ბიუჯეტს. ირაკლი ალასანია საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად არ იბოჭება იმ მოთხოვნებით, რომლებსაც მოქმედმა ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. სურათის მაქსიმალური სისრულე პარტია “თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ოპონენტთა გაუმართლებელი განზრახვით კამათის სტიქიაში რომ ხვდება, მკითხველი ოპონენტთა გამონათქვამებში პოზიტიური აზრის კი არა, არამედ მათი სუსტი ადგილების დასანახად განეწყობა. ასეთი მიღებები გაზეთში მნიშვნელოვანია. ისინი სიტყვიერი ორთაბრძოლის ბუნებრივ ატმოსფეროს გადმოსცემენ, მკითხველთა წრეში თანამგრძნობ მომხრეებს ადგენენ, ქმნიან განსახილველ კონფლიქტთან ერთობლივი ბრძოლის ილუზიას.

უფრო გასაგები და სარწმუნო რომ იყოს, გაზეთი იშველიებს შთამბეჭდავ ციფრებს, სავალალო პერსპექტივის გასაშიფრად ალასანია კამათში ციფრებისა და სტატისტიკის არგუმენტაციას იყენებს: “ჩვენი კრიტიკა დაფუძნებულია დოკუმენტზე, იმ დოკუმენტზე, რომელიც შევიდა პარლამენტში, სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალ 2011 წელზე, და სწორედ ამ ციფრების ანალიზი გვაძლევს სრულ საფუძველს, კოქვათ, რომ ეს არის უპასუხისმგებლო ბიუჯეტი, პირველ რიგში, თვითონ ამ

ბიუჯეტში, რომელშიც არ იზრდება სოციალური დახმარება, არ იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც მიიღებენ სოციალურ დახმარებას, რადგან ჩვენს ქვეყანაში უმწეოთა რაოდენობამ მილიონ 800 ათას ადამიანს გადააჭარბა. და სწორედ ამ მოსახლეობის მხოლოდ ყოველ მეოთხე ადამიანს სახელმწიფო ეხმარება 72 თეთრით. ეს არის ცინიზმი. მაშინ, როდესაც კატასტროფულად იზრდება ბიუროკრატიული ხარჯები, მილიარდ 100 მილიონი არის გამოყოფილი ბიუროკრატის შენახვაზე ძირითადად მთელ ბიუჯეტში“.

კამათში უნარიანად მოშველიებული ციფრები მეტყველებს ხალხის დანაკარგების მასშტაბზე, ეხმარება ჩაგონების ეფექტს, კამათში დამატებით დამაჯერებლობას იძენს.

არანაკლებ კონკრეტულია საპირისპირო მხარე, რომელიც მიღებული შედეგის ობიექტურ მიზეზებს უსვამს ხაზს. მომავალი ბიუჯეტის ბედს პალიკო კუბლაშვილი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებს: “ჯერ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რას პქონდა ადგილი 2008-2009 წლებში, როდესაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში იყო ეკონომიკური კრიზისი და შესაბამისად, ძალიან ბევრ ქვეყანაში იყო ეკონომიკური ვარდნა“.

მოცემულ კამათში ნამდვილად არ არის პირადად მოწინააღმდეგის წყენინების მიზანმიმართულობა და მაშასადამე, ამგვარი განწყობა ერთგვარად ამცირებს კამათის აგონურ ფასეულობას, თავს იჩენს ვერბალური დუელანტების უყოფანო შეუბოჭაობის, მებრძოლისთვის დამახასიათებელი თვისებების უქონლობა და ამასთან აშკარაა გაზეთის მცდელობა გადმოსცეს პუბლიკაციის დინამიკა. აგონური კამათის მთავარი თავისებურება ხილული და მოსმენილი, ემოციურად ძლიერი უნდა იყოს. მოდერატორი ჟურნალისტები, მოწინააღმდეგეთა დუელის წამყვანები ვალდებულები არიან შეულამაზებელი სიმართლე მიაწოდონ მკითხველს, როგორც ინფორმაცია რეალურად შემდგარი ორთაბრძოლის შესახებ, მაგრამ ყოველთვის აუცილებელია დაწვრილებითი აღწერა ფერებში, სენსორულ დეტალებში, ემოციური სიმბაფრე ეროვნული ტემპერამენტით. ავტორი ვალდებულია “ჩვენების“ მეშვეობით დააკვალიანოს მკითხველი, რათა აუდიტორიამ მოისმინოს, რაში მდგომარეობს შეჯახებების არსი, რათა კამათი გაზეთის გვერდზე გაცოცხლდეს და მნიშვნელოვანი ჩანდეს. მხოლოდ ასე შეუძლია მკითხველს “დაინახოს“, “გაიგონოს“, თავად ჩაერთოს იმაში, რაც ხდება, კამათი ყოველთვის ისე უნდა

გამოიყერებოდეს, როგორც სასწრაფო, გადაუდებელი ინფორმაცია, ის უნდა იყოს კოლორიტული, დეტალიზირებული, შთამბეჭდავი და არანაკლებ არსებითი, ვიდრე მნიშვნელოვანი სასწრაფო ახალი ამბების მიწოდება.

ამავე გაზეთში მასალაში სათაურით “დებატები“ („ალია“, 2010, 15-16 აპრილი), გია ჭანტურია ლევან გაჩეჩილაძეს დებატებზე დათანხმდა. ავტორი, დიტო ჩუბინიძე უნარიანად აკორექტირებს საუბარს, დაუსწრებელ მოწინააღმდეგებთან სატელეფონო

საუბრებში ოდნავ შესამჩნევად ჩაურთავს თავის რეპლიკას. აქ, მეტოქეთა აზრების დამზუსტებელი ავტორისეული ჩართვები მკითხველს საქმის არსის გარკვევაში ეხმარება. უურნალისტი ჭანტურიას უკავშირდება და მკითხველს აცნობებს:

- ბატონო გია, ლევან გაჩეჩილაძემ უკვე ორგზის მოგიწოდათ პრესის ფურცლებიდან, რომ პირდაპირ ეთერში დაუჯდეთ საპოლემიკოდ. როგორც გაჩეჩილაძე აცხადებს, ის პირდაპირ ეთერში ყველას დაუმტკიცებს, რომ თქვენი წინასაარჩევნო დაპირებები არის მხოლოდ და მხოლოდ პიარი და თქვენ ხართ, ბოდიში მომითხოვია და, ხელისუფლების მიერ “შემოგდებული“ კანდიდატი. იცოდით თუ არა ლევან გაჩეჩილაძის ამ მოწოდების შესახებ?

ჭანტურია ბუნებრივად განერიდება უურნალისტის შეტევას და საკუთარი პოზიციის მოტივირებას ახდენს: - სიმართლე გითხრათ, ამ მოწოდების შესახებ დღემდე არ ვიცოდი.

- კეთილი, - ეთანხმება მოდერატორი, - აწი რას აპირებთ, დაუჯდებით მას პირდაპირ ეთერში საპოლემიკოდ?

უურნალისტს სურს გაარკვიოს შესაძლო მომავალი დებატების ერთ-ერთი მონაწილის მიზნები და განზრახვა და თითქოსდა მოქმედებისკენ უბიძგებს მას, ცდილობს აუხსნას მკითხველს, ცხადად დაანახოს ერთ-ერთი მონაწილის მიზნები, მოტივები, განზრახვები, უფრო ზუსტად კი შენიდბული უარი, თავის არიდება, მისი პასუხების ელასტიურობის მიუხედავად.

ამრიგად, გაზეთი ახორციელებს ჩვენთვის ახალი მოვლენების - საჯარო კამათების ინტერპრეტაციას, პოზიციების ახსნას, შეფასებას. მუდავნდება დეტალები, პოზიცია მკითხველისთვის სავსებით ცხადი ხდება. ტელედებატებში მონაწილეობის მისაღებად გია ჭანტურიას მზაობის შესახებ “ალიამ“ ინფორმაცია “დაიცავი საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის

წარმომადგენელს - ნინო ძაგნიძეს გაუზიარა და ლევან გაჩეჩილაძესგან კომენტარი ითხოვა. ნინომ რამდენიმე წუთის შემდეგ დაგვირეკა, მოვგიბოდიშა, “ბატონი ლევან გაჩეჩილაძე ძალიან დაკავებულიაო...“

უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა გადაწყვეტილებების გაურკვევლობა მნიშვნელოვნად ამცირებს მათი პერსონალიების, როგორც მოქამაოების ფასეულობას და ფაქტობრივად გაზეოთმა ამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი პოზიციის გამოხატვა შეძლო, რომელიც ახლა უკვე მკითხველთა აზრების ლოგიკიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს. 2008 წლის ბიუჯეტის ირგვლივ სერიოზულად შეეჯახა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის ხათუნა გოგორიშვილის ინტერესები, რომელმაც გააპროტესტა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსების შემცირება, რის შედეგადაც გაჩნდა მთავარი არგუმენტის - დაპირისპირების შემცველი მასალის სათაური “ხათუნა გოგორიშვილი ბენდუქიძეს დაუპირისპირდა?“ („ალია“, 2008, 18-19 სექტემბერი), რომელიც ამბის ხასიათზე მიგვანიშნებს.

საჯარო სიტყვამ, როგორც მაღალი ხელოვნების ნიმუშმა მკითხველი, მსმენელი არ უნდა მიაძინოს, არ უნდა დაამშვიდოს. თეზისი “პროგოცირება“ ისე უნდა იყოს აღქმული და მიღებული, როგორც სავსებით ცხადი რამ, რაღან მესამე გზა აგონურ კამათში არ არსებობს. აგონი სიტყვიერ კამათში ეჭვების თამაშია, როდესაც ამას ვითარება მოითხოვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა წესები გამოირიცხება. აგონის სტიქია მხოლოდ დისკუსიის ან ფსევდოსენსაციის პრობლემები როდია, ეს არის ბედის გამოწვევა, ყურადღების ცხოვრების იმ სფეროებზე გამახვილება, სადაც შეიძლება ახალი იშვას.

გავიხსენოთ ცნობილი დელფიური აფორიზმი “gnathi saution“ - “შეიცან თავი შენი“. აქ არის არა მხოლოდ სოციალურ წარმომავლობაში ასახული არისტოკრატული გენეალოგია, არამედ სხეულის ფიზიკური სილამაზე, რომელიც ფიზიკური კულტურის საშუალებით მიიღწევა.

მოვლენები, უფრო სწორედ პირვენება, რომლის შესახებაც უურნალისტი თამარ ოქრუაშვილი იტყობინება მასალაში “ხელფეხეგრული ვცურავ, ეს ისტორია კი არავისთვის მომიჯოლია“... („ალია“, 2010, 22-24 აპრილი) იმდენად უჩვეულოა, ის საიდუმლო კი იმდენად მიმზიდველი, იმდენად მნიშვნელოვანი და სენსაციურია, რომ თავად იმ პუბლიკაციას შეუძლია მიიქციოს ყურადღება, სადაც სიუჟეტის

დრამატულობა ადამიანის ბედთან ჭიდილში ზედმეტი არ ხდება. ამ პუბლიკაციის განხილვისას შეიძლება აღინიშნოს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სივრცეში თუ უხვად არა, რამდენიმე შემთხვევით მაინც არის წარმოდგენილი გადარჩენისთვის ტოტალური ბრძოლის მძიმე პერიოდის საკმაოდ ტიპიური მაგალითები, ხოლო აქ მოყვანილი პუბლიკაციის გმირის ცხოვრების ფაქტი უთუოდ უნიკალურია.

აქ საუბარია მათემატიკოსის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პეტრი კუპრაშვილის შესახებ. მკითხველისთვის შეთავაზებული ინტერვიუდან ირკვევა პროფესორის ცხოვრების დრამატული მომენტები და მისი სასოწარკვეთილი ბრძოლა საკუთარ თავთან. ბატონი პეტრი დირსეულად გაუმკლავდა ბედის გამოწვევას. ჩვენმა თანამედროვემ გაიხსენა მისი ბავშვობის დროს მოყოლილი ამბავი და ცურვის აიეტის დროინდელი ძველკოლხური სტილის, ხელფეხშეკრული სტილის დავიწყებული წესების ათვისებას შეუდგა. ასეთი სტილით ჩვენი წინაპრები ერთადერთი მიზნით - შიშის გრძნობის დასაძლევად, სულსა და ხორცხე გასამარჯვებლად ცურავდნენ. 2002 წელს პროფესორ კუპრაშვილის, როგორც ძველკოლხური სტილით მოცურავის სახელი, რომელმაც ხელფეხშეკრულმა ძველკოლხური სტილით გადაცურა 12 კილომეტრის სიგრძის დარდანელის სრუტე, გინესის წიგნში იქნა შეტანილი. სწრაფვა დიდებისკენ, პატივისკენ, ფიზიკური ძლიერებისკენ - აგონური პიროვნების სიმბოლოა და ასეთი პიროვნების “მაგარი ბიჭის“ იმიჯის შესაქმნელად დღეს მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსებიც აქტიურად ირჯებიან.

გამოვყოფთ რა ურნალისტიკას როგორც საინფორმაციო-კომუნიკაციური პრაქტიკის “საველე“ წარმონაქმნეს, ჩვენ მას ვაღიარებთ ზეგავლენის ჩამოყალიბებელ ცენტრად, სადაც პირველ რიგში ადამიანური ფსიქიკის ირაციონალურ მხარეზე ორიენტირებული სიმბოლო-სიტყვის, ტექსტ-სიუჟეტის ზეგავლენის ქვეშ. როდესაც მასები ემებენ არა ინფორმაციებს, არამედ იმედებს, არაფაქტებს, არამედ შეფასებებს, არა ლოგიკას, არამედ საკუთარი უბედურებებისგან თავდაცვას, არა ობიექტურობას, არამედ მხარდაჭერას, ამაზეა დაფუძნებული ფრანგი მკვლევარის ცნობილი სიუჟეტები და მასობრივი აუდიტორიის ყველა ჩამოთვლილ მოთხოვნაზე საპასუხოდ ურნალისტს უხდება თავად ჩაერთოს მაგიურ აზროვნებაში, შეანივთოს რეალობა და სიმბოლიკა,

ვარაუდები, რომლებიც მოვლენებსა და ფაქტებს სასურველ აზრს სძენენ, ვინაიდან უურნალისტიკის საველე წარმონაქმნი, რომელსაც წინ პროპაგანდის კანონები ედობება, იმდენად მოვლენის შინაარსს კი არ გადმოსცემენ, რამდენადაც კარნახობენ საჭირო ემოციებს, იმ გრძნობებს იწვევენ მკითხველში, რომლებსაც უურნალისტები განიცდიან ან ასრულებენ. ტყუილად როდი დაამტკიცა დიდმა იუნგმა, რომ “თეორიულად შესაძლებელია და პრაქტიკულად რთული არ არის მწვევე ცხოვრებისეული პრობლემების დაკავშირება უძველეს სიღრმისეულ კომპლექსებთან და სიმბოლოებთან და ამ საფუძველზე უდრეკი და იმავდროულად თვითდამანგრეველი მასობრივი ენთუზიაზმის გამოწვევა.“ და რადგან მასობრივ კომუნიკაციაში მითოლოგიური ტექსტი შეუცვლელია, უურნალისტი უნდა აკეთებდეს მას. კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ სიმბოლო, როგორც სიუჟეტის გენი, რეალობის იმ დონეებზე მიუთითებს, რომლებიც თითქოსდა ჩვენგან დაფარულია, მაგრამ შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში აღორძინდნენ და მასების ახალი ფსიქოისტორიული მდგომარეობის აღეპვატური გახდნენ.

## §2. აბონურის ზოგიერთი ასამატები პიონირული ფიკაში და მათი ასახვა თანამედროვე მასობრივი ინჟორმაციის საშუალებებში

სიმბოლოს პრობლემების გაგების გასაღებად კომუნიკაციურ სივრცეში დისციპლინათა შორისი მიღებოდა გვესახება. ჩვენს გამოკვლევაში ასეთი მიღებოდა ყველაზე პროდუქტიულად გვესახება. ცნობილია, რომ რაც უფრო ფართოა პრობლემა, მით უფრო მარტივად უნდა იქნას გამოთქმული საკუთარი პიპოთება, საკუთარი ბოლო ჭეშმარიტება. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მეცნიერული მიღებობის შესაძლო აღრევა და გაუგებობა. ამგვარი რწმენა, ჩვენი თვალსაზრისით, მოცემული გამოკვლევის არამეცნიერულობისა და უსარგებლობის აღმნიშვნელი არ იქნება, რამეთუ ნებისმიერი ნაშრომის საბოლოო ამოცანა მდგომარეობს მის უნარში რთული მარტივად აქციოს, რათა მარტივი პრაქტიკაში იქნას გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში პრობლემისადმი ერთადერთ და სამართლიან მიღებობას ჩვენ ვხედავთ “მთლიანობის“ იდეაში - “პოლიზმის“ მიზნებში, სადაც მთლიანი ობიექტური და სუბიექტური საწყისის სინთეზირებას ახდენს. მხოლოდ ამგვარი მიღებობა გვაძლევს საშუალებას ჩავწერეთ ძველი

აგონისა და აგონისტიკის იდეებს, ძველი სიმბოლოების ბუნებას და ჩვენს ცხოვრებაში მათ აქტიურ არსებობას. ამ მიზნით ჩვენ ვაპირებთ მივმართოთ ბიოპოლიტიკის ბოლო მიღწევებს, მაგრამ შევეხებით მხოლოდ აგონისტურ ქცევას ბიოლოგიურ სფეროში და მის კავშირს ადამიანის ბუნებასთან, ჩვენი ქცევის სიმბოლურ ფორმებთან. ბუნებრივია, ამგვარი გააზრება შეესაბამება ნატურალიზმის ფილოსოფიას. ამჟამად ნატურალიზმის პოზიციისკენ ბიოლოგიის ბევრი პუმანიზარული სფერო ისტრაფვის, კერძოდ კი, ბიოეთიკა. ჩვენს ოქმასთან მიმართებაში ეს ნაბიჯი საგსებით გამართლებულად მიგვაჩნია.

მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს აგონისტური ქცევის თვალსაზრისით შესწავლისას ბიოლოგები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ცხოველებისა და მცენარეების ქცევა, საკმაოდ ვრცელ ეგოლუციურ დიაპაზონში ადამიანთა საზოგადოებასაც საგსებით ესადაგება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთავარი ამოცანა საყოველთაო აგრესის, ყველას წინააღმდეგ ყველას ომის შემცირება უნდა იყოს. ბიოპოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისით, ცხოველებს, ისევე როგორც ადამიანებს, გააჩნიათ ამგვარი აქტის მოთხოვნილება, რომელსაც “აგრესიული ქცევის ბუფერი“ ეწოდება და თუ მაიმუნებში აგრესიულობის ჩამხმობის მოქმედებად თითებით ტოქტილური შეხება, ტუჩებით შეხება, სათამაშოდ მიწვევა ითვლება, ადამიანის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს იგივე კოცნა, ხელის ჩამორთმევა ან სპორტული თამაშები.

საინტერესო იყო ჩვენთვის ინკიბიდურობის ფაქტი ცხოველთა სამყაროში, აგრეთვე ალელოპათიის ფაქტი მცენარეებში. ბიოლოგები ხაზს უსვამენ, რომ ცხოველებს აგრესიულობის კორელაცია გააჩნიათ. ამრიგად, ირკვევა, რომ ზიანის მიყენების (კბილებით, ბრჭყალებით) რაც უფრო მძლავრი იარაღი გააჩნია მოცემულ ბიოლოგიურ სახეობას, მით უფრო ძლიერად არის მასში გამოხატული ინკიბირება (ანუ “შინაგანი ბარიერი”), რომელიც წინ აღუდგება ამ “იარაღის“ უკონტროლო გამოყენებას. ადამიანთა საზოგადოებაში ამის პარალელების მოძებნა არც ისე ძნელია, იმავე “ინკიბირების“ გამოვლინება ვიხილეთ “შეკავების პოლიტიკაში“, სადაც ბირთვულ სახელმწიფოთა მეთაურები ვალდებულებას იღებენ არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების მოსაგვარებლად. უფრო მეტიც - 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის მხარეს საქართველოს წინააღმდეგ ძალის არაპროპორციულად გამოყენებაში

დასდეს ბრალი, ანუ იგი “შინაგანი ბარიერის”, ძალის კორელაციის უქონლობაში ამხილებს.

რაც შეეხება მცენარეთა სამყაროს, აგონური გამოვლინებები აქ მცენარეების ადელოგოპათიაში, გადარჩენის მიზნით ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვების, მეზობლებზე ამა თუ იმ სახით ზემოქმედების უნარში გამოიხატება. ჩრდილის მოყვარე მცენარე ნაძვი დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს მუხის ზრდაზე, ხშირად ასეთი მეზობლობა მუხას კლავს. მაინც რაში გამოიხატება აგონის კავშირი ყველა ჩამოთვლილ ფაქტთან? სწორედ აგონი გახდა შორეულ წარსულში

“სოციალურ ურთიერთქმედებათა საყოველთაო გრამატიკის“ მოდელის თავისებური ამმოქმედებელი. თუ შეა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში დუელები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც აგრესიისგან დაცლის სოციალურად მიღებული (თუმცა კი ინდივიდალურად სახიფათო) არხი, დღეს აგრესის სუბლიმირებულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს დროში ძალზე მოდური პრეზიდენტთა შიშველი ტორსების ბრძოლა. “სექუნდანტებად“ აქ სიმბოლურად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გვევლინება სათაურებით: “პრეზიდენტობა გინდა? - გაიხადე!“ “ვისი ტორსია უკეთესი?“, (Политический бодибилдинг, 2010) “ყავა რძის წინააღმდეგ“, “ობამა პუტინის წინააღმდეგ“, “კროლი ბატერფლაის წინააღმდეგ“. სხვადასხვა დროს ფოტორეპორტიორები კადრებში იჭერდნენ კლინტონს, სარკოზის, პუტინს, ბარაკ ობამას და სააკაშვილს, რომლებიც საკუთარი ათლეტური ფიგურების დემონსტრირებას ახდენდნენ. “ამას ჩვენი პოლიტიკოსები, - ადნიშნავენ ვირტუალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, - შეგნებულად, საგანგებო შემთხვევებში და აშკარად გარკვეული მიზნით მიმართავენ“. ჩვენ უკვე ზუსტად ვიცით, რომ წელიწადში ერთხელ საკუთარი კარგი ფიზმომზადების საჩვენებლად ბევრი პოლიტიკოსი სიამოვნებით იხდის ტანზე. უკრაინაში ამ ქვეყნის მთავრობის წევრთა ბანაობა ნათლისდებისას ანდა საქართველოს პრეზიდენტის გაცურვები შავ ზღვაში მამაკაცური აგონური ძალის, ძლიერი ჯანმრთელობისა და მათ მიერ იმის დემონსტრირებაზეა გათვლილი, რომ “ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“.

გ. ზედგინიძის კორესპონდენციაში “ორი პრეზიდენტის ტორსები“ (Зедгенидзе, 2010) ნათქვამია: “სააკაშვილმა, ისევე, როგორც პუტინმა, კამერის წინ გაიხადა

ტანზე. ვისი ტორსი ჯობია?... ოფიციალურად ამით მას უნდოდა საკუთარი წვლილი შეეტანა შავი ზღვის კურორტის პოპულარიზაციაში, რომელიც თანდათან საქართველოს ხელისუფალთა მთავარი პროექტი ხდება“. ეს არის ვლადიმერ პუტინის მორიგი გამოწვევა, რომელიც ასევე გაშიშვლდა კამერის წინ მთელი ქვეყნის თვალწინ“.

საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საზოგადოებრივი დისკუსია გამართეს. პრეზიდენტი შესანიშნავად ცურავს, აღნიშნავდნენ გამოცემები, რადგან სიუმაწვილეში წყალბურთში საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. რაც შეეხება ამერიკულ საიტებს, ობამას “შიშველი ტორსის“ გამოჩენაზე მათ ძაზლე მახვილგონივრული რეაქცია ჰქონდათ. მათ ინტერნეტში განათავსეს კენჭისყრა ასეთი კითხვით: “ვისი შიშველი ტორსია უკეთესი: ვლადიმერ პუტინისა თუ ბარაკ ობამასი“ - პოლიტიკური ბოდიბილდინგი (ვედგენიძე, 2010).

დასავლური სამყაროს წამყვანი ქვეყნების პრეზიდენტთა ამგვარი აგონური მეტოქეობა უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე მათი პოლიტიკური პროგრამები, გამოთქმამ “პოლიტიკური კუნთები“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ჩვენი თვალსაზრისით, ახალი სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც იმათ ლოიალურ, არააგრესიულ და სავსებით ინგიბიდურ ქცევაზე მიუთითებს, ვის ხელშიც არის თავმოყრილი თანამედროვე იარაღის უძლეველი ძალა. ჩვეულებრივ მოქალაქეებს მაგალითს რომ აძლევენ, მსოფლიო ლიდერები საკუთარ სხეულზე ზრუნვის ძველბერძნულ კანონებს მისდევენ, რადგან ჩაფიქრებული პოლიტიკოსების საკუთარი რეზიდენციების ხეივნებში სეირნობის დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. აგონი კი კვლავაც თავისი თავდაპირველი დანიშნულების ერთგული რჩება.

აგონი - ეროსი ბერძნულ მითოლოგიაში ერთი მხრივ დამაკავშირებელ საწყისს განასახიერებდა, მეორე მხრივ კი ადამიანის თავდაპირველი ცხოველური საწყისის სქემების ბრძოლის სულის გამოვლინების უმაღლეს ფორმებს. აგონი პიროვნებისგან პატივმოყვარული მოთხოვნილებების რეალიზაციას, ჯანსაღი კარიერიზმის პრობლემების გადაჭრას მოითხოვს. გაუცნობიერებელი ეროსი ყოველთვის ძალაუფლებისკენ სწრაფვაში ვლინდება. იუნგთან ეროსი სექსის სინონიმად ვერ იქნება განხილული, ის ფსიქიკური ბუნების - ესთეტიკური

სულიერი საწყისების ერთ-ერთი ასპექტის სახით გვხვდინება. შვეიცარიელმა ფსიქოანალიტიკოსმა ეროტიული გამოვლინების ექვსი სტადია შემოგვთავაზა ბიოლოგიური, სექსუალური, ესთეტიკური, სულიერი სიბრძნის ფორმით. (Олескин, 2010).

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ რაც უფრო ძლიერი და სრულყოფილია სიყვარული, მით უფრო მაღე წყდება იგი. მაგრამ შეწყვეტა დაღუპვას როდი ნიშნავს. ეს გრძნობა ადამიანის ცხოვრების მთელ გზას ანათებს, რადგან როგორც დიდმა მწერალმა თქვა “ყველაფერი გაივლის, მაგრამ ყველაფერი არ ივიწყება“. შურნალ „სარკის“ 46-ე ნომერში სათაურით „რამ შეიწირა თამრიკო გვერდწითელისა და გიორგი კახაბრიშვილის ოჯახი“ („სარკ“, 2010, 17-19 ნოემბერი), „ვარსკვლავიერი“ წყვილის არშემდგარი სიყვარულის ბანალური სიტუაცია კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ადამიანურ ურთიერთობათა აგონური ჭრილი, რომელმაც უთუოდ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. („სარკ“, 2010, 17-23 ნოემბერი). შესაძლოა მოცემული პუბლიკაცია არ ასახავს დღევანდელ ტენდენციებს, ასე ფართოდ რომ არის გამოყენებული “პრიალა“ პრესაში, ეს არ არის “განზოგადებულად ტიპიური“ სიტუაცია. თუმცა ცნობილი ტელერეჟისორის გოგი კახაბრიშვილისა და პოპულარული მომღერლის თამრიკო გვერდწითელის მასალები გაშლილ გვერდებზე ისე გამოიყერება, როგორც აზრების შეჯახების მცდელობა, წარმოდგენილი ადამიანების ხასიათი, ბედი მკითხველისთვის ზნეობრიობის პრინციპების, სიცოცხლის სიყვარულის სიბრძნის სიმბოლოებად იქცევა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ კახაბრიშვილი და გვერდწითელი იმისთვის გაიყარნენ, რათა ყვარებოდათ. საქციელი საინტერესოა როგორც ხასიათის გამოვლინება, სადაც თითოეული გმირი თავის აღგილზე აღმოჩნდა, სადაც ბედის პარადოქსები საკმაოდ სენსაციურია, მაგრამ ისეა მოწოდებული, როგორც განსაკუთრებული ეთიკის სიმბოლო, როდესაც გმირების სიტყვებისა და საქციელის წყალობით მკითხველს კონფლიქტი ავიწყდება, რადგან საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს არის მასალა სწორი გზის ძიების, დიდი ხელოვანების ძიების შესახებ.

აგონი - ეს არის პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების, წესების გარეშე ბრძოლის მონაწილე ყველაზე ძლიერი მებრძოლების, ყველაზე ლამაზი

ქალიშვილების, სახელმწიფოთა ყველაზე მძლავრი ტექნოლოგიების, პარტიების, გაერთიანებების რეიტინგობანას თამაში წესების გარეშე,

“რა რეიტინგებში გაუსწრო საქართველომ რუსეთს?“ („ალია“, 2010, 9-11 იანვარი) ასეთი სათაურით აქვეყნებს გაზეთი “ალია“ ექსპერტის ეკონომიკის საკითხებში სოსო ცისკარიშვილის კომენტარებს: “კავკას-პრესის ინფორმაციით, დსთ-ს ქვეყნებში ცხოვრების დონის ხარისხით საქართველო წამყვან პოზიციას იკავებს. ინდექსი გამოაქვეყნა ჟურნალმა “ინტერნაციონალ ივინგი“, საქართველო გამოქვეყნებული რეიტინგით 56 ქულას აგროვებს, რითაც თანამეგობრობის ქვეყნებში მოლდოვასა და უკრაინას უთმობს პოზიციას, რომელთაც 65 და 62 ქულა აქვთ. ამავე რაოდენობის ქულა აქვს სომხეთს. აქ გათვალისწინებულია ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა საარსებო დონე, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, გარემო პირობები, კლიმატური პირობები, კულტურა, დასვენება, უსაფრთხოება და რისკფაქტორები“. გაზეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ლიდერებზე მიუთითებს. გამარჯვებული ყოფილი კავშირის რესპუბლიკების ამ სიაში ბალტიის ქვეყნები ლიდერობენ: ლიტვა (ქულა), ესტონეთი (71), ლატვია (70), ბელორუსმა და რუსეთმა მხოლოდ 54 ქულა დააგროვეს. შეფასება და კლასიფიკაცია ისე შემოვიდა ჩვენს ყოველდღიურობაში, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკის ძირითად უანრის წარმომქმნელ, პუბლიკაციების თავისებურების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა, აქ მოვლენები შეიძლება განეცუთვნებოდეს საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: ეკონომიკას, ფინანსებს, პოლიტიკას, კულტურულ ცხოვრებას, სპორტს. რეიტინგების პოპულარობა ამჟამად საკმაოდ დიდია, მათ ჟურნალ-გაზეთების გვერდებზეც შეხვდებით. აგონური მოვლენის ამგვარი პოპულარობა ელემენტარული წესით აიხსნება: დღევანდელი მეანაბრისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, რომელი ბანკები და კომპანიები შეიძლება იყოს მისთვის საიმედო, რომელ ოლიგარქს უნდა მიბაძოს.

ბრძოლის სიმბოლო სიტყვიერ ორთაბრძოლებშიც აქტიურად არის გამოხატული და ამის მაგალითები მრავლადაა.

მაგრამ ჩვენი ზოგადი აგონური კულტურის სუსტი ბაზა შესამჩნევია. მოსმენის, კამათის ლოგიკის წვდომის უნარის უქონლობა საერთო ავადმყოფობაა, რომელსაც საზოგადოება ძნელად სძლევს და ეს ცხადია. და მაინც არ შეიძლება არ დავინახოთ ჩვენი თანამედროვე ჟურნალისტიკის ძალისხმევა, რომელიც წარსულში

დავიწყებულ და მხოლოდ აშშ-ს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების განთიადზე აქტიურად რეანიმირებულ ამ კულტურაში პირველ ნაბიჯებს დგამს. ამჯერად ჩვენ საქმე გვაქვს მთელი ჩვენი ცხოვრების აზრის, სტრუქტურისა და შინაარსის ცვლილებასთან, სადაც თითოეული ვალდებულია უწინარეს ყოვლისა იფიქროს საკუთარ ადგილზე საზოგადოებაში, თავის ამომწურავ შემოქმედებით რეალიზაციაზე, კარიერაზე მისი საუკეთესო გაგებით, ყოფისა და ყოფიერების ურთულეს პირობებში გადარჩენის გაკვეთილებზე.

ახლა კვლავ სიმბოლოს და აგონის პრობლემას დავუბრუნდეთ. ნებისმიერი კომუნიკატორი კომუნიკაციური ზემოქმედების ტექნოლოგიურ სისტემებში სიამოვნებით ეყრდნობა სიმბოლოს (Яровой, 2009). თავისი ამბივალენტურობისა და მნიშვნელობის ფართო ტევადობის გამო სიმბოლო სხვადასხვა განმარტებებს შეიცავს, შესაბამისად შესაძლებელია ის სხვადასხვა მიზნით, ანუ სხვადასხვა განზრახვით იქნას გამოყენებული. მანტიკური განმარტებების პრაქტიკაში სიმბოლო დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობით, თავის უმაღლეს და უმდაბლეს განზომილებაში არის განმარტებული და თუ აგონის სიუჟეტებს ისე განვიხილავთ, როგორც უმაღლესი რიგის კულტურულ ვარიაციებს, სადაც შეჯიბრი, თამაში, ეროსი შეჯახებათა არეა, ეს ექსტრემალურ პირობებში საზოგადოების კონსოლიდაციაც არის და გადარჩენაც. მაღალი აგონის ტექსტურა ფართო სიმბოლურ დიაპაზონში გამოდის. მის უმდაბლეს გამოვლინებას ვხედავთ ბოლო ასი წლის მასობრივი ინფორმაციის ყველაზე პოპულარულ სიმბოლოში - “ყვითელ ბიჭუნაში” და მის მიმდევარ ყვითელ პრესაში, იაფფასიანი სენსაციების სამსედლოში. მაღალი აგონის უკან დგას უურნალისტიკაში სოციალურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, მისი უმდაბლესი გამოვლინება - აუდიტორიით მანიპულირებაზე მიმართულ საინფორმაციო-გასართობი ინდუსტრიის დანამატად არის გადაქცეული. მოცემულ შემთხვევაში მიზანი ძალზე ტრივიალურია - ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებელი.

მივმართოთ პულიტცერის პირმშოს წარმოშობის ერთ-ერთ ისტორიას. არსებობს ვერსია, თითქოს ეს სიმბოლო ჩინეთ-იაპონიის ომის წლებში (1895) გაჩნდა. ამ ომმა დასავლეთს იაპონურ საზოგადოებაში ურაპატრიოტული ისტერიის მაგალითები უჩვენა. ამიტომაც გაჩნდა ამერიკული პრესის ფურცლებზე “ყვითელი

ბიჭი“ აშკარად გამოხატული აზიური ნაკვთებით, მიზანი ყვითელ კონტინენტზე სიტუაციის პაროდირება იყო.

პულიტცერის მიზნები - ემოციების გამოღვიძება წარმატებით განხორციელდა. ყვითელი საწყისის გამოჩენით სენსაციურმა რეპორტაჟებმა უურნალისტიკაში პროფესიული მეთოდები შეცვალა. ყურადღების ცენტრმა თავად ფაქტიდან მისი მიწოდების ფორმაზე გადაინაცვლა. ეპატაჟი, სენსაცია, ეკლეპტიზმი. ჩვენს ამოცანაში არ შედის ამ სახის პრესის ტექსტების შესწავლა, თუმცა ნათქვამის საილუსტრაციოდ მიგმართავთ ორი პუბლიკაციის შედარებას, სადაც მაღალი ეროვნი - აგონი (“რამ შეიწირა მომღერლისა და რეჟისორის ოჯახი“) უთუოდ ეწერება კულტურის ტექსტში. სრულიად სხვაგვარი ვარიაცია არის წარმოდგენილი გაზეთში “Prime Time“ სათაურით “ლალი მოროშკინას დაბადების დღე სტრიპტიზკლუბში“ ("Prime Time", 2010, 22 ნოემბერი) ურიცხვი რაოდენობის ფოტოსურათებით, რომლებზეც აღბეჭდილია ნახევრადშიშველი მედდეობები, რომელიც თავის 41-ე დაბადების დღეს აღნიშნავს: “...დაემთხვა, ამიტომ ლალიმ თავიდანვე დამაინტერიგებელი შესავალი გააკეთა, საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად რომ დავბადებულიყავი, იქ გადავიხდიდი, მაგრამ სტრიპტიზკლუბთან ერთად დავიბადე და იქ ვიხდი, თუმცა ვიხდი, თუ “ვიხდი“ ამას მერე გაარკვევთო“... და შოუც დაიწყო“. (Prime Time, 2010, 22 ნოემბერი).

როგორც ამგვარ გამოცემებს სჩვევია, პუბლიკაციების ვიზუალური მხარე ყვითელი გამოცემის ყველა კანონის პასუხობს: ცნობილი საზოგადო მოღვაწის ეპატაჟი დაფიქსირებულია პოზებში, მიმიკაში, ნახევრად შიშველი მხიარული ქალებისა და მამაკაცების საჩოთირო გარემოცვაში. ყვითელი პრესის ტრადიციული ფერები - ნარინჯისფერი, წითელი, ცისფერი - ძლიერ გამოკრთის ცუდი ბეჭდვის გამო.

ასე წარმატებით გადმოინაცვლა მხატვარ-გრაფიკოსის, რიჩარდ სუტბოლტის (1885) ნახატში გამოხატულმა ფრივოლურობის სიმბოლომ გაზეთ “The Word“-ში დაბეჭდილი “ყვითელი ბიჭუნას“ გამონათქვამებით ქართულ პრესაში, იმ განსხვავებით, რომ ორმოცი წლის ქალის ფრივოლურ გამონათქვამებს მის ფაშვაშა წელზე უზარმაზარი ცისფერი ბაფთა ამშვენებს. არსებობს მეცნიერული მტკიცებულებები, რომლებიც იმაზე მეტყველებს, რომ ახალშობილი ბავშვები

ყველა ფერიდან სწორედ ყვითლის, როგორც ყველაზე ნათელი, ოპტიმისტური და ექსტრავერტური ფერისა გარჩევას იწყებენ. XX საუკუნიდან მოყოლებული ამ ფერმა დაბალი ხარისხის პრესის ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინა.

ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ადამიანის სოციალურ ქცევაზე ზემოქმედებს, განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენს ცნობიერებასთან - ასე ირწმუნება თანამედროვე მეცნიერება ბიოპოლიტიკა. ეს დისციპლინათაშორისი მეცნიერება იმ ეთიკური და პოლიტიკური იდეების, დირებულებების ახალი სისტემის შემუშავებაში გვეხმარება, რომლებიც შექმნილი იდეოლოგიური ვაკუუმის დაძლევას უწყობენ ხელს. პოლიტიკური იდეების, ეთიკური კომპონენტებისა და მიზნების სისტემაში ბიოლოგიის მისია მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

## დასპანა

შრომის წერის პროცესში ჩვენ დავრწმუნდით, რომ საკვლევ თემაში დასახელებულ თითოეულ კატეგორიას: კომუნიკაციას, სიმბოლოს და სივრცეს გააჩნია ჯერ - ერთი საზოგადოებათმცოდნეობის ამა თუ იმ დარგის სფეროში დამკვიდრებული ცოდნის ერთობლიობა, მეორეც, - ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი აზრის მთელი ისტორიის შედეგს. გარდა ამისა, კომუნიკაციური სივრციდან ჩვენ მიერ გამოყოფილია ურნალისტიკა, როგორც საინფორმაციო-კომუნიკაციური პრაქტიკის “საგელე“ წარმონაქმნი.

ყველა ჩამოთვლილ კატეგორიაში გარკვევა ლოგიკური, ისტორიული და ისტორიულ-ფსიქოლოგიური მიდგომების აუცილებელი ერთიანობის წყალობით შევძლით.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემების შეჯამებისას ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნეთ, თუ რაში მდგომარეობს არსებითი სხვაობა კომუნიკაციასა და ურთიერთობას შორის. ერთ შემთხვევაში გვაქვს უპიროვნო ცნობების გაცვლა, მეორე შემთხვევაში შეინიშნება ერთობის, ერთობლიობის, ერთობლივი კონტაქტის პუთვნილების ელემენტი. ჩვენი გამოკვლევის ძირითად ნაწილში, სიმბოლოს, მისი გენეზისის პრობლემების გაცნობისა და მეცნიერულად გააზრებისას წავაწყდით იმას, რომ ადამიანის ცნობიერება ათასწლეულების განმავლობაში ესწრაფვოდა სიმბოლოს მეშვეობით მიემართა ჭეშმარიტებისთვის. სიმბოლოს ფენომენი მის აღქმასა და აღნიშვნაზე მიმართული ადამიანის ცნობიერების მიღმა მდებარე მოცემულობაა. სიმბოლოთა სისტემა სპეციფიკურ ენას წარმოადგენს.

ევლეციის პროცესში, უფრო კონკრეტულად კი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციისა და ახალი იდეოლოგიის ცვლის მაგალითზე - სიმბოლოს განცდა, წვდომა და დეკოდირება, მისი განმარტება შესაბამის ტრანსფორმაციას განიცდის. იცვლება თავად შემეცნებითი სიტუაციის ხასიათი. სიმბოლოს მრავალშრიანობის მიღმა შეიძლება მისი, როგორც ნიშნის პირობითობაც დავინახოთ. რაციონალური მხარე აქ “საგანზე ფიქრშია ასახული“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: არ შეიძლება სიმბოლო კულტურის ერთ რომელიმე სინქრონულ ჭრილს განეკუთვნებოდეს. ქრესტომათიულად ქცეულ თვალსაჩინო მაგალითს სვასტიკის

ტრანსოფრმაცია წარმოადგენს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სიმბოლოს უნარში ისტორიული სივრცის ვერტიკალზე გამსჭვალოს ჭრილი (ისტორიულიდან ვირტუალურამდე).

კვლევაში განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ ინტერპრეტატორის პრობლემას. ამ შემთხვევაში ჩვენ მიერ აღნიშნულია სიმბოლოს, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალების დახასიათება. ცნებაში “სიმბოლო“ არის საიდუმლო, სიღრმე, არის განმმარტებელთან სიმბოლოს შეხვედრასთან დაკავშირებული ირაციონალური სუბიექტური განცდის გამოხატულება. ამგვარი “შეხვედრები“ განსაზღვრავენ კულტურის ფენომენების, სიმბოლოსთან მათი კავშირის ჩამოყალიბების პროცესს.

ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა სიმბოლოს როლი საკომუნიკაციო სიგრცეში. კვლევის შედეგად ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მივედით:

სიმბოლოს ნიშნის, ხატ-სახისა და სიტყვისგან განსხვავებით ზემდლავრი კომუნიკაციური პოტენციალი გააჩნია. მას შეუძლია განუზომლად მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ადრესატს, ვიდრე სიტყვამ. სოციალური სამართლიანობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, ამჟამად ისე იშიფრება, როგორც ფარული ნეგატიური აზრის ნიშანი;

სიმბოლოს წარმოშობის გენეზისის, წარმოშობის ისტორიის და ფილოსოფიის განხილვისას, მისი არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით ჩვენ ვიყენებთ ი. ლოტმანის აღმოჩენას, რომელიც აცხადებს, რომ “სიმბოლო სიუჟეტის გენია“ და ურთების პოლტის 36 ძირითადი (ან მოხეტიალე) სიუჟეტის საწყისი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ვამტკიცებთ:

პოლტისეული სიუჟეტები თანამედროვე ინფორმაციის საშუალებების თემატურ პრობლემატიკაზეც ვრცელდება.

ჩვენს სადისერტაციო გამოკვლევაში აგონისა და აგონური კულტურის შესახებ ძველბერძნული მითის სიუჟეტზე ვჩერდებით.

ჩვენს წინაპრებზე ინსტრუმენტების სახით ზემოქმედებისას სიმბოლო თავისი ინტერესებისთვის აქტიურად იყენებს თანამედროვე კომუნიკატორებს.

სივრცესა და დროში სიმბოლოს შეუძლია „განეიტრალდეს“, „გააქტიურდეს“. სჭვალავს რა ისტორიული ეპოქების ყველა სფეროს, სიმბოლოს შეუძლია ახალ იდეოლოგიებსა და მიმდინარე დროის კონტექსტებში ჩაეწეროს. სიმბოლოს

განმარტება ერთმნიშვნელოვანი არ არის ხოლმე. ინტერპრეტაციების სხვაობა შეიძამდე დადის.

სიმბოლოს, როგორც ისტორიულ ფენომენს, ბოლო ასი წლის განმავლობაში არა ერთი იდეოლოგიის დემონტაჟი გამოუწვევია ან (ყოველ შემთხვევაში) გავლენა მოუხდენია დემონტაჟზე.

სვასტიკა, ეს უძველესი უწყინარი სიმბოლო, მას შემდეგ რაც ფაშისტური გერმანიის იდეოლოგიაში ჩაეწერა, ენერგიის ნეიტრალური წყაროდან სრულიად საპირისპირო რამედ გადაიქცა.

სსრკ-ს გერბის ნამგალი და ურო, რომლის სემანტიკაც მის შემოქმედთა საქმეებისა და წარუმატებლობების კვალდაკვალ შეიცვალა, რომელიც ადრე თავისუფალი შრომისა და ეს კულტურა ამერიკის ცხოვრების წესის, მისი მენტალიტების ნაწილი გახდა, დღეს ის ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაზეც ვრცელდება და ამიტომ ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თემატურ პრობლემატიკაში.

ჩვენი გამოკვლევა საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ პულიტკერისეული „ყვითელი პრესის“ საძირკველში აგონური ბრძოლის წესები ძევს (ოღონდ უმდაბლესი სახის), ვინაიდან მათ ელემენტალური მარილიც კი არ გააჩნია.

თანამედროვე პუბლიკაციების პრაქტიკული მაგალითები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რესერტის ფედერაციის ზოგიერთი სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა, ისტორიული რეალურობის დამახინჯებით, საკუთარ გაუმართლებელ პრეტენზიებით, ომების ახალ ფურცელს შლიან, ოღონდ ახლა უკვე არა საინფორმაციოს, არა სიმბოლურ, არამედ სიდრმისეული აზრების ომების.

სადისერტაციო გამოკვლევაში „სიმბოლო კომუნიკაციურ სივრცეში“ თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოდ მივიჩნიეთ მის დამუშავებაში დისციპლინათაშორისი მიღება გამოგვეყენებინა.

ჩვენი ძირითადი მოსაზრებები შეიძლება შემდეგ დასკვნებში გამოიხატოს:

1. კომუნიკაციის საგნობრივ ზონას სხვადასხვა მეცნიერებებში ჩამოყალიბებული ყველა კომუნიკაციური მიღება წარმოადგენს. ისინი სასიცოცხლო სამყაროს რეალურ მოვლენათა რელევანტურია: თითოეული მათგანი კომუნიკაციის მრავალგანზომილებიანი ფენომენის ამა თუ იმ მხარეს წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით კომუნიკაციის თეორია მეტადისკურსული პრაქტიკის შეთანხმებულ სფეროს უნდა წარმოადგენდეს. ამრიგად, გამომდინარე კომუნიკაციის ფენომენის ყოველმხრივი გამოკვლევიდან, სადაც შედის ნაშრომები კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, სისტემური ანალიზის, ფილოსოფიის, ეთნოგრაფიის, ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის, სემისტიკის სფეროში – შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კომუნიკაციის თეორია იძენს ცოდნის განსაკუთრებული სფეროს სტატუსს, სადაც შედის ყველა არსებული დისკიპლინური მიდგომის სინთეზი. გარდა ამისა, ცხადი ხდება – თუ პირველ ეტაპებზე თეორიულ ცოდნას კომუნიკაციის შესახებ აინტერესებდა ურთიერთობის ფორმალიზაციის (ანუ ინფორმაციის ადრესანტიდან ადრესატისთვის გადაცემის) საშუალებების საკითხები, სადაც ურთიერთობა ისე განიხილებოდა, როგორც მხოლოდ ცალმხრივი საინფორმაციო პროცესი, კომუნიკაციის საგნობრივ ზონად ობიექტი გამოდიოდა. მის არჩევანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანუ კომუნიკაციის ზონად შეიძლებოდა ყოფილიყო „პულტურათა შორისი კომუნიკაცია“, „პოლიტიკური კომუნიკაცია“, „კომუნიკაციის სოციოლოგია“. ასეთ შემთხვევაში მეცნიერებას ერთდროულად ცოდნის ორ დარგთან ჰქონდა საქმე. იმისათვის, რათა ცოდნის სფეროებს შორის ერთი მეცნიერების მიერ მეორის ჩანთქმა არ მოხდეს, კვლევის ობიექტი მათი ამ ინტერესების გადაკვეთის ზონაში უნდა მოთავსდეს.

მრავალრიცხოვან მეცნიერულ ტრადიციებს კომუნიკაციური პრობლემებისა და პრაქტიკების განხილვისა და კონცეპტუალიზაციის საკუთარი საშუალებები გააჩნია, თითოეული მათგანი ერთ დებულებებს მოუხმობს და მეორებზე კამათობს. თავის თავზე აიღო რა კაცობრიობის სამეცნიერო-კულტურული ცხოვრების გარდაქმნის სწორ გააზრებაზე პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, კომუნიკატივისტიკამ აირჩია დისკიპლინათა შორისი კურსი, კავშირის საინფორმაციო საშუალებების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ზემოქმედების მრავალმხრივი და ღრმა შესწავლისთვის არა შეზღუდვის ან დანაწევრების გზით, არამედ პირიქით, თავისი თეორიული ბაზისის ინტეგრირებული გაფართოების საშუალებით. ახალი ასწლეულის დამდეგს ეს ტენდენცია ძლიერდება, მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე და მის მედიასივრცეში მიმდინარე ცვლილებების პირობებში კომუნიკატივისტიკა დგება საკუთარი მეთოდოლოგიური არსენალის მოდერნიზაციის აუცილებლობის წინაშე, მისი

მოძველებული კონცეფციებისგან გასათავისუფლებლად და ახალი მოვლენების ახალი ტექნოლოგიური მიღების საშუალებით კომპლექსური გამოკვლევების გასაფართოებლად. და ეს მიღები კომუნიკატივისტიკის მომიჯნავე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მხარდაჭერას ჰქონებენ.

2. ჩვენ მიერ კომუნიკაცია, როგორც პიროვნული შემეცნების სფერო, განიხილება ცნობილი ფორმულირების „კომუნიკაციის გარეშე საზოგადოება ვერ იქნებოდა, ხოლო საზოგადოების გარეშე ვერ იქნებოდა კომუნიკაცია“ – პოზიციიდან. ეს კავშირი საზოგადოებისა და ურთიერთობის ფესვების ერთიანობით ფიქსირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებისთვის ცხადი გახდა, რომ ადამიანთა ურთიერთობებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბების ადრეულ სტადიებზე კომუნიკაციები საინფორმაციო ფუნქციებს ასრულებდა. ურთიერთობის საინფორმაციო საშუალება ადამიანებისთვის, ცხოველებისგან განსხვავებით, იყო ენა. მეტყველება კომუნიკაციის ყველაზე უნივერსალური საშუალება გახდა, რადგან მისი საშუალებით ხდება მთავარი შინაარსის, უფრო ზუსტად კი თავად შეტყობინების აზრის გადაცემა. მხოლოდ მეტყველებას შეუძლია ინფორმაციის კოდირება და დეკოდირება. რა თქმა უნდა, ურთიერთობის ვერბალური საშუალებების გარდა, ადამიანები მიმართავდნენ სინათლის, ბგერით სიგნალებს, ტოვებდნენ კვალს ქვებსა და ხეებზე და ასე, ამ გზით თანდათან ვითარდებოდა ლურსმული დამწერლობა, პიკტოგრაფია, მერე კი – დამწერლობაც. როგორც ცნობილია, დამწერლობამდელ პერიოდში ურთიერთობის ზეპირი ფორმა ძირითად საინფორმაციო-კომუნიკაბელურ თვისებას წარმოადგენდა. ეს ფორმა უზრუნველყოფდა ადამიანთა ურთიერთობას არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ გარე სამყაროსთანაც. ვხელმძღვანელობდით რა ამ იდეით, ჩვენ იმ აზრამდე მივედით, რომ კომუნიკაციის ფენომენის რთული სისტემის გაგება გაგების საკითხების გვერდის ავლით შეუძლებელია. ჩვენი გამოკვლევის შუქზე სწორედ სიმბოლო გამოდის კაცობრიობის განვითარების ადრეულ სტადიაზევე მედიუმად კომუნიკაციაში და ხსნის მთავარ პრობლემებს: არცოდნიდან ცოდნისკენ, ცოდნიდან გაგებისკენ.

3. კომუნიკაციაში აზროვნებისა და შემეცნების პრობლემის განხილვისას დავრწმუნდით, რომ კაცობრიობის ისტორიაში კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, სახელდობრ კი, ის პიროვნების სოციალიზაციას უწყობდა ხელს.

მაგრამ მეცნიერების ინტერესის ობიექტი კომუნიკაცია მხოლოდ XX საუკუნეში ხდება. როგორც გამოირკვა, თავად კომუნიკაციის ცნებას განსაზღვრებათა ფართო სპექტრი გააჩნია: ეს არის ინფორმაციის გადაცემაც, იდეების შეფასებაც, ემოციების გადაცემა ერთი ადამიანისგან, ან ჯგუფისგან მეორესთვის. უფრო მეტიც, კვლევის შედეგად ჩვენ დავასკვენით, რომ თავად ტერმინის პოლისემიურობა მისი აღქმის ფარგლებში ჩვეულებრივი გაგებით და მეცნიერულ დონეზე „კომუნიკაციისა“ და „ურთიერთობის“ ცნებების აღრევაზე მიუთითებს. კომუნიკაციაში აზროვნებისა და შემეცნების საკითხის დასაზუსტებლად საჭირო გახდა დასახელებულ ტერმინებში საერთოს და კერძოს, განსაკუთრებულის გაგებისთვის მიგვემართნა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საერთო მომენტი ორივე შემთხვევაში ინფორმაციის გადაცემის მომენტია. მაგრამ თუ ურთიერთობის მახასიათებლად გამოდის „დიალოგი“ მისთვის ნიშანდობლივი ემოციური შეფერილობით, მეორე შემთხვევაში კომუნიკაციის მახასიათებლად გამოდის მართვის ელემენტი, რაც შეეხება კომუნიკაციის პროცესში სიმბოლოს მონაწილეობაზე, კომუნიკაციურ სივრცეში მის როლზე ფოკუსირებულ ჩვენს მეცნიერულ ინტერესს, კომუნიკაციის ზოგადი ბუნების, მისი სტრუქტურის განხილვის შემდეგ კომუნიკაციაში აზროვნებისა და შემცნების საკითხების გასარკვევად, შესაძლებლად მივიჩნიეთ მათი დიალოგურ ფორმაზე შეგჩერებულიყავით. სწორედ ურთიერთობის დიალოგური ფორმა უზრუნველყოფს ურთიერთობათა მთელი კომპლექსის გადაჭრას. მხოლოდ ურთიერთშეჯახებისას და ურთიერთქმედებისას ცვლიან ერთმანეთს, შეიმეცნებენ ერთმანეთს მხარეები და მაშასადამე, არაერთგვაროვნად, ურთიერთწვდომის, კონსენსუსის გათვალისწინებით აზროვნებენ, სწორედ ამისკენ მოუწოდებს კომუნიკაციური სივრცის ყველა მკვლევარი.

4. ტექნოლოგიური ცვლილებები და ახალი ისტორიული ეპოქა XX საუკუნის ისტორიული თავისებურებებით, მისი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებით ხასიათდება. მოცემული თემის გააზრება-გაშუქებაში ფუნდამენტური სიახლეების აღმოჩენაზე პრეტენზიების გარეშე, ჩვენი კონკრეტული მეცნიერული ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენ შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ ხარისხობრივი ცვლილებების რეტროსპექტივა, იმ რევოლუციების შინაარსი და რაოდენობა, რომლებმაც წარმოუდგენლად შეცვალეს ის, რასაც ახლა კომუნიკაცია ეწოდება.

პირველი გარდაქმნა კომუნიკაციაში პერიოდული ბეჭდვითი პრესის გაჩენასთან არის დაკავშირებული. მაგრამ აქ ზუსტი თარიღები გადამწყვეტი მომენტი არ უოფილა იმ გაგებით, რომ პრესის დაბადების თარიღად XVII საუკუნეა მიჩნეული, ხოლო „წინარევოლუციური სიტუაცია“, როგორც ცნობილია, მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებისთვის მომწიფდა. საკუთარი მოსაზრებები ჩვენს გამოკვლევაში ისტორიული მონაცემებით განვამტკიცეთ. ნაშრომში აღნიშნული დრო პრესის მასობრივ აუდიტორიაზე ორიენტაციის დროდ იქცა. გასცდნენ რა მკითხველთა ვიწრო, რჩეულ წრეს, გაზეთებმა და ჟურნალებმა იმ დროისათვის უნახავი ტირაჟების ზრდით საზოგადოებაში რეალური ძალაუფლება მოიპოვეს. ბიზნესი ინტერესს იჩენს ინფორმაციისადმი, როგორც ყველაზე გასავლიანი და შემოსავლიანი საქონლისადმი. მთელი ცივილიზაციის არსებით და ხარისხობრივ გარდაქმნას ჩვენ რადიოს გაჩენას ვუკაშვირებთ. მხოლოდ ტექნიკურმა პროგრესმა უზრუნველყო „უმავთულო ტელეგრაფის“ ნამდვილ მასობრივ ინფორმაციის საშუალებად გარდაქმნა. საოკეანო ლაინერ „ტიტანიკის“ დაღუპვის ტრაგიკულმა ფაქტმა 1912 წლის სამ დღეში მთლიანად გადაატრიალა წარმოდგენა რადიოზე, ცხადი გახდა, რომ რადიომ შეამცირა საჭირო ინფორმაციის გადაცემის მანძილი და დრო. მესამე ტრიუმფალური კომუნიკაციური მოვლენა იყო ტელეგიზიის დაბადება, რომელმაც პრინციპულად შეცვალა საინფორმაციო სიტუაცია მთელ მსოფლიოში. ტელეკომუნიკაციამ საკუთარი მიღწევები მეოთხე საკომუნიკაციო რევოლუციის კარიბჭესთან განამტკიცა, როდესაც პრაქტიკულად დაადასტურა მარშალ მაკლუენის კონცეფცია იმის თაობაზე, რომ ისტორიის მამოძრავებელი ხდება ტექნოლოგიათა ცვლა, რომელსაც, თავის მხრივ, კომუნიკაციის ახალი საშუალებაც მოაქვს თან. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ გარდვევა კომუნიკაციის სფეროში ტექნიკური საშუალებების დახმარებით ხდება.

5. სიმბოლოს დაბადების გენეზისი იმით აიხსნება და იმაში გამოიხატება, რომ იგი გრანდიოზული უნიკალურობის მატარებელია, სწორედ სიმბოლოშია თავმოყრილი სამყაროს შეცნობის ყველა ელფერი, ამიტომაც არის, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, სიმბოლოსადმი ინტერესი არ ნელდება. თუმცა ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლოს შესწავლას მეცნიერება მრავალი წელი წინასწარ შექმნილი ცუდი აზრით ეკიდებოდა, რადგან ზოგიერთი მისტიკური დანაშრევები ართულებდა მოცემული ფენომენის ობიექტური, საკმაოდ სწორი

გადმოცემა-გააზრების ძიებას. სიმბოლოს ბუნებისა და მისი არსის უფრო ღრმა გაგების მიზნით ჩვენ სიმბოლოს წარმომავლობის გენეზისის პრობლემას მივმართეთ. ასეთმა მიღვომაში შესაძლებლობა მოგვცა ისტორიული განვითარების რეტროსპექტივაში შეგვეხედა საძიებელი პრობლემისთვის. სიმბოლოს მოვლენა სივრცისა და დროის პრიზმაში განვიხილეთ, უფრო ზუსტად კი, შევეცადეთ დროის სამ პროექციაში განვეხილა საზოგადოების დამოკიდებულება სიმბოლოსადმი: მისი საგვარეულო წარსული, აწმყო და ხილული მომავალი. ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ კაცობრიობის ისტორიაში ეს ფენომენი არასაკმარისად არის შესწავლილი, უფრო მეტიც, ამ სფეროში წარმოუდგენელი არეულობა სუფეს. თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენი მეცნიერული ძიებისას შევხვდით მრავალ საკმაოდ პოპულარულ სამეცნიერო ნაშრომს, რომლებიც ამ ვრცელ თემას განიხილავენ. ჩვენს შემთხვევაში სიმბოლოს წარმოშობის გენეზისთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოხატულებად საფრანგეთის მუზეუმების საპატიო მცველის ლუკ ბენუასის შეხედულებების გააზრება-გაშუქება იქცა.

სიმბოლოსთან დაკავშირებით დღევანდელი სიტუაციის ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ სიმბოლო მოქმედებს რა ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში გამარტივებული ვარიანტით, სიმბოლო ამჟამად ფართო მასების მიერ აღიქმება მხოლოდ როგორც ცვლადი ეპოქების სიმბოლური „ნაჭდევი“, მეორე მხრივ, ადამიანები იძულებულნი არიან გამუდმებით გამოიყენონ სიმბოლური ენა. ასეთი მდგომარეობა მრავალი ფაქტორით აიხსნება. ჯერ ერთი, ბერძნული სიტყვა „symbollein“ ერთად შეკვრას ნიშნავს. მისი სემანტიკა თავდაპირველად გამოცნობის ნიშანზე მიუთითებდა, როგორც თანამედროვე პაზლები შეერთების დროს, გაყოფილი საგნის თითოეულმა ნაწილმა ერთი მთლიანი უნდა შეადგინოს. ამრიგად სიმბოლო გვევლინება ხიდად, რომელიც გაყოფა-წინააღმდეგობებს ხსნის. სიმბოლო ნორმალური კომუნიკაციის საშუალებაა, ის ამცირებს უთანხმოების, გაორებულობის, კონფლიქტის გადაუქრელობის სიმწვავეს. სიმბოლოს მონაწილეობის გარეშე ადამიანს არ ძალუბს საკუთარი არსებობისთვის აუცილებელი წონასწორობა მოიპოვოს.

6. ისტორიულ და ფილოსოფიურ საწყისს სიმბოლოში ანტიკური ფესვები აქვს, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო სიმბოლოს სფეროში ქართველ ფილოსოფოსთა აღმოჩენების მნიშვნელობა და ხარისხია: როგორი მემკვიდრეობა

დატოვა ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა საკვლევი თეორიის პროცესში, რა წვლილი შეიტანა მან ნიშნის, სიმბოლოს და შემეცნების ცოდნის საერთო მსოფლიო სალაროში. ცხადია, განსაკუთრებით დაგვაინტერესა აკადემიკოს შ. ნუცუბიძის და აგრეთვე ბელგიელი ბიზანტოლოგის პონიგმანის თვალსაზრისმა, რომლებმაც წამოაყენეს დრმად არგუმენტირებული იდეა ცნობილი Cjprus Areopagiticum-ის პეტრე იბერის აგტორობის შესახებ. თუმცა ავტორის პიროვნებასთან დაკავშირებით არა ერთი პიპოთეზა არსებობს, აკადემიკოს შ. ნუცუბიძის მიერ გამოთქმული პიპოთეზა პეტრე იბერის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის ფსევდოდიონისეს ცხოვრების ფაქტებთან მსგავსებით დასტურდება.

ფართო აღიარება პპოვა მსოფლიო მეცნიერებაში გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილისა და ალექსანდრ პიატიგორსკის თანაავტორობით შექმნილმა ნაშრომებმა. მის მიერ შეიქმნა ნაშრომი “სიმბოლო და ცნობიერება“. მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარებული ეს არაორდინალური მიღწევა მიუთითებს რადაც უფრო ფუნდამენტურზე, ვიდრე დღევანდელი დღეა, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ ჩვენი ჩვეული წარმოდგენებით ცოდნის, სიმბოლოს, ფსიქიკისა და კულტურის თანაფარდობაზე. მამარდაშვილისა და პიატიგორსკის ნაშრომი სიმბოლოს თეორიის მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვან მრავალ დებულებას შეიცავს. სიმბოლო, ირწმუნებიან ავტორები, კოსმოსისა და ადამიანის მიეროვოსმოსის ურთიერთობათა გარკვეული ტიპია.

სიმბოლოს გაგების ბუნებისთვის მნიშვნელოვნად ითვლება პავლე მოციქულის გამონათქვამები. მოციქული სიმბოლოს მომავალ სიკეთეთა ჩრდილის მქონე კანონს უწოდებდა. კლიმენტი ალექსანდრიელი სიმბოლოს პრაქტიკულ მხარესა და მის წაკითხვაზე მიუთითებდა. სიმბოლოს ქარაგმულობაში იგი სამმაგ მიზანს ხედავდა: მეხსიერების მიშველებას, ენის სიმოკლის და სიტყვამცირობის ხელშეწყობას, ჭეშმარიტების მისაგნებად გონების გაწაფვას. სიმბოლომ უდიდესი როლი ითამაშა შეა საუკუნეების დროინდელ დინამიკური პოლარულობების მსოფლიოში.

ჰეგელს სიმბოლო ორაზროვნად მიაჩნდა. მისი ჭვრეტისას ფილოსოფოსი აშკარა ეჭვს პოულობდა, რადგან ერთი და იგივე ხატ-სახეს სიმბოლოში შეუძლია სხვადასხვაგვარი ასოციაციები გამოიწვიოს და რამდენიმე მნიშვნელობა შეიძინოს.

XX საუკუნე ფრიდრიხ ნიცშეს ნოვატორული იდეებით იყო გაცისკროვნებული. აქ უკვე სიმბოლო პოლიმეცნიერული აბსტრაქციის, ტრანსცენდენტური კატეგორიის სახით გვევლინება.

7. სიმბოლოზე საუბრისას მისი ინტერპრეტაციების ენის პრობლემას მხარს ვერ ავუვლით. ჩვენ გვაინტერესებდა სიმბოლური მასალის ინტერპრეტაციათა შესაძლო ვარიანტების ხერხები და რაოდენობა და ის, თუ რაში გამოიხატება განსაკუთრებული მიღმომა, სიმბოლოს გააზრებისა და გადმოცემის ხელოვნება, მისი შიფრის ამოკითხვა.

როგორც გავარკვიეთ, სიმბოლოს წაკითხვის პროცესს თავისი კანონები გააჩნია. კარლ იურგის მსჯელობებიდან გამომდინარე, ჩვენ დავეთანხმეთ იმ ჰიპოთეზას, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ თავის სიცხოველეს სიმბოლო მისი იდუმალობის, ჩვეულებრივი, ტრივიალური წაკითხვისათვის მიუწვდომლობის შემთხვევაში ინარჩუნებს. თუ სიმბოლოს იდუმალი მნიშვნელობა ყველასთვის მისაწვდომი ხდება, სიმბოლო კვდება. თავის სიცხოველეს ის მანამდე ინარჩუნებს, ვიდრე მისი მნიშვნელობა ზეგავლენას ახდენს, ვიდრე ის თავისი მნიშვნელოვნობით არის აღსავსე.

8. კავკასიის სიმბოლური სივრცე იმით ხასიათდება, რომ მსოფლიოს ერთიან გეოგრაფიულ რაიონებში განლაგებული ხალხები რეგიონალურ სივრცეებში არიან მოქცეულები. და მხოლოდ მისი ყველა სახეობის საყოველთაო წვდომა იძლევა მთლიანი წარმონაქმნის სურათს, იმას, რაც ადამიანის მიერ ისე აღიქმება როგორც ცივილიზაცია. ყოველ კულტურასა და ყოველ სახელმწიფოში არსებობს საკუთარი წარმოდგენა სოციალურ სივრცეზე, თავისი საკუთარი პრაქტიკები, განსაკუთრებული სამყაროები, ფასეულობათა ეროვნული სისტემები, მენტალიტებები. როგორ გვხედავენ ჩვენ გარედან, როგორ ვაფასებთ საკუთარ თავს ჩვენ თვითონ ყოველივე ამის შესახებ ჩვენი აზრები და ჩვენი სიმბოლოები მეტყველებს.

ზოგადად მეცნიერებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ის ორსახა იანუსს ჰგავს, რომლის სახე ერთი მხრიდან ბუნდოვანი შორეთისკენ არის მიპყრობილი, მეორედან კი – შორეული წარსულისკენ. კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილს და საოცრად მიმზიდველი იყო წარსულის მოაზროვნებისა და ჩვენი დროის კულტუროლოგებისთვის.

განსაკუთრებულ ინტერესს კავკასიის სიმბოლურ სივრცეში ჩვენთვის მისი ლანდშაფტი წარმოადგენდა. როგორც გაირკვა, ლანდშაფტი კულტურულ ანთროპოლოგიაში ისე გაიგება, როგორც დედამიწის ზედაპირის რელიეფის ეთნიკური კულტურის პრიზმაში აღქმა. ადამიანურ აღქმაში მას აუცილებლად ენიჭება სიმბოლური მნიშვნელობები.

კავკასიის სიმბოლური სივრცის განხილვისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეთნოსებს მხოლდ ისტორიული მოტივებით როდი უკავიათ ესა თუ ის ტერიტორია. ხალხების მიერ ამგვარი არჩევანი ლანდშაფტური ნიშნების მიხედვით ხდება. მთელი კავკასიის დაცვითი ფუნქცია ამ რეგიონის გეოგრაფიულ და სიმბოლურ სივრცეში მის დიდებულ მთებს აკისრია. ცნობილია, რომ ამგვარ ლანდშაფტურ საოცრებას, მთებს მოკლებული ხალხები ხელოვნურ ზიკურანტებსა და პირამიდებს იქმნიან. მთა ტრანსცენდენტურობის სიმბოლო, აღმასვლის, სულიერი ამაღლების ზღვარია, ის კოსმოსის მდგრად უცვლელობას უზრუნველყოფს.

9. პოლტისეულ სიუჟეტს უურნალისტურში გადასვლის საკუთარი თავისებურებები და სპეციფიკა აქვს. ჩვენ გამოვყოფთ უურნალისტიკას, როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო პრაქტიკის „საველე“ წარმონაქმნს და ამით მისი ზეგავლენის ჩამომყალიბებელ ცენტრად ვალიარებთ, სადაც უწინარეს ყოვლისა ადამიანური ფსიქიკის ირაციონალურ მხარეზე ორიენტირებული სიმბოლო-სიტყვის, ტექსტ-სიუჟეტის ზეგავლენით მასები ეძებენ არა ინფორმაციებს, არამედ იმედებს, არა ფაქტებს, არამედ შეფასებებს, არა ლოგიკას, არამედ გამოსავალს გრძნობებისთვის, არა დასაბუთებულობას, არამედ დაცვას საკუთარი უბედურებებისგან, არა ობიექტურობას, არამედ მხარდაჭერას. ამაზეა დაფუძნებული ფრანგი მკვლევარის ჟ. პოლტის ცნობილი სიუჟეტები და იმისათვის, რომ მასობრივი აუდიტორიის ყველა ზემოთ ჩამოვლილი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, უურნალისტს უხდება თავადვე ჩაერთოს მაგიურ აზროვნებაში, შეურიოს რეალურობა და სიმბოლიკა, ვარაუდები, რომლებიც მოვლენებსა და ფაქტებს სასურველ აზრს სძენენ, ვინაიდან უურნალისტიკის „საველე“ წარმონაქმნი, აწყდება რა პროპაგანდის კანონებს, იმდენად მოვლენების შინაარსს კი არ გადმოსცემს, რამდენადაც საჭირო ემოციებს კარნახობს და მკითხველებში იწვევს გრძნობას, რომელსაც ისინი განიცდიან ან უურნალისტები აღვივებენ. ტყუილად როდი დაამტკიცა დიდმა იუნგმა, რომ თეორიულად შესაძლებელი და

პრაქტიკულად ადგილია მწვავე ცხოვრებისეული პრობლემების დაკავშირება უძველეს სიღრმისეულ კომპლექსებთან და სიმბოლოებთან და ამის საფუძველზე ურყევი და იმავდროულად თვითდამანგრეველი მასობრივი ენთუზიაზმის გამოწვევა, ხოლო რადგან მასობრივ კომუნიკაციაში მითოლოგიური ტექსტი შეუცვლელია, უურნალისტი უნდა აკეთებდეს ამას.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სიმბოლო, როგორც სიუჟეტის გენი, რეალურობის იმ დონეებზე მიუთითებს, რომლებიც თითქოსდა დაფარულია ჩვენგან, მაგრამ შეიძლება ნებისმიერ მომენტში აღორძინდნენ და მასების ახალი ისტორიული და ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღეკვატურები გახდნენ.

10. აგონში, როგორც ცნობილია, ანტიკურ საზოგადოებაში გამოსვლის ძირითადი სახე იგულისხმება, საზოგადოებაში, რომლის მთელი ცხოვრებაც შეჯიბრის პრინციპით იყო გამსჭვალული. იყო სპორტული, მუსიკალური, პოეტური, დრამატიული აგონები. აგრესიულობა კი მორალურ აკრძალვებს წარმოშობს. აგონი – შეჯიბრი, როგორც „ვიღაცის რაღაცაში ჯობნისკენ, დამარცხებისკენ სწრაფვა“, როგორც შეჯიბრი პირველობისთვის, თამაშის საწყისის მატარებელია, დაძლევა სხვის ჯობნას, პირველობას ნიშნავს, ამასთან მოწინააღმდეგის განადგურება არ არის გათვალისწინებული როგორც გამარჯვების აუცილებელი პირობა, მისი ჯობნა შეიძლება მუსიკაში, თეატრალურ წარმოდგენაში, სიმღერაში, თამაშში, სპორტულ ორთაბრძოლაში, საღაც ერთ-ერთი ანტაგონისტის დაღუპვა შემთხვევითობად აღიქმება, და კულტურის ნაგებობაში აგონს მნიშვნელოვანი ნიშა უკავია. აგონის თემას რომ მივმართავთ, ჩვენ საკუთარი გამოკვლევის მთავარ იდეასა და მეთოდოლოგიას ვუსვამთ ხაზს, სახელდობრ კი საკომუნიკაციო სივრცეში სიმბოლოს პრობლემების გაგების გასაღებს ჩვენ დისციპლინათშორის მიღგომაში ვხედავთ. დღეს ბიოლოგიური ცოდნა ეთიკური და პოლიტიკური იდეების ახალი სისტემის შემუშავების სფეროში სულ უფრო აქტიურად და მჭიდროდ შედის ურთიერთქმედებაში მეცნიერებებთან ადამიანის შესახებ. ეს ვითარება სულ უფრო მკაფიოდ ასახავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და პუმანიტარული ცოდნის დაახლოების ტენდენციას. ამგვარი მრავალასპექტიანობისა და შინაარსიანობის გამოვლინებები, როგორც საკომუნიკაციო სივრცის ერთ-ერთ სფეროში, უურნალისტიკაშიც იჩენს თავს.

ჩვენს გამოკვლევაში ამგვარი მიღებომა ყველაზე პროდუქტიულად გვესახება. ბიოპოლიტიკისა და ჟურნალისტიკის სფეროში აგონური ქცევის ასპექტების განხილვისას ცხოველური და მეცნიერული სამყაროს ქცევათა ფორმებში ერთგვარი პარალელური დავინახეთ.

ჩვენი გამოკვლევისთვის საინტერესოდ მივიჩნიეთ ცხოველთა სამყაროში ინგიბიდურობისა და მცენარეებში ალეოლოპათიის ფაქტები. მათ ქცევის ანალოგები ადამიანთა საზოგადოებაშიც უმჭველად არსებობს. ადამიანში ცხოველური აგრესიულობის შემცირებაზე ჯერ კიდევ ძველი ბერძნები დაფიქრდნენ, რომლებმაც აგონური ქცევის მთელი კოდექსი შეიმუშავეს. დღეს აგონის ფენომენის გამოყენება, ისე, როგორც შორეულ წარსულში, სოციალური ურთიერთქმედების საყოველთაო გრამატიკის მოდელის თავისებურ ამოქმედებად იქცევა. ჩვენს დროში განსაკუთრებულ საფრთხეს შეიძლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეტისმეტი აქტიურობა წარმოადგენდეს.

აგონი, როგორც ძველბერძნული სამყაროსგან ნასესხები და ამერიკის ცხოვრების ყაიდაში წარმატებულად რეალიზებული კულტურის ფორმა, დღეს ჩვენი ცნობიერების, ჩვენი კულტურის, კამათის კულტურის, პატიოსანი შეჯიბრის და ცხოვრების რთულ პირობებში გადარჩენის ნაწილი ხდება. პრესის კვლევისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ, გაუმართლებელი აგრესიოთ, ფსევდოსენსაციურობით აღსავს და ზნეობრიობას მოკლებული თანამედროვე ყვითელი პრესის პუბლიკაციები შეიძლება ისე განვიხილოთ, როგორც ყველაზე დაბალი, დამახინჯებული, მაღალ მორალს, პროფესიონალიზმსა და ოსტატობას მოკლებული ფორმა.

როგორც ცნობილია, ყოველ ობიექტს მნიშვნელოვანი რაოდენობის წახნაგები გააჩნია, სადაც შეცნობის პროცესი უსასრულობასთან არის ახლოს. ასეთ სფეროდ გვესახება ჩვენ სიმბოლოს პრობლემაც კომუნიკაციურ სივრცეში. რადგან თავად ჩვენი შესწავლის საგანი თანამედროვე შემეცნების ერთ-ერთ ყველაზე ურთულეს სფეროს წარმოადგენს, ბუნებრივია, შეხედულებათა ეკოლუცია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მრავალი ვარიანტითა და ინტერპრეტაციით არის გაჯერებული. ეჭვგარეშეა, რომ დღეს სიმბოლო კომუნიკაციურ სივრცეში თავისი ფილოსოფიური, ისტორიული, კულტუროლოგიური წაკითხვით კვლავაც საკმაოდ რთულ და ჯერ კიდევ დაუმუშავებელ პრობლემად რჩება. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს

პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით ლოგიკური გაგრძელება ექნება ზოგადად მეცნიერებაში და თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სივრცეების შეცნობის პროცესში კერძოდ.

## პიპლიოგრაფია

1. ლორთქიფანიძე ო. (1989). ძველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. თბილის.
2. სურმანიძე ლ. (2010). კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში. თბილის.
3. აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. (2006). სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. თბილის.
4. გაბაშვილი ქ. (2007). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილის.
5. ზედელაშვილი გ. (9-11 იანვარი 2010). რა რეიტინგებში გაუხმოვა საქართველომ რუსებს? გაზეთი „ალია“. №2 (2439).
6. ოქრუაშვილი თ. (22-24 აპრილი 2010). ხელფეხშეკრული ვწერავ... ეს ისტორია კი არავისთვის არ მომიყოლია... გაზეთი „ალია“. №43 (2480).
7. სენიაშვილი ქ. (18-19 სექტემბერი 2008). ხათუნა გოგორიშვილი ბენდუქიძეს დაუპირისპირდა? გაზეთი „ალია“. №115 (2240). (на грузинском языке).
8. სიჭინავა თ. (21-25 ოქტომბერი 2010). რა დებატები გაიმართა ირაკლი ალასანიასა და პალიკო კუბლაშვილს შორის? გაზეთი „ალია“. №100 (2537).
9. ჩუბინიძე დ. (15-16 აპრილი 2010). გია ჭანტურია ლევან გაჩეჩილაძეს ტელედებატებზე დასთანხმდა. გაზეთი „ალია“. №39 (2476).
10. ლალი მაროშვინას დაბადების დღე სტრიპტიზ კლუბში (22ნოემბერი 2010). გაზეთი "Prime Time". №47 (89)
11. ჩიტიძე ა. (17-19 ნოემბერი 2010). თამრიკო გვერდწითელი: „ჩემ გვერდით ცხოვრება ადვილი არ არის“. ჟურნალი „სარკე“. №46 2010.
12. ჩიტიძე ა. (17-23 ნოემბერი 2010). რამ შეიწირა თამრიკო გვერდწითელისა და გიორგი კახაბრიშვილის ოჯახი. ჟურნალი „სარკე“. №43 (2010).
13. ნაცვლიშვილი პ. (2009). ქართული ჟურნალისტიკის გენეზისისათვის. სადისერტაციო ნაშრომი. დაცული სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. თბილისი
14. Cassirer E. (1925). Philosophie der symbolischen formen T. Berlin.
15. Cassirer E. (1951). 1923-1929 Ducases, C. Nature, Mind and Death. Zasalle , 111 open Court.

16. Debre P. (2001). Cours de mediologie generale. Gallimard.
17. Giraig P. (1999). Communication. Theory as a Field, Communication Theory .
18. Hegel G. W. F.(1848). Vorlesungen über die Philosophie der Geschichte. Hrsg.E. Gans. 3. Aufl. Besorgt von K/ Hegel. B., 1848 st. 469. ( uk / 2 cn/ 37 ).
19. Jung C. (1964). Man and symbols. London.
20. McLuhan M. (1967). Understanding Media. New York.
21. Miller K. (2008). Organizational Communications: Approaches and Processes. Fifth edition. New York.
22. Morris Ch. (1950). Signs, Language and Behaviour. New York.
23. René A. (1989). La science du symbole/.
24. Russel, Bertrand. (1940). An Inquiry into Meaning and Truth. London.
25. Caldwell L.K. (1964). Biopolitics: science, ethics and public policy . Yale Rev. 1964. V.54. N. 1. P.1—16.
26. Taylor N. (1934). The Medieval Mind. Vol. 1-2 Cambrige.
27. Peirce Ch. (1960). Collected Papers. Vol. №2. Cambrige .
28. Dunbar F. (1929). Symbolism in Medieval Thought and its Communication in the Divine. New Haven, Conn.: Yale University Press. <http://www.jstor.org/stable/2846363>.
29. Абрамян А.(1973). Кант и проблема знания. Ереван.
30. Барг М.(1989). Эпохи и идеи. Москва .
31. Белецкий А. (1989). В мастерской художника слова. Москва.
32. Березин В.(2003). Массовая коммуникация. Сущность, каналы действия. Москва.
33. Бенуас Л. (2006). Знаки, символы, мифы. Москва.
34. Ветров А. ( 1969). Семиотика и ее основные проблемы. Москва.
35. Гердер И. (1959). Избранные сочинения. Москва.
36. Гоббс Т. (1970). Антология мировой философии. Москва. Изд-во «Мысль».
37. Дридзе Т. (1989). Язык и социальная психология. Москва.
38. Кассирер Э. (1998). Избранное. Опыт о человеке. Москва.
39. Каримский А. (1988). Философия истории Гегеля. Москва.
40. Кашкин В. (2000). Введение в теорию коммуникации. Москва.
41. Кессиди К. (1995). К проблеме «греческого чуда» культурологи. Ростов-на Дону .
42. Крейг Р. (1999). Теория коммуникации как область знания. Москва.

43. Кузен В. (2007). Эклектизм. Dic.academic.ru/dic.nsf/brokgaуз\_efron/57614/кузен
44. Леви-Стросс К. (1994) .Первобытное мышление. Москва. Изд-во Республика. 1994 .
45. Линник Ю. (1991). Икона Софии. Петрозаводск.
46. Лотман Ю. (1994). Беседы о русской культуре. Санкт-Петербург. Изд-во «Поэтика».
47. Лотман Ю. (1992). Символ в системе культуры. Избранные статьи. Таллин. Т.1.
48. Лотман Ю. (2000). Внутри мыслящих миров. Семиосферы. С-Петербург. Изд-во  
«Искусство».
49. Лосев А. (1970). Проблема символа в связи с близкими к нему литературными  
категориями. Москва. Изд-во АНССР.
50. Луман Н. (2003). Что такое коммуникация? Москва.
51. Мельвиль. Ю.(1983). Пути буржуазной философии. Москва.
52. Миронов В. (2001). Философия. Москва.
53. Мостепаненко А. (1974). Пространство и время в макро- мега-микромире. Москва.
54. Нерсесян В. (1972). Сократ. Москва.
55. Ницке Д. (1990). Язык символа и символизм языка в творчестве Ф. Ницше. Москва.  
Изд-во «Прогресс».
56. Нуцубидзе Ш. (1960). История грузинской философии. Тбилиси.
57. Одайник В. (1996). Психология политики. Психологические и социальные идеи Карла  
Густава Юнга. Москва.
58. Почепцов Г. (2001). Коммуникативные технологии двадцатого века. Москва.
59. Робакидзе Г. (2003) Чаша Браала. Тбилиси.
60. Розов М. (1985). Структура и развитие научного знания. Москва.
61. Вильям С. (1998). Работа с образами и символами в психологическом  
консультировании. Москва.
62. Третьяков В. (2010). Как стать знаменитым журналистом. Москва.
63. Токарев С.(1978). История зарубежной этнографии. Москва.
64. Тумаркин П. (2000). Жесты , мимика в общении японцев. Москва.
65. Успенский П. (1993). Символы Таро. Старинная колода карт. Философия  
оккультизма в рисунках и цифрах. Москва.
66. Фрейдемберг О. (1987). Миф и литература древности. Москва.

67. Шерковин Ю. (1973). Психологические проблемы массовых информационных процессов. Москва.
68. Шпаковская С. (2006). Основы теории коммуникации для студентов. Москва.
69. Ушаков В. (2009). Медиа рилейшнз. Основные аспекты взаимодействия СМИ и public relations. Москва.
70. Храпченко М. (1978). Художественное творчество, деятельность, человек. Москва.
71. Шпаковская С. (2006). Основы теории коммуникации. Москва.
72. Элиаде М. (2000). Образы и символы. Избранные сочинения. Миф о вечном возвращении. Москва. Изд-во «Ладомир».
73. Грушевицкая Т., Попков В., Садохин А. ( 2003). Основы межкультурной коммуникации. Москва. ЮНИТИ-ДАНА .
74. Гусев С., Тульчинский Г. (1991). Проблема понимания в философии. Москва.
75. Малинова Р., Малина Я. (1988). Прыжок в прошлое. Москва.
76. Мамардашвили М., Пятигорский А. (1997). Символ и сознание. Москва. Изд-во «Языки русской культуры».
77. Матьяш О. (2004). Плюрализм как состояние и принцип развития современного коммуникативного знания. Сборник материалов российско-американской научной школы-семинара. Москва. Изд-во «Принт-медиа». Стр.6-8.
78. Никитина Н. (1998). Проблема пространства в философии Павла Флоренского. Вестник Московского университета № 6, стр.45-51. Москва.
79. Антология мировой философии. (1969). Москва.
80. Герменевтика : история и современность. (1985). Москва.
81. Аверинцев С. Символ. <http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/8178>
82. Алёшина И. ( 2008 ). 36 сюжетов Польти.  
<http://saved.ru/fm/index.php?autocom=blog&blogin=62&show>
83. Басин Е.(1999). Искусство и коммуникация. Очерки истории. Из истории философско-эстетической мысли. [http://www.gumer.info/logoslov\\_Buks/Philos/Bas/08.php](http://www.gumer.info/logoslov_Buks/Philos/Bas/08.php)
84. Бусыгина Е. ( 2008 ). Понятие символа.  
<http://artlazar.ru/modules/news/article.php?storyid=12>
85. Византийская эстетика. [http://history/rin.ru/cgi-bin/history/pl?hum=2140\(14\)](http://history/rin.ru/cgi-bin/history/pl?hum=2140(14))

86. Володина Л., Карпухина О. (2006) . Деловое общение и основы теории коммуникации: учебное пособие. Таганрог. Изд-во ТРТУ.<http://www.dvo.sut.ru/libr/cotciolo/volod/index.htm>
87. Давыдов А. (2008). Культура символа.  
<http://www.catalogofhumanpopulation.org/forum/showthread.php?t=191>
88. Давыдова О. (2006). Символ и символическая реальность.  
<http://www.ruthenia.ru/tiutcheviana/publications/davydova.html>
89. Зедгенидзе Г. (2010). Два президентских торса.  
<http://slon.ru/blogs/gzedgenidze/post/484322/>
90. Зеленский В. (2001.) Словарь аналитической психологии. Эрос.  
<http://www.sitnikov.com/sitnikov/literature/psychoanalysis/>
91. Климентий Александрийский.Строматы. <http://library303.narod.ru/third/rebirth171.html>
92. Кротов А. Трактовка сознания в "эклектическом спиритуализме" В.Кузена.  
<http://www.neuch.ru/referat/78857.htm>
93. Лассуэл Г. (2006). Язык власти.  
<http://gtmarket.ru/laboratory/expertize/2006/880>
94. Лосев А. (1995). Проблема символа и реалистическое искусство.  
<http://go.mail.ru/search?mailru=1&q>
95. Лосев А. Восточное возрождение. <http://psylib.org.ua/books/lose010/txt00.htm>
96. Марценюк В. (2009). Хочешь быть Президентом? - Раздевайся!  
<http://vip.glavred.info/?/articles/2009/07/01/143607-8>
97. Миронов В. (1998). Специфика гуманитарного познания и философия как интерпретация. [http://www.philos.msu.ru/vestnik/philos/art/1998/mironov\\_specif.htm](http://www.philos.msu.ru/vestnik/philos/art/1998/mironov_specif.htm)
98. Носовкий Г., Фоменко А. (2010). Начало ордынской Руси.  
[http://chronologia.org/ord\\_rus/or\\_02.html](http://chronologia.org/ord_rus/or_02.html)
99. Олескин А. Биополитика. [http://lib.co.ua/science/oleskin1/Oleskin\\_1.txt](http://lib.co.ua/science/oleskin1/Oleskin_1.txt)
100. Политический бодибилдинг. (2008). ("The Globe And Mail", Канада)  
<http://www.inosmi.ru/world/20070827/236270.html>
101. Почепцов Г. (2001). Теория коммуникации.[www.u.ru/biblio/archive/pochepcov\\_teoriya/00.as...](http://www.u.ru/biblio/archive/pochepcov_teoriya/00.as...)
102. Псевдо-Дионисий Ареопагит. [http://krotov.info/library/m/meyendrf/patr\\_25.htm](http://krotov.info/library/m/meyendrf/patr_25.htm)

103. Свастьян К. (1981). Проблема символа в современной философии. <http://philosophy.ru/library/Katr/svas/svas-sym.html>
- 104.. Созина Е. (2010). Язык символа язык вечности.  
[http://simbol.ucoz.ru/publ/simvol\\_i\\_simvolika/mnenija\\_uchenykh/jazyk\\_simvolov\\_jazyk\\_vechnosti/17-1-0-64](http://simbol.ucoz.ru/publ/simvol_i_simvolika/mnenija_uchenykh/jazyk_simvolov_jazyk_vechnosti/17-1-0-64)
105. Созина Е. (2010). Символ в континууме сознания. [http://poetica1.narod.ru/statii\\_s/symbol\\_2\\_1.htm](http://poetica1.narod.ru/statii_s/symbol_2_1.htm) (19).
106. Фулканелли. Тайны готических соборов и эзотерическая интерпретация герметических символов Великого Делания.  
<http://oko-planet.su/history/historyriddles/11885-fulkanelli-tajny-goticheskix-soborov.html>
101. Обама или Путин, чей торс лучше? (24 декабря 2008)  
<http://www.woman.ru/stars/events/article/50621/comments/3/>
102. Юнг К. Человек и его символ. <http://lib.mex.ru/books/20643>
- 103 Яровой А. Агон как форма коммуникации. <http://dikoepole.com/publikation/agon>
104. Яровой А. Агон и агональная культура. [http://dikoepole.com/2010/03/10/agon\\_kultura/](http://dikoepole.com/2010/03/10/agon_kultura/)
105. Символизм как семиотическое явление и его гносеологическая оценка( 2003).  
[revolution.allbest.ru/philosophy/00005509\\_0.htm](http://revolution.allbest.ru/philosophy/00005509_0.htm)
106. Символы. (2010). <http://simbolos.ru>
107. Аверинцев С. (2001). София-Логос Словарь. К. Dax і Літера.
108. Литературная энциклопедия.(1987). Словарь. Москва.
109. Жаде З. (2007). Геополитическая идентичность России в условиях глобализации.  
Диссертация. Ростов-на-Дону. Ил. РГБ ОД, 71 07-23.47.